ᲔᲠ. ᲒᲝᲒᲝᲠᲐᲫᲔ

ᲡᲐᲛᲗᲐᲛᲐᲓᲜᲝ, ᲡᲐᲛᲗᲝ-ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲖᲘᲡᲘᲡ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ

(XVIII—XIX ᲡᲡ)

ᲒᲐᲛᲠᲗᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ „ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ“
�თᲑᲘᲚᲘᲡᲘ
1966

9 (C 41)
9(47 922) „18“+622 (47 922) (09)
ბ 611

ნაშრომი ეხება სამთამადნო და სამთო-საქარხნო მრეწველობას XVIII—XIX სს. საქართველოში და მასში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას. კერძოდ, განხილულია სპილენძსადნობი და ვერცხლსადნობი წარმოება ალაევერდსა და ახტალაში, თუჯისა და რკინის წარმოება ჩათახში, ნავთობის ამოღება, მარმარილოსა და სხვა ძვირფასი ქვების დამუშავებელი (საწახნაგო) წარმოება თბილისში, ქვანახშირის დამუშავება ტყიბულში, მანგანუმის ამოღება ჭიათურაში და სხვ., აგრეთვე კაპიტალიზმის გენეზისის ცალკეული საკითხები: მანუფაქტურის ცნების სწორი გაგებისათვის, საქართველოში მანუფაქტურის სტადიის შესახებ, კაპიტალისტური მრეწველობის წარმოშობის გზები, მრეწველობის ფორმების კლასიფიკაცია, ფაბრიკის ცნების სწორი მეცნიერული გაგებისათვის და ა. შ.

წინასიტყვაობა

სამთამადნო და სამთო-საქარხნო წარმოების შესწავლას XVIII—XIX საუკუნის საქართველოში დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მას ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. გარდა ამისა, აღნიშნული წარმოების შესწავლა გვეხმარება საერთოდ, კაპიტალიზმის გენეზისის შესწავლაში.

ნაშრომში, რამდენადაც ეს შევძელით, შესწავლილია ალავერდისა და ახტალის სპილენძისა და ვერცხლის წარმოება, თუჯისა და რკინის წარმოება ჩათახში, მარმარილოსა და სხვა ძვირფასი ქვების დამუშავება თბილისის საწახნაგო ფაბრიკაში. ნავთობის წარმოება, ქვანახშირის დამუშავება ტყიბულში, მანგანუმის დამუშავება ჭიათურაში.

სამთამადნო და სამთო-საქარხნო წარმოება საქართველოში მოცემულ ხანაში ძირითადად ამ დარგებითაა წარმოდგენილი.

საკითხის შესწავლისას ჩვენი ძირითადი წყაროები იყო საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივისა და ლენინგრადის სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივის საქმეები, კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ გამოცემული აქტები, შ. ჩხეტიასა და პ. აკრიტასის მიერ ახტალისა და ალავერდის საწარმოებზე შეკრებილი და გამოცემული საბუთები, სახელწოდებით: «История горной промышленности Закавказья в документах, т. 1, Грузия. (1799—1829 гг.)». ასევე, პერიოდული გამოცემები და სტატისტიკური კრებულები: «Кавказский вестник», «кавказский календарь», «Горный журнал», «Сборник статистических сведений о кавказе», «Статистика марганцевого дела» და სხვ.

საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურიდან უნდა დავასახელოთ სპირ. ესაძის ნაშრომი: „Очерк из истории горного дела на Кавказе". ნარკვევი ეხება ახტალისა და ალავერდის საწარმოებს და მთავრდება 1805 წლით. შემდეგ აღსანიშნავია სტეფანე გულიშამბაროვის ნარკვევები (ე. წ. საფაბრიკო-საქარხნო მიმოხილ-

ვანი) საქართველოსა და ამიერკავკასიის მრეწველობაზე. 1887 წელს გამოვიდა მისი ნარკვევი: «обзор фабрик и заводов Тифлисской губерний», ხოლო 1894 წელს—«Обзор фабрик и заводов Закавказского края». ამ ნაშრომებში მრეწველობის რიგ დარგებთან ერთად მიმოხილულია აგრეთვე სამთო წარმოებაც.

საქართველოს სამთო წარმოებაზე XIX საუკუნეში წერდნენ აგრეთვე ამ საქმის მცოდნე სპეციალისტები—ინჟინრები და გეოლოგები (აბიხი, ანტიპოვი, თურქესტანიშვილი, შოსტაკი, სეევერიანინი და სხვ.), რომლებიც სხვადასხვა ხასიათის ნარკვევებს ათავსებდნენ პერიოდულ გამოცემებში.

საბჭოთა ხანის მკვლევართაგან აღსანიშნავია პ. გუგუშვილის ნაშრომი „კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში XIX საუკუნეში“, გ. ბაქრაძის — „Развитие капиталистической промышленности в грузии в XIX веке“, ქ. კვანტრეს — „საქართველოს სამთამადნო მუშათა მოძრაობის ისტორია“, დ. წერეთლის — „შავი ქვა“, ვ. ჭანიშვილის — „ტყიბულის ქვანახშირის საბადოს დამუშავების ისტორიისათვის“ და „მანგანუმის მადნის მრეწველობის განვითარება საქართველოში“, ა. კოპლავაშვილის — „აკაკი წერეთელი და ჭიათურის მარგანეცი“, „საქართველოს სამთამადნო მეტალურგიული მრეწველობის განვითარება XIX საუკუნეში“ და სხვ.

თემა ვრცელია და მისი ყოველმხრივი შესწავლა დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. მით უფრო, როდესაც აღებულ საკითხზე სპეციალური მონოგრაფია, რომელიც მ ო ც ე მ უ ლ პ ე რ ი ო დ შ ი მ თ ლ ი ა ნ ა დ შეისწავლიდა მას, დღემდე არაა დაწერილი. ცალკეულ ავტორთა ნაშრომებში სამთამადნო და სამთო-საქარხნო წარმოება ან გაკვრით არის მოხსენებული, ან კიდევ სრული სახით არაა შესწავლილი. ზოგ მკვლევარს კი, მართალია, მონოგრაფიულად და ვრცლად, მაგრამ სამთო წარმოების მხოლოდ ერთი ან, უკეთეს შემთხვევაში, ორი-სამი დარგი აქვს შესწავლილი.

ჩვენს მიზანს, როგორც ისტორიკოსისა, შეადგენს სამთამადნო და სამთო-საქარხნო წარმოება საქართველოში წარმოვადგინოთ მ თ ლ ი ა ნ ო ბ ა შ ი, შევისწავლოთ მისი ხვედრითი წონა საქართველოს ეკონომიკაში, კერძოდ, მრეწველობაში, ვაჩვენოთ მისი როლი კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების საერთო ფონზე, დავახასიათოთ მისი სოციალურ-ეკონომიური ბუნება.

ვფიქრობთ, საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის, განსაკუთრებით ისტორიკოსებისა და ეკონომისტებისათვის, ნაშრომის

ასეთი სახით წარმოდგენა (თუნდ არასრული სახითა და ხარვეზებითაც კი) სასარგებლო იქნება.

იმედი გვაქვს, რომ მომავალში სხვა მკვლევარი ასეთი სახის ნაშრომს, ალბათ, გაცილებით ფართოდ და სრულყოფილად წარმოადგენს.

ნაშრომში ზოგჯერ საჭიროდ ვცანით სამთამადნო მრეწველობის ისტორიის ასე თუ ისე ვრცლად მოცემა. ჩვენ ეს საჭიროდ მიგვაჩნია, რათა მკითხველმა დაინახოს, თუ რა დაბრკოლებებისა და სიძნელეთა გადალახვა უხდებოდა საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის განვითარებას.

ვფიქრობთ, მკითხველისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება აგრეთვე გაეცნოს ქართული ფულის მიმოქცევისა და მოჭრის საქმეს XIX ს. პირველ ნახევარში. რამდენადაც ფულის მოჭრა სამთო წარმოებასთან (ლითონთან) არის დაკავშირებული, ამიტომ ნაშრომში მოცემული გვაქვს თბილისის ზარაფხანის ისტორიაც.

ნაშრომში განხილულია აგრეთვე კაპიტალიზმის გენეზისის რიგი საკითხები საქართველოში.

თავი პირველი

სამთამადნო მრეწველობა საქართველოში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში

სპილენძისა და ვერცხლის წარმოება

სამთო წარმოების საქმეს, ისე როგორც საერთოდ მრეწველობის განვითარებას საქართველოში, შედარებით მყარი საფუძველი ჩაეყარა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. საქართველოს სამეფო (ქართლი-კახეთის) ტახტზე მაშინ იჯდა იმ დროის „მოწინავე კაცი", ერეკლე მეორე. მისი თაოსნობითა და ხელშეწყობით იქმნებოდა მრავალი საფაბრიკო და საქარხნო წამოწყება. რა თქმა უნდა, ერეკლეს ეს წამოწყებები ამ მხრივ ქვეყნის ეკონომიური წინსვლისა და დაწინაურების შედეგი იყო.

ერეკლეს კარგად ესმოდა, რომ ქვეყნის პოლიტიკური სიმტკიცე და სამხედრო სიძლიერე დამოკიდებული იყო მისი ეკონომიკის განვითარების დონეზე. ამიტომ იგი მთელი ენერგიითა და მონდომებით მფარველობდა და ხელს უწყობდა ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას.

ვახტანგ ბატონიშვილი თავის ნაშრომში «Обозрение истории грузинского народа» წერდა: «Сей же царь (ლაპარაკია ერეკლე II-ზე დ. გ.) открыл и устроил серебряную, золотую, и медную руду, даровал купечеству новые права и преимущества, всячески ободряя промышленность».[1]

ერეკლეს დროინდელ საქართველოს მრეწველობაში ყველაზე დიდი ხვედრითი წონა სამთო წარმოებას ეჭირა. როდესაც იმ დროის სამთო წარმოებაზეა ლაპარაკი, მხედველობაშია ახტალის ვერცხლისა და ალავერდის სპილენძის საბადოების დამუშავება, რომელიც იწყება XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან. უნდა აღი-

---

[1] Царевич Вахтанг, «Обозрение истории грузинского народа». 1814, გვ. 72.

ნიშნოს, რომ ახტალის ვერცხლის საბადოების დამუშავება წარმოებდა ჯერ კიდევ გაცილებით ადრე ერეკლე მეორეზდე. ერეკლეზ განიზრახა მისი აღდგენა.

ახტალისა და ალავერცის ვერცხლისა და სპილენძის საბადოების დამუშავება ერეკლემ დაიწყო ანატოლიელი ბერძნების საშუალებით. ბერძენმა ოსტატებმა პირველ ხანებში უარი განაცხადეს საქართველოში წამოსვლაზე, რადგან მათ კარგად იცოდნენ, რომ ამ პატარა ქრისტიანულ ქვეყანას ხშირად ესხმოდნენ თავს მაჰმადიანური ქვეყნები და იგი განუწყვეტელი თარეშისა და აწიოკების ასპარეზს წარმოადგენდა. ისინი შიშს გამოსთქვამდნენ, რომ მათაც ასეთივე ხვედრი ეწეოდა.

მიუხედავად ამისა, ერეკლე II 60-ანი წლების დასაწყისში დიდი საჩუქრებისა და დაპირებების შედეგად მოახერხა გიუმიშხანეს პროვინციიდან (თურქეთშია) ბერძენ ოსტატთა 800 ოჯახის (2000 სულის რაოდენობით ორივე სქესისა) ჩამოყვანა საქართველოში. ბერძენ მადნისმწარმოებელთა უფროსი ოსტატი ანასტასი ხაჯიფეტოვი, რომლის ნაამბობი „ტიფლისსკიე ვედომოსტის" რედაქტორმა სანკოვსკიმ დაბეჭდა ამავე გაზეთში 1832 წელს. ამ გარემოებას ასე გადმოგვცემს:

«Рудные промыслы в Грузии обязаны своим существованием царю Ираклию. Сей прозорливый и попечительный о благе Грузии властитель, за 60 лет пред сим, усматривая пользу, которую приносили Турции по рудному промыслу трудолюбивые греки, искал всеми средствами заманить их к себе. Он знал, что в древния времена существовали довольно выгодные горные промыслы подле Ахтальского монастыря, коего развалины и поныне еще существуют, несколько южнее алавердского завода, и вознамерился возобновить на старом месте добывание руды. Не смотря на все усилия царя Ираклия, греки не соглашались на предлагаемое им переселение. Они опасались подвергнуться тем бедствиям, которыя безпрестанно угрожали природным жителям Грузии, и предпочитали находиться в земле иновернаго, но сильнаго и самобытнаго государства, чем доверять себя покровительству слабого царства, безсильного защитить даже собственные пределы.

Наконец Ираклий нашел случай привести в исполнение свое намерение. В Грузию прибыл по своим делам грек, родственник моего соседа, весьма уважаемый находящимися в Турции рудопромышленниками. Царь призвал его к себе, обласкал его, сделал ему самыя лестныя обещания для тех из его соотечественников, которые согласятся переселиться в Грузию, изложил ему около обильные источники представят неразведанныя еще места в подвластных ему землях и для

перваго опыта предложил ему Ахтальския окрестности, которыя, как известно по преданию, в древния времена содержали богатую серебряную руду. Наконец, царь заключил свое приглашение, сделав греку порядочный подарок и дав ему денег, дабы, уделить тем из его соотечественников, которых ему удастся уговорить к переселению. Грек, прельщенный лестным обращением и дарами царя и осмотрев Ахтальскую руду, отправился обратно в Турцию. Оттуда ему удалось выманить небольшое количество рудопромышленников, которые начали свое производство против Ахтальского монастыря, на другой стороне оврага. Первые опыты были довольно успешны. Некоторые из них, бродя по окрестностям, в надежде новых приисков, открыли на том месте, где существует ныне Алавердский завод, богатую медную руду. Переселившиеся греки тотчас сообщили о своих успехах оставшимся в Турции соотечественникам, которые выбежали оттуда в значительном количестве, под предводительством моего отца, Федора Хаджифотова. С того времени началась деятельная обработка руд в Грузии»[2].

ერეკლე II ბერძნებს დიდი პრივილეგიები მიანიჭა. ბერძნები არავითარ გადასახადებს არ იხდიდნენ, არ გადიოდნენ ჯარში. ისინი მხოლოდ ზოგიერთ ვალდებულებას კისრულობდნენ.

პირველად განახლდა ახტალის ვერცხლის საბადოების დამუშავება 1763 წელს. ამავე 1763 წელს მოეწყო დამბლუღის სპილენძსადნობი „ქარხანა"[3], ხოლო 1770 წელს ალავერდისა და შამბლუღის სპილენძსადნობი „ქარხნები".

ახტალის ვერცხლსადნობი ქარხნები მდებარეობდა მემამულე მელიქიშვილების მიწებზე, ალავერდისა და შამბლუღის სპილენძსადნობი ქარხნები—არღუთინსკი-დოლგორუკოვებისა და ორბელიანების მიწებზე.

ერეკლე მეფესა და ბერძნებს შორის საბადოების ექსპლუატაციის გამო ასეთი კონდიცია იყო დადებული: ახტალის ქარხნებში მიღებულ ოქროს ბერძნები მთლიანად აბარებდნენ მეფეს. წარმოებული ვერცხლიდან კი მეფეს მიჰქონდა ნაწილი, სახელდობრ 25% ნატურით. დანარჩენ 75% ვერცხლს მეფე ბერძნებს უბრუნებდა ფულის სახით — ვერცხლის აბაზებით, რომელსაც თბილისის ზარაფხანაში ჭრიდნენ.

---

[2] «Тифлисские ведомости», 1832, № 1.

[3] С. Гулишамбаров, Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии, Тифлис, 1887, გვ. 175.

ალავერდის ქარხნებში მიღებული სპილენძიდან, რომელსაც ბერძნები საკუთარი სახსრებით აწარმოებდნენ, მეფეს აძლევდნენ მხოლოდ 10% (მეათედს). მეფეს დამატებით ეძლეოდა ლითონის 2%, სამეფო ხელისუფლების მიერ ქარხნების მუშახელით უზრუნველყოფისათვის[4].

ახტალის მფლობელი მემამულე მელიქიშვილები, რომელთა მიწებზე იყო ვერცხლის საბადოები და ქარხნები, წლიურად მიწისა და ტყისათვის ღებულობდნენ 300 მანეთს, ხელფასს — 300 მანეთს ქარხნების ზედამხედველობისათვის. 600 მანეთის გარდა, წლიურად ისინი ღებულობდნენ ტყვიისა და ვერცხლის ნაწილს ნატურით[5].

ალავერდის სპილენძის სადნობი ქარხნების მფლობელი მემამულეები — არღუთინ-დოლგორუკოვები წლიურად იღებდნენ 600 მანეთს და ამოღებული მადნის 1/10 ნაწილს ნატურით.

მეფე მიწისმფლობელებს ქარხნებში მინბაშებად ნიშნავდა. მინბაშები იყვნენ მეფის წარმომადგენლები და მეთვალყურეები. რისთვისაც მეფე მათ ხელფასს, წლიურად 300 მანეთს უხდიდა.

ქარხნების მუშახელით უზრუნველყოფის მიზნით სამეფო ხელისუფლებამ ქარხნებს მიაწერა ბორჩალოსა და ყაზახის სოფლები და დააკალდებულა ისინი ქარხნებისათვის წლიურად მიეცათ განსაზღვრული რაოდენობა გლეხებისა — ქვეითი და ცხენოსანი 175-მდე კაცი. სახელდობრ, უკანასკნელი ქართველი მეფეების ბრძანებით, საქარხნო სამუშაოებზე ყოველთვიურად გამოდიოდნენ: ყაზახიდან — 100 კაცი, შულავერიდან — 40 კაცი, უზუნლარიდან და დისიხიდან — 10 კაცი, შინიხიდან — 10 კაცი. ახპატიდან — 2 კაცი, მელიქ-აბოვიდან — 20 კაცი[6].

ქარხნებზე მიწერილნი ყმა-გლეხები მუშაობდნენ წარმოების დამხმარე სამუშაოებზე. ისინი სჭრიდნენ ხე-ტყეს, სწვავდნენ ნახშირს და თავიანთი ცხენებით ეზიდებოდნენ ქარხნებში, რისთვისაც ბერძენი ოსტატებისაგან იღებდნენ გარკვეულ საზღაურს[7].

საქარხნო სამუშაოებზე — მაღაროებსა და ქარხნებში ბერძენი ოსტატებისა და მათი თანამემამულეების გარდა, მუშაობდნენ ნებითდაქირავებული მუშები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოდიოდნენ, განსაკუთრებით იმერეთიდან. მათ ქი-

---

[4] С. Эсадзе, Очерк истории горного дела на Кавказе, Тиф., 1903, გვ. 15—16.

[5] История горной промышленности Закавказья в документах, т. 1, Грузия, Тб., 1936, საბუთი № 45, გვ. 85.

[6] «Тифлисские ведомости», 1832, № 2.

[7] История горной пром..., საბუთი № 68, გვ. 140.

რაობდნენ როგორც ბერძენი ოსტატები, ასევე სამეფო ხელისუფლება.

წარმოებაზე ნათელი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, განვიხილოთ ახტალისა და ალავერდის ქარხნების მუშაობა ცალ-ცალკე.

ახტალის ქარხანაში ყოველთვიურად (შენაცვლებით) იგზავნებოდა ყაზახიდან 100 კაცი (მიწერილი გლეხები) ხე-ტყის მოჭრისა, დაწვისა და ქარხანაში გადატანისათვის. თითოეულ მათგანს ქარხანაში უნდა მიეზიდა 13-დან 15-მდე საპალნე ნახშირი თვეში, რისთვისაც თითო საპალნეზე ბერძნები უხდიდნენ 30 კაპიკს.

ამ 100 მენახშირის გარდა მეფე ქირაობდა თავის ხარჯზე 120—150 შეიარაღებულ კაცს საბერველთა ბერვისა და სხვა საქარხნო სამუშაოებისათვის, რომელთაც თითოეულს იგი უხდიდა 3 მანეთს თვეში, ხოლო ბერძნები, დამატებით, სამუშაო დღეში აძლევდნენ თითო აბაზს.

სამთო საქარხნო წარმოებისათვის საჭირო ყველა მასალა: რკინა, ფოლადი, წამალი, სანთელი, გოგირდი და სხვა მეფის ხარჯზე მოჰქონდათ[8].

წარმოების მეთვალყურეობისათვის მეფე ნიშნავდა მინბაშს, უკანასკნელი ქართველი მეფეების — ერეკლესა და გიორგის დროს მინბაშებად იყვნენ ავთანდილ მელიქიშვილი, ხოლო შემდეგ მისი მემკვიდრე სოლომონ მელიქიშვილი. მინბაშს, ანუ ათასისთავს უნდა განეწესებინა მიწერილი გლეხები (100 კაცი) ნახშირის დაწვისათვის, 120—150 კაცი საბერველთა ბერვისა და სხვა საქარხნო სამსახურისათვის, ასევე თვალი ედევნებინა წარმოებაში წესრიგისათვის, რათა ბერძნებს მუშებისათვის საზღაური დროულად ეძლიათ და წარმოებიდან ლითონი არ მოეტაცათ. ამას გარდა სურსათის და წარმოებისათვის საჭირო ყველა მასალის მოტანა მას ევალებოდა.

ვერცხლის მადანს ბერძნები იღებდნენ წერაქვებისა და ბურღის საშუალებით. ბერძნები ამ სამუშაოს ასრულებდნენ ორ-ორი და სამ-სამი, ხოლო ზოგჯერ 10 კაცამდე ერთად მუშაობით. ამოღებულ მადანს თანასწორად ინაწილებდნენ. ზოგიერთი მათგანი ამ სამუშაოს დაქირავებული მუშებით ასრულებდა.

მუშაობა მეტწილად წარმოებდა წერაქვებით, ბურღვას კი იშვიათად მიმართავდნენ, რომელსაც ორი კაცი ასრულებდა. ერთს ეჭირა ბურღი და აბრუნებდა, მეორე კი ჩაქუჩს ურტყამდა.

---

[8] **История горной пром...**, საბუთი № 45, გვ. 84—85.

მადანი ამოჰქონდათ მაღაროდან ბერძნებსა და მახლობელ სოფლებში დაქირავებულ ბავშვებს, რომელთაც თითოეულს 6 თვეში უხდიდნენ 10-დან 20 მანეთამდე და აძლევდნენ ორ ხელ ტანისამოსს, რომელიც 6 მანეთი ღირდა. ამავე დროს ვალდებულნი იყვნენ ისინი ეკვებათ. ბავშვებს მაღაროდან მადნები ამოჰქონდათ ტყავის ტომრებით, რომელთაც ზურგზე იკიდებდნენ, შემდეგ ამოღებულ მადანს არჩევდნენ.

გამორჩეული მადანი (ნიგვზის კაკლების ოდენა) ბერძნებს მიჰქონდათ მაღაროებთან ახლო მოწყობილ ქარხანაში. აქ ცილინდრისმაგვარ საწვავ ღუმელებში ხდებოდა მადნის გამოწვა 10-12 დღე-ღამეში. ამ დროში გამოიწვებოდა 300-დან 500-მდე ფუთი მადანი. ამ სამუშაოს ბერძნები ზოგჯერ თვითონ ასრულებდნენ, ზოგჯერ დაქირავებული მუშები, რომელთაც დღეში 20 კაპიკს უხდიდნენ.

შემდეგ ხდებოდა გამომწვარი მადნის გამოდნობა სათანადო სადნობ ღუმელებში. მადნის გამოდნობისათვის შენაერთში ურევდნენ სხვადასხვა მასალას (მურდასანგს, ნედლ ცემენტს, წიდას). 100 ფუთი გამომწვარი მადნისაგან (გამოდნობის შემდეგ) იღებდნენ 10-12 ფუთ ვერცხლისფერ ტყვიას.

შემდეგი პროცესი იყო ტყვიისაგან ვერცხლის გამოცალკევება. ეს ხდებოდა ღია ჯამში, რომელშიც თავსდებოდა 50 ფუთამდე ტყვია. ბერვის შედეგად ტყვია ძირს მიედინებოდა, ზემოთ რჩებოდა ვერცხლი. 50 ფუთი ტყვიისაგან ღებულობდნენ 1-დან 1,5 ლიტრამდე (8-12 გირვანქა) ვერცხლს[9].

---

[9] История горной..., საბუთი № 45, გვ. 88.

ბერძნების ჩვენებით ახტალის ვერცხლის ქარხნის მუშაობის სურათი ასეთი იყო:

В горе работают:

Два мастера, получает каждый по 40 коп.

Пять работников, каждому по 40 коп.

На порох, сало, крепи и другие мелкие расходы в сутки 3 руб. 54 к.

Вырабатывают в один день мягких пород 120 мешков или примерно 330 пуд.

При плавке руд:

Двум мастерам, каждому по 1 руб. 20 коп.

12 работникам, каждому по 30 коп.

Двум работникам, для накладки руды и угля, каждому по 20 коп.

По показанию грека Казмина, в день проплавляется руды до 233 пудов, которыя проплавляются в 5 проплавок.

На пятидневную проплавку употребляется дров на 2 руб.

ახტალის ვერცხლსადნობი ქარხანა ამუშავების დროიდან (1763 წ.), ვიდრე მას ომარ-ხანი ააოხრებდა (1785 წ.), წელიწადში იძლეოდა 150, 200, 300 და მეტ ლიტრა ვერცხლს, ხოლო ერთ წელს მიიღეს 408 ლიტრა, ანუ 91 ფუთი და 23 გირვანქა სუფთა ვერცხლი. უფრო ხშირად ღებულობდნენ 200 ლიტრა ვერცხლს (წლიურად). ერთი ლიტრა ვერცხლიდან ღებულობდნენ 46 მისხალ ოქროს[10].

Угля — 120 вьюков, каждый вьюк по 30 коп.

На мелкие издержки — 2 руб. 40 коп.

Свинца в пять дней выходит около 60 пуд.

Серебро в оном от 1 литры (т. е. 8 фунт.) до 10 и 12 фунтов, а при самых богатейших рудах и до 16 фун. или 2-х литров. На обращение остающихся от отделения серебра от свинца соков свинцовых, в свинец употребляется угля на 10 пуд, соков на 30 коп.

На отделение серебра от свинца

1-му мастеру 1 руб. 60 коп.

3-м работникам по 20 коп.

Дров кипарисных на отделение серебра на 2 руб., угля на 30 коп.

На одной печке разделяют 50 пудов серебряного свинца, из коего, по разному содержанию руд, выходит, как выше сказано, от одной литры до 10, 12, и 16 грузинских фунтов золотистого серебра, обыкновенно от 18 до 26 золотников золота в литре или 8 грузинских фунтах содержащаго.

(С. Эсадзе, Очерк..., 49—50).

[10] იქვე, გვ. 14.

თუ რა შემოსავალს იღებდნენ მეფე ერეკლე და ბერძნები ქარხნის უკეთესი მდგომარეობის დროს და რამდენს ხარჯავდნენ ისინი ვერცხლის წარმოებაზე. ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა შემდეგი მონაცემები, რომელიც ბერძნებისა და მემამულე სოლომონ მელიქიშვილის ჩვენებებზეა აგებული.

Расходы покойного царя Ираклия

Для тысячи человек греков провианта в год потребно было 24000 пуд., полагая каждый по 50 коп. составится . .	12 000 руб.
Жалования 150 дульщикам по 3 руб. в месяц .	5 400 »
Жалованья казначею, при заводе живущему	300 »
Жалованья минбаше .	600 »
Пороху, смотря по количеству твердых пород, уповательно употреблялось до 20 пуд., полагая каждый по 12 руб. на .	240 »
Железа до 200 пуд. по 7 руб. на	1 400 »
Сала, кож, стали, подарков, порции, и других мелочных расходов полагать можно до .	3 060 »
Да на передел серебра в монету и на разделение золота	6 293 »
Итого:	29 293 »

მეფის შემოსავალი წარმოებიდან წლიურად შეადგენდა 77 574 მანეთს, ხარჯები — 29 293 მანეთს, ე. ი. მეფის სუფთა შემოსავალი უდრიდა 48 281 მანეთს. ბერძნების შემოსავალი კი შეადგენდა 69 920 მანეთს, ხარჯები — 25 000 მანეთს, ე. ი. ბერძნების სუფთა შემოსავალი უდრიდა 44 920 მანეთს.

ალავერდის სპილენძსადნობ ქარხანაში ბერძენი ოსტატები გაერთიანებული იყვნენ „ამხანაგობაში", რომელშიც ირიცხებოდა 10—15-მდე ოსტატი. თითოეული ოსტატი თავისთვის ქირაობდა მუშებს. XIX საუკუნის დამდეგს, როდესაც ქარხანა მოიჯარადრეების ხელში იყო, აქ ჩანს 3 „ამხანაგობა" 46 ბერძენი ოსტატით, რომელთაც დაქირავებული ჰყავდათ 170 კაცი. ზოგიერთ ბერძენ ოსტატს დაქირავებული ჰყავდა 8—16-მდე მუშა.

ეს დაქირავებული მუშები „ჩვეულებრივ მოდიოდნენ" ქართლიდან, უაზახიდან, იმერეთიდან და ჯავახეთიდან. დაქირავებული მუშების მცირე ნაწილს ბერძნებიც შეადგენდნენ[11]. დაქირავებუ-

---

Доход царя:

Полагая, что золота содержалось в выплавленном серебре в каждом фунте по 3 золотника, а в 92 пудах 2 пуда 35 фун. или 11.400 золотн., которое царь продавал по 5 руб., всего составится на	55 200 руб.
Серебра получал от каждой литры по 51,5, а от всего количества, т. е. от 437-ми литр. .	22 374 руб.
Итого	77 574 руб.
Следовательно, доход царя простирался до- .	48 281 руб.

Расходы греков:

Полагая, что 10 месяцев действовали 8 печей, на оные, потребно было до 52.000 вьюков уголья, за который платили они угольщикам и другим людям по 30 коп., которых составится на	15600 руб.
Платя по 20 коп. в сутки каждому дульщику, которых при 8-ми печах находилось 112 чел., в 10 месяцев на 8-ми печах составляется всего	6 720 »
Да полагать можно сверх того, что работали сами, на мелочные расходы до . .	2 680 »
Итого	25 000 руб.

Доход греков:

Поелику греки получали по 160 руб. от каждой литры, то от 437-ми литров причитается им .	69 920 руб.
А как кроме своей работы, должны они были употребить при действии расходов до .	25 000 »
То годовой доход их состоять будет в . .	44 920 руб.

(История горной..., საბუთი № 45, გვ. 89—99.)

[11] История горной..., საბუთი № 45, გვ. 89—97.

ლი მუშები წელიწადში მუშაობდნენ 8 თვეს და მეპატრონე—ბერ-ძენ ოსტატებს ამარაგებდნენ მადნით მთელი წლისათვის. ბერძნები დაქირავებულ მუშებს წლიურად აძლევდნენ 40-დან 55-მდე მანეთს თვითეულს. ორ-ორ ხელ ტანსაცმელს, რომელიც ღირდა 12-დან 15 მანეთამდე, ამავე დროს ვალდებულნი იყვნენ ისინი ეკვებათ.

გარდა ამისა, ქარხანაზე მეფის ბრძანებით მიწერილი იყვნენ ყმა-გლეხები, რომლებიც დამხმარე საქარხნო სამუშაოებს ასრულებდნენ, როგორიც იყო ხე-ტყის მოჭრა, დაწვა და ნახშირის გადაზიდვა.

მეფე საქარხნო მიწების მფლობელ მემამულეს (არლუთინსკი-დოლგორუკოვი) წარმოების მეთვალყურედ, მინბაშად ნიშნავდა.

მადანი მიჰქონდათ ს ა წ ვ ა ვ ღუმელებში, რომლებიც ისეთივე ცილინდრისებრი იყო, როგორც ახტალის ქარხანაში. მის გამოწვას აწარმოებდნენ სათანადო ოსტატები და მუშები. მადნის გამოწვა ხდებოდა 5-ჯერ. 1000—1200 ფუთი მადნის გამოწვა, ნახშირის გარდა, ჯდებოდა 33 მანეთამდე. შემდეგ ხდებოდა მისი გამოდნობა.

სპილენძის მადანს ადნობდნენ ისეთივე ღუმელებში და ისეთივე მეთოდებით, როგორც ახტალის ქარხანაში.

გამოდნობისას 100 ფუთ გამომწვარ მადანს ურევდნენ 10 ფუთ შაბს. 4,5 დღე-ღამეში ე რ თ ღ უ მ ე ლ შ ი ა დ ნ ო ბ დ ნ ე ნ 5 0 0 ფ უ თ ა მ დ ე მ ა დ ა ნ ს დ ა ღ ებ უ ლ ო ბ დ ნ ე ნ 88 ფ უ-თ ა მ დ ე შ ა ვ ს პ ი ლ ე ნ ძ ს. ამ საქმეს დღე-ღამეში ასრულებდა 2 გამომდნობი ოსტატი, 12 მბერავი და 3 შავი მუშა; აქ ოსტატები დღეში იღებდნენ 80 კაპიკს, მბერავები — 20 და 40 კაპიკამდე, ხოლო მუშები — 20 კაპიკს.

შავ სპილენძს ს წ მ ე ნ დ ნ ე ნ ბ რ ძ მ ე დ ე ბ შ ი (ქურა). აძისათვის ერთ ღუმელზე იხარჯებოდა 8,5 გირვანქა მურდასანგი (ფუთი მურდასანგი ჯდებოდა 6 მანეთამდე). 1 0 ფ უ თ ი შ ა ვ ი ს პ ი ლ ე ნ ძ ი დ ა ნ გ ა მ ო დ ი ო დ ა 7,5 ფ უ თ ი დ ა წ მ ე ნ-დ ი ლ ი ს პ ი ლ ე ნ ძ ი (ოსტატების აზრით, შავი სპილენძის დაწმენდისათვის მხოლოდ და მხოლოდ ნაძვის ხის ნახშირი ვარგოდა). დაწმენდილ სპილენძს ასხამდნენ დიდ ოთხკუთხა ანდა პატარა მრგვალ ყალიბებში, რომელთაგან ნაწილი იყიდებოდა უქედად, ნაწილს კი აძლევდნენ ოსტატებს სპილენძის მრგვალი ფურცლების გამოკვერვისათვის, რისთვისაც უხდიდნენ გარკვეულ საზღაურს. სპილენძს ჰყიდდნენ სხვადასხვა ქალაქში: თბილისში, ერევანში, თავრიზში, კაშანახში, ტირანაში, ზოგჯერ თურქეთის საზღვარზეც.

უპედი ბათმანი სპილენძი ღირდა 3,5-დან 4 მანეთამდე, ხოლო ნაჭედი — 4,5-დან 5 მანეთამდე და მეტიც[12].

გიორგი XII დროს, როდესაც ალავერდის ქარხანა მოიჯარადრეებს გადასცეს, შავი სპილენძის დაწმენდას თავიანთ ხარჯზე აწარმოებდნენ.

1785 წლამდე, ვიდრე ომარ-ხანი ააოხრებდა წარმოებას. ალავერდის სპილენძის მაღაროებიდან წლიურად ამოჰქონდათ 200 000-მდე ფუთი მადანი. მადნის ამ რაოდენობიდან გამოდნობის შემდეგ ღებულობდნენ 15 000-მდე ფუთ შავ სპილენძს. 15 000 ფუთი შავი სპილენძიდან კი დაწმენდის შემდეგ იღებდნენ 12 000 ფუთ სუფთა სპილენძს. საერთოდ წლიური პროდუქცია შეადგენდა 10—15 ათას ფუთ სუფთა სპილენძს. ფუთი სპილენძის საშუალო ფასი იყო 8—10 მანეთი. მაშასადამე, ალავერდის სპილენძსადნობი ქარხნის წლიური პროდუქციის ღირებულება შეადგენდა 100—150 ათას მანეთს.

სამთო წარმოების შემოსავალს ქართველი მეფეების ბიუჯეტში დიდი ადგილი ეკავა. კაპიტან იაზიკოვის ცნობით, რომელიც 1770 წელს იმყოფებოდა საქართველოში, მეფის 150 000 მანეთის შემოსავალში მარტო ახტალის ქარხნის შემოსავალი შეადგენდა 50 00 მანეთამდე ვერცხლს. შემდგომ პერიოდში შემოსავალი სამთო წარმოებიდან დიდად შემცირდა, მაგრამ ბიუჯეტში მაინც ინარჩუნებდა მნიშვნელოვან წილს. რუსეთთან საქართველოს შეერთების წინ, მეფის შემოსავლის 90 000 მანეთში მარტო სპილენძის წარმოების შემოსავალი შეადგენდა 10 000-ზე მეტ მანეთს[13].

ქართველი მეფეების დროს, ახტალისა და ალავერდის ქარხნებსა და მაღაროებში არ იყო ორგანიზებული სამხედრო დაცვა. ქარხნებს იცავდნენ ბერძნები და უფრო მეტად დაქირავებული მუშები.

სამთო-საქარხნო წარმოება თავიდანვე დაბალ ტექნიკურ ბაზაზე იყო მოწყობილი. წარმოების ყველა სტადია — დაზვერვითი სამუშაო, მადნის ამოღება და გამოდნობა — პრიმიტიული იყო. ყველა სამუშაო ხელით სრულდებოდა. წარმოების დაბალი ტექნიკა კი იწვევდა მაღაროების უხეშ ექსპლუატაციას. მადნიდან შედარებით ცოტა გამოდიოდა ლითონი, დაბალი იყო ლითონის ხარისხი, ხოლო გამოდნობის დროს ლითონის 30—50 პროცენტი იკარგებოდა. ყველაფერი ეს განაპირობებდა შრომის დაბალ ნაყოფიერებას.

---

[12] **История горной...**, საბუთი № 45, გვ. 97—99

[13] **Акты Кавказской археографической комиссии (АКАК), т. I,** გვ. 197.

ქართველი მეფეების სამთო წარმოების უფლებები გამოიხატებოდა წარმოების წილის მიღებისა და ქარხნების პროდუქციის მონოპოლიურ ყიდვაში. სამეფო ხელისუფლება სპილენძსა და ტყვიას ძირითადად იყენებდა სამხედრო მიზნისათვის, როგორიც იყო ზარბაზნების ჩამოსხმა, ყუმბარებისა და ვაზნების დამზადება. გარდა ამისა, ლითონისგან ფულს ჭრიდნენ ზარაფხანაში.

სპილენძის ძირითად მომხმარებლად თავისუფალ ბაზარზე გამოდიოდნენ მეჭურჭლე ხელოსნები. ისინი ნაყიდ სპილენძიდან უმთავრესად ჭურჭელს აკეთებდნენ. როგორც აღინიშნა, სპილენძი იყიდებოდა არა მარტო საქართველოში, არამედ მეზობელ ქვეყნებშიც. განსაკუთრებით დიდი მომხმარებელი იყო ლაგიჩი, ცნობილი ადგილი დაღისტანში, სადაც სპილენძის კარგ ჭურჭელს აკეთებდნენ. მიუხედავად ამისა, სპილენძის დიდი რაოდენობით რეალიზაცია დაბრკოლებას აწყდებოდა, რადგან XVIII ს. მეორე ნახევარში მრეწველობა, რომელსაც შეეძლო სპილენძის ფართო მოხმარება, მეტად სუსტი იყო. ეს კი თავის მხრივ აბრკოლებდა სპილენძის წარმოების განვითარებას.

სამთო-საქარხნო წარმოება საქართველოში XVIII საუკუნეში ბერძენ ოსტატთა მონოპოლიას შეადგენდა. ტექნიკის გაუმჯობესებას ისინი არ ცდილან და არც შეეძლოთ. მას ბერძნები საიდუმლოდ ინახავდნენ და სხვებს არ აცნობდნენ.

ადგილობრივ მუშახელს ბერძენი ოსტატები ძირითადად დამხმარე სამუშაოებზე (შეშის მოჭრა, ნახშირის დაწვა, მისი გადაზიდვა და სხვ.) იყენებდნენ, ნაწილობრივ სამადნო და საქარხნო სამუშაოებზე (მადნის ამოღება, საბერველის ბერვა და სხვ.), ხოლო წარმოების ძირითად კვალიფიციურ სამუშაოს — მადნის გამოდნობას — თვით ბერძნები ასრულებდნენ. ამიტომ, სამთამადნო ქარხნების ხანგრძლივი მუშაობის მიუხედავად, XVIII საუკუნეში არ გვყავდა მნიშვნელოვანი ადგილობრივი კადრები, რაც, როგორც ზემოთ ითქვა, აიხსნებოდა ბერძენი ოსტატების კარჩაკეტილობით, რომელთაც, ბუნებრივია, კონკურენციისა ეშინოდათ. ახალი ტექნიკის დამკვიდრება წარმოებაში ბერძნებს მონოპოლიურ მდგომარეობას დაუკარგავდა.

საქართველოს სამეფო ხელისუფლება (ერეკლე II, გიორგი XII) კარგად ხედავდა, რომ სამთო-საქარხნო წარმოების ტექნიკა დაბალი იყო. მის გასაუმჯობესებლად იგი ცდილობდა რუსეთიდან მოეზიდა დახელოვნებული ოსტატები, მაგრამ ეს არ მოხერხდა.

ქართველი მეფეები განსაკუთრებით დიდად ზრუნავდნენ სამთო წარმოებისათვის საჭირო ადგილობრივი კადრის შექმნაზე.

ერეკლე მეორე კარგად ხედავდა, რომ სამთო წარმოება მყარ ნიადაგზე ვერ იდგა, ამისათვის აუცილებელი იყო ადგილობრივი კვალიფიცირებული კადრის შექმნა. სამეფო ხელისუფლება ცდილობდა ასეთი კადრი შეექმნა ყმა-გლეხებისაგან. ამ მხრივ საინტერესოა ერეკლე II წერილი სახლთუხუცეს ამილბარისადმი 1775 წლის 29.X-თვის თარიღით. ერეკლე სწერდა: „...მადანჩად მისაბარებელი შაგირდები ქართლსა და კახეთში შევაწერეთ. კახეთს გარდა ქართლსა და ქალაქში, რაც მისის უწმინდესობის ძმის ک[ათალიკო]ზის ყმა არის ამათ ექვსი კაცი აწერიათ. ამის იას[ა]ული შენახარ. რომელიც სახლის კაციანი კაცი იყოს იმისთანა გამოიყვანე. ოცის წლიდამ მოკიდებული ოცდაათწლამდინ რომ იყოს, ამგვარი უნდა გამოვიდეს. იმ შაგირდებს თითო ხელი ტანისამოსი, თითო წამოსასხამი ნაბადი, თითო თოფი, და იარაღი, ხუთ-ხუთი მინალთუნი თეთრი უნდა მისცეთ. ამაზე ნურავინ დაბრკოლდება. ეს სარწმუნოების ერთგულებაც არის და თავის ქვეყნისაც. ეს რომ ჩვენს ქვეყანაში გამრავლდეს მტრისაგან ჩვენის ქვეყნის მორჩენა ამას შეუძლია. რომელიც ამ ხელობას ისწავლის თავის ოჯახს გაამდიდრებს. ჯერ ამის გემო არ იციან, თვარემ ამის სწავლისათვის კიდეც შემოგვეხვეწებიან. წელიწადში ერთი ოსტატი სამოცს, ოთხმოცს თუმანს მოიგებს და ამის უკეთესი მოგება გლეხის კაცისათვის სხვა რა უნდა...“[14].

სამეფო ხელისუფლება მათ შეღავათებს ანიჭებდა. ისინი ვალდებულებათა და გადასახადების საქმეში გათანაბრებულნი იყვნენ ბერძენ ოსტატებთან, ე. ი. განთავისუფლებულნი იყვნენ. ამ მხრივ ასევე საინტერესოა მოვიყვანოთ გიორგი XII ბრძანება, სადაც აღნიშნულია, რომ შინიხელი მცხოვრებნი: პარემუზი, მელქო, იოანე და გეურქა, სამუდამოდ იყვნენ დანიშნულნი გამომდნობ ოსტატებად ახტალის ქარხანაში და განთავისუფლებულნი ყოველგვარი ვალდებულებისაგან. ბრძანება ქართულიდან შემდეგ უთარგმნიათ რუსულ ენაზე და იგი შემოინახა (ქართული დედანი კი, როგორც ჩანს, ან დაკარგულია, ანდა ჯერჯერობით არაა ნაპოვნი). ბრძანებაში ნათქვამია: „Повелеваем шпинхским серебропла вильщикам Парехузу, Мелку, Иогану и Геургу, при заводе плавильщиками находиться и быть всегда при заводе, а потому до вас никому дела не иметь, а как вы доныне известны нам по усердию, то и желаем, чтоб вы были и впредь таковы по службе Минбаши Соломон Меликов! Сии мастеровые были прежде вам препоручены, равно и ныне должны вы пещись, чтобы ни-

[14] ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd, 3688.

кто не делал им притеснений, они служили при заводе, о чем и даем вам знать, Декабря 7 дня 1800 г.[164].

მიუხედავად სამეფო ხელისუფლების ზრუნვისა, სამთო-საქარხნო წარმოებისათვის საჭირო ადგილობრივი მცხოვრები ოსტატები ერთეულები იყვნენ და ადგილობრივი კადრი ძალიან ნელა იზრდებოდა.

1785 წელს ომარ-ხანი შემოიჭრა საქართველოში და ახტალისა და ალავერდის ქარხნები გაძარცვა და ააოხრა. მწარმოებელი ბერძნების ნაწილი მთებში გაიქცა, ნაწილმა ახტალის მონასტერს შეაფარა თავი. მაგრამ ომარ-ხანი შეიჭრა მონასტერში და ნაწილი ბერძნებისა ამოხოცა, ნაწილი ტყვედ წაიყვანა. ამის შემდეგ ახტალის ვერცხლის ქარხანა 2 წელს არ მუშაობდა. მუშაობა განახლდა 1787 წელს. მაგრამ წლიური წარმადობა ამიერიდან მეტად შემცირდა. ამ ხანიდან წლიურად იღებდნენ 70-80 ლიტრა ვერცხლს და მხოლოდ ერთხელ შესძლეს მიეღოთ 120 ლიტრა ვერცხლი.

1795 წელს ბარბაროსები კვლავ შემოესივნენ საქართველოს. ამჯერად ირანელმა აღა-მაჰმადხანმა მოაოხრა ალავერდისა და ახტალის ქარხნები. მოკლეს 700 ბერძენი მადნისმწარმოებელი, ხოლო 836 კაცი ტყვედ წაიყვანეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ქარხნები კვლავ ამუშავდა. გიორგი XII დროს ქარხნები გადაეცა მოიჯარადრეებს. ქარხნები იჯარით ჰქონდათ აღებული თავად ბეგთაბეგოვსა და ვაჭარ ქართველიშვილს. მოიჯარადრეები სპილენძის მაღაროებისა და ქარხნების იჯარით აღებისათვის მეფეს უხდიდნენ 12 000 მანეთს.

რაც შეეხება ახტალის ვერცხლის მაღაროებსა და ქარხნებს, აქ მიღებული მთელი ოქრო ძველებურად ეკუთვნოდა მეფეს. ხოლო ყოველი მიღებული ფუთი ვერცხლიდან მეფეს ეძლეოდა 150 მანეთი[165]. გიორგი XII დროს, სოლომონ მელიქიშვილის ცნობით, რომლის მამულში ვერცხლის ქარხანა მუშაობდა, 1 ლიტრა ანუ 9 გირვანქა ვერცხლიდან ზარაფხანაში იჭრებოდა 211 მან და 20 კაპიკი.

ქარხნის მოიჯარადრეები ღებულობდნენ მნიშვნელოვან მოგებას.

ასეთ მდგომარეობაში იყო საქთო წარმოება საქართველოში XVIII საუკუნის უკანასკნელ წლებში, რუსეთთან შეერთების წინ.

---

[164] История горной..., საბუთი № 9, გვ. 12.

[165] С. Эсадзе, Очерк..., გვ. 14—17, 71.

ამ დროს რუსეთის პოლიტიკური და დიპლომატიური მოღვაწეები საქართველოს უკვე იცნობდნენ როგორც მდიდარ ქვეყანას და იმედი ჰქონდათ, რომ საქართველო გადაიქცეოდა რუსეთის ინდოეთად. მუსინ-პუშკინს საქართველო წარმოედგინა „ახალ ელდორადოდ“.

1767 წლიდან დაიწყო სამეცნიერო ექსპედიციები კავკასიის მთების შესწავლისათვის. 1769 წელს ასეთი ექსპედიცია მოეწყო აკადემიკოს გიულდენშტედტისა და გმელინის მეთაურობით.

საქართველოს მეფენი რუსეთის მთავრობას თხოვდნენ საქართველოში სამთო წარმოების განვითარებისათვის გამოეგზავნათ სათანადო ოსტატები, ხოლო შემდეგ შესთავაზეს თვით რუსეთს ეწარმოებინა აქ სამთამადნო მაღაროების ექსპლუატაცია. მაგრამ ისინი არ ფიქრობდნენ სამთო წარმოება მთლიანად გადაეცათ რუსეთისათვის და მის შემოსავლის ნაწილზე უარი ეთქვათ. ამის შესახებ ერეკლე II რწმუნებული გარსევან ჭავჭავაძე, რუსეთის იმპერატორ პავლე I აცნობებდა შემდეგს: „И если высочайший двор увидит пользу от упомянутых заводов, то царь, мой государь, надеется что и ему тогда позволено будет от высокомонаршей милости пользоваться некоторою долею от этих доходов“.[17]

ერეკლე II, რა თქმა უნდა, ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკურ გაძლიერებაზე ფიქრობდა, როდესაც იგი სამთამადნო წარმოებას საკონცესიოდ აძლევდა რუსეთს.

1799 წელს, კავკასიის სამთო სიმდიდრეთა მიმოხილვისათვის, საქართველოში იგზავნება (როგორც მოგზაური) საიდუმლო მრჩეველი გრაფი მუსინ-პუშკინი.

საქართველოს სამთამადნო სიმდიდრეების მიმოხილვისა და მის შესახებ ცნობების მიღების შემდეგ მუსინ-პუშკინმა სთხოვა იმპერატორ პავლე I, ნება დაერთო მისთვის ეწარმოებინა მოლაპარაკება გიორგი XII, რათა საქართველოს სამთო წარმოება რუსეთისათვის გადაეცა, რაც, მისი აზრით, რუსეთისათვის მეტად ხელსაყრელი იქნებოდა. პავლე I დაეთანხმა მუსინ-პუშკინს დაეწყო მოლაპარაკება ამ საკითხზე მეფე გიორგისთან და კონდიციაც დაედო.

კონდიციის დადებამდე მუსინ-პუშკინმა შეადგინა კითხვები და სამთო უფროსის ეიხფელდის ხელით გადასცა გიორგი XII, რადგან მას გარემოებამ ხელი შეუშალა გეორგიევსკიდან დაბრუნებულიყო.

---

[17] А. Цагарели, «Грамоты», т. II, № 142, ვვ. 168.

გიორგი XII ყველა კითხვაზე დადებითი პასუხი გასცა, ყველა მოთხოვნას ეთანხმებოდა.

1. იმისათვის, რომ რუსეთს საქართველოს სამთო ქარხნები საუცხოო მდგომარეობაში მოეყვანა, მეფე თანახმა იყო სამუდამოდ დაეთმო საჭირო რაოდენობით მიწები, ტყეები, წყლები, და საერთოდ ყველაფერი, რაც საჭირო იყო სამთო წარმოებისათვის.

2. მეფე თანახმა იყო ქარხნების დაცვის მიზნით მოეწყოთ სიმაგრეები და მიეცა მიწები დასახლებისათვის, მიწათმოქმედებისა და სათიბისათვის.

3. თანახმა იყო მანამდე ამუშავებული საბადოებიც გადაეცა აღნიშნული პუნქტების საფუძველზე.

4. მეფე ვალდებულებას იღებდა სამთო წარმოებისათვის საჭირო მუშახელი მოეყვანა იმერეთიდან, რაჭიდან, ქართლიდან, კახეთიდან, ოსეთიდან, ყაზახიდან, ბორჩალოდან და მახლობელი კუთხეებიდან ფულადი საზღაურით, მათი დასახლებისათვის გამოეყო საჭირო მიწები და მოემარაგებინა ყველა საჭიროებით.

5. მეხუთე კითხვაზე მეფე პასუხობდა, რომ სურსათს მოიტანდა ქართლიდან, კახეთიდან, ყაზახიდან, ბორჩალოდან და ოსეთიდან ფულადი საზღაურით.

6. საბადოების დასაცავად, გიორგი XII აზრით, საჭირო იყო სამი ათასი კაცი.

7. მეშვიდე კითხვაზე, სამთო წარმოების რა წილს ითხოვდა გიორგი XII, მან უპასუხა, რომ საბადოებსა და ქარხნებს მე რუსეთის მთავრობას ვუთმობ იმ იმედით, რომ ამით ჩემი ქვეყნის თავდაცვას შევიძენ რუსეთისაგან, ხოლო რუსეთის იმპერატორი მისი ხაზინიდან რა წილით შესძლებს დამაჯილდოვოს, ეს ბისი ხება იყოსო[18].

გიორგი XII და მისი შვილი დავით ბატონიშვილი ყველაფერზე დათანხმდნენ. ეს იყო 1800 წელს. 1800 წლის დეკემბერში ეიხფელდი დაბრუნდა გეორგიევსკში და მეფის წერილი გადასცა მუსინ-პუშკინს. მან კი მეფის ეს წერილი პეტერბურგს გაგზავნა.

მაგრამ მალე გიორგი XII გარდაიცვალა, ეს შეთანხმება და პირობებიც გაუქმდა. მუსინ-პუშკინი გაიწვიეს პეტერბურგს. იქ მას უბრძანეს ბერგ-კოლეგიასთან ერთად შეემუშავებინა დებულება საქართველოს ქარხნების მართვის შესახებ.

---

[18] С. Эсадзе, Очерк..., გვ. 28—33.

თავი მეორე

სამთამადნო და სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში XIX საუკუნეში

სპილენძისა და ვერცხლის წარმოება

1801 წლის 12 სექტემბერს გამოქვეყნდა იმპერატორ ალექსანდრე I მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ.

მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ საიდუმლო მრჩეველმა მუსინ-პუშკინმა წარადგინა დაწვრილებითი მოხსენება საქართველოში სამთო წარმოების მოწყობის შესახებ.

მოხსენებაში მოცემული იყო იმ დროის საქართველოს სამთო წარმოების მდგომარეობა ზოგად ხაზებში. მითითებული იყო ის ზომები, რომელთა საფუძველზედაც მყარ ნიადაგზე უნდა დაეყენებინათ სამთო წარმოების საქმე საქართველოში. სამთო წარმოების ცუდი მდგომარეობა საქართველოში, მისი აზრით, აიხსნებოდა იმით, რომ ქართველ მეფეებს არ გააჩნდათ სათანადო რაოდენობით ფულადი სახსრები, რომელიც აუცილებელი იყო მისი ფართო მასშტაბით განვითარებისათვის. ასევე არ გააჩნდათ მათ სპეციალისტები სათანადო ცოდნით აღჭურვილნი ამ დარგში და სხვ.

მუსინ-პუშკინი წინადადებას იძლეოდა, ისე მოეწყოთ სამთო წარმოება, რომ მხედველობიდან არ გამორჩენოდათ სახაზინო სარგებლობა.

მისი აზრით, სამთო წარმოების განვითარებისათვის უნდა მიეზიდათ ბერძენი მადნისმწარმოებლები, რომლებიც დაფანტულნი იყვნენ მაჰმადიანურ სამფლობელოებში, და დაესახლებინათ ისინი ქარხნების მიდამოებში.

იგი ითხოვდა ამავე დროს რუსეთიდან — ციმბირისა და ვოსკრესენსკის ქარხნებიდან მიეელინებინათ საქართველოში 78 დახელოვნებული სამთო და საქარხნო ოსტატი, ხოლო ლუგანსკის ქარხნიდან — ინგლისელები ქვანახშირის დასამუშავებლად.

და, ბოლოს, მუსინ-პუშკინი ითხოვდა სამთო წარმოების მოწყობისათვის გაეცათ დაახლოებით 300 000 მანეთი, რომელიც უნდა დაებრუნებიათ 25 წლიანი ბანკის დებულების საფუძველზე.

ბერძენი ოსტატებისა და ალავერდის ქარხნის მოიჯარადრის ჩვენებათა საფუძველზე მუსინ-პუშკინმა ბერგ კოლეგიას წარუდგინა სავარაუდო ანგარიში, რომელიც საჭირო იქნებოდა ალავერდის სპილენძსადნობი ქარხნის მუშაობისათვის. ასევე, მან წარად-

გინა საქართველოს სამთო წარმოების გამგეობისა და ზარაფხანის შტატი, რომელიც თბილისში უნდა გაეხსნათ.

მუსინ-პუშკინის შედგენილი ანგარიშებით ალავერდის ქარხანაზე გაწეული ხარჯები და სამთო უწყების (უფროსობის) შენახვისათვის სამი წლის მანძილზე საჭირო იქნებოდა 450 000-მდე მანეთი. ამის სამაგიეროდ ალავერდის ქარხანა წელიწადში გამოუშვებდა 12 000 ფუთ სუფთა სპილენძს — 180 000 მანეთის პროდუქციას (ფუთ სპილენძზე 16 მანეთის ვარაუდით), რაც 3 წელიწადში შეადგენდა 540 000 მანეთს. მაშასადამე, ქარხანა 3 წელიწადში არათუ ვერ გადაიხდიდა მასზე გაწეულ ხარჯებს, არამედ 90 000 მანეთ მოგებას მიიღებდა.

ბერგ-კოლეგიამ განიხილა მუსინ-პუშკინის შედგენილი ანგარიშები, შტატები და თავის მხრივ წარადგინა მოხსენებითი ბარათი იმპერატორისადმი. ბერგ-კოლეგია მთლიანად ეთანხმებოდა მუსინ-პუშკინს და გათვალისწინებულ ხარჯებს.

აღსანიშნავია, რომ ბერგ-კოლეგიის მოხსენებით ბარათში აღნიშნულია, რომ არსებული ცნობებით, მადნები საქართველოში მუშავდებოდა ნებით დაქირავებული მუშებით და ასევე უნდა ხდებოდეს მისი დამუშავება მომავალში. ამავე დროს სამთო წარმოების უკეთ მოწყობისათვის უმჯობესი იქნება დავუმატოთ ხალხი ციმბირის ქარხნებიდანო[1].

ალექსანდრე I 1801 წლის 15 ნოემბრის ბრძანებით გაიხსნა საქართველოს სამთო წარმოების მმართველობა[2], ხოლო 1801 წლის 19 ნოემბერს იმპერატორმა დაამტკიცა მუსინ-პუშკინის ყველა თხოვნა. ამ ბრძანებით საქართველოს შემოსავლიდან მუსინ-პუშკინისათვის უნდა მიეცათ 12 000 მანეთი, ქარხნების დათვალიერების, ახალი მადნის მაძიებლების, 1802 წლის სამთო დაზვერვის ჩატარებისა და საჩუქრებისათვის, რომლებიც სამადნო მიწების მფლობელი თავადებისა და აზნაურებისათვის იყო გათვალისწინებული[3].

ქვანახშირის მადნის აღმოჩენისათვის საქართველოში გამოგზავნეს სამი ინგლისელი ოსტატი თავიანთი თანხმობით. ისინი მუშაობდნენ ლუგანსკის სასხმელ ქარხანაში. ესენი იყვნენ: ბიკარსი, უაკერი და მაკსვინი. პირველ მათგანს ენიშნებოდა წლიურად 1 200 მანეთი ხელფასი, დანარჩენ ორს — 1000 მანეთი თითოეულს[4]. მაგ-

---

[1] С. Эсадзе, Очерк..., გვ. 36—62.

[2] АКАК, т. I. № 624, გვ. 516.

[3] იქვე, № 625, გვ. 516—517; № 626, გვ. 517—518.

[4] იქვე, № 628, გვ. 518—519; № 626, გვ. 517—518; С. Эсадзе, Очерк. გვ. 63.

რამ ბიკარსი გზაში გარდაიცვალა, ხოლო უაკერი — თბილისში ჩამოსვლისთანავე[6]. დარჩა მაკსვინი, რომელმაც შემდეგში მართლაც დაიწყო ქვანახშირის მადნის ძიება საქართველოში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1801 წლის 19 ნოემბრის ბრძანებით დამტკიცდა მუსინ-პუშკინის წარდგენილი მოხსენებითი ბარათის ყველა პუნქტი. ამავე ბრძანებით იგი დაინიშნა საქართველოში სამთო წარმოების მომწყობი ექსპედიციის უფროსად[7].

1802 წლის 20 თებერვალს მუსინ-პუშკინი გამოემგზავრა პეტერბურგიდან. თბილისში იგი ჩამოვიდა ამავე წლის მაისის ბოლოს. ამ დროს მუშაობდა 3 ქარხანა: ახტალისა და დამბლუღის ტყვია-ვერცხლისა და ალავერდის სპილენძსადნობი ქარხნები. ეს ქარხნები, როგორც აღნიშნულია, გიორგი XII იჯარით გადასცა თავად ივანე ბეგთაბეგოვს და ვაჭარ იოსებ ქართველიშვილს 12 000 მანეთად. მადანს ამუშავებდნენ ბერძენი ოსტატები.

ვიდრე ქარხნები ხაზინის ხელში გადავიდოდა მუსინ-პუშკინმა 1802 წლის 25 ივნისს დროებითი კონტრაქტი დადო მოიჯარადრეებთან. ხელშეკრულების ვადა 6 თვით განისაზღვრებოდა — 1802 წლის 1 ივლისიდან 1803 წლის 1 იანვრამდე. 1803 წლის 1 იანვრიდან კი ქარხნები ხაზინის ხელში უნდა გადასულიყო.

ხელშეკრულების პირობები შემდეგი იყო: წინათ მოიჯარადრეები გიორგი მეფეს უხდიდნენ 12 000 მანეთს წელიწადში. ახალი ხელშეკრულებით 6 თვის მანძილზე მათ ხაზინისათვის უნდა მიეცათ არა 6 000 მანეთი (ე. ი. ნახევარი), არამედ 10 000 მანეთი.

წინათ, მოიჯარადრეებთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, გიორგი XII ვალდებული იყო ქარხნებში მიეყვანა ყოველწლიურად 150 მენახშირე და 40 მბერავი. მათ ხელფასი ეძლეოდათ საიჯარო ფასის — 12 000 მანეთიდან, ე. ი. მეფე აძლევდა მათ ხელფასს. ამჟამად, მუსინ-პუშკინმა ვალდებულება იკისრა მოეყვანა 150 მენახშირე, ხოლო მბერავები თვით მოიჯარადრეებს უნდა მოენახათ. ხელფასი კი მათთვის უნდა მიეცა არა ხაზინას, არამედ მოიჯარადრეებს.

გიორგი XII დროს წარმოებული შავი სპილენძის მეხუთედს მეფე აძლევდა მოიჯარადრეებს, მათ მიერ სამეფო ხაზინაში 12 000 მანეთის შეტანის სამაგიეროდ. შავი სპილენძის დანარჩენ 4/5 ნაწილს, ბერძნები მოიჯარადრეებს აძლევდნენ 4 მანეთად და 10 კაპიკად ფუთს. ეს პირობა ძალაში დარჩა, ე. ი. სპილენძის მე-

---

[6] С. Эсадзе, Очерк..., გვ. 63.

[7] АКАК, т. I, № 627, გვ. 518.

ხუთედ ნაწილს მოიჯარადრეები მიიღებდნენ, ხაზინაში 10 000 მანეთის შეტანის სამაგიეროდ[7].

1803 წლიდან სამთო ქარხნები ხაზინის ხელში უნდა გადასულიყო. ამიტომ მუსინ-პუშკინმა და მისმა კოლეგებმა, ბერძენი ოსტატების თანდასწრებით შეიმუშავეს სამთო წარმოების „წესები" და „დებულება", რომლის საფუძველზედაც უნდა ემუშავათ ბერძენ ოსტატებს. შემდეგ მუსინ-პუშკინმა ხელშეკრულება დადო მემამულეებთან, რომელთა მიწებზე მოწყობილი იყო მაღაროები და ქარხნები.

„წესებისა" და „დებულების" არსი შემდეგში მდგომარეობდა: 1803 წლიდან იქმნებოდა სამთო უფროსობა (უწყება), რომლის მოვალეობა იყო მაღაროებისა და ქარხნების დაცვა და მზრუნველობა. სამთო მუშაობა ქარხნებსა და მაღაროებში უნდა ეწარმოებინათ ხაზინის ხარჯზე. სამთო უწყების ნებადაურთველად არცერთ მადნისმწარმოებელს არ შეეძლო მადნის ამოღება და დამუშავება უკვე აღმოჩენილ და მოქმედ მაღაროებში. ახტალისა და ალავერდის ბერძენ ოსტატებს უფლება ჰქონდათ მაღაროებში გაეგზავნათ სამუშაოდ 6-დან 15-მდე მუშა. უფლება ჰქოხდათ ეძუშავათ „ამხანაგობად", მაგრამ „ამხანაგობაში" 15-ზე მეტი კაცი არ უნდა ყოფილიყო. მუშაობა უნდა ეწარმოებინათ ბერძნებს მხოლოდ იქ სადაც სამთო მოხელე მიუთითებდა.

წარმოებული შავი სპილენძის მეხუთედი ნაწილი ბერძნებს უნდა მიეცათ ხაზინისათვის, როგორც გადასახადი, ხოლო $^4/_5$ ნაწილი უნდა მიეყიდათ მხოლოდ ხაზინისათვის 4 მანეთად და 10 კაპიკად ფუთი.

მაღაროებსა და ქარხნებში მანქანებისა და ღუმელების მოწყობა უნდა მომხდარიყო ხაზინის ხარჯზე[8].

ყველა მრეწველსა და ოსტატს უფლება ჰქონდა ახალი საბადოები ეძია საქართველოს ტერიტორიაზე და დაემუშავებინა საკუთარი სახსრებით. თანაც ახალი საბადოს აღმოჩენისათვის დანიშნული იყო ჯილდო. ვინც აღმოაჩენდა ახალ საბადოს, ეძლეოდა 3 მანეთი, ხოლო თუ რომელიმე საბადო დამუშავების ღირსი იქნებოდა, აღმომჩენს აძლევდნენ: ვერცხლის საბადოსათვის 300 მანეთს, ხოლო სპილენძის საბადოსათვის 150 მანეთს. ამავე დროს მუდამ მიეცემოდა 2% სუფთა მოგებიდან[9].

---

[7] С. Эсадзе, Очерк..., გვ. 78—79.

[8] История горной..., საბუთი № 69, გვ. 141—147.

[9] С. Эсадзе, Очерк..., გვ. 94.

ქარხნების უფროსს უფლება ჰქონდა დისციპლინის დამრღვევი მწარმოებლები გაეძევებინა ქარხნიდან. ბერძნებსაც უფლება ჰქონდათ დაეტოვებინათ ქარხნები. ეს მათ სამთო უფროსობისათვის წინასწარ, ერთი თვით ადრე უნდა განეცხადებინათ[10].

იმის გამო, რომ მადნის ბურღვას ბერძნები და სხვა ოსტატები აწარმოებდნენ მეტად პრიმიტიულად, რის შედეგად 2 კაცი ძლივს ახერხებდა იმდენი გამოემუშავებინა, რამდენსაც ახალი მეთოდებით 1 კაცი უნდებოდა ევროპის მაღაროებში, სამთო ექსპედიცია ვალდებულებას იღებდა ბერძნებისათვის ეჩვენებინათ ბურღვის ახალი მეთოდები. ამავე დროს მადნის ამოღებისა და წყლის ამოქაჩვისათვის დაედგათ ამწევი მანქანები, რომლებიც ცხენძრავით იმუშავებდა. სამთო ექსპედიციას უნდა დაედგა ახალი სადნობი ღუმელები.

სპილენძის ამოღებისა და გადადნობისათვის ექსპედიცია მადნისმწარმოებლებს უხდიდა მხოლოდ მადნის $^4/_5$ ნაწილისათვის, რადგან სპილენძის მეხუთედი ნაწილი უფასოდ შედიოდა ხაზინაში, როგორც გადასახადი.

სამთო ექსპედიცია ვალდებული იყო ყოველ ამოღებულ ფუთ მადანში მწარმოებლებისათვის მიეცა 7,5 კაპიკი, ფუთი მადნის გამოწვისათვის — 6,5 კაპ., ხოლო ფუთი შავი სპილენძის გამოდნობისათვის — 12 კაპიკი[11].

ახტალის ვერცხლის მადნის გამოდნობის წარმოება ექსპედიცია თვით კისრულობდა. ამოღებული და ქარხანაში მიტანილი ვერცხლის მადნის მეათედი ნაწილი ხაზინას მიჰქონდა, როგორც გადასახადი. დანარჩენ $^9/_{10}$ ნაწილისათვის კი ბერძენი ოსტატებისათვის უნდა მიეცათ ყოველ გამოდნობილ მისხალ ვერცხლზე 5 კაპიკი. ქარხნებთან უნდა დაეარსებინათ ლაბორატორია. „წყლითმოქმედი ქარხნის“ მოწყობამდე მადნის გამოწვა და გამოდნობა რჩებოდა ძველებურად, როგორც ქართველი მეფეების დროს იყო.

ოსტატებს, დანაწილებულთ ხელობის მიხედვით, ექსპედიციისათვის უნდა მიეწოდებინათ ცნობები იმის შესახებ. თუ ქარხნებსა და მაღაროებში რამდენი იყო: სამთო ოსტატები და მუშები, გამომწვავი ოსტატები და მუშები, გამომდნობი ოსტატები და მუშები, რამდენი მუშაობდა სპილენძის დაწმენდაზე, რამდენი იყო მჭედელი, ზეინკალი, დურგალი, ხურო, კალატოზი, და, ბოლოს, რამდენი მუშაობდა სპილენძის გამოკვერვაზე და მისგან ჭურჭლის

---

[10] История горной..., საბუთი № 69, გვ. 150.

[11] История горной..., საბუთი № 73, გვ. 156 —159; С. Эсадзе, Очерк..., გვ. 94—97.

გაკეთებაზე[12]. ქარხნებთან ეწყობოდა სასურსათო მაღაზიები[13].

წესრიგის დაცვის მიზნით და მწარმოებელთა შორის ამტყდარი დავის გადაჭრისათვის მწარმოებლებს უფლება ჰქონდათ აერჩიათ 4 მამასახლისი, რომლებიც მინბაშის თავმჯდომარეობით გაარჩევდნენ და გადაწყვეტდნენ ამ საკითხებს. ხოლო სისხლის დანაშაულისათვის დამნაშავე სამართლდებოდა რუსეთის კანონების მიხედვით.

ხელშეკრულება დაიდო აგრეთვე მემამულეებთან, რომელთა მიწებზე მოწყობილი იყო ქარხნები. იგი მდგომარეობდა შემდეგში: მთელი ტყე, სათიბები და საძოვრები, გარდა კარმიდამოსათვის სამეურნეო მნიშვნელობის მქონე აუცილებელი ნაკვეთებისა, გადადიოდა ქარხნების სარგებლობაში. მემამულეებს ეკრძალებოდათ სამთო ექსპედიციის თანხმობის გარეშე გაეყიდათ ტყე.

მემამულეები ვალდებულნი იყვნენ საქარხნო ადმინისტრაციისათვის მიეცათ მდ. დებედას სანაპირო მიწები და სხვა ადგილები ახალი ქარხნებისა და სამთო-საქარხნო მუშებისა და ოსტატების სახლების ასაგებად. სამაგიეროდ მათ ეძლეოდათ ცარიელი სახაზინო ადგილები. სამთო გამგეობას უფლება ეძლეოდა საქარხნო საჭიროებისათვის გამოეყენებინა მდინარეები და ნაკადულები, რომლებიც საქარხნო მიწებზე მიედინებოდნენ.

თუ საქარხნო ოსტატები მოისურვებდნენ მემამულეებისაგან აეღოთ მიწის ნაკვეთები სახნავ-სათესად, მემამულეებს ნება უნდა დაერთოთ და მიეღოთ მოსავლის მეათედი ნაწილი, როგორც ეს ქართველი მეფეების დროს იყო.

თუ მემამულის მიწაზე აღმოჩნდებოდა საბადო და მემამულე სურვილს გამოთქვამდა დაემუშავებინა იგი თავისი ხარჯებით, მაშინ, მემამულეს ქარხანა უნდა მოეწყო არსებული სახაზინო ქარხნების მოშორებით, რათა არევ-დარევა არ გამოეწვია და არ ჩაეშალა სახაზინო ქარხნების მუშაობა.

ქარხნების შინაგანი მმართველობა ევალებოდა მინბაშებს. მინბაშებად ირჩევდნენ იმ მემამულეებს, რომელთა მიწებზე ქარხნები იყო მოწყობილი, მინბაშები და მისი მოადგილეები ირჩეოდნენ 5 წლით. მინბაშისა და მისი მოადგილეების ხელფასი წლიურად განისაზღვრებოდა 1200 მანეთით — საქარხნო მოგებიდან. მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ სპილენძისა და ვერცხლის ქარხნები მთელი დატვირთვით იმუშავებდნენ, ე. ი. თუ ქარხნები წელი-

---

[12] История горной., საბუთი № 73, გვ. 156—158; С. Эсадзе, Очерк..., გვ. 99.

[13] იქვე.

წადში გამოუშვებდნენ 15—18 ათას ფუთ სუფთა სპილენძს და 90 ფუთამდე ვერცხლს.

მინბაშებს თვალყური უნდა ედევნებინათ ქარხნების "ბიხაგანი" მმართველობისა და საქარხნო ტყეებისათვის, მოემარაგებინათ სურსათით საქარხნო მაღაზიები, სამთო უწყების მოთხოვნით შეეკრიბათ განსაზღვრული რიცხვი საქარხნო მუშებისა, განკარგულება გაეცათ ტრანსპორტით უზრუნველყოფაზე, ქარხნებიდან ლითონის თბილისში გადაზიდვაზე და სხვ.

მინბაშებს უფლება ეძლეოდათ ეტარებინათ სამთო მუნდირი პოლკოვნიკის ჩინით.

ზემოთ აღნიშნული მოვალეობის შესრულებისათვის, ხელფასის გარდა, მათ სუფთა საქარხნო მოგებიდან ეძლეოდათ მეათედი ნაწილი, რომელიც ლითონის სახით უნდა მიეღოთ.

და, ბოლოს, თუ სახაზინო ქარხნების მუშაობა შეწყდებოდა, მიწები მემამულეებს ძველებურ მფლობელობაში უბრუნდებოდა[14].

ამ პერიოდში, ვიდრე ქარხანა ხაზინის ხელში გადავიდოდა (1803 წლის 1 იანვრიდან), 1802 წლის ივნისში, ბუსიხ-პუშკინმა ახტალისა და ალავერდის ქარხნების დასათვალიერებლად და შესამოწმებლად გაგზავნა სამთო მოხელეები ანტონ ბორზუნოვის მეთაურობით.

1802 წლის ივნისში ბორზუნოვმა დაათვალიერა ახტალის ქარხნები და მაღაროები, რომლებიც მას მოუწყობელ მდგომარეობაში დახვდა. ეს მან მუსინ-პუშკინს აცნობა.

ბორზუნოვს არ მოსწონდა ბერძნების მუშაობის ხერხები. მადნების ბურღვა წარმოებდა ცუდი ბურღებით. ცხენძალის ან წყლის საქაჩავების ნაცვლად მადანს ბავშვები ეზიდებოდნენ, საბადოები ხშირად წყლით ივსებოდა, რადგან წყლის საქაჩავები არ იყო მოწყობილი. საქარხნო ნაგებობანი და მოწყობილობანი ნანგრევებამდე იყო მისული. მადნის სადნობი ბერძნული ღუმელები უვარგისი იყო, რის შედეგადაც მადნის მნიშვნელოვანი ნაწილი იკარგებოდა[15].

ახტალასა და ალავერდში ბორზუნოვი ბერძნებისა და მოიჯარადრეების წინააღმდეგობას წააწყდა. ბორზუნოვს უნდოდა მათთვის გაეცნო სამთო წარმოების ახალი დებულება. ბერძნებმა განაცხადეს, რომ მათ ახალი არაფერი უნდათ და სურთ მადნები ისე

---

[14] История гор..., საბუთი № 78, გვ. 165—171; С. Эсадзе, Очерк..., გვ. 82—85.

[15] История гор..., საბუთი № 28, გვ. 49—52.

დაამუშაონ, როგორც ქართველი მეფეების დროს[16]. შეკითხვებზე გარეუბნებში არსებული მადნების შესახებ, ბერძნებმა უპასუხეს, რომ მათ არაფერი იციან[17].

ალავერდის ქარხანაში მოიჯარადრეებმა კიდევ უფრო წააქეზეს ბერძნები არ მიეცათ ცნობები საბადოების შესახებ. ამის მიზეზი ის იყო, რომ როგორც ბერძნები, ასევე მოიჯარადრეები ქარხნების ხაზინის ხელში გადასვლასთან დაკავშირებით კარგავდნენ დიდ უფლებებსა და მოგებას სამთო წარმოებაში. ისინი ცდილობდნენ დაბრკოლებები შეექმნათ სამთო მზვერავი პარტიებისათვის. როდესაც ალავერდში ბორზუნოვის ბრძანებით სამთო მოხელე ვემბერგი შეეცადა გაეგო წარმოებული სპილენძის რაოდენობა, მოიჯარადრეებმა განუცხადეს, რომ მათ არავითარი კონტრაქტი არ იციან და არავის მისცემენ უფლებას თავიანთ საკუთრებას ხელი შეახონ. ბერძნებმა კი განაცხადეს, რომ ყველანი წავლენ ქარხნიდან. მაგრამ როგორც იქნა მოახერხეს დაეწყნარებინათ ისინი[18].

ბორზუნოვმა 1802 წლის აგვისტოში გამოიანგარიშა ახტალისა და ალავერდის ქარხნების წლიური წარმადობა, სუფთა შემოსავალი და იგი წარუდგინა მუსინ-პუშკინს.

მან დაუშვა, რომ ახტალის ქარხანაში ყოველწლიურად უნდა ამოეღოთ 120 000 ფუთი მადანი, რომლისგანაც გამოვიდოდა 62 ფუთი და 20 გირვანქა ვერცხლი, ოქრო—1 ფუთი, 38 გირვანქა და 12 მისხალი, სულ — 93 937½ მანეთისა. გაიანგარიშა გასავალიც— 49 293 მან. და 37 კაპიკი. ე. ი. ახტალის ქარხნის სუფთა შემოსავალი რჩებოდა 44 644 მანეთი და 13 კაპიკი.

ალავერდის ქარხანაში, ბორზუნოვის ანგარიშით, ყოველწლიურად უნდა ამოეღოთ 200 000-მდე ფუთი მადანი, რომლისგანაც მიიღებდნენ 25 000 ფუთ შავ სპილენძს, აქედან 5000 ფუთს მისცემდნენ ხაზინას, როგორც გადასახადს. რჩებოდა 20 000 ფუთი. ხაზინა ფუთი შავი სპილენძისათვის ბერძნებს მისცემდა 4 მანეთსა და 10 კაპიკს, ე. ი. ხაზინა 20 000 ფუთ შავ სპილენძს შეისყიდდა 82 000 მანეთად. შემდეგ ამ 25 000 ფუთ შავ სპილენძს ხაზინა დაწმენდდა. 25 000 შავი სპილენძიდან მიიღებდნენ 20 000 ფუთ სუფთა სპილენძს. გასავალი ბორზუნოვის გამოანგარიშებით შეადგენდა 92 000 მანეთს. 20 000 ფუთი სუფთა სპილენძი შეიძლებოდა გაეყიდათ 150 000 მანეთად (ფუთი 7½ მანეთად). ხოლო შემდეგში საწარმოში ტექნიკის გაუმჯობესების შედეგად სპილენძის ფურც-

[16] С. Эсадзе, Очерк..., გვ. 87—89.

[17] История гор..., საბუთი № 44, გვ. 78.

[18] იქვე, გვ. 78—80.

ლებს დაამზადებდნენ, რომლის ფუთს გაყიდდნენ 9½ მანეთად. მაშინ 20 000 ფუთ სპილენძს გაყიდდნენ 190 000 მანეთად. ე. ი. ქარხნის წლიური სუფთა შემოსავალი იქნებოდა 58 ათასიდან 98 ათას მანეთამდე[19]. (პირველ შემთხვევაში 150 000 მანეთს გამოაკლდებოდა ქარხანაზე გაწეული ხარჯები — 92 000 მანეთი, რაც 58 ათას მანეთს შეადგენს, ხოლო მეორე შემთხვევაში ხარჯების იგივე რაოდენობა გამოაკლდებოდა 190 000 მანეთს, რაც 98 000 მანეთს შეადგენს).

ბორზუნოვის ამ ანგარიშებმა დიდად დააინტერესა მუსინ-პუშკინი. მუსინ-პუშკინის აზრით ალავერდსა და ახტალაში სამთამადნო წარმოების განვითარება დაინტერესებდა ანატოლიელ ბერძნებს გადმოსახლებულიყვნენ და ემუშავნათ საქართველოს ქარხნებში.

მუსინ-პუშკინი ამავე დროს მოითხოვდა, რომ რუსეთიდან საქართველოში ჩამოსულ სამთო ოსტატებს თავიანთი მუშაობითა და ხერხებით დაერწმუნებინათ ბერძენი ოსტატები მათი მეთოდების უვარგისობაში. რუს ოსტატებს უნდა დაენერგათ საქართველოს სამთო ქარხნებში წარმოების უკეთესი მეთოდები.

იმავე 1802 წელს საქართველოს სამთო ექსპედიციამ დაადგინა, საბადოების დაცვის მიზნით შემოემიჯნათ მიწები ქარხნების ირგვლივ (ქარხნებიდან 50 ვერსზე) და გადაეცათ საქარხნო უწყების დაცვისათვის.

ეს დადგენილება შეეხო აგრეთვე ქარხნებზე მიწერილ ყმა-გლეხებს. მასში აღნიშნულია, რომ ქარხნებს მიეწეროს ყმა-გლეხები იმავე სოფლებიდან, როგორც ეს იყო ქართველი მეფეების დროს, სახელდობრ: 100 კაცი ყაზახიდან, 40 — შულავერიდან, 10 — უზუნლარიდან და დისიხიდან, 10—შინიხიდან, 2—ახპატიდან, 20 — მელიქ-აბოვიდან.

ქარხნებს მიწერილი ყმა-გლეხები საქარხნო სამუშაოებიდან უნდა გაეშვათ სამიწათმოქმედო სამუშაოსა და მოსავლის აღების დროს. მიწერილ გლეხს უნდა შეესრულებინა ერთი გარკვეული სამუშაო. ამიტომ სოფლებს ქარხნებში უნდა გამოეგზავნათ გლეხები: ნახევარი ქვეითი და ნახევარი ჩალვადარი. პირველნი მოჭრიდნენ შეშას, დაწვავდნენ ნახშირს, იმუშავებდნენ ქარხნებთან და სხვ., ხოლო მეორენი ქარხნებში მიზიდავდნენ შეშას, ნახშირს, მადანს და სხვა მასალებს[20]. ქვეითი გლეხი თვეში მიიღებდა 4,5 მანეთს 6 კუბ. საჟენი შეშის მოჭრისა და დაწვისათვის, ხოლო ჩალვადარი 6 მანეთს თუ ქარხნებში მოიტანდა 60 საპალნე ნახშირს[21].

19 იქვე, საბუთი № 45, გვ. 90—101.

20 იქვე, საბუთი № 68, გვ. 139—141.

21 იქვე, საბუთი № 76, გვ. 162—163.

1802 წლის 12 ივლისს მუსინ-პუშკინი რუსეთის მთავრობას სთხოვს ქარხნების 1803 წლის მუშაობისათვის საერთო სახელმწიფო შემოსავლიდან მიეცათ 80 000 მანეთი. მოითხოვა აგრეთვე მის განკარგულებაში რეგულარული არმიის ერთი ბატალიონი ქარხნებისა და მაღაროების დასაცავად. ამავე წლის სექტემბერში მუსინ-პუშკინმა მოითხოვა საქართველოს სამთო წარმოებისათვის გაეცათ 557 879 მან. ვერცხლით 3 წლის მანძილზე. მის გადახდას კი დაიწყებდნენ 1806 წლიდან 25-წლიანი ბანკის საფუძველზე. მაგრამ იმპერატორმა ამაზე უარი უთხრა და იმავე წლის ნოემბერში ბრძანა გაეცათ 80 000 მანეთი სამთო წარმოებაზე 1803 წლისათვის[22].

1803 წლის 17 იანვარს მუსინ-პუშკინმა ახტალის ქარხნიდან აცნობა გენ. ციციანოვს, რომ იმავე წლის 8 იანვარს მან გახსნა ახტალისა და ალავერდის წარმოების საქარხნო მმართველობა.

მალე სამთო ექსპედიციამ სამთო წარმოებისათვის საჭიროდ სცნო ქალაქი ლორე თავისი გარეუბნებით. მაგრამ 1799 წელს იმპერატორ პავლე I სურვილით ქალაქი ლორე გარეუბნებით გიორგი XII-ემ მისცა ყარაბაღელ მელიქს ჯიმშიდ შახნაზაროვს. 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით ლორე გამოცხადდა სამაზრო ქალაქად. საჭირო იყო მელიქ შახნაზაროვთან მოლაპარაკება ლორეს დათმობის შესახებ. ციციანოვმა მას შესთავაზა 6 000 მანეთი. შახნაზაროვმა ეს წინადადება მიიღო. გენ. ციციანოვის მითითებით მუსინ-პუშკინმა ალექსანდრე I გამოითხოვა ნებართვა ლორეს გამოსყიდვის შესახებ, რათა იქ დაესახლებინა ქარხნებისათვის საჭირო და საქართველოში მოსული სხვადასხვა ხალხი[23].

1803 წლის ოქტომბერში ალექსანდრე I ბრძანებით ნება დართეს გამოესყიდათ ლორე 6 000 მანეთად და დაესახლებინათ იგი [24]. ლორეს მაზრის გამოსყიდვა მოხდა 1804 წელს, ხოლო საბოლოოდ მისი გაფორმება 1805 წელს[25]. ლორე გამოაცხადეს „სამთო ქალაქად“.

ლორეს გამოსყიდვის შემდეგ ბორზუნოვმა ციციანოვს თხოვა ნებართვა ლორეს მაზრა დაესახლებინა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოყვანილი ხალხით, მაგრამ ამაზე ციციანოვმა უარი უთხრა. ციციანოვი მიუთითებდა 80 კომლ გლეხზე, რომელიც შახნაზაროვმა ლორეს მაზრასთან ერთად მიყიდა სამთო უწყებას და წინადადებას იძლეოდა აღნიშნული ხალხი დაესახლებინათ იქ,

---

[22] АКАК, т. I, № 638, გვ. 524.

[23] АКАК, т. II, № 383, გვ. 204—205 С. Эсадзе, Оч., გვ. 104—105.

[24] АКАК, т. II, № 384, გვ. 205.

[25] იქვე, № 402, გვ. 214.

ხოლო ქართული მოსახლეობის შეწუხება მისი აზრით საჭირო არ იყო, რადგან მათ გააჩნდათ საკმაო რაოდენობით მიწის ნაკვეთები, სადაც ისინი სახლობდნენ[26].

1804 წელს დაიწყო ლორეს ოლქის დასახლების პირველი ცდები. თურქეთის პროვინციებში მოსახლე ბერძნებმა და სომხებმა თანხმობა განაცხადეს დასახლებულიყვნენ ქარხნების გარეუბნებში. არტაანიდან გამოსულმა ბერძნებმა ხელშეკრულება დასდეს მუსინ-პუშკინთან დასახლებულიყვნენ ლორეს ოლქში. ხელშეკრულებით ისინი თავისუფლდებოდნენ 2 წლით საქარხნო სამუშაოსაგან. ეს დრო მათ უნდა გამოეყენებინათ საოჯახო საქმეებისა და მეურნეობის მოსაკვარებლად. მაგრამ ისინი ვალდებულებას იღებდნენ თავისუფალ დროს ემუშავათ საქარხნო სამუშაოებზე ჭირით. ვალდებულებას იღებდნენ აგრეთვე არ დაეტოვებინათ საქარხნო ადგილები სამთო უწყების ნებართვის გარეშე და სხვ.[27].

ქართველი მეფეების — ერეკლე II და გიორგი XII დროს დამხმარე საქარხნო სამუშაოებზე ყოველთვიურად იგზავნებოდა 175—200-მდე კაცი. სამთო ექსპედიციის გამოანგარიშებით მეტი იყო საჭირო, სახელდობრ დამატებით კიდევ 100 კაცი. ამიტომ ბენ. ციციანოვის განკარგულებით დამატებით 100 კაცის გამოყვანა გადაწყდა მახლობელი სოფლებიდან[28]. მაგრამ შემდეგში მიწერილ გლეხთა რიცხვი შემცირდა 155 კაცამდე, რაც გაგრძელდა 1826 წლამდე. ამის შემდეგ მიწერილ გლეხთა რიცხვი კიდევ უფრო შემცირდა, იგი დავიდა 100 კაცამდე: 70 კაცი მოდიოდა ბორჩალოს დისტანციიდან, ხოლო 30 ყაზახიდან[29].

1804 წლის 8 იანვარს ბორზუნოვმა გახსნა ახტალისა და ალავერდის ქარხნების უწყებათა პირველი საერთო კრება. კრებაზე დაადგინეს წესები, რომლებიც ეხებოდა, როგორც მადნისმწარმოებლებს, ასევე ქარხნების საერთო კეთილმოწყობას. საქარხნო უწყების გახსნის შესახებ ცნობა დაგზავნეს ყველა მაზრებში.

1804 წელს ახტალის ქარხნის მმართველად დანიშნეს ეიხფელდი, ალავერდისა — ბორზუნოვი. მუსინ-პუშკინმა სურვილი განაცხადა ახტალის ქარხნისათვის გაეწია შეფობა და მოვლა-პატრონობა.

---

[26] АКАК, т. II, № 405, გვ. 216.

[27] С. Эсадзе, Оч., გვ. 124—127.

[28] История гор..., საბუთი, № 76, 162.

[29] «Тифлисские Ведомости», 1832 г., № 2.

ალავერდის და ახტალის სამთო უწყების საერთო კრებამ გადაწყვიტა აგრეთვე ქარხნებში წარმოების „ევროპული წესები" შემოეღოთ და ევროპული მეთოდებით ემუშავათ, ხოლო სამი არტელის მაგივრად მრეწველნი ერთ არტელში გაერთიანებულიყვნენ და ემუშავათ, ისე, როგორც მათ რუსეთის სამთო ოფიცრები და ოსტატები მიუთითებდნენ[30].

იმისათვის, რომ არ შეჩერებულიყო ქარხნების მუშაობა და მწარმოებლებისათვის დროულად მიეცათ ფული, მუსინ-პუშკინმა 1803 წელს გამოითხოვა ნებართვა, რომ ქარხნებში დაწმენდილი სუფთა სპილენძი მიეღო საქართველოს მთავრობის სახაზინო ექსპედიციას. სახაზინო ექსპედიციას კი ქარხნებისათვის უნდა მიეცა ქვითრები, ხოლო ასტრახანის სახაზინო პალატა საქართველოს ქარხნებს ამ ქვითრებზე მისცემდა ფულს სახელმწიფო შემოსავალთა ანგარიშზე, ყოველ 4 თვეში ერთხელ. ასტრახანის სახაზინო პალატას 1 ფუთ სპილენძზე უნდა გაეცა 10 მანეთი. 1803 წლის 2 ოქტომბრის ბრძანებით ეს თხოვნა დააკმაყოფილეს[31].

მაგრამ სპილენძი რომ არ დაგროვებულიყო საქართველოს სამთო ექსპედიციაში, 1804 წელს დაარსდა ორი სახაზინო კანტორა სპილენძის გასასყიდად — თბილისში და ელიზავეტპოლში[32]. თბილისში ფუთ სპილენძს ჰყიდდნენ 11 მანეთად, ელიზავეტპოლში — 11½ მანეთად.

მესამე კანტორა სპილენძის გაყიდვის მიზნით გახსნეს ოვით ალავერდის ქარხანაში. უნდოდათ კანტორა გაეხსნათ აგრეთვე ნუჭაში.

ალავერდის ქარხანაში სპილენძს ყიდულობდნენ უმთავრესად შირვანელი მცხოვრებნი, რომლებიც მოდიოდნენ სოფელ ლანშიდან. ამ სოფელში არსებობდა სპილენძის ჭურჭლეულის მკეთებელი 200-მდე სახელოსნო. ლანშელი ოსტატები განთქმული იყვნენ სპილენძის ჭურჭლის კეთებით, რაც მაშინ ფართო ხმარებაში იყო ამიერკავკასიაში[33].

თავიდანვე, ხაზინამ დიდად იზრუნა სპილენძის გასაღებისათვის ფართო ბაზრის შესაქმნელად. მან მონოპოლია გამოაცხადა სპილენძის როგორც შესყიდვაზე ასევე მის გაყიდვაზე. გარდა იმისა, რომ გახსნეს სახაზინო კანტორები სპილენძის გასასყიდად, მთავრობამ აკრძალა სპილენძის შემოტანა საზღვარგარეთიდან[34].

---

[30] **История горн.**, საბუთი № 97.

[31] იქვე, საბუთი № 94, გვ. 188—189; № 309, გვ. 385—386.

[32] იქვე, № 375, გვ. 480.

[33] **«Тифлисские Ведомости», 1832, № 2.**

[34] **История горной...**, საბუთი № 133.

მიუხედავად ასეთი ღონისძიებებისა, სამთო-საქარხნო წარმოების საქმე კარგად ვერ მიდიოდა.

სამთო ჩინოვნიკებსა და მადნისმწარმოებლებს შორის დამყარდა ცუდი ურთიერთობა. ჩინოვნიკები აქ სამთო წარმოებასა და მწარმოებლებს ისე უყურებდნენ და ისე ითხოვდნენ მათგან, როგორც ეს ციმბირის ქარხნებში იყო. ეს გარემოება უკმაყოფილებასა და სამუშაოზე გამოუცხადებლობას იწვევდა.

საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხანაში ბერძენი ოსტატები დამოუკიდებელნი იყვნენ და მათ გაბატონებული მდგომარეობა ეჭირათ სამთო წარმოებაში. ისინი ხედავდნენ, რომ ამას თანდათან ეღებოდა ბოლო. მათ თვალყურს ადევნებდნენ, უთითებდნენ, ასწავლიდნენ წარმოების ახალ მეთოდებს, რაშიდაც ისინი უპირატესობას ვერ ხედავდნენ. მათ დაიწყეს საჩივრების წერა სამთო უფროსობაზე, რითაც ამტკიცებდნენ, რომ მოხელეების მიერ ნაკარნახევ ახალ მეთოდებს არავითარი უპირატესობა არა აქვს, პირიქით, ახალი მეთოდებით მიღებულ სპილენძს აკლია ჭედადობა, რის გამო მისი ფასი დაეცა და არ იყიდებაო.

ყველაზე დიდ დაბრკოლებას წარმოება და ხაზინა წააწყდა სწორედ სპილენძის გასაღების საქმეში. სპილენძი წარმოებულ პროდუქციასთან შედარებით უმნიშვნელო რაოდენობით საღდებოდა. სპილენძი თანდათან გროვდებოდა და გაუსაღებელი რჩებოდა.

ასეთ ვითარებაში, 1805 წლის დასაწყისში მუსინ-პუშკინი ავად გახდა (ციებ-ცხელებით) და იმავე წლის აპრილში გარდაიცვალა თბილისში. სამთო ექსპედიციის მმართველობა გადავიდა ბორზუნოვის ხელში.

გვიან, ცნობილმა სამთო ინჟინერმა ივანიცკიმ მუსინ-პუშკინის მოღვაწეობასა და იმ დროის ალავერდ-ახტალის სამთო-საქარხნო წარმოებას ცუდი შეფასება მისცა და მიუთითა წარმოების წარუმატებლობის მიზეზებზე: ომიანობაზე, საკმაო კაპიტალის უქონლობასა და სათანადო პირობების არარსებობაზე[35].

[35] იგი წერდა: «Чтобы выяснить основательнее, в каком положении было горное производство и что сделал граф Мусин-Пушкин, а также, чтобы опровергнуть мнение о блестящих результатах, будто им полученных, я прилагаю при сем краткое извлечение из архивных дел, из которого легко убедиться, что большия суммы, потраченныя графом Мусиным-Пушкиным, не повели ни к каким результатам. Говоря это, однако, же, мы не думаем осуждать Пушкина. Иначе дело это не могло и итти, и не от него зависело предвидеть эти печальныя последствия. Горный промысел водворяется лишь там, где порядок гражданский уже достаточно устроен, где население мирно, война покончена и, наконец, где есть избыток капиталов, нуждающихся в выгодном помещении... Были и тогда капиталисты на Кавказе, но капитал находил лишь одно выгодное помещение —

ამავე წერილში ივანიცკი სწორად მიუთითებს ციმბირის სამთო-საქარხნო მრეწველობის განვითარებისათვის გაცილებით უკეთეს პირობებზე, პეტრე I დროიდან რომ არსებობდა რუსეთში მთავრობის ღონისძიებების შედეგად, რაც საქართველოს სამთო-საქარხნო წარმოების მიმართ გამორიცხული იყო.

ცუდი შეფასება მისცა მუსინ-პუშკინის მოღვაწეობას აგრეთვე კავკასიის მთავარმართებელმა გენ. ციციანოვმა[36].

მართალია, მთავრობამ მნიშვნელოვანი კაპიტალი გაიღო სამთო წარმოების განვითარებისათვის, რომელსაც მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ წარუმატებლობის მიზეზი იყო სამთო წარმოებაში ახალი წესების და წესრიგის შემოტანა, რამაც არევ-დარევა და უკმაყოფილება გამოიწვია. ასევე ხაზინამ საქართველოს სამთო-საქარხნო წარმოებას ვერ შეუქმნა სათანადო პირობები და ბაზარი პროდუქციის გასაღებისათვის, მაშინ როდესაც ციმბირის ქარხნებში გამოშვებულ სპილენძს მთლიანად მთავრობა იბარებდა. გარდა ამისა, სამთო-საქარხნო წარმოების წარუმატებლობას განაპირობებდა საერთოდ ქვეყნის სოციალ-ეკონომიური ჩამორჩენილობა, კერძოდ, მრეწველობისა და მისი ტექნიკური ბაზის დაბალი დონე.

მუსინ-პუშკინის გარდაცვალების შემდეგ გენ. ციციანოვმა სამთო უწყება მიიღო თავის განკარგულებაში და მოითხოვა, სამთო ექსპედიციას უშუალოდ მასთან ჰქონოდა საქმე. მან ბორზუნოვს უბრძანა მიეღო საერთო მმართველობა და დარჩენილიყო ალაევერდის ქარხანაში, აგრეთვე, დაუყოვნებლივ წარედგინა დაწვრილებითი მოხსენება ქარხნების მდგომარეობის შესახებ.

ამავე ხანებში გამოირკვა, რომ ახტალის ვერცხლის საბადოები გამოფიტულა, რამაც ძლიერ დააფიქრა სამთო ექსპედიცია. აღმოჩნდა, რომ ახტალის მაღაროებიდან არასგზით არ შეიძლებოდა იმდენი მადნის ამოღება, რამდენსაც სამთო ექსპედიცია ფიქრობდა. პირიქით, მაღაროებში თითქმის არავითარი მარაგი არ იყო. ამიტომ ეიხფელდი, რომელმაც პირადად დაათვალიერა ახტალის მაღაროები, წინადადებას იძლეოდა ან შეეწყვიტათ სრულებით წარმოება ანდა მთელი საქართველო მოეფინათ მზვერავი პარტიებით ახალი საბადოების აღმოსაჩენად. მისი აზრით ახტალის მაღაროები უკვე

казенныя поставки для армии вина, хлеба и коммисариатских припасов... Таким образом вмешательство правительства в развитии здешняго горного промысла было вмешательство искусственное и не принесло никаких полезных результатов». («Русский Вестник», т. 64, 1866 г., გვ. 57—58).

[36] იხ. АКАК. т. II, № 401, გვ. 214.

გამოფიტული იყო. დღითი დღე მცირდებოდა იქ ვერცხლის მოღებ, და მალე ალბათ სრულებით შეწყდებოდა[37].

როგორც აღინიშნა, მწვავედ იდგა სპილენძის გასაღების საკითხი. როგორც თბილისში ასევე განჯაში იგი მცირე რაოდენობით საღდებოდა. თანაც განჯაში (ელიზავეტპოლში) საქართველოს სპილენძს წარმატებით უწევდა კონკურენციას ანატოლიიდან შემოტანილი კონტრაბანდული სპილენძი. ამავე დროს, მთავრობა პირველ ხანებში უფლებას არ იძლეოდა სპილენძი გაეტანათ თურქეთსა და სპარსეთში, რადგან შიშობდა, იქ მისგან ზარბაზნები არ დაემზადებინათ. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი იძულებული გახდა ნება დაერთო გაეტანათ სპილენძი თურქეთსა და სპარსეთში, მაგრამ ამანაც ვერ უშველა საქმეს.

1805 წლის 11 სექტემბრისათვის სახაზინო ექსპედიციაში შემოსული იყო 7.690 ფუთი სუფთა სპილენძი. ასტრახანის სახაზინო პალატას ამისთვის უნდა გაეცა 76 6900 მანეთი (ფუთზე — 10 მანეთი). აღნიშნული თანხიდან ნახევარი უკვე გაცემული იყო. 7 690 ფუთი დაწმენდილი სპილენძიდან ამ დროისათვის გაყიდული იყო 4 800 მანეთის, ე. ი. მხოლოდ 440-მდე ფუთი სპილენძი[38]. გაუყიდავი იყო 70 000 მანეთზე მეტი ღირებულების სპილენძი.

სპილენძის გასაღების მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ციციანოვის ინიციატივით გადაწყვიტეს სპილენძის ფურცლები გაეგზავნათ შავი ზღვის ფლოტის გემების შემოსაჭედად. ამ დროს, 1805 წლის აგვისტოსათვის ალავერდის ქარხანაში მოეწყო სათანადო „ფაბრიკა“, სადაც სპილენძის ფურცლები გამოჰყავდათ. 1805 წლის 15 აგვისტოსათვის ფაბრიკაში მიღებული ჰქონდათ 130 ფურცელი (75 ფუთი სპილენძიდან)[39].

შავი ზღვის ფლოტს სასინჯად გაუგზავნეს 10 ცალი სპილენძის ფურცელი. ფლოტის მეთაურმა ადმირალ დე-ტრავერსემ იგი პეტერბურგში გაგზავნა შესამოწმებლად, სადაც იგი მოიწონეს გემების შემოსაჭედად. ადმირალ დე-ტრავერსემ ეს გარემოება 1806 წლის აპრილში აცნობა გენ. ციციანოვს. ამავე დროს იგი ციციანოვს აცნობებდა, რომ შავი ზღვის საადმირალო ასეთ შემოსაჭედ სპილენძს ღებულობდა მოსკოვიდან ფუთს 26 მანეთად, ხოლო გზის ხარჯით ჯდებოდა 27 მანეთი და 80 კაპიკი. წლიურად შავი ზღვის საადმირალო ხარჯავდა 2 414 ფუთ სპილენძს. ბოლოს, დე-

---

[37] **История гор...,** საბუთი № 123, გვ. 225—226.

[38] **История гор...,** საბუთი № 163, გვ. 261.

[39] **АКАК,** т. II, № 404, გვ. 215—216.

ტრავერსე სთხოვდა ციციანოვს ეცნობებინა, რა ფასად შეეძლოთ მიეწოდებინათ სპილენძის ფურცლები შავი ზღვის საადმირალოსათვის[40].

თუ რა ბედი ეწია შემდგომში სპილენძის ფურცლებით შავი ზღვის ფლოტის მომარაგების საკითხს, ამის შესახებ ჩვენ სათანადო ცნობა არ მოგვეპოვება. ჩვენი აზრით, ან ალავერდის ქარხანაში ვერ შესძლეს შემდეგ სპილენძის ფურცლების დამზადება საჭირო რაოდენობით, ანდა, რუსეთში სპილენძის მექარხნეებმა, რომლებიც თვით ამარაგებდნენ სპილენძით შავი ზღვის ფლოტს, უკმაყოფილება გამოთქვეს საქართველოს ქარხნების მიერ ფლოტისათვის სპილენძის მიწოდებაზე. ცხადია, ამ შემთხვევაში მთავრობა რუსი მექარხნეების ინტერესებს დაიცავდა. ჩვენ საამისოდ არა ერთი მაგალითი გვაქვს რეფორმამდელ ხანაში (თბილისის შაქრის ქარხნისა და მაუდის წარმოების მაგალითებიც საკმარისია საამისოდ).

დაბრკოლებებს თან ერთვოდა ისიც, რომ ბერძენი ოსტატები გამუდმებით ჩიოდნენ მათ შევიწროებაზე, მიწერილი გლეხების გამოუცხადებლობაზე და მოითხოვდნენ ქარხნები გადაეცათ მათთვის, რათა სპილენძი და ვერცხლი ეწარმოებინათ მათი მეთოდებისა და ჩვეულებების მიხედვით.

სამთო წარმოების ასეთმა მდგომარეობამ გენ. ციციანოვი აიძულა ორჯერ მიემართა ფინანსთა მინისტრ ვასილიევისათვის. ჯერ 1805 წლის ივლისში იგი აცნობებდა ფინანსთა მინისტრს, რომ ქარხნის შემოსავალი ძალიან შეუფარდებელია მის ხარჯებთან, რომ ქარხნებში მიღებული სპილენძი არ იყიდება მისი ნაკლები ჭედადობის გამო და ამის შედეგად სამთო უწყების მიერ სახაზინო ექსპედიციაში ჩაბარებული სპილენძი გაუსაღებელი რჩება, რის გამოც ხაზინა ზარალდება[41]. აქვე ციციანოვი ითხოვდა გამოეგზავნათ საქართველოში სამთო წარმოების კარგი მცოდნე და პატიოსანი კაცი, რომელიც ამ საქმეს მიხედავდა. ამავე წლის ნოემბერში მან კვლავ გაუმეორა ფინანსთა მინისტრს თავისი შეხედულება, წარუდგინა ციფრობრივი მონაცემები ხაზინის ზარალს რომ მოწმობდა და მოითხოვდა სპილენძის ქარხანა გადაეცათ ბერძნებისათვის, რათა მათ მუშაობა ეწარმოებინათ ნებით დაქირავებული მუშებით და არა იძულებითი შრომით, რომელიც მისი აზრით მოსახლეობისათვის მძიმე იყო. იგი მოითხოვდა სპილენძის ქარხანა გადაეცათ ბერძნებისათვის 10—15 წლით. ამ დროის მონაკვეთში

---

[40] АКАК, т. II, № 414, გვ. 220.

[41] История гор..., საბუთი № 136, გვ. 238—239.

სხვა ბერძნებიც გადმოვიდოდნენ საქართველოში და დასახლდებოდნენ ლორეს ოლქში[42].

ციციანოვის ეს მოსაზრება აცნობეს ალექსანდრე I[43]. მთავრობამ ჯერჯერობით უარი განაცხადა სამთო ქარხნები ბერძნებისათვის გადაეცათ. სახელმწიფო ბერგკოლეგიამ საქართველოში გამოაგზავნა VI კლასის ბერგ-ჰაუპტმანი ლოგინოვი, რომელიც სამთო საქმის კარგ სპეციალისტად ითვლებოდა. ლოგინოვმა 1806 წელს შეამოწმა ქარხნები და სამთო დეპარტამენტს წარუდგინა მოხსენება, სადაც იგი ამტკიცებდა საბადოებისა და ქარხნების არარენტაბელობას.

სამთო დეპარტამენტის საბჭომ მოიწონა ლოგინოვის აზრი და დაადგინა: საქართველოში სამთო ქარხნები, როგორც ხაზინისათვის უსარგებლო, მიეტოვებინათ[44]. მაგრამ ეს დადგენილება არ გაუტარებიათ.

საინტერესოა შეეხოთ ქარხნების გამოშვებული პროდუქციის ოდენობას.

ახტალის ვერცხლის ქარხანაში მადნის ამოღებას და ასევე მის გამოდნობას აწარმოებდა ხაზინა. როგორც ვიცით, თუმცა ბერძნებს ახალი დებულებით უფლება ჰქონდათ დაემუშავებინათ და გამოედნოთ ვერცხლი ქარხანაში, რისთვისაც ყოველ მისხალ ვერცხლზე მათთვის ხაზინას უნდა ეძლია 5 კაპ., მაგრამ ბერძნებმა ეს უსარგებლოდ სცნეს და სავსებით მიატოვეს სამუშაო[45]. მიღებული ვერცხლი მთლიანად შედიოდა ხაზინაში.

როგორც ვიცით, 1803 წელს ფიქრობდნენ, რომ ქარხანაში მიიღებდნენ 90 ფუთ ვერცხლს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ რაოდენობით მისი მიღება შეუძლებელი იყო. 1805 წელს გადაწყვიტეს მიეღოთ 25 ფუთი ვერცხლი, მაგრამ კვლავ შეცდნენ, რადგან მაღაროები გამოფიტული აღმოჩნდა.

1805 წელს მიიღეს 1 ფუთი, 29 გირვანქა და 5 მისხალი ვერცხლი, 1806 წელს — 24 გირვ. და 58 მისხალი, 1807 წელს — 2 ფუთი, 4 გირვ. 22½ მისხ., 1808 წელს — 1 ფუთი, 18 გირვ. 1½ მისხ., 1809 წელს — 2 ფუთი, 36 გირვ., 30 მისხალი[46]. 1803 წლიდან 1813 წლამდე ახტალის ვერცხლის ქარხნიდან მიიღეს 9 ფუთზე ცოტა მეტი ვერცხლი, რომელიც ზარაფხანაში გაგზავნეს[47].

---

42 იქვე, საბუთი № 163. გვ. 267.

43 იქვე, საბუთი № 171. გვ. 272—274.

44 იქვე, საბუთი, № 332, გვ. 409—410.

45 АКАК, т. IV, № 74, გვ. 63.

46 История гор... საბუთი № 272, გვ. 340; АКАК, IV, № 80. გვ. 69.

47 იქვე, საბუთი № 422, გვ. 413.

ასევე არ გამართლდა სამთო ექსპედიციის ვარაუდები სპილენძის წარმოებაშიც, რადგან ფიქრობდნენ წლიურად მიეღოთ საშუალოდ 15—18 ათასი დაწმენდილი სპილენძი. ხაზინის ხელში გადასვლის შემდეგ 1803—1810 წლების პერიოდში, ქარხანამ სრული მუშაობის დროს 1804, 1805 და 1808 წლებში, წლიურად გამოუშვა 6 000-მდე ფუთი დაწმენდილი სპილენძი. დანარჩენ წლებში საშუალოდ ღებულობდნენ არა უმეტეს 4 000 ფუთისა. 1803 წლიდან 1810 წლამდე დაწმენდილი სპილენძი მიიღეს 28 000 ფუთი[48].

1820 წლის ცნობით, ალავერდის ქარხანაში იდგა 45 მადნის გამოსაწვავი ღუმელი, 7 სადნობი ღუმელი, 6 ბრძმედი შავი სპილენძის დასაწმენდად[49].

სამთო წარმოებაში ადგილობრივი მადნისმწარმოებლების გარდა მუშაობდნენ რუსი ოსტატები, ხელოსნები და სამთო საქმის სხვა სპეციალისტები, რომლებიც საქართველოში სხვადასხვა დროს ჩამოვიდნენ (297 კაცი)[50].

ციციანოვის შემდეგაც მწვავედ იდგა სპილენძის გასაღების საკითხი. 1803 წლიდან 1810 წლამდე მიღებული 28 000 ფუთი სპილენძიდან გაუყიდავი იყო 16 000 ფუთზე მეტი. აღნიშნულ დროში სამთო ექსპედიციას ასტრახანის სახაზინო პალატიდან ქვითრების საშუალებით უნდა მიეღო 233 557 მანეთი. მაგრამ მიღებული ჰქონდა მხოლოდ 177 174 მანეთი, რადგან მიიღეს მთავრობის განკარგულება, რომლის ძალითაც ამიერიდან ქარხნებს ფული უნდა მიეღოთ სპილენძის გაყიდვის შედეგად[51].

მთავრობის ამ ახალმა განკარგულებამ აღაშფოთა ბერძნები. მათ 1811 წელს მოითხოვეს მიეცათ პასპორტები, უკან, თურქეთში წასასვლელად, რადგან ხაზინა მათგან სპილენძს არ იბარებდა და ფულს არ აძლევდა[52]. მთავრობამ მათ უარი განუცხადა პასპორტებზე[53].

1813 წელს ხაზინაში დაგროვილი სპილენძი შეადგენდა 18 525 ფუთს — 185 250 მანეთისა. ამას გარდა ბერძნებისაგან მიღებული იყო შავი სპილენძი 5 902 ფუთი.

ქარხნების ხაზინის ხელში გადასვლიდან (1803 წ.) 1813 წლამდე სამთო ქარხნების მოწყობისა და ამუშავებისათვის ხაზინამ დახარჯა 1 108 812 მან. ვერცხლით, 2 023 ჩერვონეცი, 16 765 მან.

---

48 **История гор...**, საბუთი № 272, გვ. 339—340.

49 იქვე, საბუთი № 408, გვ. 534.

50 იქვე, საბუთი № 309, გვ. 385.

51 იქვე, საბუთი № 272, გვ. 340.

52 იქვე, საბუთი 274, გვ. 345.

53 იქვე, საბუთი № 275, გვ. 345—346.

ასიგნაცია და 8 599 მან. სპილენძის ფული. ხოლო საქარხნო საჭიროებისათვის, ოსტატთა და მოსამსახურეთა ხელფასისათვის გაიცა 1 101 469 მან. ვერცხ., 2015 ჩერეოხეცი, 16 765 მან. ასიგნაცია და 8596 მან. სპილენძის ფული. შემოსავალი კი ხაზინამ მიიღო 9 ფუთზე ცოტა მეტი ვერცხლი და დაახლოებით 35 000-ზდე ფუთი დაწმენდილი სპილენძი, რომლის უმეტესი ნაწილი გაუყიდავი იყო[54].

მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ხაზინამ სპილენძი გაგზავნა ასტრახანში. ასტრახანელ ვაჭარ ისაევს უნდოდა შეესყიდა საქართველოს სპილენძი, მაგრამ ნიმუშის გამოცდის შემდეგ მან იგი უვარგისად სცნო. მისი განცხადებით საჭირო იქნებოდა მისი კიდევ გადადნობა, რასაც ახალი ხარჯები დაჭირდებოდა. ამის მიუხედავად ვაჭარმა ისაევმა სურვილი გამოთქვა შეესყიდა ქართული სპილენძი 3 მანეთნახევრად ვერცხლით, რაზედაც ხაზინამ უარი უთხრა[55]. ამრიგად ცდა იმისა, რომ სპილენძი რუსეთში გაეგზავნათ გასაყიდად, მარცხით დამთავრდა.

ბერძნები კი ჩიოდნენ, მოითხოვდნენ ხაზინას მათგან მიეღო სპილენძი; სამთო ექსპედიცია თავის მხრივ მოითხოვდა ბერძნებისათვის ფული გადაეხადათ, წინააღმდეგ შემთხვევაში მუშაობა შეწყდებაო. კავკასიის ადმინისტრაცია დამოუკიდებლად ვერ სწყვეტდა ამ საკითხს და პეტერბურგს მიმართავდა. ასე მიდიოდა ბერძნების საჩივრები ინსტანციებით, მაგრამ უშედეგოდ. სპილენძი კი უგროვდებოდათ ბერძნებსა და ხაზინას.

ამ მდგომარეობის გამო ბერძნებმა მოითხოვეს სამთო წარმოება მათთვის გადაეცათ.[56]. გამოჩნდნენ აგრეთვე მსურველები იჯარით აეღოთ ქარხნები. 1809 წელს ივანე ბეგთაბეგოვმა და ბერძენმა ოსტატებმა ითხოვეს იჯარით მიეცათ მათთვის ქარხნები 5 წლით, ემუშავათ ძველი „ქართული დადგენილებითა“ და „მათი ჩვეულებით“ და სპილენძი გაეყიდათ ყველგან, სადაც მოისურვებდნენ[57]. მაგრამ ხაზინამ ეს პირობები მაშინ არ მიიღო.

ქარხნების არარენტაბელობის გამო ბერძნებისათვის მათ გადაცემას მოითხოვდნენ მთავრობის უმაღლესი მოხელეები კავკასიაში — ციციანოვი, ტორმასოვი, პაულუჩი, რტიშჩევი.

1811 წელს მთავარმართებელი ტორმასოვი გურიელისადმი წარდგენილ მოხსენებაში ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე ამტკიცებდა ქარხნების წამგებიანობას ხაზინისათვის[58].

54 იქვე, საბუთი № 322, გვ. 412—413.
55 იქვე, საბუთი № 272, გვ. 344.
56 იქვე, საბუთი № 309, გვ. 392—393.
57 იქვე, საბუთი №272, გვ. 341, საბუთი № 332, გვ. 425—426.
58 იქვე, საბუთი № 272.

1813 წელს მთავარმართებელმა რტიშჩევმა შეადგინა ბარათი საქართველოს სამთო ქარხნების შესახებ, სადაც მოცემულია 1803—1913 წლებში სპილენძისა და ვერცხლის ქარხნების წარმოებული პროდუქციის სიდიდე, სპილენძის დაგროვება ხაზინაში, მისი გაუსაღებლობა, აღნიშნულ პერიოდში წარმოებაზე ხაზინის დახარჯული თანხა, მოხელეებისა და ოსტატების ხელფასისთვის გაცემული თანხის რაოდენობა. რტიშჩევი აღნიშნავს, რომ საქართველოს სამთო ქარხნებში ერთი და იგივე რაოდენობის შავი სპილენძიდან ბერძენი ოსტატები უფრო მეტი რაოდენობით დებულობენ უკეთესი ხარისხის სპილენძს, ვიდრე რუსი ოსტატები[59].

1813 წლის 31 ივლისის მოხსენებაში ალექსანდრე I-ისადმი, რტიშჩევმა დაჟინებით მოითხოვა საქართველოს სამთო წარმოება გადაეცათ კერძო პირებისათვის, რადგან ხაზინისათვის წამგებიანი არისო. იგი მოითხოვდა ქარხნები გადაეცათ იჯარით იმგვარად, როგორც ეს იყო ქართველი მეფეების დროს[60].

კავკასიაში უმაღლესი მოხელეების ასეთი დაჟინებითი მოთხოვნის შედეგად მთავრობამ საქართველოს სამთო ქარხნები გადასცა ბერძენ ოსტატებს.

*

* *

1816 წელს, 3 თებერვლის თარიღით გამოკიდა ახალი დებულება საქართველოს სამთო ქარხნების შესახებ.

ახალი დებულებით, ბერძნებს ხაზინაში უნდა შეეტანათ წარმოებული სპილენძის $^1/_{10}$ ნაწილი უფასოდ და ასევე 2% ქარხნებზე მიწერილი სახაზინო გლეხებისათვის[61], ე. ი. სულ, წარმოებული სპილენძის 12%. ამავე დროს, ახალი დებულებით ბერძენ ოსტატებს ხაზინისათვის უნდა მიეცათ გამოდნობილი ფუთი სპილენძი 6 მან. და 25 კაპიკად[62]. როგორც ჩანს, ეს ფასი შემდეგში იცვლებოდა.

საქარხნო მიწების მფლობელებს ძველებურად მიჰქონდათ სპილენძის მეათედი ნაწილი.

ახტალის ქარხნის შესახებ კი დადგინდა, რომ აქ წარმოებული ოქრო და ვერცხლი ხაზინას უნდა წაეღო გარკვეული ფასით. სახელდობრ, ყოველ გირვანქა სუფთა ვერცხლზე ბერძნებისათვის უნდა მიეცა 22 მანეთი და 15 კაპიკი ვერცხლით. ხოლო მისხალ სუფთა ოქროზე 3 მან. და 55 კაპ. ვერცხლით ან ოქროთი[63]. ამავე

59 История гор..., საბუთი № 322, გვ. 413—414.

60 იქვე, საბუთი № 323 გვ. 414—418.

61 იქვე, საბუთი № 409, გვ. 536; საბუთი № 414.

62 იქვე, საბუთი № 415, გვ. 544.

63. იქვე, საბუთი № 397, გვ. 515.

ღებულებით დადგინდა, თუ ახტალის საბადოებს საბოლოოდ სცნობდნენ გამოფიტულად, ბერძნები უნდა გადასულიყვნენ სპილენძის ქარხნებში სამუშაოდ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიაწერდნენ გლეხთა წოდებას[64].

ამ დებულების საფუძველზე წარმოებდა მუშაობა სამთო ქარხნებში 1816 წლიდან.

აღსანიშნავია, რომ 1816 წლიდან ბერძნებმა დაადგინეს თავისი ფასი სპილენძზე 7.5 მანეთი ფუთზე. გარდა ამისა 1821 წ. ბერძნებმა ხელშეკრულება დადეს შემამუღლე ზაქრო არღუთინსკიდოლგორუკოვთან 3 წლით, რომლის ძალითაც მთელი გამოდნობილი სპილენძი ადგილზე უნდა მიეცათ ფუთი 10 მანეთად[65].

რაც შეეხება ხაზინაში დაგროვებულ სპილენძს, მის გასასაღებლად მიმართეს სხვადასხვა საშუალებებს. გადაწყვიტეს სპილენძისაგან მოეჭრათ ფული, ფუთიდან 21 მან. მაგრამ ეს საქმე დაკავშირებული იყო ყოველთვის ზარალთან. აუცილებელი საჭიროების გამო მისგან მოჭრეს მხოლოდ 8 000 მან., რისთვისაც დაიხარჯა 380 ფუთი სპილენძი. შემდეგ გადაწყვიტეს სპილენძისაგან ჩამოესხათ ზარბაზნები. აღნიშნეს, რომ ამისათვის დაჭირდებოდათ წლიურად მხოლოდ 1 500 ფუთი, რაც ცხადია უმნიშვნელო იყო. 1820 წლისათვის ხაზინაში დაგროვილი იყო 30 000 ფუთამდე სპილენძი[66], 1825 წელს — 26 614 ფუთი[67].

1825 წელს მთავარმართებელმა ერმოლოვმა სპილენძის გასაღების მიზნით მოითხოვა დაეკლოთ მასზე ფასი, გაეყიდათ სპილენძი იმ ფასად როგორც ყიდდნენ მას ბერძნები 7,5 მანეთად ფუთი, ამავე დროს გაეხსნათ დამატებით სპილენძის გასაყიდი კანტორა ნუხაში[68].

იმავე წელს ერმოლოვის ეს თხოვნა დააკმაყოფილეს[69]. ამ ღონისძიებათა შედეგად, როგორც ჩანს, სპილენძის გასაღების საქმე კარგად წავიდა. ხოლო გვიან, 40—50-იან წლებში, როგორც ეს გუბერნატორების ანგარიშებში მოცემული ქარხნებისა და ფაბრიკების უწყისებიდან ირკვევა, წარმოებული სპილენძი გაჰქონდათ ამიერკავკასიასა და სპარსეთში.

1816 წლის ახალი დებულების შემდეგ, მალე. საბოლოოდ გამოფიტულად სცნეს ახტალის ვერცხლის მაღაროები. ამიტომ ბერ-

---

64 იქვე, საბუთი № 408, გვ. 535.
65 იქვე, საბუთი № 415, გვ. 544—545.
66 იქვე, საბუთი №375, გვ. 480.
67 იქვე, საბუთი № 454.
68 იქვე.
69 იქვე, საბუთი № 455.

ძნებს ორგზის გამოუცხადეს (1818 და 1820 წლებში), დაუყოვნებლივ დაეწყოთ მუშაობა ალავერდის ან შამბლუღის სპილენძსადნობ ქარხნებში, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიაწერდნენ გლეხთა წოდებას[70]. ამ განკარგულების შედეგად ნაწილი ბერძნებისა გადავიდა ალავერდისა და შამბლუღის ქარხნებში სამუშაოდ. დარჩენილ ნაწილს მთავრობა კვლავ აძლევდა წინადადებას გადასულიყვნენ სპილენძის ქარხნებში სამუშაოდ.

1818 წელს ბერძნებმა აამუშავეს შამბლუღის სპილენძსადნობი ქარხანა (ალავერდიდან 12 ვერსზე). ამ წლის მაისიდან დაიწყეს მადნის გამოდნობა, მაგრამ უმნიშვნელო პროდუქციას იძლეოდა[71]. ქარხანაში იდგა 13 ღუმელი მადნის გამოწვისათვის და 1 ღუმელი გამოდნობისათვის. შავი სპილენძი დასაწმენდად მიჰქონდათ ალავერდის ქარხანაში.

1818 წელსვე მუშაობა განახლდა დამბლუღის ვერცხლის ქარხანაში. მის მფლობელს თავად ორბელიანს საწარმოო დახმარების მიზნით საქართველოს სამთო ექსპედიციის უწყებიდან მიეცა 1 000 მანეთი. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ აქაც საბადოები გამოფიტულა და იგი მიატოვეს. აქ მომუშავე მადნის მწარმოებლები ალავერდის ქარხანაში გადავიდნენ[72].

1803 წლიდან 1819 წლამდე ანუ 16 წლის მანძილზე ალავერდის ქარხანაში მიიღეს 57 458 ფუთი სპილენძი, ე. ი. ამ პერიოდში წლიურად საშუალოდ ღებულობდნენ 3 600-მდე ფუთ სპილენძს. მთელი ეს სპილენძი ხაზინაში შევიდა.

1819 წლიდან 1830 წლამდე (მას შემდეგ რაც ქარხნები ბერძნების განკარგულებაში გადავიდა) ალავერდის და შამბლუღის ქარხანაში მიიღეს 41 832 ფუთი სპილენძი. როგორც ვხედავთ, ამ პერიოდში წლიურად საშუალოდ ღებულობდნენ 3 500-მდე ფუთ სპილენძს. აღნიშნული სპილენძის რაოდენობიდან (41 832 ფუთი) 1819—1830 წლებში ხაზინამ წაიღო საგადასახადო სპილენძი 4000 ფუთი[73] (12%).

წარმოების ბერძნების ხელში გადასვლის შემდეგ პროდუქციის რაოდენობის მიღების მხრივ მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა. წლიური საქარხნო პროდუქციის რაოდენობაზე ჩვენ არა გვაქვს რიგი წლების ცნობები, რაც წარმოდგენას მოგვცემდა წარმოების სიდიდეზე. ქარხნები სპილენძს სხვადასხვა რაოდენობით

---

70 История гор..., საბუთი № 416, გვ. 545.

71 იქვე, საბუთი № 408, გვ. 534.

72 იქვე საბუთი № 442, 573.

73 „Тифлисские Ведомости", 1832, № 2.

ადნობდნენ. ასე მაგალითად, 1819 წელს ალავერდის ქარხანაში გამოადნეს 1715 ფუთი სპილენძი[74], 1820 წელს — 2084 ფუთი, 1826 წელს—5 867 ფუთი[75], 1847 წელს — 5 400 ფუთი სპილენძი[76]. ასე რომ, წლიური პროდუქციის სიდიდე მერყეობდა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ალავერდისა და შამბლუღის სპილენძის ქარხნებში წლიურად საშუალოდ ადნობდნენ 3—4 ათასამდე ფუთ სპილენძს. შამბლუღის ქარხანაზე მოდიოდა გამოდნობილი სპილენძის მეტად მცირე ნაწილი.

როდესაც ვაჯამებთ სამთო წარმოების ფაქტობრივ მხარეს, XIX ს. პირველ ნახევარში, ბუნებრივია, იბადება კითხვა, თუ რატომ დაეცა და ვერ განვითარდა სპილენძის სამთო-საქარხნო წარმოება საქართველოში რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პერიოდში სამეფო ხელისუფლება, ერეკლე II და გიორგი XII სახით, დიდ მზრუნველობას იჩენდა მასზე. ეს ეხებოდა ფულად სუფსიდიას, სპილენძის რეალიზაციას თუ მუშახელით წარმოების უზრუნველყოფას. იმ დროს მრეწველობის სისუსტის მიუხედავად. ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფო მაინც ახდენდა სპილენძის რეალიზაციას. მას შეეძლო იგი თავისუფლად და ნებისმიერი ფასით (როგორც საჭიროდ დაინახავდა) გაეტანა იქ. სადაც უნდოდა.

რუსული მმართველობის დროს სახელმწიფოებრივი მზრუნველობა სამთო წარმოებაზე არ იგრძნობოდა. სპილენძის წარმოების დაცემის მიზეზი იყო გასაღები ბაზრის უქონლობა. რუსეთის მთავრობა არ ზრუნავდა მასზე, არ ქმნიდა საქართველოში მრეწველობის სხვადასხვა დარგს. ცარიზმის კოლონიალურ-ეკონომიური პოლიტიკა უარყოფითად ეკიდებოდა მას. XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში სამთო-საქარხნო წარმოებას და საერთოდ მრეწველობის განვითარებას საქართველოში ხელს უშლიდა განუწყვეტელი ომებიც, რომლებსაც აწარმოებდა რუსეთი ამიერკავკასიაში ჰეგემონობისათვის სპარსეთის, თურქეთისა და ადგილობრივი სახანო-სამთავროების წინააღმდეგ.

რუსეთში სამთო-საქარხნო წარმოება გაცილებით უკეთეს პირობებში იყო ვიდრე ჩვენში. რუსეთში სამთო ქარხნები, როგორც

---

[74] История горной..., საბუთი № 413, გვ. 542.

[75] „Тифлисские Ведомости", 1832, № 2.

[76] საქ. ცსსა, ფონდი 10, საქმე 125, ფურც. 26—29.

ცნობილია, მუშაობდნენ დიდი რაოდენობით მიწერილი ოსტატებითა და ყმა-გლეხებით. ამას გარდა სამთო ქარხნებში იქ იყენებდნენ რეკრუტების, კატორღელებისა და სხვადასხვა ჯურის დამნაშავეების უფასო შრომას. საპოსესიო ქარხნები ფართოდ სარგებლობდნენ მთავრობის დახმარებითა და მზრუნველობით. ისინი ღებულობდნენ დიდ სესხს მთავრობისაგან, სახაზინო მიწებისა და ტყეების უზარმაზარ ნაკვეთებს, ასეულ ათასობით გლეხს. სპილენძის გასაღების მხრივ კი მათ მონოპოლიური მდგომარეობა ეჭირათ. პროდუქციის მთავარი მყიდველი ხაზინა იყო და ამდენად პროდუქციის გასაღებაც უზრუნველყოფილი.

ცნობილია, თუ როგორ ფართოდ აფინანსებდა რუსეთის ხაზინა თავის სამთო სარეწებს, რაც მისი განვითარების ერთი მთავარი ფაქტორი იყო. საქართველოში ცარიზმი თავის სამხედრო-პოლიტიკურ პოზიციებზე უფრო ფიქრობდა, ვიდრე ქვეყნის ეკონომიკაზე.

ამავე დროს, რუსეთის მიერ ახალი სამთო დებულების შემოღებამ უარყოფითი გავლენა იქონია წარმოებაზე. წარმოების ორგანიზაცია და გამგებლობა რუსების მოსვლამდე მთლიანად ბერძენ-ოსტატთა ხელში იყო. რუსების დროს ხდება მათი აქტიური ჩარევა ამ საქმეში. მეფის ადმინისტრაცია ფართო რეგლამენტაციას უკეთებს მთელ წარმოებას, როგორც მაღაროებში ასევე ქარხნებში, მის კონტროლის ქვეშ აყენებს. ეს გარემოება და ხელფასის თავის დროზე აუნაზღაურებლობა, დაბოლოს, ხაზინის მიერ უარის თქმა, სპილენძი მიეღო ბერძნებისაგან, ამხედრებდა მათ საქარხნო უწყების წინააღმდეგ.

ბერძნები მოითხოვდნენ ძველებურ პირობებში ემუშავათ, ე. ი. როგორც მუშაობდნენ ქართველი მეფეების დროს. 1806 წელს ახტალის ქარხნის ბერძენ ოსტატთა მამასახლისები, როდესაც ჩიოდნენ ხაზინის მიერ ფულის აუნაზღაურებლობასა და შევიწროებულ მდგომარეობაზე, მთავარმართებელ გენ. გუდოვიჩს სწერდნენ: «Когда блаженной памяти царь Ираклии из Турции нас вызвал в Грузию и, открыв руды, с того времени содержание себе получали мы от сего ремесла; выработав серебро и золото, сделали пользы грузинской казне...»[77], ხოლო 1811 წელს სწერდნენ: Пред приездом гр. Мусина-Пушкина отработивая здесь в Ахталах руду по нашим обыкновенниям, приносили покоиным грузинским цариям пользу и приобретали себе пропитание; по прибытий же его здесь имевшегося у нас рудники,

[77] История гор., საბუთი № 463, გვ. 606.

металлы, домы и печи были у нас отобраны, который заключил с нами контракт в такой силе, по которой мы не можем производить работы..,"[78]

ბერძენ ოსტატთა ასეთ საჩივრებსა და პროტესტებზე ლაპარაკობენ უამრავი დოკუმენტები, რომლებიც სხვადასხვა წლებითაა დათარიღებული.

სამთო-საქარხნო მუშაობას აფერხებდა აგრეთვე მიწერილ ყმა-გლეხთა პროტესტები და მათი ხშირი გამოუცხადებლობა. ყმა-გლეხები ამუშავებდნენ მებატონის მიწებს, ასრულებდნენ სხვადასხვა ვალდებულებებს და მუშაობდნენ საქარხნო სამუშაოებზე ქარხნის ადმინისტრაციის განწესებით. ამიტომ მიწერილი ყმა-გლეხები სისტემატურად არ ცხადდებოდნენ სამუშაოზე, გარბოდნენ, პროტესტს აცხადებდნენ და აშკარადაც გამოდიოდნენ. ბერძნები და საქარხნო ადმინისტრაცია ჩიოდა ყმა-გლეხთა გამოუცხადებლობაზე. მათი გამოუცხადებლობა და გაქცევა სისტემატურ ხასიათს ღებულობდა, რასაც მრავალი დოკუმენტი ადასტურებს.

მიწერილ ყმა-გლეხებს სისტემატურად არ უხდიდნენ ფულს, სჯიდნენ ფიზიკურად. მათი დასჯის უფლება ჰქონდათ რუსის ჯარისკაცებსაც. როდესაც გაქცეულ გლეხებს დაიჭერდნენ ორმაგი ნორმით ამუშავებდნენ. ადგილობრივი მოხელეები და მემამულეები ვერაფერს აწყობდნენ მათი სამუშაოზე გამოუცხადებლობის გამო. ხშირად თვით ადგილობრივი მემამულეები არ აგზავნიდნენ გლეხებს საქარხნო სამუშაოზე, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. 1811 წელს ქვემო ქართლის თავადი ზაალ ბარათაშვილი მთავარმართებელს სწერდა, რომ ქართველი მეფეების დროს მათი ბრძანებით ყველა სოფლიდან აძლევდნენ მუშებს ქარხნებისათვის. ახლა კი მხოლოდ ჩემგან მიჰყავთ მუშებიო და ითხოვა, მისი სოფლებიდანაც არ წაეყვანათ გლეხები[79].

მძიმე იძულებითი შრომა, დაბალი ხელფასი და მისი სისტემატური აუნაზღაურებლობა, ფიზიკური დასჯა და სხვადასხვა ვალდებულებანი იწვევდა გლეხების არა შარტო გამოუცხადებლობასა და გაქცევას, არამედ აშკარა გამოსვლებს, რომლებსაც შეიარაღებული ძალით ახშობდნენ[80].

ამიტომ ქარხნებისა და მაღაროების მუშაობას არ ჰქონია მუდ-

---

[78] იქვე, საბუთი № 295. გვ. 359.
[79] იქვე, საბუთი № 265, გვ. 335.
[80] იქვე, საბუთი № 101, გვ. 202—203.

ბივი, განუწყვეტელი ხასიათი და დრო და ღრო იგი წყვეტდა მუშაობას, ზემოთ აღნიშნული სხვადასხვა მიზეზების გამო.

სამთო-საქარხნო წარმოება იძულებული იყო დადგომოდა მთლიანად ნებით დაქირავებული შრომის გამოყენების გზას, რომელიც სულ უფრო და უფრო აუცილებელი ხდებოდა.

*

* *

როგორც აღინიშნა, 1816 წელს ხაზინამ ალავერდისა და ახტალის სპილენძისა და ვერცხლის საბადოები გადასცა ბერძნებს სრულ განკარგულებაში, სამაგიეროდ ბერძნებს ხაზინისათვის უნდა ეძლიათ გამოდნობილი ფუთი სპილენძიდან 10%, ხოლო ქარხნებზე მიწერილი გლეხებისათვის 2%, სულ 12%. 1816 წ. 3 თებერვლის დებულების თანახმად ქარხნებზე მიწერილი გლეხები საერთო საგლეხო გადასახადებს იხდიდნენ მეექვსედი ნაწილით ნაკლები რაოდენობით. დამხმარე საქარხნო სამუშაოებზე მიწერილ გლეხების მიმართ განკარგულებანი გამოიცა აგრეთვე 1828 და 1834 წელს. სენატის 1834 წლის განკარგულებით მიწერილი სოფლებიდან დამხმარე საქარხნო სამუშაოებზე მუდმივად უნდა ყოფილიყო 155 კაცი, ყაზახიდან — 100, ხოლო ბორჩალოდან — 55. მიწერილ სოფლებს უნდა მიეცათ და საქარხნო სამუშაოებზე მუდმივად უნდა ყოფილიყო 77 ცხენი.

მიწერილი სოფლების მცხოვრებნი წლების მანძილზე არაერთხელ ჩიოდნენ ამ ბეგარის სიმძიმეზე, მაგრამ მათი საჩივრები უყურადღებოდ რჩებოდა.

აღნიშნულმა გლეხებმა 1842 წელს თხოვნა, გასათავისუფლებლად, წარუდგინეს საქართველოში ჩამოსულ სამხედრო მინისტრ ჩერნიშევს[81].

1843 წელს ყაზახის დისტანციის გლეხებმა ამიერკავკასიის მთავარმმართველობას ყველავ სთხოვეს გაეთავისუფლებინათ ისინი ქარხნებზე მიწერისაგან. ეს თხოვნა დასკვნისათვის გადაეცა საქართველო-იმერეთის სახაზინო პალატას. პალატის მოხელე ავეტიქოვი თავის დასკვნაში აღნიშნავდა, რომ მიწერილი გლეხები განუწყვეტლივ ჩივიან, რადგან ყოველწლიურად აგზავნიან მუშებს საქარხნო სამუშაოებზე, 8 თვის მანძილზე 1240 კაცს და ათეულობით ცხენებს (როგორც ჩანს მიწერილ გლეხთა „ნარიადი" ყოველთვიურად იცვლებოდა), მაშინ როდესაც გადასახადებს იხდიან თითქმის იმავე რაოდენობით, როგორც სხვა მცხოვრებნი. მაგრამ იგი

---

[81] Центральный Государственный Исторический архив в Ленинграде, (ЦГИАЛ) ф. 1268, оп. 2, д. 236, 1846 г., фурц. 5—10. სამხედრო მინისტრი ჩერნიშევი ამავე დროს იყო კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარე.

აცხადებდა, რომ მიწერილ გლეხთა გათავისუფლება არ შეიძლება, რადგან ბერძენი ოსტატები უიმისოდ ვერ იმუშავებენ და ქარხნებში მუშაობა შეწყდებაო. ავეტიქოვი წინადადებას იძლეოდა შეემსუბუქებინათ მიწერილ გლეხთა მდგომარეობა, სახელდობრ, არ გამოეყვანათ მათ ცხენები და 155 ნაცვლად სამუშაოზე ყოველთვიურად გამოეგზავნათ 100 კაცი.

1843 წლის ნოემბერში მთავარმმართველობის საბჭოს წევრმა ბეზაკმა მთავარმართებელს (მისი დავალების თანახმად) წარუდგინა თავისი მოსაზრება მიწერილ გლეხთა გათავისუფლების შესახებ. ბეზაკი წერდა, რომ მიწერილი გლეხები ხშირად ჩივიან, მიმართავენ საქართველოში უფროსობას და მოითხოვენ გათავისუფლებასო. ბეზაკი წინადადებას იძლეოდა ქარხნებზე გლეხთა სავალდებულო მიწერის მოსპობას, რადგან ეს ბეგარა მათთვის ძნელიაო.

1845 წ. ივლისში უცხოელმა ტესერმა (თბილისის აბრეშუმსახვევი „ფაბრიკის" ყოფილმა მმართველმა — დ. გ.) კავკასიის მეფისნაცვალ მ. ვორონცოვს სთხოვა ალავერდისა და შამბლუღის ქარხნები ტყით (10 კილომეტრის სივრცით ქარხნების ირგვლივ) მიეცათ მისთვის 25 წლიანი იჯარით. ტესერის წარდგენილი პირობების თანახმად იგი ქარხნებს ახლებურად მოაწყობდა საკუთარი სახსრებით. პირველ 3 წელიწადს ხაზინას გადაუხდიდა სპილენძს 287 ფუთს წლიურად, ხოლო შემდეგ მიღებული სპილენძის მეათედს (10%). ბერძნებს უნდა ემუშავათ ტესერის წარმოებაში; მიწერილი გლეხები თავისუფლდებოდნენ საქარხნო სამუშაოებისაგან. 25 წლის გასვლის შემდეგ ტესერი უტოვებდა ხაზინას ქარხნებს, მანქანა-იარაღებს და სხვა მოწყობილობას.

ტესერის აზრით, ხაზინა მიიღებდა მოგებას, გაიზრდებოდა მისი შემოსავალი და, გარდა ამისა, გათავისუფლდებოდნენ მიწერილი გლეხები.

მეფისნაცვალმა ტესერის ეს თხოვნა გადასცა განსახილველად ამიერკავკასიის მთავარმმართველობის საბჭოს. 1845 წ. 5 დეკემბრის სხდომაზე საბჭომ ტესერის თხოვნა ყურად იღო, რადგან იგი ითვალისწინებდა ქარხნებზე მიწერილ გლეხთა გათავისუფლებას, რაც, საბჭოს აზრით, ისედაც დაუყოვნებლივ უნდა მომხდარიყო. მთავარმმართველობის საბჭოს დასკვნით უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო უმაღლესი ნებართვის გამოთხოვა ქარხნების საიჯაროდ გაცემის შესახებ უცხოელ ტესერზე, ან სხვა ვინმეზე, რომელიც ტორღის ჩატარების დროს წარმოადგენდა ხაზინისათვის უკეთეს

პირობებს. ეს პირობები უნდა გაეცნოთ ბერძნებისათვის და თუ ისინი დათანხმდებოდნენ, მათთვის უნდა დაეტოვებინათ ქარხნები ახალ საიჯარო პირობებში.

მ. ვორონცოვმა მთავარმმართველობის საბჭოს ეს გადაწყვეტილება აცნობა კავკასიის კომიტეტს. კავკასიის კომიტეტმა ეს საქმე აზრის გამოსათქმელად გადასცა ფინანსთა მინისტრს. ფინანსთა მინისტრმა, თავის მხრივ, ამიერკავკასიის საბჭოს ეს გადაწყვეტილება განსახილველად გადაუგზავნა სამთო ინჟინერთა კორპუსის საბჭოს. სამთო ინჟინერთა კორპუსის საბჭოს დასკვნით ქარხნების მოქცევა სახაზინო მმართველობაში უსარგებლო იქნებოდა, ხოლო მისი დახურვა გამოიწვევდა ბერძენ მრეწველთა გაჩანაგებას, ხაზინას შეუწყდებოდა სარგებლობა, რომელსაც იგი ღებულობდა ბერძნებისაგან ლითონის მეათედი გადასახადის სახით. ამიტომ სასარგებლოდ მიაჩნდათ ტესერის წინადადების მიღება, მით უფრო, რომ მისი პირობებით საქარხნო სამუშაოებისაგან თავისუფლდებოდა მიწერილი გლეხები. ამიერკავკასიის მთავარმმართებლობის საბჭოს წინადადების მსგავსად სამთო ინჟინერთა კორპუსის საბჭოს აზრითაც სასარგებლო იქნებოდა ტორღის ჩატარება ქარხნების საიჯაროდ გაცემის დროს, და თუ ვინმე ხაზინისათვის ტესერზე უკეთეს პირობებს წარმოადგენდა, ქარხნები მას გადაეცემოდა. ფინანსთა მინისტრი დაეთანხმა ასეთ დასკვნას.

კავკასიის კომიტეტი დაეთანხმა მეფისნაცვალ ვორონცოვსა და მთავარმმართველობის საბჭოს აზრს და 1846 წლის 7 დეკემბერს დაადგინა: ალავერდისა და შამბლუღის სახაზინო სპილენძსადნობი ქარხნები მიწებითა და ტყეებით გაეცათ საიჯარო მფლობელობაში. საქარხნო სამუშაოებზე მიწერილი გლეხები გაეთავისუფლებინათ. კავკასიის მეფისნაცვალს ევალებოდა ალავერდისა და შამბლუღის ქარხნების საიჯარო მფლობელობაში გადასაცემად ჩაეტარებინა ტორღი და საამისოდ წინასწარ შეედგინა პირობები. ამ პირობების შედგენისას, კავკასიის კომიტეტის აზრით, აუცილებლად ყურადღება უნდა მიექციათ იმისათვის, რომ მრეწველი ბერძნები ამ სარეწით ცხოვრობდნენ და ამიტომ საიჯარო პირობებში ისეთი ღონისძიებანი უნდა განესაზღვრათ, რომლებიც შესაძლებლობას მისცემდა ბერძნებს გაეგრძელებინათ ეს მრეწველობა. დაბოლოს, საერთოდ ამ საქმის შემდგომი მოწყობა ყოველმხრივ განსახილველად ენდობოდა თვით მეფისნაცვალს კავკასიაში. კავკასიის კომიტეტის ეს დადგენილება დამტკიცდა (იმპერატორის მიერ)[82].

---

[82] ЦГИАЛ, ф. 1268. оп. 2, д. 236, 1846 г., фурц. 6—31.

ამის შემდეგ სათანადო პირობებით ამიერკავკასიის სახაზინო პალატამ ვორონცოვის განკარგულებით გამოაცხადა ტორღი ქარხნების საიჯაროდ გასაცემად, მაგრამ მსურველი არავინ აღმოჩნდა (ამჟამად, როგორც ჩანს, არც ტესერმა ისურვა იჯარით აეღო ქარხნები). ბერძნები კი, რომელთა აზრით, მაღაროები თითქოს გამოფიტული იყო, ემზადებოდნენ სამშობლო ანატოლიაში დასაბრუნებლად.

მაშინ კავკასიის სამთო ნაწილის მმართველმა გენ. ივანიცკიმ დაარწმუნა ბერძნები, რომ მათ მდგომარეობას გაუუმჯობესებდნენ. მან ამის შესახებ იშუამდგომლა ვორონცოვთან. 1849 წლის განკარგულებით, ვორონცოვმა ქარხნები დატოვა წინანდელ მდგომარეობაში და წარმოების გაუმჯობესების მიზნით ბერძნებს მისცა, უფრო სწორად, აჩუქა გარკვეული სახსრები. წახალისებულმა ბერძნებმა 1850 წელს აღმოაჩინეს ახალი მდიდარი საბადოები, გაიყვანეს წყალსასხმელი გვირაბი, მოაწყეს წესიერი წარმოება ღუმელებითა და ჰაერსაბერი მანქანით[83].

რაც შეეხება ქარხნებზე მიწერილ გლეხებს, მიუხედავად იმისა, რომ ქარხნები იჯარით არავინ აიღო, ვორონცოვმა მაინც გადაწყვიტა მათი გათავისუფლება. ქარხნებზე მიწერილი იყო 32 სოფელი. ყოფილი ყაზახის დისტანციიდან 22 სოფელი, ყოფილი ბორჩალოს დისტანციიდან 10 სოფელი[84]. ვორონცოვის 1849 წ. 23 ნოემბრის ბრძანებით 1850 წ. 1-ლი იანვრიდან ალავერდის ქარხნებზე მიწერილი გლეხები გათავისუფლდნენ დამხმარე საქარხნო სამუშაოებისაგან, როგორიც იყო შეშის მოჭრა, ნახშირის დამზადება და ქარხნებში მიზიდვა. სამაგიეროდ, ბერძენი მადნისმრეწველები, თავის მხრივ, გათავისუფლდნენ 2%-იანი გადასახადისაგან, ქარხნებზე მიწერილი გლეხების შრომის სარგებლობისათვის რომ იხდიდნენ. წარმოებული სპილენძის 10% კი კვლავინდებურად უნდა ეხადათ ბერძნებს ხაზინის სასარგებლოდ[85].

სპილენძის წარმოებაში იძულებითი შრომის ჩამოცილების შემდეგ, ცხადია, წარმოების დამხმარე სამუშაოებზეც დაიწყო ნებით დაქირავებული შრომის გამოყენება.

---

[83] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 65, д. 2193, фурц. 1—2.

[84] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 2. д, 236, 1846. фурц. 2—3, მეორე ცნობით 1846 წლამდე ქარხნებზე მიწერილი იყო 34 სოფელი (ЦГИАЛ, ф. 37, оп. 65, д. 2193. фурц, 1].

[85] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 65, д. 2193, фурц. 25, ф. 1268, оп. 2, д. 236 1846. г. фурц. 31.

1850 წელს ალავერდის ქარხანაში სულ 137 მუშა და ოსტატი იყო, შამბლუღის ქარხანაში — 29[86]. გარდა ამისა სამთო-საქარხნო სამუშაოებზე სხვადასხვა სოფლებიდან მოსული მუშების რიცხვი აღწევდა 157 კაცს. მაშასადამე, ამ წელს ორივე ქარხანაში დასაქმებული ოსტატების, საქარხნო და დამხმარე მუშების რიცხვი 300-ზე მეტი იყო.

1854 წელს ალავერდისა და შამბლუღის ქარხანაში ითვლებოდა 49 ოსტატი და 91 მუშა, სულ 140 კაცი. საქარხნო ტერიტორიებზე მოწყობილი იყო დუქნები. ამ წელს აქ ითვლებოდა 11 მედუქნე. მუშებისა და ოსტატების გარდა საქარხნო ბიჭებზე ცხოვრობდა 61 მიწათმოქმედი[87].

ალავერდის სამთო ქარხნების წარმოების ორგანიზაციაზე წარმოდგენას მნიშვნელოვნად ავსებს 1864 წლის აღწერა.

1864 წელს ალავერდის სამთო ქარხნები აღწერა სამთო ინჟინერმა გილევმა, რომელიც 1863 წელს დანიშნეს თბილისის გუბერნიაში არსებულ სპილენძის საბადოებისა და ქარხნების უფროსად[88].

1864 წელს ალავერდში არსებობდა 6 მოქმედი მაღარო. მაღაროები ერთიმეორისაგან დაცილებული იყო დაახლოებით 10 საჟენით. ყოველ მაღაროში მუშაობა წარმოებდა მეორე მაღაროსაგან სრულიად დამოუკიდებლად. მაღაროები ამოთხრილი და გვერდზე გათხრილი იყო მრუდედ, არეული იყო საკვანძო ხაზები.

მოქმედ მაღაროებს სხვადასხვა სახელწოდება ჰქონდა: ალექსანდროვსკაია, მიხაილოვსკაია, ლონგიზოვსკაია (ანუ აპოსტოლსკაია), კსილანგსკაია, ადჟამოვსკაია და ტანაილოვსკაია.

მაღაროებში მუშაობა წარმოებდა ძველი მეთოდებით.

1863 წელს მაღაროთა მეპატრონეების რიცხვი შეადგენდა 59 კაცს. ყოველ მაღაროს რამდენიმე მეპატრონე ჰყავდა, რომლებიც მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ პაის (წილის) რაოდენობის მიხედვით. ერთი მაღაროს ბევრ მეპატრონეს სხვა მაღაროებშიც გააჩნდათ პაი, რის გამოც ისინი ამ მაღაროების მეპატრონეებადაც ითვლებოდნენ.

ყოველი მაღაროს მეპატრონეები ირჩევდნენ მინბაშს, რომელიც მუშაობას წარმართავდა. ერთი მაღაროს მუშაობის მსვლელობა საიდუმლოდ ინახებოდა სხვა მაღაროთა მინბაშებისაგან. ასე-

---

86 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 11, ფურც. 63—66.

87 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 20, ფურც. 105—106.

88 Горный журнал, 1863 ч, IV, გვ. 135.

ვე საიდუმლოდ ინახებოდა იმ მრეწველთა მიერაც კი, რომელთაც პაი გააჩნდათ სხვა მაღაროებშიც.

მუშაობის ხელმძღვანელობისას მინბაშის მოვალეობას შეადგენდა, ეცადა მოენახა მდიდარი საბადო ანდა მოეხერხებინა იმ მდიდარ საბადოში შესვლა, რომელიც მუშავდებოდა მეორე მაღაროს მიერ. მადნით მდიდარ მაღაროში შესვლა დამოკიდებული იყო ფულად სახსრებზე და მინბაშის ოსტატობაზე. როდესაც მადანს აღმოაჩენდნენ მაშინ ისეთ სამუშაოს ატარებდნენ, რომლის მიზანი იყო დაეცვა ნაპოვნი მდიდარი მადანი მეზობლებისაგან. ზოგჯერ მაღაროებს შორის მდიდარი მადნის გამო იმართებოდა „მიწისქვეშა ომი". ის მფლობელები, რომელთაც ორივე „მეომარ" მაღაროებში ჰქონდათ პაი, თანაუგრძნობდნენ იმ მხარეს, სადაც მეტი პაი გააჩნდათ, ანდა, სადაც პაი უფრო ძვირი იყო, მაღაროში მადნის სიდიდისა და მისი ადვილად დამუშავების შედეგად.

ზოგჯერ იყო ისეთი შემთხვევა, როდესაც მეზობელი მაღაროს შეჩერებულ სამუშაოს შეესეოდნენ და ამუშავებდნენ. დაუპატიჟებელი სტუმრების გარეკვისას კი საქმე უჩხუბრად არ მთავრდებოდა.

სამთო სამუშაოების დროს მაღაროებს შორის ასეთი დავის წარმოშობისას მადნის მრეწველები საჩივრით მიმართავდნენ როგორც ქარხნების გამგე ინჟინერს, ისე კავკასიის სამთო ნაწილის უფროსს, მაგრამ რა უნდა ექნა ინჟინერს, როდესაც კანონი არ ავალდებულებდა ბერძენ მადნისმრეწველებს შეესრულებინათ ქარხნების გამგე სამთო ინჟინრის განკარგულება.

ერთ მაღაროში ყველა პაი თანაბარი ფასისა იყო. სხვადასხვა მაღაროში პაის ფასი სხვადასხვა იყო და ზოგჯერ ფრიად განსხვავებულიც. პაის ფასის სიდიდეს უმთავრესად განსაზღვრავდა: მადნის მასის რაოდენობა, სპილენძის შემადგენლობის სიმდიდრე საბადოში, მადნის მოპოვებისა და მისი დნობის მეტ-ნაკლები სიძნელე. სამუშაოს ჩატარებაში მეტ-ნაკლები დამოუკიდებლობა სხვა მაღაროებისაგან[89].

ალავერდის სპილენძის წარმოებაში, 1865 წლის ცნობით, დღე-ღამეში სამუშაოდ გამოდიოდა 120 კაცამდე, მადნის გამოწვაზე მუშაობდა 60 კაცი, მადნის შავ სპილენძად გადადნობაზე 55 კაცი, შავი სპილენძის სუფთა სპილენძად დაწმენდაზე — 20 კაცი.

---

[89] „Горный журнал", 1864, ч. II, გვ. 271—277.

მუშის ხელფასი დღეში იყო 40 კაპიკი, ოსტატისა 80 კაპიკიდან 1 მანეთ და 60 კაპიკამდე[90].

1866 წელს ალავერდის ქარხანაში მადნის გამოწვისათვის მოწყობილი იყო 120 ცილინდრული ახური, შავი სპილენძის გამოდნობისათვის 4 ღუმელი, შავი სპილენძის დაწმენდისათვის 3 ბრძმედი. ქარხანაში მანქანები არ იდგა. ბერვისათვის ხმარობდნენ ტყავის საბერველს, რომელსაც ხელით ამოძრავებდნენ.

შეშისა და ნახშირის წინასწარი დამზადება, ჩვეულებრივ, როგორც ჩანს, არ ხდებოდა, არამედ საჭიროებისდა მიხედვით სჭრიდნენ ტყეს და სწვავდნენ ნახშირს.

მუშების რიცხვი ამ წელს შეადგენდა 250 კაცს. აქედან სამთო-საქარხნო სამუშაოებზე მუშაობდა 225 კაცი, დამხმარე სამუშაოებზე 25 კაცი.

1866 წელს ამოიღეს 114 420 ფუთი მადანი, გამოადნეს 150 980 ფუთი მადანი. გამოდნობის შედეგად მიიღეს სუფთა სპილენძი 5 435 ფუთი. ჭურჭლეულის გაკეთებისათვის მოიხმარეს 2 000 ფუთი. მადნის გამოწვასა და გამოდნობაზე დაიხარჯა 109 000 ფუთი ნახშირი.

შამბლულის ქარხანაში მადნის გამოწვისათვის მოწყობილი იყო 15 ცილინდრული ახური, შავი სპილენძის გამოდნობისათვის 1 ღუმელი. შავი სპილენძის გამოდნობა სუფთა სპილენძად აქ არ ხდებოდა. აქ მიღებული შავი სპილენძი მიჰქონდათ ალავერდის ქარხანაში და იქ ახდენდნენ მის დაწმენდას. 1866 წელს შამბლულის ქარხანაში გამოადნეს 720 ფუთი სპილენძი. მუშების რაოდენობა შეადგენდა 48 კაცს. აქედან სამთო-საქარხნო სამუშაოებზე, მუშაობდა 40 კაცი, დამხმარე სამუშაოებზე — 8. ქარხანაში მანქანები არ იდგა[91].

როგორც ვხედავთ, სპილენძის წარმოებაში მუშაობდა ოსტატებისა და დაქირავებული მუშების მნიშვნელოვანი კონტიგენტი. ასევე, ჩანს, რომ წარმოებაში დამხმარე სამუშაოებზე მომუშავეთა რიცხვი ამ დროს გაცილებით ნაკლები იყო ოსტატების და საქარხნო მუშების რიცხვთან შედარებით.

XIX ს. მეორე ნახევარში სპილენძის ქარხნების წლიური წარმადობის შესახებ ჩვენ ცნობები საკმაოდ გვაქვს. ასე რომ, შესაძლებელია ამ მხრივ წარმოების სიდიდეზე ნათელი წარმოდგენა გვქონდეს.

---

90 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 159, ფურც 7, 112.

91 „Кавказский календарь", 1869, отд. 2-ое, გვ. 165.

ალავერდის ქარხანაში გამოადნეს სპილენძი:

წლები		ფუთობით
1858	—	7 299[92]
1859	—	8 360[93]
1861	—	4 807
1862	—	5 893
1865	—	7 268[94]
1866	—	5 435[95]

შამბლუღის ქარხანაში, როგორც აღინიშნა, ადნობდნენ შავ სპილენძს, თანაც გაცილებით ნაკლები რაოდენობით. ასე მაგალითად, 1861 წელს შამბლუღის ქარხანაში გამოადნეს 817 ფუთი, ხოლო 1862 წელს 1997 ფუთი[96].

ალავერდისა და შამბლუღის სპილენძის ქარხნების პროდუქცია რიგ წლებში მოცემულია ფულადი გამოსახულებით. მაგრამ ჩვენი აზრით, ზოგჯერ აქ შედის ქარხნებში მყოფი მეჭურჭლე-ხელოსნების მიერ დამზადებული ჭურჭლეულის ღირებულება, ზოგჯერ კი წარმოებული ლითონი და ჭურჭლეული ერთად. ასე მაგ., ალავერდისა და შამბლუღის ქარხნებმა გამოუშვეს პროდუქცია:

1859	წელს	—3 180	მანეთის[97]
1860	„	—10 652	„ [98]
1862	„	—73 647	„ [99]

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ფუთი სპილენძი ადგილზე იყიდებოდა 10—12 მანეთად.

როგორც ცნობილია, ხაზინა ქარხნებიდან ღებულობდა წარმოებული სპილენძის 10%. ეს საგადასახადო სპილენძი ჩვეულებრივ ინახებოდა ადგილზე, სპილენძის ქარხნებში[100].

ალავერდის ქარხნიდან ხაზინამ საგადასახადო სპილენძი (10%) წაიღო: 1858 წელს 729 ფუთი [101], 1864 წელს — 826 ფუთი[102], 1866 წელს 543 ფუთი[103].

---

92 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 39, ფურც. 97—98.

93 საქ. ცსსა, ფონდი 10, საქმე 1519, ფურც. 6.

94 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 159, ფურც. 7.

95 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 241, ფურც. 56.

96 საქ ცსსა, ფონდი 264, საქმე 159, ფურც. 7.

97 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, 1861, д, 16. ფურც. 42.

98 ЦГИАЛ, ф. 1268, оп, 10, 1861, д. 1268, ფურც. 118.

99 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, 1863, д. 108, ფურც. 111.

100 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 185, ფურც. 21.

101 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 39, ფურც. 97—98.

102 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 245, ფურც. 1.

103 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 241, ფურც. 56.

1864 წელს ხაზინამ ამიერკავკასიის სპილენძის ქარხნებიდან მიიღო 1654 ფუთი[104] სპილენძი.

ხაზინა საგადასახადო სპილენძს ჰყიდდა საჯარო ვაჭრობით[105]. სპილენძის შემსყიდველებად გამოდიოდნენ თბილისელი მოქალაქენი და ვაჭრები. ასე მაგალითად, XIX ს. 50-იან წლებში ხაზინის სპილენძს ყიდულობდნენ თბილისელი მოქალაქე ვაჭრები: ავთანდილ კვეზერელოვი, დავით ბიბილური, ვართანოვი და სხვ. ფუთი ღირდა 10—12 მანეთი. მაგალითისათვის, დავით კვეზერელოვმა იყიდა 304 ფუთი სპილენძი 3 748 მანეთად[106]. 1865 წელს ალავერდისა და შამბლულის ქარხნებიდან ხაზინაში შესულ 744 ფუთ სპილენძს ყიდულობს თბილისელი „პოტომსტვენი" საპატიო მოქალაქე თომა შადინოვი, ფუთ სპილენძს 12 მანეთად და 30 კაპიკად[107]. 1864 წელს ხაზინაში შესული სპილენძის ყიდვის სურვილს აცხადებენ თბილისელი მოქალაქენი სოლომონ კიტოევი და გიორგი ქართველიშვილი. მათ სურთ შეიძინონ 928 ფუთი სპილენძი, ფუთი 9 მანეთად[108]. ასე სწარმოებდა სახაზინო სპილენძის გაყიდვა შემდეგ წლებშიც.

ალავერდის სპილენძის ქარხანაში ოსტატებისა და მუშების გარდა, რომლებიც ლითონს ამზადებდნენ, იყვნენ აგრეთვე მეჭურჭლე ხელოსანი-ოსტატები. 1865 წელს ალავერდის ქარხანაში ითვლებოდა 90 მეჭურჭლე, დამზადებული ჭურჭელი მათ მიჰქონდათ სხვადასხვა კუთხეში გასასყიდად. როგორც ჩანს, ეს მეჭურჭლე ხელოსნები ბერძნები არ იყვნენ, რადგან ისინი აქ „დროებით მაცხოვრებლებად" ითვლებოდნენ[109]. სპილენძს ისინი, ცხადია, ყიდულობდნენ ბერძენი ოსტატებისაგან.

ალავერდისა და შამბლულის ქარხანაში, ლითონის დამზადების გარდა, სხვადასხვა ნაკეთობის დასამზადებლად შეკვეთებს იღებდნენ. ასე მაგალითად, 50-იანი წლების ბოლოსა და 60-იან წლებში ალავერდისა და შამბლულის ქარხანაში ამზადებენ სხვადასხვა საჭირო მასალებს საქართველოს სამხედრო გზისათვის[110].

1865 წლამდე ალავერდის ქარხანაში ბერძენი მრეწველები დაყოფილი იყვნენ „პარტიებად" და „კომპანიებად". მათ შორის ხშირი იყო ინტრიგები და დავა. ამიტომ კავკასიის სამთო სამმართ-

---

104 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 245, ფურც. 1.
105 საქ. ცსსა, ფონდი 246, საქმე 39.
106 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 33.
107 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 293, ფურც. 16.
108 საქ. ცსსა. ფონდი 264, საქმე 245, ფურც. 9.
109 საქ ცსსა, ფონდი 264, საქმე 159, ფურც. 12.
110 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 40.

ველომ საჭიროდ სცნო მრავალი წვრილი პარტიებისა და კომპანიების გაერთიანება ერთ „ამხანაგობაში". ეს განხორციელდა 1865 წელს. ამ წელს დაარსდა ორი „ამხანაგობა" — ერთი ალავერდში, მეორე შამბლუღში. შეადგინეს წესდება, რომელიც იმავე წლის ბოლოს დამტკიცდა[111].

1865 წლამდე ალავერდის სამთო წარმოებაში ითვლებოდა 19 მაღარო (მოქმედი და უმოქმედო). ისინი ეკუთვნოდა ცალკეულ კომპანიებს. ამ წლიდან კი ეს მაღაროები საერთო გახდა ალავერდის ქარხნის მთელი „ამხანაგობისათვის". შამბლუღის ქარხანა 1865 წლის 15 ოქტომბრიდან გამოეყო ალავერდისას და საკუთარი „ამხანაგობა" შექმნა, ალავერდის ამხანაგობის წესდების ანალოგიური წესდება შეიმუშავა[112].

1865 წელს გენ. ადიუტანტ მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვმა მოითხოვა აღედგინათ მისი უფლება ალავერდისა და შამბლუღის მაღაროებზე, აღედგინათ მათზე საკუთრების უფლება, რომელიც ეკუთვნოდათ მისი ცოლის წინაპრებს არღუთინდოლგორუკოვებს[113]. ლორის-მელიქოვის ამ თხოვნას პირველად მთავრობამ, როგორც ჩანს, ყურადღება არ მიაქცია. მაშინ მიხეილ ლორის-მელიქოვმა 1869 წელს წარადგინა ვრცელი ბარათი ალავერდისა და შამბლუღის ქარხნების შესახებ. მიხეილ ლორის-მელიქოვი ბარათში წერდა შემდეგს: 1803 წელს მუსინ-პუშკინმა თავად არღუთინსკი-დოლგორუკოვებთან და მელიქიშვილებთან დასდო შეთანხმება, რომლის ძალითაც მემამულეები გამოუყოფდნენ სახაზინო ქარხნებს იმდენ მიწას, რამდენიც საჭირო იქნებოდა. ასევე სათანადო ოდენობით გამოყოფდნენ მიწას სამთო წარმოების მუშების, ოსტატებისა და სხვა საჭიროებისათვის. თავის მხრივ, ხაზინა ვალდებულებას იღებდა მემამულეებისათვის სამაგიეროდ გამოეყო სათანადო სახაზინო მიწები. როდესაც სხვადასხვა მიზეზების გამო შეწყდებოდა სამთო წარმოება, ეს შეთანხმება ძალას ჰკარგავდა და მემამულეებისათვის გამოყოფილი სახაზინო მიწა უბრუნდებოდა ხაზინას, ხოლო მემამულეებს სამთო-საქარხნო მიწები, როგორც მათი საკუთრება. ხელშეკრულების თანახმად ხაზინამ მაშინ მემამულეებისაგან მიიღო სათანადო მიწები. მემამუ-

---

[111] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 65, д. 2193, фурц. 3.

[112] საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 159, ფურც. 112.

[113] საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 237.

ლეებს კი დღემდე არ მიუღიათ ხაზინისაგან სათანადო სამაგიერო მიწებიო, წერდა ლორის-მელიქოვი.

1816 წელს, როგორც ცნობილია, შეწყდა სახაზინო წარმოება და იგი გადაეცა ბერძნებს. ამ წლის საქართველოს სამთო წარმოების დებულებაში წერია, რომ ყველა მაღარო და ქარხანა ტყეებით, რომლებიც ადგილობრივმა მფლობელებმა დაუთმეს ხაზინას, ამიერიდან ეძლევათ თავისუფალ მოხმარებაში იმ მადნის მრეწველებს, რომლებიც აქამდე ეწევიან სამთო წარმოებას, ისე რომ მათთან ერთად იმავე მემამულეებს> და სხვებს შეუძლიათ ხელი მიჰყონ სამთო წარმოებას[114].

მიხეილ ლორის-მელიქოვი გადაჭრით აცხადებს, რომ აქ სიტყვა „დათმობა" („уступлены") არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს მემამულეებმა ხაზინას დაუთმეს თავისი საკუთრება. არღუთინსკი-დოლგორუკოვებმა და მელიქიშვილებმა ხაზინას მხოლოდ უფლება მისცეს ესარგებლა მათი საკუთრებით. არ ყოფილა და არ არსებობს აქტი, წერდა ლორის-მელიქოვი, რომლის ძალითაც მემამულეებს ხაზინისათვის დაეთმოთ მთლიანად მაღაროებისა და ტყეების საკუთრების უფლება. ასე რომ, სიტყვა „დათმობა" უნდა გავიგოთ როგორც სარგებლობის უფლების მიცემაო.

1803 წლის ხელშეკრულებით, განაგრძობს ლორის-მელიქოვი, მემამულეები ხაზინას უფლებას აძლევენ მადნები ამოიღონ მაღაროებიდან, რომლებიც მათ ეკუთვნით და ისარგებლონ ტყეებით და მიწებით. მემამულეების მიერ ხაზინისათვის ამ უფლების მიცემიდან სრულებით არ შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ მემამულეები მზად არიან და სურვილი აქვთ დაუთმონ იგივე უფლება ყოველგვარ მესამე პირს. ხელშეკრულება უფლებას არ აძლევს ხაზინას მისთვის მიცემული უფლება გადასცეს სხვას, რადგან ასეთი გადაცემისათვის საჭიროა მეტი უფლება. 1816 წლის დებულება კი, რომელმაც 1803 წლის ხელშეკრულება შესცვალა, აქ უფლებას აძლევს მადნისმრეწველ ბერძნებს. ამიტომ, ცხადია, ასეთი გადაცემა არღვევს ამ ხელშეკრულებას. 1803 წლის ხელშეკრულების მე-18 პუნქტი ამბობს, რომ, როდესაც რაიმე მიზეზებით შეწყდება სამთო სახაზინო წარმოება, მაშინ ხელშეკრულება უქმდება და მემამულეებს უბრუნდება საკუთრებაში მათ მიერ დათმობილი მიწები. ეს სახაზინო წარმოება შეწყდა 1816 წელს, ხოლო ხელშეკრულების ზემოთ მოყვანილი პუნქტი კი ჯერაც არაა შესრულებულიო[115].

---

[114] ЦГИАЛ, ф. 1268,оп. 13, 1869, д. 109, фурц. 78.

[115] იქვე ფურც. 79—80.

1847 წელს, როდესაც მთავრობა ცდილობდა ქარხნები გაეცა იჯარით, თავად ივანე არღუთინსკი-დოლგორუკოვმა ამიერკავკასიის სახაზინო პალატას განუცხადა მისი და მისი ძმების უფლება მაღაროებზე, ტყეებსა და მიწებზე. ითხოვდა, რომ იმისათვის, რათა შეჯახება არ მომხდარიყო მემამულეებსა და მოიჯარადრეებს შორის, ქარხნების იჯარით გაცემამდე[116], მემამულეებისათვის მიეცათ სამაგიერო — მათი საკუთრების იჯარით გაცემის სანაცვლოდ. სახაზინო პალატამ, როგორც ეს ლორის-მელიქოვის ბარათიდან ჩანს, უარჰყო მისი თხოვნა. ხაზინას ის მოტივები მოჰყავდა, რომ 40 წელზე მეტია განაგებს იგი ქარხნებს (1803 და 1816 წლის კანონებით), რომ სახაზინო პალატის საქმეებიდან არ ჩანს მემამულეებს ოდესმე ოფიციალურად მოეთხოვოთ სამაგიერო მიწა და, ასევე არ ჩანს ის, რომ ოდესმე მომხდარიყოს ფორმალურად მემამულეებისათვის სამაგიერო მიწებისა და ტყეების გამოყოფა. სახაზინო პალატა იქით ედავებოდა მემამულეებს, რატომ თავის დროზე თადარიგი არ დაიჭირეთო.

მიხეილ ლორის-მელიქოვმა დაგმო სახაზინო პალატის ასეთი ფორმალური მოსაზრებები და გადაჭრით მოითხოვა აღედგინათ მათი უფლება ალავერდისა და შამბლუღის მაღაროებზე.

1869 წელს მეფისნაცვალი მიხეილი კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარეს თხოვდა ალავერდი მიეღო ხაზინის საკუთრებაში, ხოლო ალავერდისა და შამბლუღის ქარხნებს მუშაობა განეგრძოთ იმპერიაში არსებული პოსესიური უფლებისა და კანონების საფუძველზე. მაგრამ ფინანსთა მინისტრი რეიტერნი გამოვიდა ამის წინააღმდეგ და კავკასიის კომიტეტის მმართველს 1870 წელს აცნობა, რომ ალავერდისა და შამბლუღის ქარხნებზე საპოსესიო უფლების გავრცელება უფრო არევს საქმეს და მიიღებს რთულ ფორმას, რადგან მათზე უფლება ექნება, ერთი მხრივ, სახელმწიფოს და, მეორე მხრივ, სამთო მრეწველობის კომპანიას.

მეფისნაცვალი დათანხმდა არ გავრცელებულიყო ქარხნებზე საპოსესიო უფლება, მაგრამ საჭიროდ მიიჩნია ხაზინას შეესყიდა ალავერდის მიწები, ხოლო ლორის-მელიქოვისათვის მიეცათ სათანადო სახაზინო მიწები და ამავე დროს პროდუქციის ნაწილი (მეათედი).

ფინანსთა მინისტრი დათანხმდა შეესყიდა ხაზინას ალავერდისა და შამბლუღის მიწები, ლორის-მელიქოვისათვის კი მიეცათ სათანადო სახაზინო მიწები. პროდუქციის ნაწილის მიცემაზე უარი განაცხადა.

---

[116] ამ დროს, როგორც აღნიშნული გვაქვს მეფისნაცვალი ვორონცოვი ცდილობდა ალავერდ-ახტალის საწარმოები იჯარით გაეცა, მაგრამ საამისო მსურველი არავინ აღმოჩნდა.

1871 წლის დასაწყისში კავკასიის კომიტეტმა დაადგინა:

1. ალავერდის მიწები გადავიდეს ხაზინის საკუთრებაში.

2. მემამულეებს სამაგიეროდ მიეცეთ იმავე რაოდენობით თავისუფალი სახაზინო მიწები. ამ მიზნით, მემამულეებს უფლება ეძლევათ ამოირჩიონ მიწები 2 წლის განმავლობაში.

3. მეფისნაცვალს კავკასიაში უფლება ეძლევა, საქარხნო პროდუქციის 10%-ის მიღების სამაგიეროდ მემამულეებს დამატებით მისცეს მიწების ნაკვეთები.

4. ალავერდის მიწების ხაზინის ხელში გადასვლის დროიდან გაუქმდეს მემამულე მფლობელების ყოველგვარი მონაწილეობა წარმოებაში.

ამ დადგენილების საფუძველზე, ლორის-მელიქოვს 1875 წლამდე გამოუყვეს სათანადო სამაგიერო მიწა, ხოლო პროდუქციის მეათედის უფლებისათვის, დამატებით მიწის ნაკვეთის გამოყოფაზე ლორის-მელიქოვმა უარი განაცხადა.

მეფისნაცვალი ითხოვდა, რომ ალავერდისა და შამბლუღის მადნის მრეწველები სავსებით გავათავისუფლოთ 10%-იანი სახაზინო გადასახადისაგან (მიწებისა და ტყეების სარგებლობისათვის რომ იხდიდნენ) და ქარხნები დავუმორჩილოთ იმ კანონებს, რომლებიც გამოიცემა საერთოდ კავკასიის პოსესიური ქარხნებისთვისო. ამჟამად ფინანსთა მინისტრი დაეთანხმა ამ მოსაზრებას და იმავე წელს, მეფისნაცვლის ეს მოთხოვნა დაამტკიცა იმპერატორმა[117]. ამიერიდან ბერძენი მადნისმწარმოებლები ალავერდისა და შაბლუღის ქარხნებს ფლობდნენ პ ო ს ე ს ი უ რ ი უ ფ ლ ე ბ ი ს ა და კანონების საფუძველზე.

რეფორმისშემდგომ ხანაში ალავერდის ქარხანაში გამოადნეს სპილენძი:

წლები		ფუთობით	წლები		ფუთობით
1872	—	5 154	1880	—	1 081
1873	—	7 026	1881	—	2 681
1874	—	1 573	1882	—	914
1875	—	5 252	1883	—	980
1876	—	4 072	1884	—	3 396
1877	—	3 747	1885	—	3 093
1878	—	1 846	1886	—	2 318[118]
1879	—	2 068	1887	—	2 387[119]
			ს უ ლ	—	47 568

[117] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 14, 1869, д. 109, фурц. 1—14, 80, 223—244.

[118] С. Г у л и ш а м б а р о в. ОФЗТГ, 1887. გვ. 177; საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე №№ 788, 1186, 1299, 1658.

[119] საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 1658, ფურც. 76—77.

ალავერდის ქარხანაში გამოდნობილ სპილენძს უმთავრესად ჰყიდდნენ თბილისში და ბაქოს გუბერნიის სოფელ ლაგირში. საიაც, როგორც აღნიშნული იყო, ხელოსნები სპეციალურად ეწეოდნენ სპილენძის ჭურჭლეულის დამზადებას.

შამბლუღის ქარხანაში შავი სპილენძის სუფთა სპილენძად გადადნობა, როგორც ჩანს, დაუწყიათ 1874 წლიდან.

შამბლუღის ქარხანაში გამოადნეს სპილენძი:

წლები		ფუთობით	წლები		ფუთობით
1874	—	140	1881	—	691
1875	—	96	1882	—	141
1876	—	452	1883	—	—
1877	—	1270	1884	—	95
1878	—	998	1885	—	178[120]
1879	—	154	1887	—	262[121]
1880	—	560			

სულ ამ ხნის მანძილზე შამბლუღის ქარხანაში ვამოადნეს 4 953 ფუთი სპილენძი. როგორც ცხრილიდან ჩანს შაბლუღის ქარხანაში სპილენძს გაცილებით ნაკლებს ადნობდნენ ვიდრე ალავერდის ქარხანაში.

ალავერდისა და შამბლუღის სპილენძის ქარხნების წლიური წარმადობა რამდენიმე წლის მანძილზე მოცემულია ფულადი გამოსახულებით მანეთებში. მოვიყვანოთ ეს ცნობები:

ალავერდისა და შამბლუღის ქარხნებმა გამოუშვეს პროდუქცია:

წლები			მანეთებში
1866	—	ალავერდის	— 40 000
		შამბლუღის	— 39 000[122]
1867	—	ალავერდის	— 45 000
		შამბლუღის	— 40 000[123]
1868	—	ალავერდის	— 46 000
		შამბლუღის	— 40 000[124]

---

[120] С. Гулишамбаров, ОФЗТГ გვ. 177—178, საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე №№ 750, 780, 832, 1186.

[121] საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 1542, ფურც. 27—29.

[122] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 13, 1868 г., д. I, ფურც. 199—200.

[123] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 14, 1869 г., д. 1, ფურც. 125.

[124] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 14, 1869 г., д. 153, ფურც. 156.

წლები			მანეთებში
1869	—	ალავერდის	16 000
		შამბლუღის	— 50 000[125]
1870	—	ალავერდისა და	
		შამბლუღის	
		ერთად	— 80 000[126]
1871	—	„	— 82 000[127]
1873	—	„	— 845 000[128]
1874	—	„	— 148 720[129]

როგორც აღნიშნული გვქონდა, გამოდნობილი სპილენძის ნაწილი ადგილზევე მუშავდებოდა სხვადასხვა ჭურჭლეულის გასაკეთებლად. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ზემოთ მოყვანილ წლიურ პროდუქციაში (მანეთებში გამოხატული) შედის აქ დამზადებული სპილენძის ჭურჭლეულის პროდუქციაც. ასევე შესაძლებელია აქ მოცემული იყოს მხოლოდ სპილენძის ჭურჭლეული ფულად ღირებულებაში გამოსახული. განსაკუთრებით ეს ითქმის შამბლუღის ქარხანაზე, რომელიც ცხრილში მოცემული ღირებულების ლითონს წლიურად ვერ იძლეოდა. უფრო მეტად სპილენძის ნივთების დამზადება შესაძლებელია აქ ხდებოდა.

მუშების რიცხვის შესახებ, ჩვენ საკმაო ცნობები გვაქვს XIX ს. მეორე ნახევარში, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ქარხნებში მყოფი მუშათა კონტიგენტის სიდიდეზე. ბერძნების პოსესიური მფლობელობის პერიოდში ალავერდისა და შამბლუღის ქარხნებში დასაქმებული მუშების რაოდენობა იყო:

წლები		მუშების რიცხვი			
1870	—	299[130]			
1871	—	310[131]			

1872	—	321[132]	
1873	—	214[133]	
1874	—	220[134]	

[125] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 16, 1871, д. 12. ფურც. 123.
[126] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 17, 1872, д. 36. ფურც. 159.
[127] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 18, 1873, д. 91, ფურც. 130.
[128] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 19, 1874, д. 180, ფურც. 81.
[129] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 20, 1875, д. 146, ფურც. 66.
[130] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 17, 1872, д. 36, ფურც. 159.
[131] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 18, 1873, д. 91, ფურც. 130.
[132] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 18, 1873, д. 182, ფურც. 315.
[133] ЦГИАЛ, ф. 1268, оп, 19, 1874 д. 180, ფურც. 81.
[134] ЦГИАЛ, ф. 1268, 20, 1875, д. 146, ფურც. 66.

წლები		მუშების რიცხვი	წლები		მუშების რიცხვი
1876	—	194[135]	1884	—	109[137]
1883	—	107[136]	1887	—	107[138]

მოცემულ მუშათა კონტიგენტში შედიოდა როგორც მაღაროებსა და ქარხნებში დასაქმებული სამრეწველო მუშები, ასევე დამხმარე მუშები, რომლებიც ხე-ტყის მოჭრაზე, ნახშირის დამზადებასა და მის ქარხნებში გადაზიდვაზე მუშაობდნენ. დამხმარე მუშები, ანუ ე. წ. მენახშირეები, ცხოვრობდნენ შამბლუღის ქარხნის მახლობელ სოფელ ბიანდუკში, რომლებიც. როგორც ჩანს. იმის შემდეგ, რაც დამხმარე საქარხნო სამუშაოებს ჩამოაცილეს მიწერილი ყმა-გლეხები (1850 წ.). დიდი ხნის მანძილზე ეწეოდნენ ნახშირის დამზადებას ქარხნების საჭიროებისათვის[139].

მუშათა კონტიგენტში ყოველთვის მეტი იყო მაღაროებსა და ქარხნებში დასაქმებული სამრეწველო მუშები. ალავერდის მუშათა რიცხობრივი რაოდენობა გაცილებით სჭარბობდა შამბლუღისას, სადაც მუშათა კონტიგენტი 20—25 კაცს არ აღემატებოდა.

საერთოდ, მუშათა რაოდენობა ქარხნებში მუდამ მერყეევი იყო. მუშათა რიცხვის ცვალებადობას განაპირობებდა თვით წარმოება. ზოგჯერ წარმოება მეტ მუშახელს ითხოვდა, ზოგჯერ ნაკლებს. ეს გარემოება ძირითადად დამოკიდებული იყო წარმოების შემცირებაზე, თუ მისი გაფართოების შესაძლებლობაზე.

რეფორმისშემდგომ ხანაში ალავერდისა და შამბლუღის ქარხნები, ვიდრე ისინი ფრანგთა კომპანიას გადაეცემოდა (1887 წელი), ეკუთვნოდა ბერძენ მრეწველებს პოსესიური უფლებით; საქარხნო მიწები და ტყე შეადგენდა 9000-მდე დესეტინას. აქედან ტყეს ეკავა 7 000 დესეტინა[140]. მაღაროებში მადნის ამოღებისა და ქარხნებში ლითონის მიღების საწარმოო პროცესები ძირითადად ისეთივე იყო, როგორც XIX ს. პირველ ნახევარში. რეფორმისშემდგომ ხანაში, როგორც ჩანს, საწარმოო ტექნიკა, მაინც, შედარებით გაუმჯობესებულა. ქარხანაში მოუტანიათ მანქანები. 1884 წლის ცნობით ალავერდის ქარხანაში არის ერთი ტურბინი და ერთი ორთქლის მანქანა[141]. 1887 წელს ალავერდის ქარხანაში ვხედავთ

135 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 23, 1878. д. 53, фурц. 31.

136 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 1186, ფურც. 6, 8.

137 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 1299, ფურც. 110—111.

138 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 1658, ფურც. 76—77; საქმე 1542, ფურც. 27—29.

139 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 1387, ფურც. 1.

140 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 1542, ფურც. 71.

141 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 1299, ფურც. 110.

2 ორთქლის მანქანას. ერთი 12 ცხენისძალიანი იყო, მეორე 6 ცხენისძალიანი. ტურბინი იყო 7 ცხენისძალიანი[142]. მიუხედავად ამისა, ამ ტექნიკურ სიახლეებს სპილენძის ეს სამთო მანუფაქტურები ამ დროს, ძირითადად, არ გადაუქცევია ფაბრიკულ წარმოებად.

ალავერდის სამთო-საქარხნო ამხანაგობის წესდებით „ამხანაგობაში" შემავალ მრეწველთა ურთიერთობა განისაზღვრებოდა მათი „პაიების" რაოდენობის მიხედვით. თითოეული პაი ღირდა 30 მანეთი. ასეთი „პაის" რაოდენობა 7 560 იყო. ყოველ „პაიზე" სამთო ნაწილის სამმართველო იძლეოდა განსაკუთრებულ მოწმობას.

როგორც მმართველობაში, ასევე „ამხანაგობის" საერთო კრებაზე საქმეები წყდებოდა ხმის უმრავლესობით.

ხმის უფლება საკითხის გადაწყვეტისას ჰქონდა მას ვისაც გააჩნდა არა ნაკლებ 10 პაისა. 50 პაის მქონე პირს ჰქონდა 2 ხმა, 100 პაის მქონეს — 3, 200 პაის მქონეს — 4, 300 პაის მქონეს — 5, 500 და მეტი პაის მქონეს — 6 ხმა[143].

ასეთივე წესდება გააჩნდა შამბლუღის სამთო-საქარხნო „ამხანაგობას".

ზემოთ მოყვანილი წესდების „პაიების" რაოდენობიდან კარგად ჩანს მრეწველთა დიფერენციაცია. მართალია ეს წესდებაა, მაგრამ აქ გატარებული უნდა იყოს ფაქტიური მდგომარეობა. ამხანაგობაში ზოგს დიდი კაპიტალი აქვს, ზოგს მცირე; ზოგს 300 მანეთამდე (10 პაის მქონე, თითო პაი 30 მანეთიანი), ზოგს 10 და 15 ათას მანეთამდე და მეტიც. ხმების რაოდენობაც კაპიტალის სიდიდეზეა დამოკიდებული, ე. ი. წვრილ მწარმოებელთა შორის ჩანან მსხვილი კაპიტალისტებიც.

*
* *

ახლა მოკლედ შევეხოთ ახტალის ქარხანას. როგორც ცნობილია, ახტალის ქარხანა ალავერდის ქარხანასთან ერთად ხაზინამ 1816 წელს გადასცა ბერძენ მრეწველებს, მაგრამ ბერძნებმა იგი მალე მიატოვეს, რადგან მაღაროები გამოფიტულად სცნეს. 1843 წელს თავად მელიქიშვილებს სურდათ განეახლებიათ ვერცხლის წარმოება, მაგრამ, მიუხედავად ნებართვისა, მათ ეს არ

---

142 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 1542, ფურც. 72.

143 ЦГИАЛ, ф. 37, оп. 65, д. 2193, ფურც. 15—17.

ბაუკეთებიათ[144]. გაცილებით გვიან, აქ აღმოუჩენიათ სპილენძის საბადოები. 1861 წელს დაიდო კონტრაქტი მემამულე მელიქიშვილებსა და მრეწველ ბერძენ პავლე შამანოვს შორის[145]. შამანოვის კომპანიაში სხვებთან ერთად შედიოდა შტაბს-კაპიტანი ნიკოლოზ ბარათაშვილიც[146]. იმავე წელს ახტალაში მოაწყვეს სპილენძსადნობი ქარხანა „ახტალის" სახელწოდებით. 1864 წელს დაიწყეს მადნის გამოდნობა[147]. ახტალის სპილენძსადნობ ქარხანას მისცეს შეღავათი, რაც იმაში ეამოიხატებოდა, რომ ქარხანა ხაზინას არ გადაუხდიდა წარმოებული სპილენძის მეათედს 5 წლის მანძილზე[148]. შემდეგში ახტალის წარმოების კომპანიას სათავეში უდგება შტაბს-კაპიტანი ნიკოლოზ ბარათაშვილი[149].

რამდენიმე წლის მანძილზე წარმოებული პროდუქციის შესახებ გვაქვს ცნობა. 1866 წელს ახტალაში გამოადნეს 300 ფუთი შავი სპილენძი[150]. ამ წელს ქარხანაში მუშაობდა 23 კაცი, აქედან 5 დამხმარე სამუშაოებზე[151]. შემდეგ წლებში წარმოება აქ უფრო გაზრდილა. ასე მაგალითად, 1867 წელს ახტალის სპილენძსადნობმა ქარხანამ გამოუშვა 16 000 მანეთის ღირებულების პროდუქცია[152], 1868 წელს ასევე — 16 000 მანეთისა[153], ხოლო 1869 წელს 40 000 მანეთის ღირებულების პროდუქცია[154].

1869 წელს ახტალის ქარხანას გაუთავდა შეღავათის ვადა და ამიერიდან ხაზინისათვის უნდა ეხადა სპილენძის მეათედი[155]. მაგრამ, როგორც ჩანს, სწორედ ამ წლის შემდეგ ქარხანამ შეწყვიტა მუშაობა.

ახტალის საბადოები მიტოვებული იყო 1885 წლამდე. 1885 წელს ახტალის საბადოები (130 დესეტინა) მისი ფართო ექსპლუატაციის მიზნით მელიქიშვილებისაგან იყიდა ფრანგმა ერნსტ ტიერმა 150 000 მანეთად[156]. ტიერმა დაარსა „ახტალის მაღაროების

---

144 С. Гулишамбаров, ОФЗЗК, 1894, გვ. 38.
145 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 290, ფურც. 1.
146 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 218.
147 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 290, ფურც. 1.
148 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 159, ფურც. 113.
149 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 290, ფურც. 8.
150 „Кавказский календарь", 1869, отд. 2-ое, გვ. 167.
151 Сборн. стат. свед. о Кавказе, 1869, отд. II, გვ. 78—80.
152 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 14, 1869, д. 1, ფურც. 125.
153 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 14, 1869, д. 153, ფურც. 156.
154 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 16, 1871, д. 12. ფურც. 123.
155 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 290, ფურც. 8.
156 С. Гулишамбаров, ОФЗТГ, გვ. 172, ОФЗЗК, გვ. 38—39.

ფრანგული კომპანია“ და ენერგიულად შეუდგა საქმეს — ვერცხლის მადნის ძიებას და საქარხნო სამუშაოებს. კომპანიამ დიდი კაპიტალი დახარჯა, მაგრამ ამაოდ. კომპანიამ საბადოები გამოფიტულად სცნო და შესწყვიტა თავისი საქმიანობა[157]. სამაგიეროდ მათ ხელი მოჰკიდეს ალავერდსა და შამბლულში სპილენძის მადნის დამუშავებას.

* * *

1887 წელს ალავერდისა და შამბლულის ქარხნები იჯარით გადასცეს კოლეჟსკი ასესორ იზვეკოვს. იზვეკოვმა თავის მხრივ 1888 წელს ქარხნები გადასცა „ახტალის მაღაროთა ფრანგულ კომპანიას“.

ამ დროისათვის ფრანგულ კომპანიას 4 მილიონი ფრანკი ჰქონდა. საზოგადოება იმყოფებოდა პარიზში, შარლ ლაფიტის ქუჩაზე (№ 3). კომპანიის წევრები იყვნენ: არისტიდ ბერნიე, ლამბერ დე ბოლიე, გირში, პოტიომკინი (რუსი კაპიტალისტი, რუსეთის ქვეშევრდომი, პარიზში მცხოვრები), ლახნიტი და ფორე ლე პაჟი. საქართველოში (ალავერდსა და ახტალაში) წარმოებისა და კომპანიის საქმეებს წარმართავდა საზოგადოების აგენტი, ახტალაში მცხოვრები ალექსანდრე იანოვსკი[158].

ფრანგთა კომპანიას, ცხადია, სურდა გაცილებით გაეზარდა და გაეფართოებინა წარმოება. მათ დაიწყეს ღუმელებისა და საქარხნო ნაგებობათა გადაკეთება და გარდაქმნა ალავერდში. ღუმელებისათვის საჭირო ლითონის (თუჯის) ნაწილები დაამზადეს ნაწილობრივ თბილისში, რენკვისტის თუჯსასხმელ ქარხანაში, ნაწილობრივ კი გამოიწერეს ევროპიდან. ევროპიდანვე გამოიწერეს ახალი ძლიერი ჰაერსაბერი მანქანა. 1889 წელს ფრანგთა კომპანიამ გაწმინდა ბერძენთა ძველი გამონამუშევრები (გვირაბები). ასეთივე სამუშაო ჩატარდა შამბლულის მაღაროებშიც[159]. უნდა აღინიშნოს რომ კომპანიამ უკეთ მოაწყო სპილენძის წარმოება ალავერდსა და შამბლულში.

კომპანია ხაზინას უხდიდა ყოველ გამოდნობილ ფუთ სპილენძზე 75 კაპიკს. 1892 წელს კომპანიის მეთაურმა არისტიდ ბერნიემ მთავრობას სთხოვა 5 წლით გაეთავისუფლებინა კომპანია ამ გადასახადისაგან, მაგრამ უარი უთხრეს[160].

---

[157] საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 1908, ფურც. 174; საქმე 2094.

[158] საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 2094, ЦГИАЛ, ф. 37, оп. 65, д. 405.

[159] საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 1908, ფურც. 86, 174—175.

[160] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 65, д. 405.

ფრანგების ხელში, როგორც ჩანს, სპილენძის გამოდნობა ხდებოდა მხოლოდ ალავერდის ქარხანაში, შამბლუღში მარტო მადანს იღებდნენ. ფრანგთა კომპანიის არსებობის მანძილზე, ალავერდის ქარხანაში გამოადნეს სპილენძი:

წლები		ფუთობით	წლები		ფუთობით
1888	—	1 840[161]	1895	—	8 417
1889	—	1 300[162]	1896	—	4 540[165]
1891	—	2 344[163]	1897	—	4 490[166]
1892	—	4 740[164]	1898	—	3 849[167]
1894	—	6 554			

მუშების რაოდენობა ამ პერიოდში ალავერდის ქარხანაში იყო:

წლები		მუშების რიცხვი	წლები		მუშების რიცხვი
1888	—	85[168]	1892	—	104[172]
1889	—	60[169]	1899	—	300[173]
1890	—	48[170]	1901	—	500[174]
1891	—	91[171]			

1900 წელს ფრანგთა კომპანიას მუშაობა შეუჩერებია[175]. რა მიზეზის გამო, ეს ჩვენ არ ვიცით. ამავე, 1900 წელს ალავერდის ქარხანა იჯარით აქვს აღებული „კავკასიის სამრეწველო და მეტალურგიულ საზოგადოებას". შესაძლებელია ფრანგთა კომპანიაც ამ საზოგადოებაში შევიდა.

---

161 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 1658, ფურც. 76—77.
162 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 1908, ფურც. 16.
163 «Кавказский календарь», 1893, გვ. 60.
164 «Кавказский календарь», 1894, отд. V, გვ. 230.
165 «Кавказский календарь», 1898, отд. III, გვ. 84.
166 «Кавказский календарь», 1899, отд. III, გვ. 56.
167 «Кавказский календарь», 1900, отд. III, გვ. 54.
168 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 1658, ფურც. 76—77.
169 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 1908, ფურც. 16.
170 «Кавказский календарь», 1892, отд. 2-ое გვ. 30.
171 «Кавказский календарь», 1893, გვ. 60.
172 «Кавказский календарь», 1894, отд. V, გვ. 230.
173 «Кавказский календарь», 1903, отд. III, გვ. 76.
174 „Кавказский вестник", 1901, № 10, გვ. 52.
175 „ქვალი", 1900, № 12, გვ. 183.

ამ საზოგადოების ხელში, დაწყებული 1900 წლიდანვე. ალავერდის სპილენძის სამთო-საქარხნო წარმოებამ საქართველოში არნახულ განვითარებას მიაღწია. ჯერ კიდევ 1899 წელს ფრანგთა კომპანიის ხელში, მაღაროებში ამოიღეს 707 307 ფუთი მადანი[176], რაც წარმოების გაფართოებულ და გაუმჯობესებულ ტექნიკაზე მიუთითებდა. ამ დროიდან ალავერდის სპილენძის მანუფაქტურა ფაბრიკულ წარმოებად გადაიქცა.

1901 წელს ალავერდის საქარხნო „კოლონია" შედგებოდა 25 შენობისაგან. აქ იყო დუქნები, პურის საცხობები, საავადმყოფო ექიმითა და ფელდშერით, აფთიაქი. მუშებისათვის აშენებული იყო ორი დიდი ყაზარმა. მუშების რაოდენობა ამ წელს 500 კაცს შეადგენდა[177].

ქარხანაში სპილენძის გამოდნობა ხდებოდა არა ხის ნახშირით, არამედ კოქსით, მანქანის მექანიზმები მოძრაობაში მოჰყავდათ ბენზინის ძრავით. ღუმელების ყველა ნაწილი ევროპიდან და ამერიკიდან ჩამოიტანეს. ქარხანაში მადნის გადასატანად მოწყობილი იყო ერთვერსიანი რკინიგზები[178].

ნათელი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, იმაზე თუ რაოდენ გაიზარდა წარმოება XIX ს. მიწურულიდან, მივმართოთ სათანადო ცნობებს.

ალავერდის მაღაროებში ამოიღეს მადანი:

წლები		ფუთობით	წლები		ფუთობით
1899	—	707 307[179]	1902	—	1 497 490[182]
1900	—	536 458[180]	1903	—	1 558 740[183]
1901	—	1 980 000[181]	1913	—	4 მილიონზე მეტი[184]

---

176 «Кавказский календарь», 1901, отд. III, зд. 76.
177 «Кавказский вестник» 1901, № 10, зд. 52.
178 «Кавказский календарь», 1903, отд. III, зд. 55.
179 «Кавказский календарь», 1901, отд. III, зд. 76.
180 «Кавказский календарь», 1902, отд. III, зд. 56.
181 «Кавказский календарь», 1903, отд. III, зд. 51.
182 «Кавказский календарь», 1904, отд. III, зд. 61.
183 «Кавказский календарь», 1905, отд. III, зд. 52.
184 Отчет кавказского горного управления за 1913 г., зд. 71—75.

ალავერდის ქარხანაში გამოადნეს სპილენძი:

წლები		ფუთობით	წლები		ფუთობით
1900	—	19 682[185]	1906	—	84 455[189]
1901	—	59 769[186]	1908	—	102 707
1903	—	75 397[187]	1912	—	233 648[189]

როგორც ვხედავთ, XIX ს. მიწურულს — 1900 წელს გამოადნეს 19 682 ფუთი სპილენძი და ამით გადააჭარბეს ერეკლეს დროინდელ — XVIII ს. 70-იანი წლების წლიურ საქარხნო პროდუქციას. წარმოდგენა რომ ვიქონიოთ თუ რამდენად გაიზარდა სპილენძის წარმოება ალავერდში XIX ს. მიწურულიდან წინა ხანასთან შედარებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ 1852 წლიდან 1901 წლამდე, ნახევარი საუკუნის მანძილზე (XIX ს. მეორე ნახევარში) ალავერდის სპილენძის მაღაროებიდან ამოიღეს 6 983 477 ფუთი მადანი და გამოადნეს 208 243 ფუთი სპილენძი[190], ე. ი. წლიურად საშუალოდ მოდის 4 000 ფუთი გამოდნობილი სპილენძი. მარტო 1912 წელს კი, ალავერდის ქარხანაში გამოადნეს 233 648 ფუთი სპილენძი, უფრო მეტი ვიდრე მთელი XIX ს. მეორე ნახევარში ერთად აღებული.

ალავერდში წარმოებული სპილენძი XX საუკუნის დასაწყისში გაჰქონდათ რკინიგზით. უმთავრესად მიჰქონდათ მოსკოვში ვოგაუს ფირმაში. ფირმა ადებდა ფასს ლითონზე, ინგლისის ბაზრებზე არსებული სპილენძის ფასების მიხედვით[191].

* * *

ალავერდის გარდა, სპილენძის წარმოება XIX ს. 90-იანი წლებიდან ვითარდება სამხრეთ საქართველოში, ჩვენს ძველისძველ მიწა-წყალზე. როგორც ცნობილია, რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლების ომის შედეგად საქართველოს დაუბრუნდა ბათუმისა და ართვინის ოლქები, რომლებიც მდიდარია მადნეულით. მათ სულ

---

185 «Кавказский календарь», 1902, отд. III, გვ. 56.

186 «Кавказский календарь», 1903, отд. III, გვ. 51.

187 «Кавказский календарь», 1905, отд. III, გვ. 52.

188 «Кавказский календарь», 1909, отд. IV, გვ. 507.

189 პ. გუგუშვილი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბ., 1941, გვ. 253.

190 «Кавказский вестник», 1901, № 10, გვ. 52,

191 «Кавказский календарь», 1904, отд. III, გვ. 67.

მალე დაიკავეს მნიშვნელოვანი ადგილი საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკაში. სამთო მადნეულთა შორის განსაკუთრებით დიდი დამუშავება ჰპოვა სპილენძმა, რომლის მდიდარი საბადოები აქ ათეულობით აღმოჩნდა. აიგო სპილენძის სადნობი ქარხნები, რომლებიც მნიშვნელოვან პროდუქციას უშვებდნენ[192].

საქართველოს 900-იან წლებში სპილენძის წარმოების მხრივ პირველი ადგილი ეკავა კავკასიაში. საქართველოს შემდეგ სპილენძის წარმოების მხრივ მეორე ადგილზე იყო განჯის მაზრა. აქ ქედაბეგის სპილენძსადნობი ქარხანა პოსესიური უფლებით აღებული ჰქონდათ ძმებ სტიმენსებს.

ამიერკავკასიაში წარმოებული სპილენძის ნაწილი ამ ხანაში იყიდებოდა ადგილზე ჭურჭლეულის დასამზადებლად. დიდი ნაწილი კი ბათუმისა და ბაქოს გზით გაჰქონდათ რუსეთის ბაზრებზე.

*

* *

როგორც ვხედავთ, სპილენძის წარმოება საქართველოში ბოლოსდაბოლოს მყარ საფუძველზე დადგა. მაგრამ ეს მოხდა გვიან— XIX ს. დასასრულსა და XX ს. დასაწყისში. ისმება კითხვა: რატომ ვერ შეძლეს XIX საუკუნეში ბერძენმა მრეწველებმა წარმოების გაფართოება და განვითარება? პასუხი ასეთია: ბერძენი მეწარმეები არ ეწეოდნენ მადნის წესიერ დამუშავებას. ისინი მხოლოდ სარგებლობდნენ მდიდარი მადნებით, სადაც მათ წააწყდებოდნენ, და მაღაროებში დაუმუშავებლად ტოვებდნენ მადნების მთელ მასას. წარმოებას — მადნის ამოღებასა და გამოდნობას ახდენდნენ ძველებურად, მამაპაპურად — ხელოსნური ტექნიკით, ძველი ხერხებითა და მეთოდებით. ამ მხრივ მათ ტრადიციისათვის არ უღალატიათ. ცხადია, ძველი ხელოსნური ტექნიკითა და ხერხებით წარმოება ვერ განვითარდებოდა. ქარხნებში არ იყენებდნენ დროის შესაფერის ტექნიკურ სიახლეს. 80-იან წლებში აქ ჩვენ ვხედავთ ორიოდე ორთქლის მანქანას, მაგრამ მას არ გარდაუქმნია წარმოება და ბერძნებმა ვერ შეძლეს სპილენძის მანუფაქტურული წარმოება ალავერდში შეეცვალათ ფაბრიკულით. XIX საუკუნეში ბერძნების მფლობელობაში მყოფი სპილენძის ქარხნების წლიური წარმადობა იყო ძალიან დაბალი იმ დროის პირობებისა და ტექნიკის პროგრესთან შედარებით.

საერთო მიზეზი კი, რომელიც ყველა დანარჩენ მიზეზს განაპირობებდა, იყო კაპიტალიზმის შედარებით სუსტი განვითარება საქართველოში XIX ს. 80-90-იან წლებამდე. კაპიტალიზმის გან-

---

[192] Батуми и его окрестности, 1906, გვ. 450—456.

ვითარების ძლიერი ტალღა რომ ყოფილიყო საქართველოში (როგორც ეს იყო ევროპაში), იგი მალე გარდაქმნიდა „ბერძნულ“ წარმოებას ალავერდ-შამბლუღში და ფაბრიკული წარმოების დანერგვით დროის შესაფერ დონემდე დააყენებდა. მანქანური წარმოება. რომელიც ძირფესვიან გადატრიალებას ახდენს კაპიტალისტურ წარმოებაში საერთოდ და, კერძოდ, მრეწველობაში, საქართველოში შედარებით სწრაფად ვითარდება 80 და განსაკუთრებით 90-იანი წლებიდან. ამ დროიდან კაპიტალისტური მრეწველობის უმაღლესი სტადიის — მანქანური წარმოების განვითარების გავლენა ალავერდ-შამბლუღის სპილენძის წარმოებასაც შეეხო და გარდაქმნა იგი.

როგორც XVIII საუკუნეში, ასევე XIX ს. მთელ სიგრძეზე ალავერდისა და შამბლუღის სპილენძის „ქარხნები“ ტექნიკური დონითა და შრომის ორგანიზაციით სამთო მანუფაქტურები იყო. XIX საუკუნის მიწურულიდან კი აქ ვითარდება სპილენძის ფაბრიკული წარმოება.

რაც შეეხება ახტალის ვერცხლსადნობ „ქარხანას“, იგი მთელი მისი არსებობის პერიოდში სამთო მანუფაქტურა იყო.

ფულის მოჭრის წარმოება. თბილისის ზარაფხანა.

რუსეთთან შეერთების დროს საქართველოში, ქართული ფულის გარდა, მიმოქცევაში იყო სხვა ფულიც, სახელდობრ, განჯის, შაქის (ნუხის), ყარაბაღის, შარვანის სახანოების, სპარსეთისა და თურქეთის ფული. ეს ფულები XIX ს. პირველ ათეულ წლებში და შემდეგაც დიდხანს იყო ხმარებაში. ფულები იყო სხვადასხვა წონისა და ღირსების (ლითონის მხრივ). რუსული ფული პირველ ხანებში, ბუნებრივია, ერთბაშად ვერ შევიდა მიმოქცევაში. განსაკუთრებით გაძნელდა რუსული „ჩერვონეცის“ დახურდავება და გაცვლა ადგილობრივ ფულზე.

1802 წელს მუსინ-პუშკინმა ეს გარემოება აცნობა მთავრობას. იგი სწერდა, რომ რუსული ფულის კურსი დაბალია. რის გამო დიდად ზარალდებიან მოხელეები რომლებიც ხელფასს ღებულობენ. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა პატარა ზარაფხანის მოწყობა ხურდა (წვრილი)ფულის მოსაჭრელადო.

ამ წარდგინების შედეგად, 1802 წ. 21 ოქტომბრის ბრძანებულების თანახმად საქართველოში უნდა მოეჭრათ ვერცხლის ფული: აბაზიანები, ნახევარაბაზიანები და ორაბაზიანები, სპილენძის

ფული: „გროშები“ (ნახევარი კაპიკი), „კაპიკიანები“ და „დენეჟ-კები“. ფულზე უნდა ყოფილიყო ქართული წარწერა: ერთ მხარეზე „ტფილისი“, მეორე გვერდზე „ქართული ფული“. ნახევარაბაზიანი უდრიდა რუსულ 10 კაპიკს, აბაზიანი — 20 კაპიკს, ორაბაზიანი — 40 კაპიკს[193].

ვერცხლის ფულის წონისა და სინჯის განსაზღვრა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, მუსინ-პუშკინს მიანდვეს.

პეტერბურგიდან ფულის მოჭრის საქმისათვის საჭირო ზოგიერთი მანქანა-ხელსაწყოების მიღებისა და ასევე მოხელის და ოსტატების მოსვლის შემდეგ, პუშკინი შეუდგა ზარაფხანის მოწყობას. ზარაფხანის მმართველად მან ამოირჩია ორი სამთო მოხელე: შიშმარიოვი და ზაიცევი. მათ მისცა სახელმძღვანელო ინსტრუქცია, რომელიც ზარაფხანის არსებობის მთელ მანძილზე საფუძვლად ედო ფულის მოჭრის საქმეს საქართველოში.

იმ დროს აღმოსავლეთ საქართველოში არსებული აზიური ფული მაღალი ღირსებისა (მაღალი ხარისხისა) იყო. ამიტომ, საზოგადოების ნდობის მიზნით, პუშკინმა თავისი ინსტრუქციით დაადგინა მოეჭრათ ქართული ვერცხლის ფული 88-ე სინჯისა, შემდეგი წონით: ორაბაზიანი — 1 მისხალი და 46 ნაწილი, აბაზიანი— 71 ნაწილი და ნახევარაბაზიანი — 35½ ნაწილი (რუსული წონით „ნაწილი“ (доля) უდრიდა მისხლის $^1/_{96}$ წილს, ანუ 44 მილიგრამს. ქართული მისხალი იწონიდა რუსულ 104 „ნაწილს“)[194].

ქართული ფულის მოსაჭრელად ლითონი (ვერცხლი) უნდა შეეძინათ ნამტვრევების (ნატეხების), ზოდებისა და სხვადასხვა აზიური ფულის სახით. ქართული წონის ერთი მისხალი წმინდა ვერცხლი უნდა ეყიდათ არაუმეტეს 26 კაპიკად (ვერცხლით). თავისუფალ დროს ზაფხულში (როცა არ ხდებოდა ვერცხლის ფულის მოჭრა-გადაკეთება) უნდა მოეჭრათ სპილენძის ფული. ფუთი სპილენძისაგან უნდა მოეჭრათ 21 მანეთი შემდეგი სახისა: ორკაპიკიანები, წონით 3 მისხალი და 62 ნაწილი; კაპიკიანები. წონით 1 მისხალი და 79 ნაწილი და „დენეჟკები“ წონით 87½ ნაწილი.

ამ საფუძველზე თბილისის ზარაფხანამ დაიწყო მუშაობა 1804 წლის 14 სექტემბერს. იგი პირველად მოთავსებული იყო ყოფილ სამეფო აბანოებში. ზარაფხანის მოწყობა მთლიანად დაჯდა 3350 მანეთი ვერცხლით. წარმოების დაწყებისას ზარაფხანამ მიიღო ახტალის ქარხნებში გამოდნობილი ერთ ფუთამდე ვერცხლი და 1000 მანეთი საწარმოო ბრუნვისათვის[195].

---

[193] „Горный журнал“ 1832, С.—Петербург, ч. I, кн. 1, გვ. 110—112.
[194] იქვე.
[195] იქვე.

თბილისის ზარაფხანის, წარმატებითი მუშაობა დამოკიდებული იყო ფულის, მოსაჭრელად საჭირო ვერცხლის რაოდენობაზე. ვერცხლს იგი ღებულობდა ახტალის ვერცხლსადნობი ქარხნიდან (სანამ აქ მისი გამოდნობა წარმოებდა) და კერძო პირებისაგან აზიური ფულების შესყიდვის გზით. მაგრამ, როგორც ვიცით, ახტალის წარმოებაში XIX ს. დასაწყისიდან ცოტა რაოდენობით ღებულობდნენ ვერცხლს, ხოლო კერძო პირებისაგან აზიური ფულების თუ სხვა სახით ვერცხლის გაცვლა-შესყიდვა. დაბრკოლებებს აწყდებოდა. გარდა ამისა, როგორც ჩანს, თბილისის ზარაფხანა სრულყოფილად არ იყო მოწყობილი (ვიწრო შენობა, ოსტატების სიმცირე და სხვ.). ყოველივე ამან განაპირობა მისი წლიური წარმადობის შედარებით დაბალი დონე.

მუსინ-პუშკინის გარდაცვალების შემდეგ საქართველოში სამთო წარმოების გასაცნობად გამოგზავნეს ბერგჰაუპტმანი ლოგინოვი, რომელიც შეეცადა გაეუქმებინა ეს ზარაფხანა, რადგან ხაზინისათვის წამგებიანიაო. მაგრამ სანამ ეს საკითხი იხილებოდა, მთავარმმართველმა გენ. რტიშჩევმა წამოაყენა წინადადება, რომ ამიერკავკასიაში ასიგნაციების მიმოქცევაში შესატანად აუცილებელი იყო ამიერკავკასია მოემარაგებინათ სპილენძის ფულის მნიშვნელოვანი რაოდენობით. ამიტომ აზრი გამოთქვეს თბილისის ზარაფხანას მოეჭრა სპილენძის ფული დიდი რაოდენობით. მაგრამ სათანადო ცნობებით გამოარკვიეს, რომ უფრო ხელსაყრელი იყო საქართველო მოემარაგებინათ სპილენძის ფულით ეკატერინბურგიდან, ვიდრე მოეჭრათ იგი აქ, ზარაფხანაში[196]. ამიტომ უფროსობას 1823 წელს გადაწყვეტილი ჰქონდა გაეუქმებინა თბილისის ზარაფხანა, მაგრამ იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა 1824 წლის ბრძანებით იგი დატოვა წინანდელ მდგომარეობაში[197].

როდესაც გამოვიდა იმპერატორის აღნიშნული განკარგულება, თბილისის ზარაფხანის გაუმჯობესებისა და წარმატებითი მუშაობისათვის პეტერბურგიდან გამოგზავნეს სამთო მოხელეები ტრიფონოვი და შჩერბაევი 12 ოსტატითა და საჭირო ინსტრუმენტებით. ეს ოსტატები მუშაობდნენ ზარაფხანაში მის გაუქმებამდე.

გაფუჭებული მანქანების შეკეთების შემდეგ, ისევ შეუდგნენ ფულის მოჭრას 1826 წლიდან. ფულს სჭრიდნენ ზარაფხანაში დარჩენილი ვერცხლიდან. მაგრამ ერთ წელზე მეტი ხნის უმოქმედობამ (1825 წელს ფული არ მოუჭრიათ ზარაფხანაში) და სპარსეთთან საომარი მოქმედების დაწყებამ გაართულა ვერცხლის შოვნა, რასაც უნდა გამოეწვია საწარმოს სრული შეჩერება. მაგრამ

---

[196] იქვე, გვ. 113—114.

[197] ЦГИАЛ, ф. 1152, т. II, 1832, д. 21, ფურც. 71.

ამ დროს სახაზინო ექსპედიციაში აღმოჩნდა დაგროვილი ნუხის აბაზიანები, სხვა აზიური ფულებიც მნიშვნელოვანი რაოდენობით და იგი გადასცეს თბილისის ზარაფხანას ქართულ ფულად გადასაკეთებლად. სახელდობრ, ზარაფხანამ სხვადასხვა ვერცხლის ფული სახაზინო ექპედიციიდან 1826 წლიდან დროდადრო მიიღო 110 ფუთი, რომლის გადაკეთებას ქართულ ფულად იგი ახდენდა 1828 წლის მაისის თვემდე. მიღებულ ვერცხლს, ქართულ ფულად გადაკეთებულს, ზარაფხანა უკანვე აბარებდა სახაზინო ექსპედიციის უწყებას.

1828 წელს სპარსეთთან დადებული საზავო ხელშეკრულების ძალით რუსეთმა მიიღო დიდი რაოდენობით საკონტრიბუციო ოქროსა და ვერცხლის ფული. ოქრო მთლიანად, ხოლო ვერცხლის დიდი ნაწილი გაიგზავნა პეტერბურგში. საკონტრიბუციო ვერცხლის ფულის ნაწილი, სახელდობრ 500 ფუთი, რუსეთის მთავრობამ დატოვა თბილისში ქართული ფულის მოსაჭრელად (გადასაკეთებლად). მისი მოჭრა ქართულ ფულად დაიწყო 1828 წლის აგვისტოდან, რაც გრძელდებოდა მის დახურვამდე[198].

არსებობს მონაცემები (უწყისები), სადაც მოცემულია თბილისის ზარაფხანის მიერ მოჭრილი ფულის რაოდენობა მანეთებში და ასევე მოჭრილი ფულადი ერთეულების რაოდენობა მისი ამუშავებიდან (1804 წ.) დახურვამდე (1833 წ.). მოგვყავს ეს მონაცემები.

1804 წლიდან 1833 წლამდე თბილისის ზარაფხანაში მოჭრეს ქართული ფული:

წლები	მანეთი	კაპიკი	წლები	მანეთი	კაპიკი
1804 }	2 625	—	1818	35 554	40
1805 }			1819	44 160	20
1805	14 687	20	1820	47 184	40
1806	21 341	—	1821	33 289	70
1807	30 331	20	1822	10 761	20
1808	30 630	80	1823	17 052	20
1809	36 806	40	1824	14 443	20
1810	9 082	—	1825	—	—
1811	2 009	40	1826	31 658	10
1812	25 276	20	1827	69 583	40
1813	20 608	90	1828	43 187	80
1814	8 595	60	1829	85 396	60
1815	8 865	40	1830	109 387	20
1816	13 008	20	1831	131 621	80
1817	20 992	20			
			1832	83 918	—
			1833	46 110	—
			ს უ ლ	1 056 545	10[199]

[198] „Горный журнал" 1832, ч. 1, кн. 1, გვ. 114—116.
[199] იქვე, გვ. 117, Горный журнал, 1836, ч. II, кн. 5, გვ. 394.

როგორც ვხედავთ, თბილისის ზარაფხანაში 1804 წლიდან 1833 წლამდე მოიჭრა ქართული ფული 1 056 545 მანეთი და 10 კაპიკი. ფული მოჭრილი იყო 88-ე სინჯის.

ქართული ფულის ერთეულები მოჭრეს შემდეგი რაოდენობით:

წლები	ორაბაზიანები		აბაზიანები		ნახევარაბაზიანები		ს უ ლ	
	მანეთი	კაპ.	მანეთი	კაპ.	მანეთი	კაპ.	მანეთი	კაპ.
1804	ცნობილი	არაა						
1805 } 1806 }	10553	60	3724	60	409	—	14 687	20
1806	16 608	—	4626	—	107	—	21 341	—
1807	28 472	40	1850	80	8	—	30 331	20
1808	27 895	20	2735	60	—	—	30 630	80
1809	33 459	20	3347	20	—	—	36 806	40
1810	8 182	40	859	80	39	80	9 082	—
1811	1 842	—	167	40	—	—	2 009	40
1812	23 488	—	1715	20	75	—	25 276	20
1813	19 119	80	1362	20	127	90	20 608	90
1814	8 017	40	578	20	—	—	8 595	60
1815	8 209	60	665	80	—	—	8 865	40
1816	11 977	20	1031	—	—	—	13 008	20
1817	19 616	80	1375	40	—	—	20 992	20
1818	33 864	80	1689	60	—	—	35 534	40
1819	42 074	40	2085	80	—	—	44 160	20
1820	44 729	20	2455	20	—	—	47 184	40
1821	30 186	40	2729	40	373	90	33 289	70
1822	9 693	60	973	60	94	—	10 761	20
1823	15 634	—	1041	20	377	—	17 052	20
1824	12 948	80	1098	20	396	20	14 443	20
1825		არ	მოუჭრიათ					
1826	30 057	60	1087	60	512	70	31 657	90
1827	68 902	80	—		680	60	69 583	40
1828	50 202	40	—		1363	—	51 565	40
1829	85 202	40	—		194	20	85 396	60
1830	109387	20	—		—	—	109387	20
1831	127858	80	—		3762	—	131621	80
1832	83 568	—	—		350	—	83 918	—
1833	46 110	—	—		—	—	46 110	—
სულ	1 007 862	—	37 189	80	8 868	30	1 053 920	10

როგორც ეს ცხრილიდან ჩანს, ზარაფხანაში უმთავრესად იჭრებოდა ორაბაზიანები. იგი წარმოების მუშაობის პერიოდში, 1804 წლის გამოკლებით (რომლის შესახებ ჩვენ ცნობა არ მოგვეპოვება), ზარაფხანაში მოჭრეს 1 007 862 მანეთი, მაშინ როდესაც

აბაზიანები მოკრეს 37 189 მანეთი და 80 კაპ., ხოლო ნახევარაბაზიანები 8 868 მანეთი და 30 კაპ.

1805—1810 წლებში ზარაფხანაში მოკრეს სპილენძის ფული: გროშები, კაპიკები და „დენეჟკები", სულ 8 310 მანეთის ოდენობით; აქედან, გროშები—7 224 მანეთისა და 66 კაპიკის ოდენობით, კაპიკები — 992 მანეთისა და 10 კაპიკის, ხოლო „დენეჟკები" — 94 მანეთისა და 13 კაპიკის რაოდენობით[200]. სპილენძის ფულის მოკრა შეწყდა 1810 წელს[201]. სპილენძის ფული რატომღაც არ გაუშვიათ მიმოქცევაში.

თბილისის ზარაფხანამ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ხაზინისათვის წამგებიანად მუშაობდა, თავისი დაარსებიდან 1828 წლამდე ხაზინას მოუტანა მოგება 41 471 მანეთი ვერცხლით[202]. 1828 წლის შემდეგ კი, უეჭველია, იგი ხაზინას კიდევ უფრო მეტ მოგებას მოუტანდა, რადგან ამ წლიდან დიდი რაოდენობით სპარსეთის საკონტრიბუციო ვერცხლის ფულის მიღების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა წარმოების დატვირთვა და მისი წლიური წარმადობა.

XIX ს. პირველ ათეულ წლებში რუსული ფული საქართველოში თანდათან შედის მიმოქცევაში. ამიტომ რუსეთის მთავრობამ, ერთიანი ფულადი სისტემის არსებობის მიზნით, გადაწყვიტა გაეუქმებინა თბილისის ზარაფხანა, სადაც ქართული ფული იჭრებოდა, მთავრობის ამ განზრახვამ გამოხატულება ჰპოვა საქართველოში სარევიზიოდ ჩამოსული სენატორების კუტაისოვისა და მეჩნიკოვის მოხსენებაში, რომლებიც მოითხოვდნენ თბილისის ზარაფხანის გაუქმებას. ფინანსთა მინისტრი 1832 წელს დაეთანხმა სენატორების მოსაზრებას და წინადადება წამოაყენა საქართველოში საჭირო ფული რუსეთიდან გაეგზავნათ[203].

ამის შემდეგ სახელმწიფო საბჭოს 1832 წლის პირველი ივნისის გადაწყვეტილებით (სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ამ დროს იყო გრაფი კოჩუბეი), რომელიც იმპერატორმა დაამტკიცა, გაუქმდა თბილისის ზარაფხანა. დარჩენილი ვერცხლიდან უნდა მოეჭრათ ფული და ამით დაემთავრებინათ საქმე[204]. ამიტომ დარჩენილი ფულის მოკრა თბილისის ზარაფხანაში ხდებოდა 1833 წელსაც, რის შემდეგ იგი ამავე წელს საბოლოოდ დაიხურა.

---

[200] „Горный журнал", 1836, ч. II, кн. 5, გვ. 394—395.
[201] ЦГИАЛ, ф. 1152, т. II, 1832, д. 21, л. 72.
[202] „Горный журнал" 1832, ч. 1, кн. 1, გვ. 113—117.
[203] ЦГИАЛ, ф. 1152, т. II, 1832, д. 21, л. 72.
[204] იქვე, ფურც. 59—60.

აზიური ფულებისა და სხვა კეთილშობილი ლითონების მისაღებად კი თბილისში უნდა დაარსებულიყო სასინჯაო პალატა.

ჩათახის რკინისა და თუჯსასხმელი ქარხანა

რეფორმამდელ ხანაში საქართველოში ცოტა იყო თუჯი და რკინა. ადგილობრივ მოპოვებული რკინა მასზე მოთხოვნილების უმნიშვნელო ნაწილს აკმაყოფილებდა, დიდი ნაწილი კი რუსეთიდან შემოჰქონდათ დარიალის ხეობით, შავი და კასპიის საზღვაო გზებით.

XIX საუკუნის 50-იან წლებში რუსეთიდან ამიერკავკასიაში წლიურად შემოჰქონდათ 150 000-მდე ფუთი რკინა და მისი ნაკეთობანი. აქედან მარტო თბილისი ყოველწლიურად ხმარობდა 35 000 ფუთამდე რკინასა და მის ნაკეთობას. რუსეთიდან რკინის მოტანა დიდ სატრანსპორტო ხარჯებს ითხოვდა. ამიტომ იგი ამიერკავკასიაში და განსაკუთრებით თბილისში ძვირი იყო. 1852 წელს ფუთი რკინა საშუალოდ ფასობდა: ბაქოში 1,64 მანეთი, ხოლო თბილისში 2,97 მანეთი. ფუთი ფოლადი ბაქოში ღირდა 2,35 მანეთი, თბილისში კი 4,16 მანეთი[205]. ქვეყნის ეკონომიური განვითარება უფრო და უფრო ითხოვდა ლითონს. დაიწყო ადგილობრივი რკინის სამადნეების აღმოჩენა და შესწავლა. გეოლოგების ყურადღება მიიპყრო ბოლნისის რკინის სამადნოებმა.

გადმოცემა და წარმოების ნაკვალევი ბოლნისში იმაზე მეტყველებს, რომ ეს საბადოები მუშავდებოდა ძველი დროიდან, ქართველი მეფეების დროს. 1795 წელს აღა-მაჰმადხანის შემოსევისას აქ მოსახლეობის მნიშვნელოვანი რაოდენობა განადგურდა, რის შედეგად შეწყვიტეს რკინის წარმოება. როგორც ჩანს, შემდგომ წლებში კვლავ მოუკიდიათ ხელი წარმოებისათვის, მაგრამ მეტად მცირე მასშტაბით.

1807 წელს ბერგჰაუპტმან ლოგინოვმა აქ ინახულა რკინის დამუშავება, რომელსაც ბოლნისის მცხოვრებნი განსაკუთრებულ მოწყობილ ღუმელებში ადნობდნენ. პროდუქციას მცირეს ამზადებდნენ — წლიურად 300 ფუთ რკინას[206]. შემდეგ კი წარმოება სრულიად შეწყდა.

შემდეგში, 1850 წელს, პირველად აკადემიკოსმა-გეოლოგმა აბიხმა მიაქცია ყურადღება ბოლნისის საბადოს და იგი მდიდარ საბადოდ ცნო. ამ დროს აქ დაზვერვებსა და ცდებს მადნის ნიმუშებზე აწარმოებდა სამთო ნაწილის მმართველი კავკასიაში გენ. ივა-

---

[205] პ. გუგუშვილი. კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, გვ. 242.

[206] ЦГИАЛ. ф. 37, оп. 65, д. 1988, фурц. 28.

ნიკკი. იგი დარწმუნდა, რომ „ბოლნისის საბადო შეიძლება ჩაითვალოს ევროპის საუკეთესო მადანთა რიცხვში"[207]. რაკი იცოდნენ, რომ ამიერკავკასიაში ყოველწლიურად იზრდებოდა მოთხოვნილება რკინაზე, გენ. ივანიცკიმ საჭიროდ ცნო ბოლნისის ხეობაში მოწყობილიყო სახაზინო თუჯსასხმელი ქარხანა. მაგრამ მას მხარი არ დაუჭირა მეფისნაცვალმა ვორონცოვმა, რომელიც საერთოდ მომხრე არ იყო სამთო წარმოებანი მოეწყოთ ხაზინის ხარჯზე და გამოყენებულიყო სახაზინო მოსახლეობის იძულებითი შრომა. ამავე 1850 წელს, ამ საბადოს დასამუშავებლად, პირველად სცადეს შეექმნათ კერძო ამხანაგობა, მაგრამ ეს ცდა წარუმატებლად დამთავრდა[208].

შემდეგ ბოლნისის რკინის დამუშავების საკითხი კვლავ წამოაყენა გენ. ივანიცკიმ მეფისნაცვალ ბარიატინსკის დროს. ბარიატინსკი დათანხმდა და ბრძანება გასცა შეედგინათ პროექტი ბოლნისის საბადოთა დასამუშავებლად.

ბოლნისში მოსაწყობ თუჯსასხმელ ქარხანაში უნდა გამოედნოთ 360 000 ფუთი თუჯი წლიურად და გადაედნოთ სხვადასხვა ნაკეთობისათვის. გამოანგარიშებით ქარხნის მოწყობა უნდა დამჯდარიყო 390 000 მანეთი[209].

მთავრობის მოწოდებაზე პირველად გამოცხადდა ბადენელი კონსული ოდესაში ერნსტ ლიბი.

1860 წელს ერნსტ ლიბმა თავის იდო ბოლნისის ხეობაში (ბორჩალოს უბანი), სოფელ ჩათახში მოეწყო რკინისა და თუჯის ქარხანა. მთავრობა და ლიბი შეუდგნენ საქმეს. ამ წლის 26 ივნისს დაიდო ხელშეკრულება მთავრობასა და ლიბს შორის, რომლის თანახმად ლიბს ქარხნის მოწყობისათვის მიეცა 20 000 მანეთი სესხი 10 წლით[210]. ლიბს უნდა დაემუშავებინა ბოლნისის სამადნეები და ქარხანა მოეწყო ბრძმედებით ან ღუმელებით თუჯისა და რკინის მისაღებად.

ხაზინამ ქარხნის მოსაწყობად მემამულე კონსტანტინე და იოსებ შანშიაშვილებისაგან იჯარით აიღო მიწები[211]. საწვავი მასალისათვის ლიბს აქ მიეცა სახაზინო ტყე. ტყეს ეჭირა 2 069 დესეტინა, მაგრამ ლიბმა იგი არასაკმაოდ სცნო და 1861—1862 წლების კონტრაქტებით მან მემამულე შანშიაშვილისაგან მიიღო 1 500

---

[207] С. Гулишамбаров, ОФЗЗК, 1894, გვ. 48.

[208] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 65, д. 1988, ფურც. 28.

[209] С. Гулишамбаров, ОФЗЗК, 1894. გვ. 48.

[210] საქ. ცსსა, ფონდი 10, საქმე 1251, ფურც. 2.

[211] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 65, д. 2108, ფურც. 1.

დესეტინა ტყე[212]. შანშიაშვილისაგან მიღებულ მიწაზე გაიყვანეს საკმაოდ ფართო არხი, რომელიც წყალს აწვდიდა ქარხანას ჰაერსაბერ მანქანის მოძრაობისათვის.

ლიბი მოტყუვდა თავის პირვანდელ ანგარიშებში და ხაზინა იძულებული შეიქნა კვლავ ეძლია დამატებითი სესხი. ამავე დროს ძნიშვნელოვანი სესხი ლიბმა აიღო კერძო პირებისაგან. 1862 წელს ლიბი გარდაიცვალა. ქარხანა დაუმთავრებელი დარჩა, ხოლო სესხი შეადგენდა 182 086 მანეთს; აქედან 88 019 მანეთი ხაზინისა იყო, 94 067 მანეთი კი კერძო პირებისა. ლიბის ქვრივმა მარია ლიბმა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს უფროსს კრუზენშტერნს 5 000 მანეთი სთხოვა სილეზიიდან მოსატანი ცეცხლგამძლე თიხისაგან ბრძმედის მოსაწყობად [213]. თხოვნა დააკმაყოფილეს.

1863 წელს ჩათახის ქარხანა მთელი თავისი მოწყობილობით, მიწებითა და ტყეებით (სახაზინო და ნაყიდით) გადავიდა დეისტ. სტ. სოვეტნ. ვიტესა და პრუსიელი ბერნულის ხელში.

მთავრობამ ახალ მეწარმესაც გაუწია დიდი დახმარება სესხების სახით. სულ ჩათახის ქარხნის მოსაწყობად ხაზინამ გაიღო 200 000 მანეთი იმ თანხიდან, რომელიც მეფისნაცვლის უშუალო განკარგულებაში იყო[214]. მათ დაამთავრეს ქარხნის მოწყობა. სულ ქარხნის აგებისათვის დაიხარჯა 217 076 მანეთი; აქედან ხაზინისა — 108 009 მანეთი, კერძო პირებისა — 109 076 მან.

ქარხანაში მოწყობილი იყო სამსხმელო საამქრო, იდგა ბრძმედი, ჰაერსაბერი მანქანა (ეს მანქანა სილეზიიდან მიიღეს და შედგებოდა ორსაბერიანი თუჯის ცილინდრისაგან. ჰაერსაბერი მანქანა მოძრაობაში მოჰყავდა წყლის ბორბალს (თვალს), ამ უკანასკნელს კი შანშიაშვილის მიწაზე გაყვანილი არხის წყალი ამოძრავებდა). ქარხანა შეიცავდა სადურგლოს, სამჭედლოს, ფურნეს, საჯინიბოს, ფარდულს — მუშა ხარებისათვის, ფარდულს — აგურისა და კრამიტის გამოწვისათვის, მრავალ სახლსა და ყაზარმას მუშების, ოსტატებისა და სხვა მოსამსახურე პერსონალისათვის და სხვ.[215].

მალე წარმოება გაფართოდა. სამსხმელო განყოფილებაში თუჯის გადასადნობად მოეწყო 2 ბრძმედი. მოეწყო აგრეთვე მექანიკური და კრიცის ფაბრიკა, 6 სამჭედლო ქურა, შეშის საშრობი ღუმელები; რკინის მოპოვების გაუმჯობესებისა და გაფართოების

---

[212] საქ. ცსსა, ფ. 10. საქმე 1457, ფურც. 45—55.

[213] იქვე, ფურც. 41.

[214] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 65, д. 1988, ფურც. 29.

[215] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 244.

მიზნით დაიწყეს საპუდლინგო ფაბრიკის მშენებლობა, რისთვისაც 2 ორთქლის მანქანა შეუკვეთეს. რკინის საბადო ქარხნიდან მდებარეობდა 6 ვერსზე.

ქარხანა ამუშავდა 1862 წლის ბოლოს (28 დეკემბერს)[216], ადგილობრივი ხელისუფლება დიდ იმედებს ამყარებდა მასზე. 1863 წელს ქარხანაში მიიღეს 29 839 ფუთი თუჯი, 30 000 მანეთი ღირებულების[217], 1864 წელს — 31 789 ფუთი თუჯი. ამ წელს ქარხანამ გამოიმუშავა 40 000 მანეთი პროდუქცია[218]. ამდენივე პროდუქცია გამოიმუშავა 1865 წელს[219]. მიღებულ პროდუქციას გზავნიდნენ ამიერკავკასიაში. საწარმო თანდათან აფართოებდა თავისი მოქმედების სფეროს[220]. ზოგჯერ ქარხანაში მუშაობდა 250-მდე დაქირავებული მუშა.

მაგრამ ვიტეც მალე გარდაიცვალა, სახელდობრ 1868 წელს, რამაც უფრო არიე-დარია საქმეები. მან, თავის მხრივაც, დაუმთავრებელი საქარხნო სამუშაოების გარდა, დატოვა ვალები — 677 753 მანეთი. აქედან ხაზინის ვალი 190 271 მანეთი, კერძო პირებისა — 486 910 მანეთი[221]. მიუხედავად ამისა, ქარხანა ასე თუ ისე კვლავ განაგრძობდა მუშაობას 1875 წლამდე.

ახლა შევეხოთ ქარხნის გამომუშავებულ პროდუქციას. ჩათახის ქარხანამ თუჯი გამოუშვა: 1863 წელს 29 839 ფუთი, 1864 წელს 31 789[222], 1870 წელს 13 823 ფუთი[223].

რკინა დაამზადეს:

წლები	ფუთობით	წლები	ფუთობით
1867	4 854	1870	2 009[225]
1868	4 384[224]	1872	861[226]
1869	3 223	1875	861[227]

---

216 საქ. ცსსა, ფ. 17, საქმე 8962, ფურც. 77.
217 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, 1864, д. 137. лл. 64—66.
218 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, 1865, д. 127, лл. 67—69.
219 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, 1866, д. 142, лл. 70—72.
220 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, 1864, д. 137, лл. 64—66.
221 С. Гулишамбаров ОФЗТГ, 1887, გვ. 180.
222 ЦГИАЛ, ф. 37, оп. 65, д. 1988, ფურც. 30
223 «Кавказский календарь», 1873, отд. II, გვ. 97.
224 С. Гулишамбаров ОФЗТГ, გვ. 181.
225 «Кавказский вестник», 1901, № 11, გვ. 103.
226 С. Гулишамбаров ОФЗТГ, გვ. 181,
227 ЦГИАЛ, ф.37, оп. 65, д. 1988, л. 1.

ქარხანაში დაამზადეს თუჯის სხვადასხვა ნაკეთობანი:

წლები	ფუთობით	წლები	ფუთობით
1863...	12 199	1870...	21 719
1864 ...	16 685[228]	1872...	8 443[230]
1867 ...	21 602	1873...	4 728
1868	15 470	1874...	9 157
1869	21 000[229]	1875 .	5 205[231].

ქარხნის ზოგიერთი წლის წლიური პროდუქცია მანეთებშია მოცემული. ასე მაგალითად, ქარხანამ გამოიმუშავა:

1863 წელს	30 000 მანეთის პროდუქცია[232]
1864	40 000[233]
1865	40 000[234]
1867	108 000[235]

1863 წლიდან 1875 წლამდე ქარხანა მუშაობდა შესვენებებით. ამ ხნის მანძილზე ქარხანაში სულ გამოადნეს 346 015 ფუთი მადანი, რომლისგანაც მიიღეს 119 819 ფუთი თუჯი და 17 033 ფუთი რკინა[236], მაშინ როდესაც თავიდანვე გათვალისწინებული იყო ქარხნის ყოველწლიური პროდუქცია 360 000 ფუთი თუჯით., როგორც ვხედავთ, ეს რაოდენობა (360 ათასი ფუთი თუჯი) ქარხანამ ვერ მოგვცა მთელი მისი არსებობის პერიოდში (12 წლის მანძილზე).

მუშების რიცხვი ქარხანაში დღეში საშუალოდ იყო 150 კაცამდე. 1866 წელს ქარხანაში იყო 200-მდე მუშა — ქართველები, რუსები, გერმანელები, სომხები, თათრები და ბერძნები, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას შეადგენდნენ.

როგორც აღინიშნა, ჩათახის ქარხანაში ამზადებდნენ ლითონის სხვადასხვა ნაკეთობას. ასე მაგალითად, თბილისში 60-იან წლებში

---

228 ЦГИАЛ, ф. 37, оп. 65, д. 1988, ფურც. 30.

229 С. Гулишамбаров, ОФЗЗК, გვ. 181.

230 «Кавказский календарь», 1873, отд. II, გვ. 97.

231 С. Гулишамбаров, ОФЗТГ, გვ. 181.

232 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, д, 137, 1864, ფურც. 64—69.

233 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10,д, 127, 1865, ფურც. 67—69.

234 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 11,1866, д. 142, ფურც. 70—72.

235 «Кавказский календарь», 1869, отд. II-ое, გვ. 177.

236 ЦГИАЛ, ф. 37, оп. 67. д. 434. ფურც. 16.

მოწყობილი საავადმყოფოსათვის, ქარხანაში დაამზადეს ყველა საჭირო ხელსაწყო. აღსანიშნავია, რომ ამიერკავკასიაში პირველად ამ ქარხანაში გააკეთეს ორთქლის მანქანა[237].

ქარხნის პირველი შემკვეთი იყო ხაზინა, რათა თავისი დანახარჯები როგორმე ამოეღო. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო წარმოება დიდი ზომით, რაც ვერ შესძლეს. ქარხნის საქმე უფრო და უფრო ცუდად წავიდა და 1875 წლის ბოლოდან სავსებით შეწყვეტა მუშაობა.

1877 წელს, როდესაც გამოცხადდა ქარხნის საჯარო გაყიდვა. ქარხნის მთელი მოწყობილობა ღირდა 435 963 მანეთი[238]. ქარხნის ვალები შეადგენდა 604 768 მანეთს. აქედან კერძო ვალები:

აზნაურ სოლომონ შაბუროვისა თავად ალექსანდრე აფხაზთან ერთად	206 000	მანეთი
საიდ. მრჩეველ კრუზენშტერნის	73 067	„
გენ. ლეიტ. კოლოსოვსკის	25 000	
პორუჩიკ სუტგოფის	17 000	
თავად დიმიტრი აფხაზისა	31 724	
კოლეგიის მრჩეველ თამამშევისა	2 500	
ლიბის ქვრივის	5 000	
უცხოელ პავლე ბერნულის	6 041	
ვიტეს ქვრივის	10 000	„
ვიტეს მემკვიდრეების	15 000	„
სულ	392 768	მანეთი
სახაზინო ვალები:		
კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოსი	200 000	მანეთი
საინჟინრო და საარტილერიო უწყებისა, შეკვეთების შეუსრულებლობის გამო	8 500	„
სამთო გადასახადი	3 500	„
სულ	212 768	მანეთი

მთლიანად კერძო და სახაზინო — 604 768 მანეთი[239].

ქარხანა 1877 წელს რღვევის მდგომარეობაში იყო. ამ წელს გამოაცხადეს ჩათახის ქარხნის საჯარო გაყიდვა. მსურველებად გამოცხადდნენ აზნაური სოლომონ შაბუროვი და მოქალაქე იაროვი. შაბუროვი იძლეოდა 3 500 მანეთს., ხაზინამ, რა თქმა უნდა, უარი უთხრა მას.

---

[237] «Кавказский календарь», 1869, отд. II-ое, გვ. 177.

[238] ЦГИАЛ, ф.37, оп. 65- 1988, ფურც. 30.

[239] იქვე, ფურც. 38.

1881 წელს დაადგინეს, ჩათახის ქარხანა გადაეცათ აზნაურ შაბუროვისათვის, ხოლო ხაზინა თავის ვალებს ჩამოაწერდა ქარხანას, ე. ი. არ გადაახდევინებდა. მაგრამ შაბუროვს თავის მხრივ უნდა დაეკმაყოფილებინა კერძო კრედიტორების ყველა პრეტენზია, ე. ი. უნდა გადაეხადა მათთვის 400 000-ზდე მანეთი. ქარხანა მას უნდა აემუშავებინა 1888 წლიდან. 1890 წლიდან კი ქარხანას წლიურად უნდა გამოეშვა 100 000 ფუთი რკინა, რის შემდეგ ქარხანა გადავიდოდა მის საკუთრებაში პოსესიური მფლობელობის უფლებით[240].

მართლაც შაბუროვმა კერძო კრედიტორების ვალები სავსებით გაისტუმრა და 1884 წლის ბოლოს, სამთო ნაწილმა ქარხანა საბადოებითა და ტყით შაბუროვს გადასცა. მაგრამ, როგორც ჩანს, მას აღარ დარჩა სახსრები, რათა შედგომოდა ბოლნისის რკინის მადნის ექსპლუატაციას. იგი ეძებდა კომპანიონს ან ქარხნის შემსყიდველს[241]; ამასობაში, 1888 წელს, იგი გარდაიცვალა.

მისი სიკვდილის შემდეგ მის მეუღლეს (შაბუროვას) ვადა გაუგრძელეს 2 წლით, მაგრამ არც შაბუროვს თავის დროზე და არც მის მეუღლეს არ შეუსრულებიათ ნაკისრი ვალდებულება. არ ჩაუტარებიათ ქარხანაში არავითარი სამუშაო მისი ამუშავების მიზნით. ქარხანა სტიქიის ანაბარა იყო მიტოვებული და იგი სრულ დარღვევამდე მივიდა. თანაც ადგილობრივი მცხოვრებნი იპარავდნენ ქარხნიდან ყველაფერს, რის წაღებაც შეიძლებოდა, რადგან მას არავინ ჰყავდა პატრონი და მეთვალყურე[242].

1892 წელს ხაზინამ უკანვე ჩაიბარა ქარხანა და შაბუროვთან დადებული ხელშეკრულება გააუქმა. მაშინ, ჩათახის ქარხანას „მხსნელის“ როლში მოევლინა ავსტრიელი ინჟინერი ბოგაჩი, რომელმაც ქარხნის შეძენისა და ამუშავების სურვილი გამოთქვა.

1894 წელს ჩათახის ქარხანა, სამთო-საქარხნო მამული უძრავ-მოძრავი ქონებით და საბადოებით 80 000 მანეთად მიჰყიდეს ავსტრიელ ქვეშევრდომ ინჟინერ ბოგაჩს სრულ საკუთრებაში. აღნიშნული თანხა — 80 000 მანეთი მას უნდა ეხადა 10 წლის მანძილზე უპროცენტოდ, წელიწადში 8 000 მანეთის გადახდით. ბოგაჩი ვალდებული იყო ქარხანა აემუშავებინა 5 წლის მანძილზე. ამავე დროს შანშიაშვილებისათვის უნდა ეხადა საიჯარო გადასახადი.

---

240 იქვე, ფურც. 36, 205, 396.

241 С. Гулишамбаров, ОФЭТГ, გვ. 182.

242 ЦГИАЛ, ф. 37. оп. 65. д. 1988, ფურც. 205, 396.

1900 წლამდე უხდიდა ბოგაჩი ხაზინას 8 000 მანეთს წლიურად. შემდეგ კი შეწყვიტა გადახდა. ხაზინამ გააფრთხილა ბოგაჩი და გადაუხდელობის შემთხვევაში ჩათახის მამულის გაყიდვით დაემუქრა. ბოგაჩმა არ გადაიხადა დარჩენილი თანხა, რის გამოც ხაზინამ მას 1901 წელს ჩათახის მამული ჩამოართვა.

როგორც ვხედავთ, არც ბოგაჩმა შეასრულა თავისი ვალდებულება. იგი გარდაიცვალა 1904 წელს. ხაზინამ კვლავ ჩაიბარა ქარხანა ჩათახის ადგილ-მამულით[243].

1913 წელს იოსებ ვიტიგიმ სამთო დეპარტამენტს სთხოვა დახმარება მთავრობის მხრით, წამოაყენა პირობები და პირობას დებდა ქარხანას ავამუშავებო[244]. მაგრამ მას მოუსწრო მსოფლიო ომმა.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ რკინისა და თუჯსასხმელ ქარხანას საქართველო და ამიერკავკასია ძლიერ საჭიროებდა, ჩათახის წარმოება მყარ საფუძველზე ვერ დადგა და ჩაიშალა.

ჩათახის, რკინისა და თუჯსასხმელი ქარხნის წარუმატებლობის მთავარი მიზეზი, ჩვენი აზრით, იყო საბადოთა სიმცირე და არახელსაყრელი განლაგება, რის გამოც იმ დროის ტექნიკის პირობებში ვერ ხერხდებოდა მისი ექსპლუატაცია იმ ოდენობით, რაც საკმარისი იქნებოდა ქარხნის სრული დატვირთვით მუშაობისათვის. ე. ი. ქარხანას არ გააჩნდა საკმაო ნედლეული წარმოებისათვის.

თბილისის საწახნაგო ფაბრიკა

XIX ს. პირველი ნახევრის მიწურულს თბილისში ამუშავდა სახაზინო საწახნაგო ფაბრიკა (гранильная фабрика), რომელიც ამუშავებდა კავკასიის ძვირფას ქვებს — იასპებს, მეწამულ ქვას, მარმარილოს, ობსიდიანს და სხვ. ფაბრიკა მოეწყო 1849 წელს. 1850 წელს კი ამუშავდა კარტონის ქვის ფაბრიკა, რომელიც ამზადებდა სხვადასხვა სამოქალაქო და საეკლესიო არქიტექტურულ ნაკეთობას. 1856 წელს მეფისნაცვალ ბარიატინსკის სურვილით ეს ორი ფაბრიკა გაერთიანდა[245]. ფაბრიკა მეტწილად ამუშავებდა ალგეთის ქვას, ადგილობრივ და საზღვარგარეთის მარმარილოს, ობსიდიანს და სხვას. იგი აკეთებდა საეკლესიო და მეტწილად სამოქალაქო არქიტექტურის ნაკეთობებს შენობებისათვის, თეატრისათვის და სხვ. საწარმოში მუშაობდნენ დაქირავებული მუშები

---

[243] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 67, д. 434, фурц. 1—22.

[244] იქვე.

[245] საქ. ცსსა, ფონდი 10, საქმე, 1835, ფურც. 13; ფონდი 264, საქმე 393, ფურც. 131.

და ოსტატები, ასევე სამხედრო უწყებისა და სამთო უწყების ხალხი. ფაბრიკა სახაზინო იყო. დროდადრო მას განაგებდნენ: ინჟინერი ლემკული, ივანიცკი, აკადემიკოსი არქიტექტორი სიმონსონი და სხვ. ფაბრიკას ჰყავდა ტექნიკური ზედამხედველები.

წარმოების გაუმჯობესებისა და გაფართოების მიზნით, ეკატერინბურგის მექანიკურ ქარხანას შეუკვეთეს ოთხი ორთქლის მანქანა. 1854 წელს ეკატერინბურგის ქარხანამ თბილისის საწახნაგო ფაბრიკისათვის დაამზადა ოთხი ძლიერი ორთქლის მანქანა, რომელიც დაჯდა 1700-მდე მანეთი. ეს მანქანები თბილისში მოიტანეს 1857 წელს[246]. ფაბრიკაში მათი საბოლოო მოწყობა დაჯდა 1000 მანეთამდე[247]. მანქანებს შეშით ამუშავებდნენ. ფაბრიკაში მანქანების შეკეთებას აწარმოებდა მექანიკოსი ზომმერი, ხოლო თუჯის საჭირო ნაკეთობანი მოჰქონდათ შტიუსეს მექანიკური ქარხნიდან[248]. ფაბრიკაში თანდათან მეტად იყენებდნენ დაქირავებულ შრომას და ბოლოს იგი გაბატონდა. 1863 წელს აქ მხოლოდ ნებითდაქირავებული შრომა იყო გამოყენებული. საწარმოში ჰყავდათ შეგირდები.

ფაბრიკამ გამოიმუშავა პროდუქცია:

წლები	მანეთები	წლები	მანეთები
1858	3 400[249]	1863	12 000[253]
1860	3 000[250]	1864	12 000[254]
1861	3 020[251]	1865	15 000[255]
1862	7 500[252]		

გამომუშავებულ პროდუქციას, ადგილობრივი მოხმარების გარდა, აგზავნიდნენ პეტერბურგს, იმპერატორის სასახლეში[256].

---

[246] საქ. ცსსა, ფონდი 10, საქმე 1823, ფურც. 1—2.
[247] საქ. ცსსა, ფონდი 10, საქმე 1835, ფურც. 13.
[248] საქ. ცსსა, ფონდი 10, საქმე 810, ფურც. 97.
[249] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, 1860, д. 170, фурц. 63.
[250] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, 1861, д. 228, фурц. 118.
[251] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, 1862, д. 134. фурц. 93.
[252] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, 1863, д. 108, фурц. 110.
[253] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, 1864, д. 137. фурц. 64.
[254] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, 1865, д. 127. фурц. 67.
[255] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, 1866, д. 142, фурц. 70.
[256] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, 1860, д. 170, фурц. 63.

1863 წელს ხაზინამ გადაწყვიტა ფაბრიკა გადაეცა კერძო პირისათვის. 1864 წელს ხაზინამ ეს ფაბრიკები გადასცა აკადემიკოს სიმონსონის გამგებლობაში კომერციული უფლებით, მასთან დადებული კონტრაქტის ძალით. ფაბრიკა სიმონსონის განკარგულებაში იყო 1868 წლის 1 იანვრამდე. 1868 წელს ფაბრიკა მეფისნაცვლის განკარგულებით კომერციული უფლებით გადასცეს არქიტექტორ ზალცმანს და საქსონელ ქვეშევრდომს სკულპტორ ვალტერს 12 წლით — 1868 წლიდან 1880 წლამდე. 1871 წელს ზალცმანმა მოითხოვა ხაზინას უკან ჩაებარებინა ფაბრიკა.

მეფისნაცვლის სამთო სამმართველოს განცხადებით თბილისის საწახნაგო ფაბრიკამ მხარეს მოუტანა სარგებლობა მრეწველობის ამ დარგის განვითარების საქმეში, რაც გამოიხატა თბილისში კერძო პირების მიერ ასეთი საწარმოების გახსნაში. ამიერიდან, ასეთი საწარმოს ხაზინის ხელში დატოვება ცუდ გავლენას მოახდენს ამ საქმეში კერძო მეწარმეობის განვითარებაზეო. წინადადებას იძლეოდნენ, ხაზინას ფაბრიკა უკან მიეღო და დაეხურა, ხოლო ფაბრიკის ქონება საჯარო ვაჭრობით გაეყიდა. 1871 წელს ხაზინამ ეს ფაბრიკა ჩაიბარა[257].

საგლეხო რეფორმის შემდეგ საწახნაგო საწარმოები თბილისში გამრავლდა. საწარმოები უმთავრესად ამუშავებდნენ ალგეთის ქვას. იმ ხანად საქართველოში იტალიელი მეწარმეებიც მუშაობდნენ ამ საქმეში.

XIX ს. 80-იან წლებში თბილისში გამოირჩეოდა ოთხი საწახნაგო საწარმო, რომელთა საერთო პროდუქცია წლიურად 44 000 მანეთს უდრიდა. ასე მაგალითად, 1887 წელს ამ საწარმოებმა გამოიმუშავეს.

პერმიკინის საწარმომ	15 000	მან. პროდუქცია
ანდრეოლიტის	9 000	„
დურანდის	8 000	„
კიპსიზოვის „	12 000	„

პერიმიკინის საწარმოში ითვლებოდა 17 მუშა, ანდრეოლიტის საწარმოში 6 მუშა, დურანდის საწარმოში 5, კაპრიზოვის საწარმოში 7 მუშა. ამ საწარმოებში ოსტატებად მუშაობდნენ მხოლოდ ბერძნები და იტალიელები[258].

საწახნაგო წარმოება საქართველოში XIXს. მეორე ნახევარში უფრო სწრაფად ვითარდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ძვირფასი ქვების დამმუშავებელი მრეწველობის დონე ჩვენს ქვეყანაში არ-

---

[257] საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 393, ფურც. 131—143.

[258] С. Гулишамбаров, ОФЗТГ, გვ. 207.

სებულ ბუნებრივ სიმდიდრეებთან შედარებით, ცხადია, არადამაკმაყოფილებელი იყო.

ნავთის წარმოება

ნავთობი საქართველოში ცნობილი იყო ჯერ კიდევ ძველად, რომელიც სახელმწიფო შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს შეადგენდა. ნავთობის ყველაზე უფრო ძველი საბადო იყო ნავთლუღში, რომელმაც ეს სახელწოდება მიიღო ნავთისაგან.

XIX საუკუნეში ნავთლუღის საბადოები ეკუთვნოდა ხაზინას, მაგრამ 1847 წელს ვორონცოვმა იგი გადასცა ქალაქ თბილისს საკუთრებაში. თბილისის მმართველობა ნავთის საბადოებს ნავთლუღში სცემდა იჯარით და წლიურად ღებულობდა დაახლოებით 5 500 მანეთ შემოსავალს.

ბაქოში ნავთის წარმოების განვითარებისა და განსაკუთრებით ბაქო-თბილისის რკინიგზის გაყვანის შემდეგ (1883 წელი), ძალზე შემცირდა აქ ნავთის წარმოება, რადგან ნავთი ბაქოდან უკვე დიდი რაოდენობით მოდიოდა თბილისში.

ნავთის საბადოები აღმოსავლეთ საქართველოში არსებობდა აგრეთვე მრავალ ადგილას, მათ შორის შირაქის, მირზაანისა და ელდარის ველებზე.

1848 წლიდან დაიწყო ამ საბადოთა იჯარით გაცემა:

1848—1854	წლებში	— 1 050	მანეთად წელიწადში
1854—1858	„	— 1 660	„ „
1858—1864		— 2 800	„
1864—1866		— 3 100	„
1866—1878		— 4 500	„[259].

შირაქის, მირზაანისა და ელდარის ნავთის საბადოები ამიერკავკასიის სახაზინო პალატის განკარგულებაში იყო და მათ მიერ ეს საბადოები იცემოდა საიჯარო მფლობელობაში[260]. მოიჯარადრეებად გამოდიოდნენ მოქალაქეები და ვაჭრები. ასე, მაგალითად, 60-იან წლებში საბადოები იჯარით ჰქონდათ აღებული თბილისელ მოქალაქეებს სოლომონ კიტოევსა და სოლომონ ვარდანოვს[261]. წლიური პროდუქცია სხვადასხვა წელს სხვადასხვა იყო. ასე მაგა-

---

[259] С. Гулишамбаров, ОФЗТГ, გვ. 183—189.

[260] «Кавказский календарь», 1869, отд. II, გვ. 174.

[261] საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 768, ფურც. 29.

ლითად, 1863 წელს შირაქსა და ნავთლუღში მოიპოვეს 11 000 ვედრო ნავთი, 1864 წელს კი 6 500 ვედრო. 1866 წელს მარტო შირაქში ამოიღეს 5 339 ვედრო ნავთი[262], 1869 წელს კი 40 000-მდე ფუთი[263].

1866 წლიდან 1878 წლამდე ზემოჩამოთვლილი ყველა საბადო აღებული ჰქონდათ იჯარით ძმებ სიმენსებს[264]. სიმენსებმა შირაქში მოაწყვეს ნავთის გადამმუშავებელი ქარხანა. ქარხანა ამუშავდა 1868 წლიდან[265]. ქარხანაში ხდებოდა ნედლი ნავთობის გადამუშავება, რის შედეგად ღებულობდნენ ნავთსა და ბენზინს.

1872 წლიდან 1886 წლამდე თბილისის გუბერნიაში ამოიღეს 1 164 865 ფუთი ნავთობი. წლების მიხედვით კი ამოიღეს:

წლები	ფუთობით	წლები	ფუთობით
1872	82 132	1880	71 682
1873	117 160	1881	60 925
1874	110 908	1882	37 540
1875	131 847	1883	17 000
1876	146 070	1884	37 241
1877	108 235	1885	40 694
1878	78 552	1886	40 635[266].
1879	84 244		

XIX საუკუნეში, მიუხედავად მდიდარი საბადოებისა, საქართველოში ნავთობი შეუსწავლელი იყო.

როდესაც ბაქოში ნავთის წარმოება ძალიან გაფართოვდა და ნავთი გაიაფდა, ხოლო რკინიგზების გაყვანის შემდეგ ადვილი გახდა მისი გადატანა თბილსში, ადგილობრივი საბადოს დამუშავება ხელსაყრელი არ შეიქნა. ამიტომ 1883 წელს, ძმებმა სიმენსებმა ნავთის ქარხანა გადასცეს ინჟინერ მინკევიჩს. ამან კი თავის მხრივ მალე გადასცა იგი სიღნაღელ ვაჭარ ოთაროვს. ოთაროვი აწარმოებდა ნავთის ამოღებას ძველი ჭაბურღილებიდან. 1887 წელს მის სარეწებში მუშაობდა 15 კაცი[267].

---

[262] «Кавказский календарь», 1869, отд. II-ое, გვ. 174; Сборн. стат.свед о Кавказе, т. I, 1869, გვ. 88, 93.

[263] С. Гулишамбаров, ОФЗТГ, გვ. 190.

[264] იქვე.

[265] «Кавказский календарь», 1869, г., отд. II-ое, გვ. 178.

[266] С. Гулишамбаров, ОФЗТГ, გვ. 191.

[267] იქვე.

1889 წელს თბილისის გუბერნიაში ამოიღეს 55 296 ფუთი ნავთობი. მუშების რიცხვი ნავთის სარეწებში 31 კაცი იყო. ამ წელს ნავთის ქარხანაში, რომელიც ძმებს ოთაროვებს ეკუთვნოდათ, მიიღეს 6 500 ფუთი ბენზინი, 8 450 ფუთი ნავთი და 22 000 ფუთი ნარჩენები[268].

90-იან წლებში ნავთის წარმოება საქართველოში არა თუ გაიზარდა, არამედ შემცირდა. ასე მაგალითად, თბილისის გუბერნიაში ნავთობი ამოიღეს:

წლები	ფუთობით
1894	20 000
1895	21 400
1896	26 500[269].
1897	14 000[270]
1898	13 920[271]
1899	39 290[272]
1900	39 000[273].

ამის მიზეზი, როგორც აღვნიშნეთ, ცხადია, ის იყო, რომ ამ პერიოდში გიგანტური ნაბიჯებით ვითარდებოდა ბაქოში ნავთის ამოღება და რკინიგზების გაყვანის შემდეგ საქართველოში დიდი რაოდენობით შემოდიოდა იაფი ნავთი.

ქვანახშირის მრეწველობა

საქართველოში ქვანახშირის წარმოების ისტორია ტყიბულის საბადოს დამუშავებით იწყება.

---

[268] საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 1908 ფურც. 15,

[269] «Кавказский календарь», 1897, отд. III-е, გვ. 87.

[270] «Кавказский календарь», 1899, отд. III-е, გვ. 59.

[271] «Кавказский календарь», 1900, отд. III-е, გვ. 58.

[272] «Кавказский календарь», 1901 отд. III-е, გვ. 79.

[273] «Кавказский календарь», 1902. отд. III-е, გვ. 59.

ტყიბულის ქვანახშირის საბადო საქართველოში ცნობილი გახდა XIX საუკუნის 30-იან წლებში. 1830 წელს მასზე მიუთითა სამთო ინჟინერმა კრიჟანოვსკიმ[274]. XIX ს. 30-იან წლებში ინჟ. კრიჟანოვსკიმ უმთავრესად რკინის მადნის ძიების მიზნით გამოიკვლია ქუთაისის მაზრა და მასში შემავალი ოკრიბის მხარეც. 1830 წელს «Горный журнал»-ში გამოქვეყნდა მისი სტატია „სოფელ საწირის ქვანახშირი". მაგრამ, როგორც ჩანს, კარგა ხანს ყურადღება არ მიაქციეს.

მხოლოდ 1845 წელს მეფისნაცვალმა მიხ. ვორონცოვმა დაავალა სამთო მოხელე კულიშინს ნაქერალას მთის (ტყიბულს გარს არტყია სამი მხრით) გეოლოგიური გამოკვლევა. გეოლოგმა კულიშინმა ვორონცოვს იმავე წელს წარუდგინა მოხსენებითი ბარათი ტყიბულში მის მიერ ქვანახშირის საბადოების აღმოჩენის შესახებ.

ვორონცოვმა ბრძანა ამოეღოთ 2 000 ფუთი ქვანახშირი, მიეტანათ იგი რედუტ-კალეში (ყულევი) და გამოეცადათ შავი ზღვის ერთ-ერთ სამხედრო გემზე[275].

იმავე 1845 წელს კულიშინმა ტყიბულში მოიპოვა 3 000-მდე ფუთი ქვანახშირი. აქედან 1 500-მდე ფუთი მაშინვე გაგზავნეს ყულევს ანუ რედუტ-კალეში (ფოთის ჩრდილოეთით 15 კილომეტრზე). აქ ქვანახშირი გამოსცადეს სამხედრო გემ „ბოეცზე". „ბოეცი" გავიდა ყულევიდან. საათში გემმა დახარჯა 33 ფუთი ნახშირი. კომისიის დასკვნით ტყიბულის ქვანახშირი „კარგი ხარისხის" იყო და არ ჩამოუვარდებოდა ინგლისურ ქვანახშირს. ამიტომ მ. ვორონცოვმა მას დიდი ყურადღება მიაქცია. განიზრახეს მით მოემარაგებინათ შავი ზღვის ფლოტის სამხედრო გემები, ხოლო ინგლისური (ნიუ-კესტლის) ქვანახშირის შემოტანაზე უარი ეთქვათ. ვორონცოვმა დაავალა თავად კოჩუბეის შეედგინა საბადოს სისტემატური ექსპლუატაციის გეგმა. ტყიბულის ქვანახშირის საბადოები იმყოფებოდა მემამულეთა მიწებზე. კოჩუბეი მოელაპარაკა მათ მიწის შესყიდვის შესახებ. მაგრამ მემამულეებმა — თავად აგიაშვილებმა და აზნაურ კანდელაკებმა უარი განაცხადეს მამულების გაყიდვაზე. მაშინ მთავრობამ იჯარით აიღო ეს მიწები.

1846 წელს მთავრობამ მათთან დადო შეთანხმება 36 წლით, რის თანახმად ხაზინას უფლება ეძლეოდა ამოეღო და გაეზიდა

---

[274] «Кавказский вестник», 1901 № 11, გვ. 94.

[275] «Кавказский вестник», 1901 წ. № 1, გვ. 34; № 11, გვ. 94; ნ. ტყეშელაშვილი, ქვანახშირის მრეწველობის უძველესი კერა საქართველოში, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1. 1946 წ. გვ. 175; ვ. ჭანიშვილი, ტყიბულის ქვანახშირის საბადოს დამუშავების ისტორიისათვის, თბ.,1956, გვ. 20—22

ქვანახშირი, ხოლო მიწისმფლობელებისათვის უნდა ეხადა 3/4 კაპიკი ყოველ ამოღებულ და გატანილ ფუთისათვის. ხაზინას უფლება მიეცა აგრეთვე ესარგებლა მიწისმფლობელების ტყითა და საძოვარი ადგილებით[276].

1846 წელს კოჩუბეიმ ტყიბულში ღია დამუშავების წესით მოიპოვა 11 000 ფუთი ქვანახშირი, რაც მთლიანად გადაზიდეს ყულევში იმავე წელს.

1846 წელს ტყიბულში მიავლინეს სამთო პორუჩიკი ანტიპოვი, რომელსაც დავალებული ჰქონდა მოეპოვებინა 1 000 ფუთი ქვანახშირი, გადაეზიდა ის ქ. ქერჩში და გამოეცადა პუდლინგის ღუმელებში. ანტიპოვმა თავისი გამოკვლევა ტყიბულის ქვანახშირზე გამოაქვეყნა 1847 წელს „Горный журнал-ში". ანტიპოვი მოითხოვდა რკინიგზის გაყვანას. ტყიბულის ქვანახშირს იგი ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებდა[277].

1847 წელს ქვანახშირის მოპოვება ტყიბულში კიდევ უფრო გაფართოვდა. 1847 წლის ზაფხულში ამოიღეს 23 000 ფუთი ქვანახშირი[278]. აქედან 21 000 ფუთი გადაზიდეს ფოთში. მაღაროებს განაგებდა ინჟ. ციალკოვსკი.

ნახშირი ტყიბულიდან საპალნეებით და ურმებით გადაჰქონდათ მარანამდე, ხოლო აქედან ნავებით (მდ. რიონით) ყულევამდე. ნახშირის გადაზიდვის ღირებულება დიდი იყო. ფუთი ქვანახშირის გადაზიდვა ჯდებოდა 16-დან 21 კაპიკამდე. ტყიბულის ქვანახშირი უფრო ძვირი უჯდებოდათ გემებს, ვიდრე ინგლისისა. ამიტომ გზის გაყვანის საკითხს თავიდანვე მიაქციეს ყურადღება. 1847 წელს ინჟ. კოხანოვმა შეადგინა ტყიბულიდან ქუთაისამდე (50 ვერსი) ცხენის რკინიგზის გაყვანის პროექტი, მაგრამ იგი არ განხორციელებულა.

1848 წლიდან საბადოს დამუშავებას ხელმძღვანელობდა სამთო ინჟ. კომაროვი. ამ წელს ტყიბულში მოიპოვეს 40 ათასამდე ფუთი ქვანახშირი. აქედან ყულევში გაზიდეს 3 000 ფუთი. 1845—1849 წლებში ქვანახშირის მოპოვება სწარმოებდა ღია დამუშავების წესით. 1849 წელს კი ინჟ. კომაროვმა ქვედა ფენებში მოიპოვა 36 ათასამდე ფუთი ქვანახშირი. აქედან ყულევში გადაზიდეს 26 ათასი ფუთი[279]. 1845—1849 წლებში ტყიბულში სულ

---

[276] საჭ. ცსსა, ფონდი 264. საქმე 208, ფურც. 23.

[277] ვ. ჭ ა ნ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 25—27; ნ. ტ ყ ე შ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 175—176.

[278] «Кавказский вестник», 1901 № 11, გვ. 94,

[279] С. Г у л и ш а м б а р о в, ОФЗЗК. 1894 გვ. 114—115. ნ. ტყეშელაშვილი, დასახ. გვ. 176; ვ. ჭ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. გვ. 28—29.

მოიპოვეს 115 ათასამდე ფუთი ქვანახშირი. აქედან 70 ათასი ფუთი გადაზიდეს ყულევსა და ფოთში[280].

როგორც აღინიშნა, ტყიბულის ქვანახშირი პირველად გამოსცადეს 1845 წელს გემ „ბოეცზე"; მეორედ იგი 1847 წელს გემ „ბესარაბიაზე" გასინჯეს, მესამედ 1849 წელს გემ „ენიკალეზე", ხოლო შემდეგში გემ „ტამანზე". ყველა გამოცდისას დადებითი შედეგები მიიღეს[281]. ამიტომ 1849 წელს ტყიბულის ქვანახშირის საბადოები სამთო ნაწილის სამმართველოს განკარგულებაში გადავიდა, რომელსაც განაგებდა ინჟინერი ივანიცკი.

ტყიბულის ქვანახშირის დამუშავება განუწყვეტლივ სწარმოებდა 1854 წლამდე, მაგრამ უმნიშვნელო რაოდენობით, რადგან მის გადასაზიდად გზები იყო ძალიან მოუწყობელი და მოუხერხებელი და გადატანა ძალიან ძვირი ჯდებოდა. თურქეთთან ომის დროს, 1854 წლიდან მუშაობა შეწყდა[282].

1858 წელს საბადო აღწერა და მეცნიერულად შეისწავლა აკადემიკოსმა აბიხმა[283]. ასევე შეისწავლა იგი ინჟინერმა ანტიპოვმა[284]. მათ მიუთითეს ქვანახშირის მაღალ ღირსებაზე.

1859 წელს თბილისი-ფოთის რკინიგზის გაყვანის საკითხმა ადგილობრივი მთავრობის წინაშე კვლავ დააყენა ტყიბულში ქვანახშირის მოპოვების საჭიროება. ამჟამად ინჟ. კარპინსკის დაავალეს გამოეკვლია და გამოეცადა ეს ქვანახშირი.

1860 წელს ამოიღეს 150 000 ფუთი ნახშირი. ქვანახშირის მოხმარება ამ დროს გაიზარდა. მას იყენებდნენ შავი ზღვის სამხედრო და სავაჭრო გემებზე და ასევე გათვალისწინებული იყო მისი გამოყენება თვით რკინიგზისათვის, შენობათა გასათბობად თბილისში, ქუთაისში და სხვა ქალაქებში[285].

1859 წელს ტყიბულის ქვანახშირი კვლავ გამოსცადეს, ამჟამად, გემ „გოლუბჩიკზე". ახლაც, როგორც გემზე, ასევე სპეცია-

---

280 ვ. ჭანიშვილი, დასახ., გვ. 30; ნ. ტყეშელაშვილი, დასახ., გვ. 176.

281 «Кавказский вестник», 1900, № 1, გვ. 34; ვლ. ჭანიშვილი, დასახ. გვ. 29; ნ. ტყეშელაშვილი, დასახ., გვ. 176; გ. მარგიანი, ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობა; ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, ნაკვეთი 1, გვ. 115.

282 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 208, ფურც. 23.

283 «Кавказский календарь», 1893, გვ. 103.

284 «Кавказский вестник», 1900, № 1, XIII, გვ. 34.

285 ნ. ტყეშელაშვილი, დასახ., გვ. 176—177; ვლ. ჭანიშვილი, დასახ., გვ. 32.

ლურ სამჭედლოში, ნახშირის გამოცდამ დადებითი შედეგები გამოიღო[286].

1872-73 წლებში ტყიბულის საბადოები აღწერეს სამთო ინჟინრებმა ბაცევიჩმა, სოროკინმა და გეოლოგმა სიმონოვიჩმა. 1874 წელს იგი შეისწავლა ფრანგმა სამთო ინჟინერმა პერნოლემ, ხოლო გვიან ფრანგმა ინჟინერმა ელიკომ და სხვებმა[287]. ყველამ ტყიბულის საბადო აღიარა „ერთ-ერთ უმდიდრესად ევროპაში"[288]. მაგრამ ტყიბულის საბადოს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი აღწერა 1885 წლამდე ხდებოდა საბადოთა სიდიდის განსაზღვრისა და აღმოჩენის მიზნით, ქიმიური ანალიზისათვის კი ნიმუშებს იღებდნენ თითქმის ზედაპირზე და ამიტომ ანალიზი არ იძლეოდა სწორ ცნობებს მადნის ღირსებაზე[289].

1867-68 წლებში ტყიბულის საბადოთი დაინტერესდა ფრანგი მინიე, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა შეეძინა მემამულეებისაგან ნახშირიანი ადგილები. მინიე მემამულეებს ქვანახშირიან მიწებში აძლევდა 80 000 მანეთს, მაგრამ მოლაპარაკებამ შედეგი არ გამოიღო, რადგან მინიემ მოითხოვა ნასყიდობის დამტკიცებისას აღნიშნული ადგილები გათავისუფლებული ყოფილიყო ყოველგვარი დავისაგან, როგორც მთავრობის მხრივ (რომელსაც ეს ადგილები აღებული ჰქონდა იჯარით 36 წლით), ისე ცალკეული პირების — .აქ მცხოვრებ გლეხებისაგან[290].

1869 წელს ტყიბულის საბადოების ყიდვისა და დამუშავების მიზნით ქუთაისში ჩამოვიდა რუსეთის ცნობილი მრეწველი ნიკოლოზ ნოვოსელსკი, რომელმაც თავისი სურვილი განუცხადა მეფისნაცვალს ტყიბულის ქვანახშირის დასამუშავებლად დაარსებულიყო საზოგადოება და სათანადო პრივილეგიები მიეცათ მისთვის. ნოვოსელსკიმ მეფისნაცვალს განუცხადა გამოეყოთ ნიკოლოზ პრინცისათვის მიწები ტყიბულში ქვანახშირის დასამუშავებლად. პრინცს მართლაც მისცეს სათანადო მიწები[291]. მაგრამ, რამდენად ხდებოდა 80-იან წლებამდე ქვანახშირის დამუშავება ტყიბულში, საამისოდ ცნობები არ გაგვაჩნია.

ამავე 1869 წელს ნოვოსელსკიმ ტყიბულის საბადოს ყიდვის მიზნით მოლაპარაკება დაიწყო მემამულეებთან (აგიაშვილები,

---

286 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 208, ფურც. 23.

287 «Кавказский календарь», 1893. გვ. 103.

288 «Кавказский вестник», 1900, №, 1, გვ. 34.

289 «Кавказский календарь», 1893, გვ. 103.

290 ვლ. ჭ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 32.

291 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 497, ფურც. 6—8.

კანდელაკები, ეკატერინე გამრეკელიძისა). დაიდო შეთანხმება. ნოვოსელსკი მემამულეებს უხდიდა 80 000 მანეთს მიწებში. ნასყიდობის გაფორმებამდე კი მათ მისცემდა 12 000 მანეთს. თუ მთავრობა, რომელსაც ადგილები იჯარით ჰქონდა აღებული, დაავას დაიწყებდა, მასთან დაკავშირებულ ხარჯებს ნოვოსელსკი აანაზღაურებდა. მაგრამ ნასყიდობის გაფორმება-დამტკიცება არ მოხდა, რადგან იმ ადგილებში მცხოვრებმა გლეხებმა — ქასრაშვილებმა აღძრეს საჩივარი. ჯერ კიდევ ადრე 40-იან წლებში, როცა კოჩუბეიმ მემამულეებთან (აგიაშვილებთან და კანდელაკებთან) დასდო ხელშეკრულება ნახშირიანი ადგილების იჯარით აღების შესახებ, იმ ადგილებში მცხოვრებმა გლეხებმა საჩივარი აღძრეს მებატონეების წინააღმდეგ. დიდი დავის შედეგად გლეხებმა 1848 წელს ნაწილობრივ დაკმაყოფილებას მიაღწიეს. ამჯერად ქასრაშვილებმა ვექილად აირჩიეს ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე ნ. ნიკოლაძე, რომელიც დიდად იყო საერთოდ დაინტერესებული, რათა მრეწველობისათვის ქართველ მეწარმეებს მოეკიდათ ხელი. ნ. ნიკოლაძემ სასამართლოში დაამარცხა ნოვოსელსკი და ნასყიდობა არ გაფორმდა. ნოვოსელსკიმ მაინც მოახერხა შეეძინა მემამულეებისაგან მიწების ნაწილი, რომელიც შემდეგში ცნობილი იყო ნოვოსელსკის სახელით[292].

1874 წელს გზათა სამინისტრომ, თბილისი-ფოთის რკინიგზის ნახშირით უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროდ სცნო ოკრიბაში რკინიგზის გაყვანა. ტყიბულის ქვანახშირის საბადომდე რკინიგზის გაყვანის საკითხი 1874 წელს აღუძრავს კავკასიის მეფისნაცვალს, მაგრამ ამ საქმეს მეფის მთავრობა ნდობით არ მოჰკიდებია[293]. როგორც ირკვევა, საჭირო იყო სათანადო დასაბუთებით მთავრობის დარწმუნება იმაში, რომ ტყიბულის საბადომდე რკინიგზის გაყვანა ხელს შეუწყობდა მრეწველობის განვითარებას ამიერკავკასიაში.

ეს საქმე გააკეთა ნ. ნიკოლაძემ.

80-იან წლებში ნიკო ნიკოლაძემ, ეყრდნობოდა რა რიგი მეცნიერების მოსაზრებებს და დაკვირვებებს ტყიბულის ქვანახშირზე, რომელიც წლების მანძილზე ხდებოდა, დაწერა ორი ბარათი: «Тквибульские залежи каменного угля» და «Экономическое значение Тквибульской кам-угольн. ветви закавказской железной дороги». წერილებში ტყიბულის ქვანახშირი შეფასებულია რო-

---

[292] პ. გუგუშვილი, დასახ., გვ. 255, ვ. ჭანიშვილი, დასახ., გვ. 33—36.

[293] ვ. ჭანიშვილი, დასახ., გვ. 36—37, 40.

გორც მაღალი ღირსების. ნ. ნიკოლაძე ტყიბულის ქვანახშირს ანიჭებდა უდიდეს ეკონომიურ მნიშვნელობას, რომელიც მას ექნებოდა მთელი ამიერკავკასიისათვის. ნ. ნიკოლაძე ტყიბულის ქვანახშირის დაუმუშავების მთავარ მიზეზად აცხადებდა არა ნახშირის დაბალ ხარისხს და არა ბაზრების უქონლობას მისი გასაღებისათვის, არამედ უგზოობას. მისი განცხადებით, ქუთაისამდე ფუთი ნახშირის გადატანა ჯდებოდა 20—25 კაპიკი, რკინიგზით კი იგი დაჯდებოდა არა უმეტეს 4,5 კაპიკისა. ამიტომ ნიკოლაძე აყენებდა საკითხს ტყიბულიდან ქუთაისამდე რკინიგზის გაყვანის აუცილებლობის შესახებ. ნ. ნიკოლაძის ამ წერილებმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ტყიბულ-ქუთაისის რკინიგზის კვანძის გაყვანის საქმეში.

რკინიგზისა და ფინანსთა სამინისტროების და სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენლების უკანასკნელ თათბირზე, 1883 წლის 15 თებერვალს, ნ. ნიკოლაძემ მოითხოვა გზა გათელილი ყოფილიყო წლიურად 7,5 მილიონი ფუთი ტვირთის (ქვანახშირის) რაოდენობაზე. თათბირმა მიიღო ეს წინადადება. ნ. ნიკოლაძის ანგარიშით, ტყიბულის ქვანახშირზე მოთხოვნილება ასეთი იქნებოდა: ა/კ რკინიგზა — 2 500 000 ფუთი წელიწადში, არსენალი, ყაზარმები და სხვა დაწესებულებანი — 810 000 ფუთი, რაიონებისა და ქალაქებისათვის — 1 800 000 ფუთი, გემებისათვის და სხვა — 500 000 ფუთი.

ამავე თათბირმა მიიღო ამიერკავკასიის რკინიგზის საზოგადოების მიერ შედგენილი ფართოლიანდაგიანი რკინიგზის პროექტი[294].

აღსანიშნავია, რომ რკინიგზის გაყვანას ითხოვდნენ ქვანახშირის საბადოთა მიწათმფლობელებიც[295].

მთავრობამ მიიღო მხედველობაში ნ. ნიკოლაძის ეს მოსაზრებები და 1883 წლის 15 ივლისს ნება დართო გაეყვანათ რკინიგზა. რკინიგზის გაყვანის ხარჯები განისაზღვრა 2 600 000 მანეთით, მაგრამ ხაზინას იგი დაუჯდა 3 მილიონამდე მანეთი[296]. გზის მშენებლობა დაევალა ამიერკავკასიის რკინიგზის საზოგადოებას.

რკინიგზის გაყვანა დაიწყო 1883 წელს, ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებიდან ქ. ქუთაისამდე.

---

294 იქვე, გვ. 49.

295 «Кавказский календарь», 1893, გვ. 104.

296 «Кавказскій вестник», 1900, № 1, გვ. 37.

რკინიგზის ხაზი მოძრაობისათვის გაიხსნა 1886 წელს, მაგრამ ქვანახშირის სასინჯი პარტიები კავკასიის სხვადასხვა მხარეში გაგზავნეს მხოლოდ 2 წლის შემდეგ[297].

XIX ს. 80—90-იან წლებში ქვანახშირს ხმარობდნენ უმთავრესად ქალაქების გასათბობად. 1891 წლის ცნობით ქვანახშირი ქალაქებს სჭირდებოდა შემდეგი ოდენობით: თბილისს — 2 250 000 ფუთი, ქუთაისს — 500 000, ფოთს — 125 000, ბათუმს — 455 000, ელიზავეტპოლს — 300 000, ბაქოს — 420 000 და ამიერკავკასიის რკინიგზაზე არსებულ შენობათა გასათბობად — 700 000 ფუთი ანუ სულ წლიურად იხმარებოდა 4 800 000[298] ფუთი.

რკინიგზის გაყვანით ტყიბულს დიდი პერსპექტივები გადაეშალა. ამიტომ 1885 წ. მრეწველმა ს. შაბუროვმა თავად ქაიხოსრო და სიმონ აგიაშვილების ნახშირიანი ადგილები იყიდა. 1888 წელს კავკასიის სამოქალაქო საქმეთა უფროსმა ფინანსთა სამინისტროში წარადგინა ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების მფლობელ აზნაურ სოლომონ და ვიქტორია შაბუროვების მიერ შედგენილი წესდების პროექტი ქვანახშირის დამუშავების მიზნით საზოგადოების დაფუძნებისათვის[299]. საზოგადოება დაარსდა სახელწოდებით: „ტყიბულის ნახშირის სამთო მრეწველობის საზოგადოება“.

80—90-იან წლებში ტყიბულში არსებობდა ქვანახშირის 2 დიდი მაღარო. მაღაროთა ექსპლუატაციას ეწეოდა დეისტ. სტ. სოვეტ. ნოვოსელსკის ფირმა და ზემოთ აღნიშნული „ნახშირას“ საზოგადოება („ტყიბულის ნახშირის სამთო მრეწველობის საზოგადოება“).

ნოვოსელსკის საბადოებს ეკავა 300 დესეტინამდე, „ნახშირას“ საზოგადოების საბადოებს კი 800 დესეტინამდე. ამ საზოგადოების სამადნო მიწების ნაწილი წინათ ეკუთვნოდათ თავად აგიაშვილების დროებითვალდებულ გლეხებს. მაგრამ საზოგადოებისა და გლეხების ურთიერთ შეთანხმებით გლეხებმა ეს მიწები გაცვალეს სახნავ მიწებზე[300].

რკინიგზის გაყვანის შემდეგ ნოვოსელსკის მაღაროებში მუშაობა დაიწყეს ფართო მასშტაბით.

1887—1889 წლებში ნოვოსელსკის მაღაროებს აწყობდა და ამზადებდა ინჟინერი პ. გორლოვი. 1887 წ. აქ გაკეთდა 600 საჟენი სიგრძის საბრემსბერგო გზა (საბრემსბერგო გზა — დახრილ

---

297 «Кавказский календарь», 1893, გვ. 104.

298 ЦГИАЛ, ф. 37, оп. 65, д. 1988, ფურც. 210.

299 ЦГИАЛ, ф. 37, оп. 65, д. 2285.

300 «Кавказский вестник», 1900, № 2, გვ. 39.

ფართზე დადებული გზა, სადაც ტვირთვის ჩაშვება ქვევით მექანიკური დანადგარით წარმოებს). რკინიგზის ხაზი სადგურ ტყიბულიდან ნოვოსელსკის მაღაროებამდე გაიყვანა ინჟინერმა ო. ბოგაჩმა. ეს რკინიგზა 80 305 მანეთი დაჯდა. ნოვოსელსკის მაღაროების მოწყობაზე სულ დაიხარჯა 330 133 მანეთი[301]. ყველა ტექნიკური სამუშაო წარმოებდა იმ ანგარიშით, რომ წლიურად ამოეღოთ 10 მილიონი ფუთი ნახშირი[302]. მაღაროს მომზადება დამთავრდა 1889 წელს.

1889-90 წლებში ტყიბულის საბადოს ერთ-ერთი უბნის დამუშავება დაიწყო აგრეთვე აღნიშნულმა „ტყიბულის ნახშირის სამთო მრეწველობის საზოგადოებამ" (შემდეგში ცნობილი საზოგადოება „ნახშირა"). ამ საზოგადოებამ ენერგიულად მოჰკიდა ხელი ქვანახშირის მოპოვების საქმეს და ბოლოს ქვანახშირის საზოგადოებებს შორის პირველი ადგილი დაიკავა.

სააქციონერო საზოგადოება „ნახშირა" ჩამოყალიბდა 1889-90 წლებში ნ. ნიკოლაძის მონაწილეობით. ამ საზოგადოების „წესდებაში" აღნიშნულია, რომ მისი დამაარსებელნი იყვნენ თბილისელი ვაჭარი იოსებ ალელოვი, ინჟინერი იოსებ ბოგაჩი, აზნაური ალექსანდრე მელიქ-აზარიანცი, ნიკო იაკობის ძე ნიკოლაძე, ივანე წოვიანოვი და ვიქტორია ნიკოლოზის ასული შაბუროვა. საზოგადოების „წესდება" სტამბური წესით გამოიცა 1890 წელს. „წესდება" იმპერატორმა დაამტკიცა ამავე წელს.

საზოგადოების ძირითადი კაპიტალი 2 მილიონ მანეთს შეადგენდა. ეს თანხა შედგებოდა აქციებისაგან. თითოეული აქციის ღირებულება 500 მანეთს უდრიდა. აქციების რაოდენობა კი 4 000 ცალი იყო.

საზოგადოება „ნახშირას" საქმიანობას ხელმძღვანელობდა გამგეობა, რომლის ადგილსამყოფელი ქ. თბილისი იყო. გამგეობაში ხუთი დირექტორი შედიოდა. მათ აქციონერების საერთო კრებაზე ირჩევდნენ. არჩევნები 5 წელიწადში ერთხელ ეწყობოდა. დირექტორად შეიძლებოდა არჩეულიყო ისეთი აქციონერი, რომელსაც შეძენილი ჰქონდა არა ნაკლებ 20 აქციისა (10 000 მანეთი). კომპანიებისა და კრედიტორებისაგან შექმნილმა ამ სააქციო საზოგადოებამ მუშაობა დაიწყო 1890 წელს.

როგორც ნოვოსელსკის, ასევე „ნახშირას" მაღაროები მოამზადა ინჟინერმა გორლოვმა. იგი ორივე მაღაროს უწევდა ხელმძღვანელობას[303].

---

301 ვ. ჭანიშვილი, დასახ., გვ. 50—51.

302 «Кавказский календарь», 1893, გვ. 104.

303 «Кавказский календарь», 1893, გვ. 104; ვ. ჭანიშვილი, დასახ. გვ.53—56.

ამ დროს ტყიბულის მაღაროებში გაიყვანეს 7 გვირაბი. აქედან 4 ეკუთვნოდა ნოვოსელსკის, ხოლო 3 „ნახშირას“ საზოგადოებას. „ნახშირას“ საზოგადოებას ჰქონდა ყველაზე გრძელი გვირაბი — 133 საჟენისა.

ნოვოსელსკის მაღაროებიდან ნახშირი გადაჰქონდათ „ვაგონეტებით“ ვიწრო გზით 450 საჟენზე, რკინიგზის კვანძის დამტვირთავ სადგურამდე, სადაც მას ცლიდნენ ვაგონებში. ვაგონებში მას წმენდნენ მუშები, ქვებისა და სხვა შენარევისაგან.

„ნახშირას“ საზოგადოების გვირაბებიდან ნახშირი მიჰქონდათ 350 საჟენზე, დამხარისხებელ პუნქტებში.

ტყიბულის მაღაროები შეერთებული იყო სადგ. ტყიბულთან სამვერსიანი ფართოხაზიანი რკინიგზის კვანძით, რომელიც ეკუთვნოდა მაღაროთა მფლობელებს.

სადგ. ტყიბულიდან თბილისი დაშორებული იყო 256 ვერსით, ბათუმი — 178, ფოთი — 142, ქუთაისი — 140 ვერსით. ტყიბულის სახაზინო კვანძის დანახარჯის დაფარვისათვის ფუთ ნახშირს ადებდნენ გადასაზიდ ფასს: ქუთაისამდე — 1,525 კაპ., ფოთამდე — 3,425 კაპ.. ბათუმამდე — 4,000კაპ., თბილისამდე — 4,700 კაპ.

ფუთი ნახშირი ტყიბულში, ადგილზე, იყიდებოდა 3-დან 10 კაპიკამდე ნახშირის სიდიდისა და ხარისხის შესაბამისად. ქუთაისში კი იგი ღირდა 13 კაპიკი[304]. სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ფასად იყიდებოდა.

ტყიბულის ქვანახშირის მთავარი მომხმარებელი იყო ამიერკავკასიის რკინიგზა, სადაც მას ხმარობდნენ ნაგებობათა გასათბობად და ნაწილობრივ სახელოსნოებში[305]. ხელშეკრულებით სადგურ ტყიბულში მოზიდულ ფუთ ქვანახშირს რკინიგზა ყიდულობდა 9 კაპიკად.

გათვალისწინებული იყო, რომ რკინიგზას ყოველწლიურად უნდა გაეზიდა 7—9 მილიონზე მეტი ნახშირი, მაგრამ ამ მხრივ იმედები არ გაუმართლდათ. ამის ძირითადი მიზეზი, რა თქმა უნდა, ის იყო, რომ ქვანახშირის ამოღება ტყიბულში ასეთი ფართო ზომით ვერ განვითარდა მაშინ. ამას გარდა ფაბრიკულ-ქარხნული მრეწველობა ისეთი დონით არ იყო განვითარებული კავკასიაში, რომ ქვანახშირის ესოდენ დიდი რაოდენობა მოეთხოვა. 1894 წელს

---

304 «Кавказский календарь»,1893, გვ. 105—106.

305 გ. მ ა რ გ ი ა ნ ი, დასახ., გვ. 127.

გაიტანეს 911 000 ფუთი ქვანახშირი, 1895 წელს — 757 000 ფუთი. 1896 წელს — 932 000 ფუთი, 1897 წელს — 935 000 ფუთი[306].

1900 წელს ჟურნალ „კავკაზსკი ვესტნიკში" (№№ 1, 2) გამოქვეყნდა სევერიანინის წერილები, სადაც ავტორი თავს ესხმის ნ. ნიკოლაძეს, რომელმაც, მისი აზრით, მთავარი როლი ითამაშა ტყიბულის რკინიგზის შტოს გახსნაში, და რომელსაც თითქოს „ფანტასტიკური" გეგმები გააჩნდა რკინიგზის გაყვანის შედეგად ტყიბულში ქვანახშირის მრეწველობის აყვავების შესახებო. სინამდვილეში კი ქვანახშირის გადაზიდვის შემოსავალი ვერ ანაზღაურებს რკინიგზის მშენებლობის დანახარჯებსო. შეიძლება იმ ხანებში მართალი იყო სევერიანინი, მაგრამ, როგორც ცნობილია, ისტორიამ შემდგომ სავსებით გაამართლა ნ. ნიკოლაძე და გააშტყუნა სევერიანინი.

რაც შეეხება ტყიბულის ქვანახშირის ღირსებას, ამის შესახებ XIX ს-ში სხვადასხვა აზრისა იყვნენ. ერთნი მაღალ შეფასებას აძლევდნენ მას და ადარებდნენ გლაზგოსა და სტაფორდშეირის ნახშირს, ასევე დონბასის ბასეინის ქვანახშირს. მეორენი კი მიუთითებდნენ მის დაბალ ხარისხზე, რაც გამოიხატება იმაში, რომ იგი არ კოქსირდება, შეიცავს ბევრ ნაცარს და ლითონის გამოდნობისათვის მიუღებელია. ამავე დროს მისი ფართო გასაღება არ ხერხდება, რადგან ვერ უძლებს შორეულ ტრანსპორტს, ხოლო ჰაერზე დიდი ხნით გაჩერების შედეგად ნაწილებად იშლებაო.

ზედაპირზე გამოღებული ქვანახშირი მართლაც ვერ უძლებდა ჰაერზე დიდხანს გაჩერებას და იშლებოდა. მაგრამ ამის თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო ქვანახშირის დაბრიკეტება.

1889 წელს ნოვოსელსკიმ მაღაროები იჯარით გადასცა ოდესელ მრეწველებს. მათ ერთ წელიწადს აწარმოეს ნახშირის მოპოვება. შემდეგ მიატოვეს პატრონთან უთანხმოების გამო. 1890-93 წლებში ნოვოსელსკის მაღაროები არ მუშაობდა. შემდეგ, როგორც ჩანს ხაზინას მიუღია ეს მაღაროები.

ამ დროს ნოვოსელსკის მაღაროები ხაზინისაგან იყიდა ბელგიელთა საზოგადოებამ 2,5 მილიონ მანეთად. ბელგიელთა საზოგადოებამ ნოვოსელსკის ყოფილი მაღაროების საექსპლოატაციოდ მომზადება დაამთავრა 1895 წელს[307].

1893 წელს ნოვოსელსკის მაღაროებში ამოღებული ნახშირი გაგზავნეს საფრანგეთში ბრიკეტის ქარხანაში საცდელი ბრიკეტის დასამზადებლად. გამოცდა წარმატებით დამთავრდა. ამიტომ

---

306 «Кавказский вестник», 1900, № 1, გვ. 37.

307 ვ. ჭ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ., გვ. 59, 62.

გადაწყვიტეს ტყიბულში მოეწყოთ ბრიკეტის დამამზადებელი ქარხანა[308]. 1895 წელს ბელგიელებმა ტყიბულში ააშენეს და აამუშავეს ქვანახშირის საბრიკეტო ქარხანა. ეს იყო პირველი საბრიკეტო ქარხანა რუსეთის იმპერიაში. საბრიკეტო ქარხანაში დადგმული იყო 2 წნეხი, რომელთა წარმადობა წელიწადში შეადგენდა 5 618 000 ფუთ ბრიკეტს. ბრიკეტის დასამზადებლად იყენებდნენ ვუდრონს[309]. ეს იყო საუცხოო საბრიკეტო ქარხანა.

ბელგიელთა საზოგადოების სახით „ნახშირას" ძლიერი კონკურენტი გაუჩნდა. მაგრამ დაახლოებით სამი წლის მუშაობის შემდეგ, სახელდობრ, 1897 წელს ბელგიელთა საზოგადოების ნახშირის საბრიკეტო ქარხანაში მოხდა ხანძარი და იგი დაიწვა. გარდა ამისა მიწისქვეშ თავი იჩინა ხანძარმა. ამან გამოიწვია ბელგიელთა საზოგადოების დახურვა. მაღაროები და დამწვარი საბრიკეტო ქარხანა ხაზინის ხელში ვადავიდა, მაგრამ მის ხელში ნახშირის მოპოვება არ წარმოებდა[310]. ამიტომ მთავრობამ 1900 წელს დანიშნა საჯარო ვაჭრობა ამ მაღაროების იჯარით გაცემის მიზნით. მაგრამ მსურველი არვინ აღმოჩნდა. მაშინ საგზაო მიმოსვლის სამინისტრომ წინადადება წამოაყენა მიეცათ ეს მაღაროები თავის განკარგულებაში — ამიერკავკასიის რკინიგზის სათბობ-საწვავით მომარაგების მიზნით[311].

ბელგიელთა საზოგადოების დახურვის შემდეგ საზოგადოება „ნახშირას" პირველი ადგილი ეჭირა ტყიბულის მრეწველებს შორის. ნახშირის მოპოვება წარმოებდა „ნახშირასა" და ინჟ. ბოგაჩის უბნებში. „ნახშირა" ფლობდა ქვანახშირის საბადოს ფართით 796 დესეტინას, ბოგაჩი — 300 დესეტინას, ხაზინა — 318 დესეტინას[312].

XIX ს. მიწურულს „ნახშირას" საზოგადოების მაღაროებში ქვანახშირის მოპოვება წარმოებდა ზედაპირზე. გვირაბებში კი 1894 წლიდან ქვანახშირის ამოღება არ ხდებოდა, რადგან მათში ღვიოდა შალული ცეცხლი. ეს ხანძარი დაიწყო ინჟინერ გორლოვის მუშაობის პერიოდში. გვირაბების ცუდი გაწმენდის შედეგად მათში დაგროვილი მტვერი — ქვანახშირის ნარჩენები აინთო. მაგ-

---

[308] საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 2143, ფურც. 155; «Кавказский календарь» 1896, отд. V, ფურც. 236—237.

[309] ვლ. ჭანიშვილი, დასახ., გვ. 59.

[310] «Кавказский вестник», 1900, № 2, გვ. 40; ვლ. ჭანიშვილი, დასახ., გვ. 59.

[311] «Кавказский вестник», 1901, № 11, გვ. 95.

[312] ვლ. ჭანიშვილი, დასახ., გვ. 60.

რამ გორლოვმა მოახერხა ხანძრის ლოკალიზება და ხვრელების ამოვსება, სადაც ჰაერი შედიოდა. მან ეს ისე კარგად გააკეთა, რომ შეიძლებოდა მუშაობის გაგრძელება. მაგრამ ინჟინერმა აგაბეგოვმა, რომელმაც გორლოვი შესცვალა, ნახშირის ფენები გამოანგრია ხანძრის კერამდე, რის შედეგად ჰაერს შესაძლებლობა მიეცა შესულიყო იქ, რამაც კვლავ ხანძარი გამოიწვია. ამის გამო აგაბეგოვი მოხსნეს. შემდეგ კვლავ გააგრძელეს გვირაბებში ქვანახშირის ამოღება. მაგრამ ინჟ. ბეკზადოვის დროს აქ ისევ შეწყდა მუშაობა და ამუშავებდნენ მხოლოდ ზედაპირს. იმისათვის, რათა გვირაბებში ხანძარი არ გაფართოებულიყო, ყოველდღიურად, თვენახევრის მანძილზე მუშაობდა 200-მდე კაცი.

ზედაპირზე ქვანახშირის ამოღება იდებოდა ასე: ოთხი გამოცდილი მეშახტე ბურღავდა ზედაპირს გრძელი რკინის ძალაყინით, რომელსაც 1,5—2 არშინის სიღრმით შეიყვანდნენ ქვანახშირის ფენაში. შემდეგ კი ჩადებდნენ იქ წამალს ფითილით და ააფეთქებდნენ. აფეთქების შემდეგ მუშები ტვირთავდნენ ვაგონეტებს, რომლებიც მიჰქონდათ დამახარისხებელ ადგილას. დღეში ვაგონის გამგორებელი ასწრებდა 25-30 ვაგონეტის მიტანას, ერთ ვაგონეტს საშუალოდ მიჰქონდა 22 ფუთი ნახშირი. ასე რომ დღეში ერთ კაცს გადაჰქონდა 550—650 ფუთამდე ნახშირი. ქვანახშირის დამახარისხებელ არტელში მუშაობდა 50-ამდე კაცი.

ყველა ეს მუშაობა წარმოებდა მოიჯარადრის მიერ დაქირავებული მუშებით, ნარდად; „საზოგადოება" მოიჯარადრეს ყოველ ამოღებულ კუბ. საჟენ ნახშირში უხდიდა 8 მანეთს. მოიჯარადრე მუშებს დღეში, თითოეულს, უსდიდა 50-დან 70 კაპიკამდე. მუშების უმრავლესობა თვეში ღებულობდა საშუალოდ 14 მანეთს. მემაღაროელები ღებულობდნენ გაცილებით მეტს — 1-დან 1,5 მანეთამდე დღეში. როგორც აღნიშნავდნენ მოიჯარადრეს თვეში რჩებოდა 50 მანეთზე მეტი მოგება. მუშაობას თვალყურს ადევნებდა ათისთავი.

მუშაობდნენ ღამითაც, როგორც ზაფხულობით, ასევე ზამთრობით და გრძელდებოდა 10 საათი. ღამით სამუშაოს ანაზღაურება ხდებოდა ისე როგორც დღისით, მაგრამ იმ შეღავათით, რომ შრომის ხანგრძლივობა ნაკლები იყო, ვიდრე დღისით, რომელიც 11—11,5 საათი გრძელდებოდა. ღამით მუშაობას კანტორა აუცილებელ პირობად უყენებდა მუშებს დაქირავების დროს[313].

მუშების სამუშაო პირობები ძალიან მძიმე იყო.

---

[313] «Кавказский вестник», 1900, № 2, გვ. 41—48.

წარმოდგენა რომ ვიქონიოთ ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობის მოცულობაზე მივმართოთ სათანადო მონაცემებს.

დამუშავების დაწყების დროიდან XX საუკუნემდე ტყიბულში ამოიღეს ქვანახშირი:

წლები	ფუთობით	წლები	ფუთობით
1845	3 000	1889	499 000[321]
1846	11 000[314]	1890	457 000[322]
1947	23 000[315]	1891	427 000[323]
1848	40 000	1892	949 293[324]
1849	36 000[316]	1893	1 511 000[325]
1860	150 000	1894	1 789 699
1870	145 000	1895	1 135 856
1880	320 000[317]	1896	1 832 799[326]
1882	40 000	1897	1 309 953[327]
1883	50 000[318]	1898	1 867 948
1887	100 000[319]	1899	2 182 260
1888	389 000[320]	1900	3 857 144[328]

მთელს კავკასიაში ქვანახშირი ამოიღეს:

წლები	ქვანახშირი (ფუთობით)	წლები	ქვანახშირი (ფუთობით)
1897	1 309 953	1899	2 220 760
1898	1 901 088	1900	3 893 008[329]

---

314 ვ ლ. ჭ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ., გვ. 22—25.

315 «Кавказский вестник», 1901, № 11, გვ. 94.

316 ვ ლ. ჭ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. გვ. 29.

317 ბ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, დასახ., გვ. 255.

318 გ. მ ა რ გ ი ა ნ ი, დასახ., გვ. 118.

319 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 1542, ფურც. 27.

320 იქვე, საქმე 1658, ფურც. 78.

321 «Кавказский календарь» 1891 отд. I, გვ. 225.

322 «Кавказский календарь»,1892, отд. III, გვ. 30.

323 «Кавказский календарь», 1893, глава: стат и др. дан. о Кавк.,გვ.60.

324 «Кавказский календарь», 1894, отд. V, გვ. 230.

325 «Кавказский календарь»,1895, отд. V, გვ. 91.

326 «Кавказский календарь»,1898, отд. III, გვ. 87.

327 «Кавказский календарь»,1899, отд. III, გვ. 59.

328 «Кавказский вестник», 1901, № 11, გვ. 95.

329 იქვე.

თუ ჩვენ შევადარებთ ტყიბულში მოპოვებულ ქვანახშირის რაოდენობას კავკასიაში საერთოდ მოპოვებულ ქვანახშირს, აშკარა გახდება საქართველოს დიდი ხვედრითი წონა კავკასიაში ქვანახშირის მოპოვების საქმეში.

რაც შეეხება ბრიკეტის დამზადებას, ჩვენ ამ მხრივ გაგვაჩნია ორიოდე ცნობა. სახელდობრ, 1896 წელს ტყიბულში დაამზადეს 278 734 ფუთი ბრიკეტი[330], ხოლო 1897 წელს 207 882 ფუთი ბრიკეტი[331].

მუშათა რიცხვის სიდიდის შესახებ XX საუკუნემდე ჩვენ გაგვაჩნია რამდენიმე წლის ცნობები. მუშათა რაოდენობა შეადგენდა:

წლები	მუშათა რიცხვი	წლები	მუშათა რიცხვი
1847	27	1892	126[332]
1870	54	1893	207
1880	118[333]	1894	254
1887	18[333]	1895	354
1888	145[334]	1896	246[335]
1889	90[335]	1899	170[340]
1890	76[336]	1900	700[341]
1891	163[337]		

როგორც აღინიშნა, ბელგიელთა საზოგადოების დახურვის შემდეგ ტყიბულის წარმოებაში პირველი ადგილი დაიკავა „ნახშირამ“. XX საუკუნეში „ნახშირას“ საზოგადოება წამყვან როლს ასრულებდა ნახშირის მოპოვების საქმეში. მან ნახშირის მოპოვება 3,5 მილიონ ფუთამდე აიყვანა. მის ხელში იყო ქვანახშირის მოპოვების მონოპოლია. მასვე შემოაქვს XX საუკუნის დასაწყისში ქვანახშირის წარმოებაში ტექნიკური სიახლენი (ორთქლის ძრავა, ელექტრონი და სხვ.).

---

330 «Кавказский календарь», 1898, отд. III, გვ. 87.

331 «Кавказский календарь», 1899, отд. III, გვ. 59.

332 გ. მარგიანი, დასახ., გვ. 124.

333 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 1542, ფურც. 27.

334 საქ. ცსსა, ფონდი 274, საქმე 1658, ფურც. 78.

335 «Кавказский календарь», 1891, отд. I, გვ. 225.

336 «Кавказский календарь», 1892, отд. III, გვ. 30.

337 «Кавказский календарь», 1893, глава: стат. и др. дан. о Кавк. გვ. 6)

338 «Кавказский календарь», 1894, отд. V, გვ. 230.

339 გ. მარგიანი, დასახ. გვ. 124.

340 «Кавказский календарь» 1900, № 2, გვ, 50.

341 ვ. გუგუშვილი, დასახ. გვ. 255.

XIX საუკუნის ბოლოს საქართველოში ქვანახშირის დამუშავება იწყება აგრეთვე ტყვარჩელში, მაგრამ ძალიან უმნიშვნელო რაოდენობით[342].

ქვანახშირის მრეწველობა საქართველოში გაცილებით ვითარდება შემდგომ ხანაში.

მანგანუმის მრეწველობა

ჯერ კიდევ ძველმა ხალხმა იცოდა მანგანუმის მთავარი სახეობის — პიროლუზიტის არსებობა და მინის დამზადებაში მისი გამოყენება. XVIII საუკუნიდან მას იღებდნენ საფრანგეთში: საონ-ლორნეში, ჰეროლში, გვიან ტარნაში, ადეში და არიეჟში. 1774 წელს ცნობილმა მეცნიერმა შეელემ, პირველმა დაიწყო მანგანუმის საფუძვლიანი შესწავლა.

მანგანუმი ქიმიური ელემენტია, ქიმიური თვალსაზრისით მეტად აქტიური, რის გამოც ის ბუნებაში თავისუფალ მდგომარეობაში — ლითონის სახით არ არსებობს.

მანგანუმს საქართველოში „შავ-ქვასა" და „ქვა-გუნდას" უწოდებდნენ. შემდეგში კი თანდათან შემოვიდა მისი რუსული სახელწოდება — „მარგანეცი"[343].

მანგანუმს დიდად იყენებენ სახალხო მეურნეობის რიგ დარგებში, განსაკუთრებით მეტალურგიაში. მეტალურგიული მრეწველობა (შავი და ფერადი მეტალურგია) არის მანგანუმის ძირითადი მომხმარებელი. ყოველგვარი სახის ფოლადი და თუჯი მანგანუმს შეიცავს.

ცნობილია, რომ მეტალურგიაში მანგანუმი იხმარება უმთავრესად რკინის მადნიდან ისეთი მავნე შენაერთთა გასადევნად, როგორიცაა გოგირდი და ფოსფორი. მანგანუმის რკინასთან გამოდნობისას ვღებულობთ ფერომანგანს. ფერომანგანში რკინას უჭირავს არა უმეტეს 20%-ისა. ფერომანგანს კი ხმარობენ თუჯის ფოლადად გადაქცევისათვის. ფოლადი და რკინა მანგანუმის შერევით ხდება ბლანტი და ჰედადი. გარდა ამისა მანგანუმსა და მის ნაერთებს იყენებენ მინის წარმოებასა და ქიმიურ ქარხნებში, მედიცინასა და სოფლის მეურნეობაში, პოლიგრაფიულ საქმეში და სხვა საჭიროებისათვის.

მანგანუმი მაგარი და მტვრევადია და დნება 1900° ტემპერატურაზე.

---

342 ЦГИАЛ, ф. 37, оп. 65, д. 685; ф. 37, оп, 67, д 413.

343 ამ მადახს, ჩვენ, ქართული ენის სიწმინდის თვალსაზრისით უნდა ეუწოდოთ მანგანუმი ანდა შავი ქვა.

1856 წელს ინგლისში ფრანგმა ემიგრანტმა ბესსემერმა დაიწყო თუჯის ფოლადად გადაქცევის ცდები (თხევადი თუჯიდან ფოლადის მიღება), რისთვისაც თუჯის შემადგენლობაში შეიყვანა მანგანუმი. ცდები სავსებით წარმატებით დამთავრდა და მიიღეს იაფი და კარგი ხარისხის ფოლადი. ასეთი ფოლადი ჩქარა გავრცელდა მთელ მსოფლიოში. რკინიგზებზე რკინის რელსები შესცვალეს ბესემერის ფოლადის რელსებით. მალე ბესემერის ფოლადი აუცილებელი გახდა მრავალ ნაგებობათა და განსაკუთრებით იარაღისა და საომარი საჭურვლის დასამზადებლად.

რუსეთში მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობა სუსტად იყო განვითარებული, ამიტომ მანგანუმის მადანზე მოთხოვნილება მცირე იყო. ფერომანგანის გამოდნობა რუსეთში დაიწყეს XIX ს. 70-იან წლებში, მაგრამ ისეთი მცირე მოცულობით, რომ იგი ვერ აკმაყოფილებდა რუსეთის ამ სუსტად განვითარებულ მეტალურგიულ მრეწველობასაც. ამიტომ მთავრობას მეტალურგიული მრეწველობისათვის საჭირო ფერომანგანუმი უცხოეთიდან შემოჰქონდა.

მანგანუმის საბადო ბევრ ქვეყანაში არსებობს, ჩილში, აშშ-ში, ბრაზილიაში, კანადაში, ინდოეთში, ესპანეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, ჩინეთში, რუსეთში და სხვაგან, მაგრამ საქართველოს ვერცერთი ვერ ეჯრება მანგანუმის სიმდიდრით, ხარისხითა და მისი ადვილი ამოღებით (რაც იმაში გამოიხატება, რომ თითქმის ზედაპირზეა მადანი).

XIX ს. მეორე ნახევარში საქართველოს მანგანუმის წარმოების მხრივ მსოფლიოში პირველი ადგილი ეკავა. მასზე მოდიოდა რუსეთში წარმოებული მანგანუმის 75%.

საქართველოში მანგანუმის საბადოები თავმოყრილი იყო მდ. ყვირილას ორივე მხარეზე, ჭიათურაში (შორაპნის მაზრა). ჭიათურის მანგანუმის ბასეინი XIX ს. შესდგებოდა 8 ზეგანისაგან: 1. რგანი, 2. ზედა რგანი, 3. თაბაგრები, 4. მღვიმევი, 5. დარკვეთი, 6. პერევისი, 7. შუქრუთი, 8. ითხვისი.

მანგანუმის საბადოები ჭიათურაში აღმოაჩინა აკადემიკოსმა აბიხმა[344] 1846 წელს. მანვე დაიწყო საბადოს მეცნიერული შესწავლა.

---

344 საქ. ცსსა, ფონდი 4, აღწ. 5, საქმე 143.

მკვლევარი ა. კოპლავაშვილი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი ცნობით, 1846 წელს, როდესაც აკად. აბიხი იმერეთში ყოფილა ქვანახშირისა და რკინის საბადოების შესასწავლად, სოფელ ნავარძეთის (ჭიათურის მახლობლად) გლე-

1849 წლის მარტში აბიხის მიერ მითითებული ადგილები გეოლოგიურად გამოიკვლია სამთო ინჟინერმა პოდპოლკოვნიკმა კომაროვმა. მანვე 1851 წელს მეორედ გამოიკვლია მანგანუმის მადნიანი ადგილები.

1853 წელს სოფელ ნავარძეთის მიდამოებში არსებული მადნიანი ადგილები სამთო ნაწილის მმართველ ივანიცკის დავალებით გამოიკვლია სამთო ინჟინერმა შტაბს კაპიტანმა კომაროვმა[345].

მის მიერ შედგენილი აღწერილობის მიხედვით „ცნობა" დაიბეჭდა „გორნი ჟურნალში" 1854 წელს. ეს არის პირველი ლიტერატურული ცნობა ჭიათურის მანგანუმის მადნის საბადოს შესახებ[346].

რაც შეეხება აკად. აბიხს, მან ჭიათურის საბადოს ვრცელი გეოლოგიური აღწერა გამოაქვეყნა იმავე „გორნი ჟურნალში" 1858 წელს.

1867 წელს გეოლოგმა გ. წულუკიძემ მოითხოვა მანგანუმის საბადოების დაწვრილებითი გეოლოგიური შესწავლა[347].

ჭიათურის მანგანუმის ექსპლუატაციით დიდად იყო დაინტერესებული დიდი ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი. 1872 წელს მისი ინიციატივითა და თხოვნით საბადოების ნაწილი დაათვალიერა და გამოიკვლია გეოლოგმა სიმონოვიჩმა. 1873 წელს მეფისნაცვლის ნებართვით სამთო სამმართველოს გეოლოგებმა — სიმონოვიჩმა, ბაჩევიცმა და სოროკინმა დაიწყეს მანგანუმის საბადოების ოფიციალური გამოკვლევა[348].

1876 წელს შორაპნის მაზრის გეოლოგიური შესწავლა ჩაატარა სამთო ინჟინერმა ლ. ბაცევიჩმა, პირველმა დაადგინა მადნის ფენების გავრცელების საზღვრები და ამავე დროს შეადგინა ჭიათურის საბადოს გეოლოგიური რუკა. საბადოს სტრატიგრაფიული შესწავლა დაიწყო 1913 წელს პროფ. ვ. ბოგაჩმა, რომელმაც ამის

ხებს მისთვის ადგილობრივი მარგანეცის მადნის ნიმუშები გადაუცია, რის შემდეგ აბიხს დაუწყია საბადოს მეცნიერული გამოკვლევა (ა. კოპლავაშვილი, აკაკი წერეთელი და ჭიათურის მარგანეცი, თბ. 1958, გვ. 7).

345 ეს სხვა კომაროვია. სამთო ინჟინერი პოდპოლკოვნიკი კომაროვი გარდაიცვალა 1852 წელს.

346 ვ. ჭანიშვილი, მანგანუმის მადნის მრეწველობის განვითარება საქართველოში, თბ. 1960 წ., გვ. 94; ა. კოპლავაშვილი, აკაკი წერეთელი და ჭიათურის მარგანეცი, თბ. 1958 წ., გვ. 7.

347 ა. კოპლავაშვილი, დასახ., გვ. 8.

348 ვ. ჭანიშვილი, დასახ., ნაშრ. გვ. 95; ა. კოპლავაშვილი, დასახ., გვ. 35.

შესახებ შრომა გამოაქვეყნა 1924 წელს „აზერბაიჯანის პოლიტექ-ნიკური ინსტიტუტის მოამბეში“[349].

ათეული წლების მანძილზე გრძელდებოდა დავა იმის შესახებ თუ როდის და ვინ დაიწყო პირველად ჭიათურის მანგანუმის საბადოს დამუშავება. ამ საკითხის შესწავლა დღესაც წარმოებს.

მთელი რიგი ავტორები — გ. წერეთელი, ნ. დადიანი, ს. გულიშამბაროვი, მ. შოსტაკი, ო. კარაპეტიანი, ი. ყიფშიძე, ჩიხლაძე, ა. გავაშელი და სხვები — ჭიათურაში მანგანუმის მადნის ამოღების დაწყების თარიღად ასახელებენ სხვადასხვა წლებს: ზოგი 1877 და 1878 წლებს, ზოგი კი 1879 და 1880 წლებს.

რაც შეეხება იმას, თუ ვინ დაიწყო პირველად მადნის ამოღება, ავტორთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ პირველად მანგანუმის მადნის სამრეწველო ექსპლუატაცია დაიწყო დიდმა ქართველმა პოეტმა ა. წერეთელმა. საყურადღებოა რომ თვით პოეტის განცხადებით პირველად მან დაიწყო მანგანუმის მადნის ამოღება.

ზოგიერთი რუსი მოხელე თუ მიმომხილველი მიუთითებდა, რომ ჭიათურაში საბადოს ექსპლუატაცია პირველად დაიწყეს უცხოელებმა 1879 წელს, სახელდობრ, პეტერბურგში არსებული საკაპრო სახლის—„ვახტერი და K°“-ის წარმომადგენელმა ბარონ მერცენფელდმა და კრუპის წარმომადგენლებმა — ვესტფალში არსებული რკინის მაღაროთა საზოგადოების, „გუტე ჰოფნუნგ“-ის მრეწველებმა[350].

უკანასკნელი გამოკვლევები ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის განვითარებაზე ეკუთვნით ალ. კოპლავაშვილსა და ვ. ჭანიშვილს. ახალი მასალების შესწავლით ეს ავტორები ამტკიცებენ, რომ ჭიათურის მანგანუმის საბადოს დამუშავების საქმეში უდავოდ პრიორიტეტი ეკუთვნის დიდ პოეტ აკაკი წერეთელს.

ალ. კოპლავაშვილი თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ აკაკი წერეთელმა მანგანუმის საბადოს დამუშავების ცდები ჯერ კიდევ 60-იანი წლების მეორე ნახევარში, დაახლოებით 1867—1868 წელს დაიწყო, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია უსახსრობისა და მემამულეთა წინააღმდეგობის გამო. მიუხედავად ამისა დასახულ მიზანზე აკაკიმ ხელი არ აიღო. ავტორის ცნობით 70-იანი წლების დასაწყისამდე პოეტი სხვადასხვა ქვეყნებში მადნის ნიმუშებს აგზავნიდა, რათა ჭიათურის მანგანუმს სახელი მოეხვეჭ-. მის მიერ ჩატარებული ღონისძიებების შედეგად ჭიათურის მანგა-

---

349 ვ. ჭ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ., გვ. 95.

350 ЦГИАЛ, ф. 37, оп. 67, д. 954, фурц. 39, «Кавказский календарь», 1893, глав. стат. и др. дан. о Кавказе, гв. 107.

ნუმი საყოველთაოდ ცნობილი გახდა. აკაკი ცდილა მანგანუმის დამუშავების საქმეში ჩაება ვაჭარი მილიონერი სოლომონ შაბუროვი, მაგრამ ამ უკანასკნელს ვერ გაუბედია ამ წამოწყებაში კაპიტალის დაბანდება.

მიუხედავად ამისა, აკაკი წერეთელი კვლავ ენერგიულად განაგრძობდა კომპანიის შედგენის ცდებს.

1877 წელს აკაკი წერეთელს ვინმე ვექილ ოსტრიაკოვთან გაუფორმებია ხელშეკრულება მანგანუმის საბადოს ექსპლუატაციის მიზნით. შემდეგ კი მას იჯარით აუღია სალომე წერეთლის მამულები და მუშაობა დაუწყია 1879 წლის დასაწყისში ან არაუგვიანეს ამ წლის გაზაფხულისა.

ამრიგად, ალ. კოჭლავაშვილის აზრით, პირველად ჭიათურის მანგანუმის საბადოების დამუშავება დაიწყო აკაკი წერეთელმა 1879 წელს. მანამდე კი, მისი აზრით, ამ სახის მუშაობა ჭიათურაში არავის უწარმოებია[351].

მკვლევარ ვლ. ჭანიშვილს, ასევე, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ჭიათურის მანგანუმის დამუშავების დამწყებ-პიონერად მიაჩნია პოეტი აკაკი წერეთელი, მაგრამ დამუშავების დაწყების თარიღად წინა წლებს თვლის. მის ნაშრომში მოტანილი საარქივო დოკუმენტების თანახმად: ყვირილის გზის შესაკეთებლად მთავრობას გამოუყვია თანხა, რომლის ათვისება გათვალისწინებული ყოფილა 1877—1879 წლებში, მაგრამ აღნიშნული თანხის ათვისებას არც შედგომოდნენ, რომ ამ გზით დაუწყიათ მანგანუმის მადნის ზიდვა, რამაც მიმოსვლა ცუდ გზაზე კიდევ უფრო გაართულა. ამის გამო წარმოშობილა დიდი დავა და საჩივრები. ამ საქმის შესასწავლად 1877 წელს მეფისნაცვალს ადგილზე მიუვლენია ინჟინერ-პოლკოვნიკი ფონ-ვეისენგოფი.

აღნიშნულ ფაქტზე დაყრდნობით მკვლევარი ვ. ჭანიშვილი თვლიერობს, რომ მანგანუმის მადნის დამუშავება აკაკი წერეთელს დაუწყია 1876 ან 1877 წელს. მისი საბოლოო დასკვნით პირველმა აკაკი წერეთელმა დაიწყო მადნის მოპოვება კვიცხნარში 1876 წელს და ამით საფუძველი ჩაუყარა მანგანუმის მადნის მრეწველობას საქართველოში[352].

როგორც ვხედავთ, დღეს დამტკიცებულად ითვლება და ცხადია ის, რომ ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის განვითარების ინიციატორი იყო აკაკი წერეთელი. პირველად მასვე დაუწყია მანგანუმის მადნის მოპოვება. ხოლო რაც შეეხება დამუშავების

---

351 ალ. კოჭლავაშვილი, დასახ., გვ. 20, 39, 45—46, 57—58, 87.
352 ვ. ჭანიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 125.

დაწყების თარიღს, მკვლევარები ამ საკითხში დღემდეც ვერ შეთანხმებულან და სხვადასხვა წელს მიუთითებენ.

რა თქმა უნდა სიზუსტის დადგენა საჭიროა. მაგრამ მთავარი ის არის, რომ დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით დღეს ნათელია, რომ ჭიათურის მანგანუმის საბადოების სამრეწველო დამუშავება პირველად დაიწყო დიდმა ქართველმა პოეტმა აკაკი წერეთელმა და არა უცხოელებმა, როგორც ეს ზოგიერთებს მიაჩნდათ. აღსანიშნავია, რომ აკაკი წერეთლის გარდა მანგანუმის მოპოვება უცხოელების მოსვლამდე უნდა ეწარმოებინა კოლეჯსკი ასესორ გიორგი გოგიბერიძეს. 1878 წლის მარტში მან მთავრობას განუცხადა სოფელ რგანში მის მიერ მარგანეცის საბადოს აღმოჩენის შესახებ და მოითხოვა დაერთოთ ნება, დაემუშავებინა იგი[353]. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენ ხომ გვაქვს ოფიციალური სტატისტიკური ცნობა, რომლითაც 1879 წელს ჭიათურაში ამოიღეს და გაზიდეს 54 000 ფუთი მანგანუმი, მაშინ როდესაც პირველი უცხოელი, მერცენფელდი, მხოლოდ ერთი წლის შემდეგ — 1880 წელს აფორმებს ხელშეკრულებას მანგანუმის დამუშავების შესახებ. მაშასადამე, 1879 წელს მანგანუმის მოპოვებაში უცხოელები არ მონაწილეობდნენ, ამ წელს იგი მხოლოდ ადგილობრივმა ქართველებმა მოიპოვეს და გაზიდეს. აქვე სავსებით შესაძლებელია დავუშვათ, რომ აღნიშნული მანგანუმის რაოდენობის ნაწილი ამოუღიათ უფრო ადრე 1879 წლამდე, ხოლო მისი გატანა კი 1879 წელს მოახერხეს.

ამდენად, სავსებით ნათელი ხდება, რომ უცხოელების მოსვლამდე მანგანუმის მადნის მოპოვება დაიწყო აკაკი წერეთელმა და სხვა ქართველმა მეწარმეებმა — გ. გოგიბერიძემ, ივანე ბაგრატიონ-მუხრანელმა და სხვებმა. სახელდობრ, მათ 1879 წელს ამოიღეს (შესაძლებელია მანამდეც) და გაზიდეს 54 000 ფუთი მანგანუმი.

* * *

ჩქარა მათ შემდეგ, მანგანუმის დამუშავებას შეუდგნენ ადგილობრივი და სხვა მოსული მეწარმეები — ბარონ მერცენფელდი, ჩუბინიძე, მოსეშვილი, თბილისის სავაჭრო სახლი რიშარისა, ფოთელი ვაჭარი ავგერინო და სხვები.

მსხვილი მეწარმეების შემდეგ გამოჩნდნენ ადგილობრივი წვრილი მრეწველები, რომლებმაც შესძლეს მოკლე ხანში ხელთ ეგდოთ და იჯარით აეღოთ მიწის უკეთესი ნაკვეთები და შეევიწროებინათ მოსული უცხოელები. ბოლოს მოსულნი იძულებულნი

---

353 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 956.

შეიქნენ მიეტოვებინათ დაწყებული საქმე. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ მოსულნი არ იცნობდნენ ადგილობრივ პირობებს და რაციონალურად ვერ უდგებოდნენ წარმოებას.

შემდეგში უცხოელები, როგორც მაგალითად ფრანგები პიო, პუჟე, გვიან სოლელაკი და სხვები საქმეს სხვაგვარად ჰკიდებენ ხელს. სახელდობრ ისინი უმთავრესად გახდნენ შემსყიდველები, ნაწილობრივ მოიჯარადრეები და მათ წარმატებით მოაწყვეს მანგანუმის ექსპორტი.

მანგანუმის საბადოების ნაწილი მუშავდებოდა მიწისმფლობელი-მესაკუთრეების მიერ, ნაწილი კი იცემოდა იჯარით მეწარმეებზე. არსებობდა მადნის დამუშავების მოკლე და გრძელვადიანი იჯარა. თუ როგორი იყო საიჯარო პირობები, მასზე ნათელი წარმოდგენისათვის ნიმუშად მოვიყვანოთ საიჯარო ხელშეკრულება დადებული 1880 წელს თავად დავით აბაშიძესა და ბარონ მერცენფელდს შორის.

1880 წლის 19 იანვარს ქუთაისის მაზრის სოფ. სვირის მცხოვრებ დავით აბაშიძესა და პეტერბურგში მყოფ უცხოელ ბარონ მერცენფელდს შორის დაიდო შემდეგი ხელშეკრულება:

1. თავადი აბაშიძე, მფლობელი მიწებისა შორაპნის მაზრის სოფლებში — რგანსა და დარკვეთში, რომლებიც შეიცავდნენ მანგანუმის საბადოებს, ბარონ მერცენფელდს უფლებას აძლევდა 12 წლით დაემუშავებინა მანგანუმი სადაც აღმოჩნდებოდა. ამას გარდა მერცენფელდს თავის განკარგულებაში აძლევდა სათანადო რაოდენობით მიწებს მადნის დასაწყობად მისი ამოღების ადგილზე.

2. ბარონ მერცენფელდი ვალდებულებას იღებდა აბაშიძის მამულიდან ყოველწლიურად ამოეღო და გაეზიდა არა ნაკლებ 300 000 ფუთი მანგანუმისა, ყოველ ფუთზე 1 კაპიკის გადახდით. ამავე დროს მერცენფელდს უფლება ჰქონდა მეტი ამოეღო და გაეზიდა მადანი იმავე ფასით, ე. ი. ფუთზე 1 კაპიკის გადახდით. მერცენფელდი წლიურ საიჯარო ფასს—3 000 მანეთს აბაშიძეს უხდიდა წინდაწინ, წლის დასაწყისში (იანვრის თვეში). თუ რომელიმე წელს ბარონ მერცენფელდი მადანს 300 000 ფუთზე ნაკლებს ამოიღებდა, აბაშიძეს უფლება ჰქონდა მერცენფელდის მიერ წინასწარ გადახდილი საიჯარო ფასი — 3000 მანეთი დაეტოვებინა, ხოლო თუ მეტს ამოიღებდა და გაზიდავდა, მაშინ, მერცენფელდი წლის ბოლოს დამატებით უხდიდა აბაშიძეს ზედმეტ გაზიდულ მადანზე სათანადო ფასს—ფუთზე 1 კაპიკს. წინააღმდეგ შემთხვევაში აბაშიძეს უფლება ჰქონდა ნება არ მიეცა მერცენფელდისათვის ზედმეტი მადანი გაეზიდა.

3. გასაზიდი მადნის რაოდენობის შესამოწმებლად ბარონ

მერცენფელდი ვალდებული იყო დაეშვა აბაშიძე ან მისი რწმუნებული.

4. საიჯარო ვადის (12 წელი) გასვლამდე აბაშიძეს უფლება არ ჰქონდა მის მიერ მერცენფელდზე იჯარით გაცემული მიწები სოფ. რგანში და დარკვეთში საექსპლოატაციოდ გადაეცა სხვა ვინმესათვის. ამ მიწების სხვებზე გაყიდვის შემთხვევაში აბაშიძეს უფლება უნდა აეღო მერცენფელდისაგან, ხოლო ბარონ მერცენფელდს უფლება არ ჰქონდა შეეძინა ან იჯარით აეღო მიწები სხვებისაგან, მანგანუმის ამოღების მიზნით, შორაპნის მაზრაში, იმ მიწების გარდა რომლებიც მერცენფელდს უკვე შეძენილი ჰქონდა აღნიშნული მიზნისათვის.

5. სანამ არ გავიდოდა საიჯარო ვადა ბარონ მერცენფელდს უფლება არ ჰქონდა უარი ეთქვა ხელშეკრულებაზე თუ არ გამოიფიტებოდა მანგანუმის საბადოები აბაშიძის მამულში. ხოლო თუ სხვადასხვა მიზეზებით მერცენფელდი მაინც უარს იტყოდა ხელშეკრულებაზე, მაშინ იგი ვალდებული იყო აბაშიძისათვის ეხადა საიჯარო ფასი, 3 000 მანეთი ყოველწლიურად, საიჯარო ვადის გასვლამდე. თავად აბაშიძეს კი თავის მხრით უფლება არ ჰქონდა უარი ეთქვა მერცენფელდისათვის მანგანუმის ექსპლუატაციაზე 12 წლის მანძილზე.

6. ბარონ მერცენფელდი უფლებას აძლევდა თავად აბაშიძეს მოპოვებული 300 000 ფუთი მანგანუმიდან (მისი მოპოვების ადგილიდან სადგურ ყვირილამდე, თბილისი—ფოთის რკინიგზის ხაზამდე) ყოველწლიურად გაეტანა იმდენი, რამდენსაც საჭიროდ მიიჩნევდა, იმ ფასად, როგორც ამას იძლეოდნენ სხვა მოიჯარადრეები.

7. ბარონ მერცენფელდს უფლება ჰქონდა მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობანი მთლიანად ან ნაწილობრივ გადაეცა მეორე პირისათვის ან კომპანიისათვის, ხოლო თავად აბაშიძეს უფლება არ ჰქონდა წინააღმდეგობა გაეწია მისთვის ამ საქმეში, მაგრამ იმ პირობით, რომ მერცენფელდი პასუხისმგებელი იქნებოდა თუ მისი შემცვლელი არ დაიცავდა ვალდებულებებს.

8. 12 წლის გასვლის შემდეგ შეიძლებოდა ხელშეკრულების გაგრძელება ასეთივე პირობებით.

პირობის თანახმად ხელშეკრულების დადებისთანავე საიჯარო ფული 1880 წლისათვის — 3 000 მანეთი — დავით აბაშიძემ მიიღო მერცენფელდისაგან[354].

ძირითადად ასეთივე სახისა უნდა ყოფილიყო სხვა საიჯარო

---

354 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 970, ფურც. 2—5.

ხელშეკრულებანიც მანგანუმის წარმოებაში. მანგანუმის საიჯარო ფასი, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა იყო. იგი მერყეობდა 1-დან 2 კაპიკამდე ფუთ მანგანუმზე.

მანგანუმის მრეწველ-მოიჯარადრეებად უმთავრესად გამოდიოდნენ ქართველები — გლეხები, თავადაზნაურები, ვაჭრები, მოხელეები და სხვები. მანგანუმის წარმოებაში, მისი მოპოვების ღაწყებისთანავე მოსახლეობის ყველა ფენა ებმება: ასე მაგალითად, 1878 წლიდან, — კოლეექსკი ასესორი გიორგი გოგიბერიძე. 1880 წელს სოფელ რგანის სახაზინო გლეხები ითხოვენ ნებართვას მანგანუმის ამოღებაზე[355]; ამავე 1880 წლის მაისში მეორე გილდიის ვაჭარმა გედევან ჩუბინიძემ ითხოვა ნება დაერთოთ დაემუშავებინა მანგანუმი მის კუთვნილ მიწებზე სოფელ შუქრუთში, რგანში და მღვიმევში[356]. 1882 წელს ოზურგეთის მაზრის სოფელ ხევის მცხოვრებმა, მეორე გილდიის ვაჭარმა იორდანე სიხარულიძემ აზნაურ თომა ჯაფარიძესთან ერთად ითხოვა ნებართვა მათ მიერ იჯარით აღებულ მიწებზე ამოეღოთ მანგანუმი[357]. შემდეგში 1-ლი გილდიის ვაჭარმა სიხარულიძემ მეწარმეობა გააფართოვა. 1885 წლისათვის მას მანგანუმის დასამუშავებლად მიწები იჯარით ჰქონდა აღებული მღვიმევში, ზედა რგანში, დარკვეთში, შუქრუთში, ტაბაგრეკში, ცორკვალში, სარეკში და სხვაგან[358]. 1884 წელს მანგანუმის დამუშავების ნებართვას ითხოვენ გლეხები — მოსე და სიმონ მოსეშვილები, ოქროპირ ჩაჩანიძე, სოლომონ აბესაძე, თეიმურაზ ებანოიძე, მეორე გილდიის ვაჭრები: სარდიონ და სპირიდონ გაჩეჩილაძეები, აზნაური სოლომონ წერეთელი, ვაშაძეები[359] და სხვები.

მიწის ნაკვეთების აღება იჯარით ხდებოდა ბითუმადაც, ამოღებული მადნის წონის მხედველობაში მიუღებლად. მანგანუმის დამუშავებისათვის აუცილებელი იყო ნებართვის აღება მთავრობისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში მთავრობა აჯარიმებდა იმათ, ვინც უნებართვოდ ეწეოდა მანგანუმის ამოღებას. ასე მაგალითად, 1889 წელს კოლეექსკი ასესორ ნიკოლოზ ჩიკვაიძეს პასუხისგებაში აძლევენ იმის გამო, რომ მან არ წარადგინა სათანადო სტატისტიკური ცნობები შორაპნის მაზრაში მის მიერ მანგანუმის ამოღების შესახებ. მას აჯარიმებენ ფულით. პასუხისგებაში აძლევენ აგრეთვე გლეხებს ალფესი და ოტია გაფრინდაშვილებს, რომლებიც

---

355 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 967.

356 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 968.

357 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 1099.

358 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 1934.

359 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე №№ 1160—1163, 1166.

ნებართვის გარეშე იღებდნენ მანგანუმს (დაქირავებული მუშებით) თავის მიწაზე და მათაც ფულით აჯარიმებენ[360]. ასეთი შემთხვევები უამრავი იყო.

მანგანუმის მოპოვებაში უცხოელ კაპიტალისტებს თავიდანვე დიდად გაუსწრეს ადგილობრივმა ქართველმა ვაჭარ-მეწარმეებმა, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს საუკეთესო მადნიანი ადგილები. ამ მხრივ პირველობისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ პ. მოსეშვილი, გ. ჩუბინიძე, ი. სიხარულიძე და სხვ. მადნის მოპოვების პირველ წლებში ვერც ერთი უცხოელი ვერ იღებდა იმდენ მადანს, რამდენსაც ზემოთ აღნიშნული ქართველი მრეწველები. მაგალითად, 1885 წელს პ. მოსეშვილმა მოიპოვა და სადგურ ყვირილაში ჩაიტანა 470 000 ფუთი მანგანუმი, ი. სიხარულიძემ 360 000 ფუთი, ამდენივე გ. ჩუბინიძემ, მაშინ, როდესაც არც ერთ უცხოელ მრეწველს 200 000 ფუთზე მეტი მადანი არ მოუპოვებია და არ ჩაუტანია ყვირილაში საზღვარგარეთ გასაგზავნად[361]. შემდეგში, 90-იან წლებში, ქართველთაგან მსხვილი მრეწველები იყვნენ ნ. ღოღობერიძე, ნ. კაკაბაძე, ს. გაჩეჩილაძე, ს. წერეთელი, ნ. ბეჟანიშვილი, ყ. ვაშაძე, ს. აბესაძე და სხვები[362].

ქართველთაგან ყველაზე მსხვილი მრეწველი იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ქუთაისის საადგილმამულო ბანკის დირექტორი ნიკოლოზ ღოღობერიძე. მან 70-იანი წლების მიწურულს თავის მამულში, სოფელ რგანში დაიწყო მანგანუმის მოპოვება. შემდეგში შეიძინა მადნიანი ადგილები მღვიმევში, პერევისში და შუქრუთში. ნ. ღოღობერიძემ პირველმა გამოიყენა თავის მაღაროებში (სოფელ რგანში) რკინის რელსები. 1880 წელს მან მაღაროებში მონგრეული მადნის გამოზიდვის, გაადვილების მიზნით 120 მეტრის სიგრძეზე დააგო რკინის რელსები და მადნის ვაგონეტებით ზიდვა დაიწყო. ეს იყო ჭიათურაში პირველი ცდა მანგანუმის მაღაროებში რკინის რელსების გამოყენებისა, რაც შემდეგში ფართოდ გავრცელდა[363].

* * *

პირველ წლებშივე მანგანუმის დამუშავება სწრაფად გაიზარდა და იგი შემდგომშიც წლითი-წლობით იზრდებოდა. ასე მაგალითად, მანგანუმი ამოიღეს:

1879 წელს	54 000 ფუთი
1881 „	250 360 „

360 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 1836.

361 ვ. ჭანიშვილი, დასახ., გვ. 132—133.

362 ЦГИАЛ, ф. 37, оп. 67, д. 954, фурц. 12—25.

363 ვ. ჭანიშვილი, დასახ., გვ. 134.

1882	წელს	545 000	ფუთი
1884	„	1 265 000	„
1886		3 685 802[364]	„

მანგანუმის წარმოება კიდევ უფრო სწრაფად გაიზრდებოდა, მაგრამ ცუდი გზები და ტექნიკის უქონლობა აფერხებდა მას. ყველაზე მეტად იგრძნობოდა უგზოობა, რის გამოც ძალიან ჭირდა მანგანუმის გადატანა და იგი ძვირი ჯდებოდა. ამიტომ მოპოვებული მანგანუმის მნიშვნელოვანი ნაწილი გაუზიდავი რჩებოდა. ასე მაგალითად, 1879-დან 1886 წლამდე მოიპოვეს 200 750 ტონა მადანი, აქედან გაიტანეს 150 000 ტონა, ხოლო 50 000 ტონაზე მეტი მანგანუმი გაუტანელი რჩებოდა მოპოვების ადგილზე, ან რკინიგზისა და ნავსადგურების ბაქნებზე[365]. ჭიათურიდან ყვირილამდე მადნის გადატანის ხარჯის შემცირებით კი მრეწველებს საშუალება ექნებოდათ მსოფლიო ბაზარზე გატანილ ქართულ მანგანუმზე ფასი დაეკლოთ და იგი სწრაფად გაესაღებინათ.

ფუთი მანგანუმის გადატანა ჭიათურიდან სად. ყვირილამდე— 40 ვერსზე ჯდებოდა პირველ ხანებში 40 კაპიკი, ხოლო შემდეგ 22-25 კაპიკი, მაშინ, როდესაც ფუთი მანგანუმი მოპოვების ადგილზე ღირდა 5 კაპიკი. ადგილობრივი გლეხები მტრულად უყურებდნენ მოსულ გადამზიდველებს, რომელთაც კარგი ცხენები ჰყავდათ. გადატანა ხდებოდა ურმებითა და საკიდრებით. მადანს ეზიდებოდნენ ცხენებით, ხარებით და ჯორებით. გამოჩნდნენ მოსული გადამზიდველები აქლემებით, მაგრამ ადგილობრივმა მოსახლეობამ დაუყოვნებლივ აიძულა ისინი წასულიყვნენ, რადგან ცხენებს საერთოდ ეშინიათ ამ ცხოველის.

მანგანუმი ყვირილიდან რკინიგზით მიჰქონდათ ფოთსა და ბათუმში. ბათუმიდან საზღვარგარეთ მას აგზავნიდნენ ძალიან უმნიშვნელო რაოდენობით. აქედან მანგანუმი თითქმის მხოლოდ რუსეთში იგზავნებოდა. მოპოვებული მანგანუმის დიდი ნაწილი, 92%. ევროპაში იგზავნებოდა ფოთიდან.

ფუთი მანგანუმის დაახლოებითი ფასი საქართველოსა და უცხოეთის ბაზრებზე განისაზღვრებოდა შემდეგნაირად. ფუთ მანგანუმზე მიწის მფლობელს ეძლეოდა 2 კაპიკი (საიჯარო ფასი), 3 კაპიკი ეძლეოდა მუშას ფუთი მანგანუმის ამოღებისათვის, 3 კაპიკი — ფუთი მანგანუმის მოსატანად ჭიათურაში, 22—25 კაპიკი

---

[364] «Кавказский календарь», 1893, гл. стат. и. др. дан. о Кавказе. Кутаисская губерния. გვ. 107.

[365] ვ. ჭ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ., გვ. 139.

ფუთი მანგანუმის მიტანისათვის ყვირილაში, 7 კაპიკი — მისი ფოთში მიტანისათვის რკინიგზით, 2 კაპიკი — ზედნადები ხარჯები. ე. ი. საბოლოოდ მანგანუმზე ხარჯები უდრიდა 39—42 კაპიკს.

1890 წელს ფუთი მანგანუმი, საშუალოდ, ფოთის ბაზარზე ღირდა 42 კაპიკი.

ფოთიდან მარსელამდე, ამსტერდამამდე, ლივერპულამდე და ევროპის სხვა ნავსადგურამდე ფუთ მანგანუმზე საშუალო ფრახტი (საზღვაო ტარიფი) იყო 12 კაპიკი, 5 კაპიკი ზედნადები ხარჯები, მივიღებთ სულ 56—59 კაპიკს, რომელიც შეადგენს ფუთი მანგანუმის საიჯარო ფასის, მისი ამოღებისა და საზღვარგარეთ მისი გატანის ყველა ხარჯს.

ფუთი მანგანუმის საბაზრო ფასი საზღვარგარეთ 1890 წელს უდრიდა 63—65 კაპიკს[366].

მოტანილი მონაცემებიდან გამოდის, რომ ჭიათურის მანგანუმის მრეწველის სუფთა მოგება მოპოვებულ ფუთ მანგანუმზე შეადგენდა დაახლოებით 6—7 კაპიკს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საწარმოო იარაღების განახლებისა და შეკეთების ხარჯებს. რკინიგზის შტოს გაყვანით კი, ცხადია, ჭიათურიდან ყვირილამდე ფუთი მანგანუმის მიტანა გაცილებით იაფი დაჯდებოდა, ე. ი. შემცირდებოდა მანგანუმის თვითღირებულება, რის შედეგად საზღვარგარეთ ქართული მანგანუმი გაცილებით იაფად გაიყიდებოდა და იგი თავისი მაღალი ხარისხით კონკურენციის გარეშე დადგებოდა.

ჯერ კიდევ 1880 წელს ინჟინერ-პოლკოვნიკ ლენჩევსკის დაავალეს გაეფართოებინა საურმე გზა სადგ. ყვირილიდან ჭიათურამდე — მანგანუმის სარეწებამდე. ლენჩევსკიმ შონახა ახალი გზა და დაიწყო მისი გაყვანა. მაგრამ იგი დიდ ხარჯებს ითხოვდა და მიატოვეს.

1881 წელს ინჟინერ-პოლკოვნიკმა ფონ-ვესენგოფმა გზის გასაყვანად შეადგინა ხარჯთაღრიცხვის პროექტი, მაგრამ მას შედეგი არ მოჰყოლია, რადგან ერთდროულად პეტერბურგელმა ვაჭარმა მეისნერმა წარადგინა პროექტი კონკის რკინიგზის გაყვანის შესახებ.

მეისნერის შემდეგ ფრანგმა ექსპერტიორმა პიომ ნებართვა გამოითხოვა გაეყვანა საორთქლმავლო რკინიგზა, პირადად მისი საჭიროებისათვის. ამის საპირისპიროდ მეისნერმა ასევე შესთავაზა მთავრობას, გაეყვანა ასეთივე რკინიგზა, მაგრამ საერთო

---

[366] «Кавказский календарь», 1893, гл. Кутаисская губерния, гр. 110.

სარგებლობისათვის. მიუხედავად ამისა ეს პროექტები უშედეგოდ დარჩა სამიმოსვლო გზათა სამინისტროში[367].

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი მეწარმეები, რომელთა ხელთ იყო სარეწები, აშკარად წინააღმდეგნი იყვნენ გზის გაყვანის, რადგან ეშინოდათ, რომ ამ შემთხვევაში ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნებოდა მანგანუმის ექსპლუატაცია. რომ მოვიდოდნენ მსხვილი კაპიტალისტები და წაართმევდნენ მათ მონოპოლიას. მათ იცოდნენ, რომ მხოლოდ არსებულ პირობებში გარედან მოსული მეწარმეები ვერ შესძლებდნენ მათთან ბრძოლას.

1888 წელს ისევ გამოჩნდნენ უცხოელი მეწარმეები, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს გაეყვანათ რკინიგზა თავიანთი სახსრებით. ხაზინას შეპირდნენ გადატანილ ყოველ ფუთ მანგანუმზე 1 კაპიკის გადახდას, იმ პირობით, თუ ფუთ მანგანუმზე, გადატანისათვის, მთავრობა დააწესებდა 7 კაპიკიან ბაჟს. ეს წინადადება მოიწონეს და განსახილველად გაუგზავნეს უმაღლეს ხელისუფლებას. მაგრამ მაშინ შორაპნის მაზრის მცხოვრებლებმა წარუდგინეს მთავრობას თხოვნა, არ მიეცათ რკინიგზის გაყვანის ნება უცხოელებისათვის და საამისო კონცესია მიეცათ რუსეთის ქვეშევრდომთათვის. ამის გამო უცხოელთა კომპანიის წინადადება შეიცვალა რუსი კაპიტალისტების—ციმერმანის, ფურმანის, იალოვეცკისა და სხვების პროექტებით. ეს პროექტები განიხილეს ქ. ქუთაისში და მათგან მიიღეს ინჟინერ იალოვეცკის პროექტი რკინიგზის გასაყვანად.

რუსი კაპიტალისტების პროექტების პარალელურად ერთმა გერმანულმა კომპანიამ დააპროექტა ტყიბულის მახლობლად ფერომანგანის ქარხნის მოწყობა. გათვალისწინებული იყო მანგანუმის მოტანისათვის ტყიბულში გაეყვანათ საჰაერო საბაგირო გზა ტყიბულიდან ჭიათურამდე. ეს პროექტი მიუხედავად დიდი ფულადი ხარჯების გაღებისა არ განხორციელდა, იმის გამო რომ მიწისმფლობელებთან, რომელთა მიწებზე უნდა დაედგათ ბოძები, შეუძლებელი შეიქნა სათანადო და ხელსაყრელი შეთანხმების დადება[368].

ამ დროისათვის უკვე ჭიათურის მანგანუმმა მსოფლიო ბაზარზე პირველი ადგილი და საერთო აღიარება მოიპოვა. მადნის ამოღება ჭიათურაში სწრაფი ტემპებით იზრდებოდა.

ჭიათურა-შორაპნის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის გაყვანისათვის ბრძოლაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს ცნობილმა საზოგადო მოღვაწეებმა — ნ. ნიკოლაძემ და გ. წერეთელმა, რომლებიც 80-იან წლებში ა/კავკასიის რკინიგზის საზოგადოების გამგე-

---

367 „Кавказский календар", 1893, гл. кутаисская губерния, გვ. 107—108.
368 იქვე, გვ. 109.

ობაში მუშაობდნენ. აქ მათ პირველად აღძრეს საკითხი ჭიათურის რკინიგზის გაყვანის შესახებ. მთავარმართებელ დონდუკოვ-კორსაკოვის დავალებით ა/კავკასიის რკინიგზის საზოგადოების გამგეობამ 1886 წელს აღძრა შუამდგომლობა გზათა სამინისტროს წინაშე, რათა ნება დაერთოთ მათთვის, ჭიათურა-შორაპნის რკინიგზის ტრასის გამოსანახავად, საძიებო სამუშაოები ჩაეტარებინათ[369]. მაგრამ რკინიგზის გაყვანის საქმე შეჩერდა. ამის გამო ნ. ნიკოლაძემ დიდი ბრძოლა გააჩაღა პრესაში რკინიგზის გაყვანისათვის.

ამიერკავკასიის რკინიგზის მთავრობის ხელში გადასვლასთან დაკავშირებით, მიხვდნენ თუ რა სარგებლობას მოუტანდა ხაზინას ჭიათურის შტოს გაყვანა, მთავრობამ გადაწყვიტა თვით მას გაეყვანა რკინიგზა. 1890 წელს მანგანუმზე მოთხოვნის ძლიერმა ზრდამ მთავრობა მიიყვანა დასკვნამდე, დაუყოვნებლივ დაეწყო რკინიგზის გაყვანა და ეს საქმე საბოლოოდ გადაწყდა.

ზოგიერთ მონოპოლისტ მრეწველთა წინააღმდეგობა, არ გაეყვანათ რკინიგზა, თანდათან შესუსტდა, განსაკუთრებით 1888 წლის შემდეგ. ამ წელს მანგანუმის ამოღება თითქმის შეჩერდა, ჩილის უფრო იაფი მანგანუმის კონკურენციის შედეგად. ბევრმა მრეწველმა გადაწყვიტა მიეტოვებინა წარმოება. მაგრამ მათი შიში არ გამართლდა, რადგან ჩილის მანგანუმმა მრავალმხრივ არ გაამართლა მექარხნეთა იმედები. ჭიათურელმა მრეწველებმა გააძლიერეს შუამდგომლობა რკინიგზის რაც შეიძლება მალე გაყვანის შესახებ, რადგან მათთვის ცხადი გახდა ის ზარალი რაც გამოწვეული იყო სწრაფი შეკვეთების არადროულად მიწოდებით საზღვარგარეთის ბაზრებზე, და ამიტომ შეიგნეს რკინიგზის გაყვანის აუცილებლობა, რათა თავიდან აეცილებინათ ამინდზე დამოკიდებულება და გადამზიდავების თვითნებობა.

1891 წელს სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა ჭიათურა-შორაპნის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის გაყვანის საერთო ღირებულება 1 097 000 მანეთის რაოდენობით და ამ საქმეზე თავისი შეხედულება წარუდგინა მეფეს. ამ უკანასკნელმა ჭიათურა-შორაპნის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის გაყვანის ნებართვაზე ხელი მოაწერა 1891 წლის 15 ივლისს[370]. ამის შემდეგ დაიწყო გზის მშენებლობა. ხაზინამ გაიყვანა ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა შორაპნიდან ჭიათურამდე — 38 ვერსზე. რკინიგზის გაყვანა დამთავრდა 1894 წელს, ხოლო ნორმალური მოძრაობა მასზე დაიწყო

---

369 ვ. ჭ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ., გვ 146, 158.

370 იქვე, გვ. 164.

1895 წლის თებერვლიდან[371]. 1900 წელს ჭიათურის ხაზი გაგრძელეს კიდევ 6 ვერსზე სოფელ დარკვეთამდე. ამ ხაზზე არსებობდა 206 პლატფორმა, სადაც მადნის მრეწველები აწყობდნენ მანგანუმს გასაზიდად[372]. მანგანუმს პლატფორმებამდე ეზიდებოდნენ უმთავრესად ურმებითა და საკიდრებით.

ჭიათურა-შორაპნის 40-კილომეტრიან რკინიგზაზე, 1 ფუთი მადნის გადაზიდვაზე, მთავრობამ დააწესა ძალიან მაღალი ტარიფი — 10 კაპიკი. რკინიგზის გაყვანით ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის განვითარებაში ახალი ეტაპი დაიწყო.

ჭიათურის რკინიგზის გაყვანით უკუგდებულ იქნა ერთ-ერთი ძირითადი დამაბრკოლებელი მიზეზი, რომელიც ხელს უშლიდა მანგანუმის მრეწველობის განვითარებას საქართველოში. რკინიგზის ამ შტოს გაყვანამ სწრაფად გაზარდა მანგანუმის გატანა. მანვე გამოიწვია ფასის შემცირება მადანზე. ასე მაგალითად, რკინიგზის გაყვანის შემდეგ ფუთი მანგანუმი ფოთში იყიდებოდა 25-30 კაპიკად. თვით მაღაროებში კი მანგანუმის ფასი არ შეცვლილა და მერყეობდა 4-დან 6 კაპიკამდე, როგორც წინა წლებში, ხოლო ჭიათურაში იგი ღირდა 7—8 კაპიკი.

როგორც აღინიშნა, მანგანუმის მოპოვების მრეწველობას ჭიათურაში თავიდანვე დაეპატრონენ ადგილობრივი ქართველი მრეწველები. უცხოელები იძულებული შეიქმნენ მადნის ექსპორტიორებად ქცეულიყვნენ. მაგრამ პირველ ხანებში ადგილობრივ მრეწველთა დიდ ნაწილს მცირე საბრუნავი კაპიტალი გააჩნდა, (რომელიც საჭირო იყო მადნის მოპოვებისა და საზღვარგარეთ გასატანად), რის გამო ისინი უცხოელებისაგან იღებდნენ წინასწარ ფულს, ხოლო შემდეგ მათ სათანადო რაოდენობით აბარებდნენ მადანს. ეს გარემოება მათ ექსპორტიორებზე დამოკიდებულს ხდიდა.

უცხოელ კაპიტალისტებთან წარმატებითი ბრძოლისა და უპირატესობის შენარჩუნების მიზნით ადგილობრივმა ქართველმა მრეწველებმა მადნის მოპოვების პირველ პერიოდშივე, 1880 წელს, შექმნეს გაერთიანება — „იმერეთის ამხანაგობა", რომელიც მანგანუმის ამოღებას აწარმოებდა რგანის, შუქრუთის, მღვიმევის და პერევისის ზეგნებზე. „იმერეთის ამხანაგობა" წარმოების მოცუ-

---

371 ჭიათურა-შორაპნის რკინიგზა დანიშნული იყო მხოლოდ მადნის გადასაზიდავად. ხალხის გადაყვანის მიზნით 1895 წელს საბარგო ვაგონების შემადგენლობას მიაბეს 4 ვაგონი.

372 «Кавказский вестник», 1901, № 10, გვ. 46.

ლობისა და მადნის მოპოვების მხრივ წინ იდგა ამ დროს ჭიათურაში არსებულ უცხოურ ვახტერის კომპანიასთან შედარებით. შემდეგში, როცა დაიწყეს რკინიგზის გაყვანა, უცხოელი კაპიტალისტების ლტოლვა ჭიათურაში დიდად გაძლიერდა. მაგრამ ამჟამად ისინი საშიშროებას ვერ ქმნიდნენ, რადგან ამ დროისათვის უკვე ქართველი მეწარმეების მნიშვნელოვანი ნაწილი მსხვილი მრეწველები იყვნენ და ბევრი მათგანი აწარმოებდა როგორც მადნის ამოღებას ისე მის ექსპორტს (ნ. ღოღობერიძე, გ. ჩუბინიძე და სხვები). უცხოური ფირმებიდან ამ დროს, 90-იანი წლების დასაწყისში, გამოირჩეოდა ფრანგი კაპიტალისტების საზოგადოება „დარკვეთი"-ს სახელწოდებით, რომელიც სოფელ დარკვეთში აწარმოებდა მანგანუმის მოპოვებას.

„იმერეთის ამხანაგობის" დაარსების დიდი ხნის შემდეგ, 1894 წელს ჭიათურაში შეიქმნა „კავკასიის მარგანეცის სამრეწველო ამხანაგობა", ხოლო 1895 წელს — „კავკასიის მარგანეცის ამხანაგობა". დასახელებულ „ამხანაგობებში" გაერთიანებული იყო მრეწველთა დიდი ნაწილი. ამ გაერთიანებათა ხელმძღვანელ ჯგუფებში არჩეული იყვნენ: პ. მოსეშვილი, გ. ჩუბინიძე, ზ. გაჩეჩილაძე, ს. აბდუშელიშვილი, ნ. ბექანიშვილი, ე. რატიანი, ი. ქადაგიძე და ნ. ყიფშიძე. სამრეწველო „ამხანაგობების" უმთავრეს მიზანს შეადგენდა მოპოვებული მანგანუმის ექსპორტი და მისი გასაღების ორგანიზაცია.

მრეწველების გაერთიანება რამდენადმე აუმჯობესებდა მათ მუშაობის პირობებს უცხო კაპიტალისტებთან და ექსპორტიორებთან ბრძოლაში, მაგრამ ზემოთ მოხსენებული „ამხანაგობების" შექმნით მანგანუმის მადნის წარმოების საერთო მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, რადგან ასეთ „ამხანაგობებს" არავითარი ანგარიში არ ეწეოდა მთავრობის მხრივ. ისინი არ ითვლებოდნენ ოფიციალურ ორგანიზაციებად, რომლებიც დაფუძნებული უნდა ყოფილიყო იმ დროს არსებულ სამთო კანონმდებლობაზე. ეს „ამხანაგობები" წარმოადგენდნენ მრეწველთა უბრალო შეთანხმებებს. მათი მთავარი მიზანი იყო მოპოვებული მადნის საერთო გასაღება, საერთო მყიდველის შოვნა, მანგანუმის მადანზე მტკიცე ფასების შენარჩუნება და საერთოდ ერთმანეთისათვის ხელის არ შეშლა წარმოების საქმეში. მათ არ შეეძლოთ ოფიციალურად მიემართათ, გამოსულიყვნენ ყველა მრეწველის სახელით, დაესვათ საერო მნიშვნელობის საკითხები ხელისუფლების ორგანოების წინაშე. ამიტომ საჭირო იყო მრეწველობის ისეთი ორგანიზაციის შექმნა, რომელშიაც გაერთიანებული იქნებოდა მანგა-

ნუმის მადნის ყველა მრეწველი და რომელიც დაფუძნებული იქნებოდა იმ დროს არსებულ კანონებზე[373].

ასეთი ორგანიზაცია შეიქმნა 1896 წელს „შორაპნის მაზრის მარგანეცის მადნისმრეწველთა ყრილობის“ სახელწოდებით. 1896 წლის აპრილში მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების მინისტრის ნებართვით ქუთაისში გაიხსნა შორაპნის მაზრის მანგანუმის მადნისმრეწველთა პირველი ყრილობა. ამით საფუძველი ჩაეყარა აღნიშნული ორგანიზაციის დაარსებას.

ყრილობაზე განსახილველად წარადგინეს შემდეგი ძირითადი საკითხები: 1) მანგანუმის მადნის მრეწველების ყრილობის დებულების პროექტი, 2) მაღაროებზე ტექნიკური ზედამხედველობის გაძლიერების შესახებ, 3) რკინიგზისა და მადნის გადაზიდვის სხვა საშუალებების გაუმჯობესება, 4) მრეწველებისათვის იაფი და ყველასათვის ხელმისაწვდომი გრძელვადიანი სესხის მიცემის შესახებ, 5) სამრეწველო რაიონში საპოლიციო ზედამხედველობის შესახებ, 6) ქუთაისის ოლქში სამთო სკოლის დაარსების შესახებ, 7) უცხო ქვეყნებში არსებულ რუსეთის საკონსულოების ან სპეციალური აგენტების დახმარებით მსოფლიო ბაზარზე მანგანუმის ირგვლივ ცნობების სისტემატური შეკრების შესახებ, 8) ყრილობის საბჭოს უფლება-მოვალეობის ინსტრუქციის გამომუშავება, 9) თანამდებობის პირთა არჩევნები, 10) ერთ ფუთ მადანზე ნახევარკაპიკიანი სავალდებულო გადასახადისაგან შემოსული თანხის ყრილობის განკარგულებაში გადასვლა და სხვ.

ყრილობამ განიხილა და მიიღო „დებულება შორაპნის მაზრის მარგანეცის მადნის მრეწველებისა“. დებულებით ყრილობა წარმოადგენდა ორგანიზაციას, რომელშიაც ეაერთიანებული იყო შორაპნის მაზრაში მომუშავე მანგანუმის მადნის მრეწველები, ან ის პირები, რომლებიც ეწეოდნენ ექსპორტს. „ყრილობის“ მოვალეობას შეადგენდა განეხილა ყველა ის საკითხი, რომლებიც დაკავშირებული იყო მანგანუმის მოპოვებასთან და მის ექსპორტთან, ყოველმხრივ შეეწყო ხელი მადნის წარმოების განვითარებისათვის.

ყრილობა უნდა შეკრებილიყო ყოველწლიურად. ყრილობის აღმასრულებელი ორგანო იყო საბჭო[374].

დებულებით ერთი ხმის უფლებით სარგებლობდა ყველა მრეწველი, თუ მის მიერ მოპოვებული მადნის რაოდენობა წელიწადში 100 000 ფუთს შეადგენდა ან ეწეოდა მადნის ექსპორტს წელიწადში 300 000 ფუთის რაოდენობით. ამ ნორმების მიხედვით ერთი

---

373 ვ. ჭ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ., გვ. 190.

374 იქვე, გვ. 194—195.

და იგივე პირს შეიძლებოდა ჰქონოდა 2, 3. 4 და ა. შ. ხმები, მადნის ამოღების ან გატანის რაოდენობის შესაბამისად. გეომეტრიული პროგრესიით. ასე მაგალითად, ორი ხმის უფლება ჰქონდა მას ვინც ამოიღებდა 200 000 ფუთ მადანს ან გაიტანდა 600 000 ფუთ მადანს; სამი ხმის — ვინც ამოიღებდა 400 000 ფუთ მადანს ან გაიტანდა 1 200 000 ფუთს, ოთხი ხმის — ვინც ამოიღებდა 800 000 ფუთს ან გაიტანდა 2 400 000 ფუთ მადანს და ა. შ.

ყრილობის აღმასრულებელი ორგანოს — საბჭოს არჩევნები, ხდებოდა ფარული კენჭისყრით. ირჩევდნენ საბჭოს თავმჯდომარეს, საბჭოს 4 წევრს და 3 კანდიდატს. საბჭოს თავმჯდომარეს ირჩევდნენ 3 წლის ვადით. ყრილობის საბჭოს თავმჯდომარედ 1896 წლიდან 1917 წლამდე იყო გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი), მისი მოადგილე — კიტა აბაშიძე.

საბჭოს უფლება ჰქონდა მანგანუმის მადნის წარმოების ირგვლივ წამოჭრილ საკითხებზე მიემართა მინისტრისათვის არა უშუალოდ, არამედ კავკასიის სამთო სამმართველოს მეშვეობით.

ყრილობის სახსრები შედგებოდა თითოეულ ფუთ მადანზე საველდებულო გადასახადისაგან, რომელიც დაწესებული იყო სათანადო დებულებით.

მრეწველთა I ყრილობამ მცირე შესწორების შეტანის შემდეგ მიიღო „შორაპნის მაზრის მარგანეცის მადნის მრეწველების ყრილობის დებულების“ პროექტი და დასამტკიცებლად წარუდგინა მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების მინისტრს, რომელმაც იგი დაამტკიცა 1896 წლის ნოემბერში.

გარდა „დებულებისა“, ყრილობამ მრავალ საკითხზე მიიღო დადგენილებები. ერთ-ერთი დადგენილება ეხებოდა ნახევარკაპიკიან გადასახადს ერთ ფუთ მადანზე. ეს გადასახადი დაწესდა 1893 წლიდან, რომლის დანიშნულება იყო სახელმწიფო სამთო ათისთავების, მარქშეიდერების, პოლიციის, სამედიცინო მოსამსახურეების და სხვათა შენახვა. ყრილობის საბჭოს შუამდგომლობით ამ გადასახადებისაგან შემოსული თანხა უნდა გადასულიყო მანგანუმის მადნის მრეწველების ყრილობის განკარგულებაში, რადგან მისი დაარსებით შორაპნის მაზრაში მანგანუმის მრეწველობის პატრონი იყო ყრილობა. მთავრობამ დააკმაყოფილა საბჭოს ეს შუამდგომლობა 1896 წელს[375].

---

375 იქვე, გვ. 195—198.

მრეწველები წარმოებასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ მთელ რიგ პრეტენზიებს აცხადებდნენ. ამ საკითხების დეტალურად შესწავლის მიზნით ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა შექმნა საგანგებო კომისია, რომლის თავმჯდომარედ დანიშნა ნ. პრინცი (ე. ჭანიშვილი, დასახ., გვ. 207).

ნახევარკაპიკიანი გადასახადი ყოველ ფუთ მანგანუმზე (საფუთო გადასახადი) შეადგენდა მრეწველთა ყრილობის საბჭოს მთავარ შემოსავალს. ამ შემოსავალს საბჭო ხარჯავდა გზების გაყვანასა და შეკეთებაზე, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაზე, მუშების საჭიროებაზე, სახალხო განათლებაზე, ყრილობასა და საბჭოზე და სხვა საქმეებზე.

მანგანუმის მადნისმრეწველთა „ყრილობის" დაარსებით დასავლეთ საქართველოს ქართველმა ბურჟუაზიამ, რომელიც ძირითადად თავმოყრილი იყო ჭიათურაში, ძლიერი კორპორაცია შექმნა უცხოურ კაპიტალთან საბრძოლველად ეროვნული მრეწველობის განვითარების საქმეში. კორპორაციაში, ცხადია, წამყვან როლს ასრულებდა და გაბატონებული მდგომარეობა ეკავა მსხვილ ბურჟუაზიას.

90-იან წლებში, განსაკუთრებით რკინიგზის შტოს გაყვანის შემდეგ, ჭიათურაში მანგანუმის ამოღება და გატანა სწრაფად გაიზარდა. მაგრამ ამავე დროს ხდება ფასების დაწევა მსოფლიო ბაზარზე, რამაც დააფიქრა ჭიათურელი მადნისმრეწველები. რომლებმაც არ იცოდნენ მანგანუმის წარმოების საქმე საზღვარგარეთ.

ამიტომ 1896 წელს ჭიათურის მანგანუმის მრეწველთა ამავე 1-ლ ყრილობაზე განიხილეს საკითხი — მანგანუმის მსოფლიო მრეწველობასა და ვაჭრობაზე სტატისტიკური ცნობების შეკრების შესახებ.

მხედველობაში მიიღეს რა ის გარემოება, რომ მანგანუმი იგზავნებოდა თითქმის მხოლოდ და მხოლოდ საზღვარგარეთ, უმთავრესად ინგლისში, ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიაში და ბელგიაში, ყრილობამ ერთხმად დაადგინა ეშუამდგომლა ფინანსთა სამინისტროს წინაშე, რათა რუსეთის საკონსულოებისათვის დაევალებინათ შეეკრიბათ დაწვრილებითი ცნობები მანგანუმის მსოფლიო ბაზრის მდგომარეობის შესახებ.

შავი ქვის (მანგანუმის) მრეწველთა ყრილობის საბჭო სწერდა ფინანსთა მინისტრს, რომ მიუხედავად მზარდი მოთხოვნილებისა ჭიათურის მანგანუმზე ევროპაში, იქაური მექარხნეები, განსაკუთრებით ინგლისელები, უთანხმდებიან ერთიმეორეს, ყოველწლიურად ამცირებენ ფასს ჩვენს მანგანუმზე, სარგებლობენ იმით, რომ ჩვენ არ გაგვაჩნია ზუსტი ცნობები მანგანუმის მსოფლიო ბაზრის მდგომარეობის შესახებ. თუ მანგანუმის მრეწველობის დაწყებისას ტონა მანგანუმი ღირდა 18—19 პენსი, ამჟამად იგი ღირს არა უმეტეს $10^1/_2$ პენსისა, ე. ი. რამდენიმე წლის მანძილზე მანგანუმზე ფასი თითქმის განახევრდა. უცხოელები მანგანუმზე ფასის დაცემას ხსნიან იაფი მადნებით, რომლებიც თითქოს მიჰქონ-

დეთ საქართველოს გარდა სხვა ქვეყნებიდან. ჩილის გარდა, სადაც მანგანუმის ამოღება ხდება ასე თუ ისე მნიშვნელოვანი რაოდენობით, მანგანუმის მრეწველობამ, მათი განცხადებით, აყვავება დაიწყო ბრიტანეთის ინდოეთში, ბრაზილიაში, საბერძნეთში, თურქეთში და ასე შემდეგ.

თუ ცნობები სწორია, განაგრძობდა საბჭო თავის მიმართვაში, მაშინ ჩვენი მშობლიური მანგანუმის მრეწველობის შენარჩუნებისათვის, რომელიც მარტო ამიერკავკასიის რკინიგზას აძლევს შემოსავალს წელიწადში არა ნაკლებ 1½ მილიონი მანეთისა, საჭიროა დროულად გავეცნოთ მანგანუმის საქმეს სხვადასხვა ქვეყნებში, და მივიღოთ სათანადო ზომები უცხოელებთან წარმატებითი ბრძოლისათვის[376].

ყრილობამ მოითხოვა რუსეთის საკონსულოებს გაეგოთ შემდეგი:

1. მანგანუმის წლიური მოხმარება მთელ მსოფლიოში.

2. მანგანუმის მოხმარება ცალკეულ ქვეყნებში ქალაქების მიხედვით.

3. მანგანუმის საერთო მოხმარებიდან რა რაოდენობა მოდის კავკასიის მანგანუმზე და რა რაოდენობა მოდის სხვა ქვეყნებზე ცალ-ცალკე.

4. მანგანუმის რა რაოდენობა მოდის ფერო-მანგანუმის წარმოებაზე და რა რაოდენობა ქიმიურ ქარხნებზე.

5. მანგანუმის მოხმარების მთავარი ქარხნები თითოეულ ქვეყანაში და მათ მიერ მანგანუმის მოხმარების რაოდენობა წლიურად.

6. მანგანუმის ფასები მსოფლიო ბაზარზე სხვადასხვა წლებში. ფასები კავკასიის მანგანუმზე და ასევე სხვა ქვეყნების მანგანუმზე. რით აიხსნება ფასების განსხვავება.

7. მანგანუმის მოპოვების ადგილები სხვადასხვა ქვეყნებში. წარმოების პირობები: მადნის ხარისხი, მისი მიწის ნაკვეთი. მდებარეობა, ამოღებისა და დამუშავების ღირებულება ადგილზე. გადაზიდვის ღირებულება.

8. მანგანუმის ამოღების რაოდენობა წელიწადში, ცალკეულ ქვეყნებში. სად საღდება იგი. მანგანუმის რა მარაგია.

9. მანგანუმის მრეწველთა რიცხვი ცალკეულ ქვეყანაში. არსებობს თუ არა სინდიკატები და საერთოდ მანგანუმის მრეწველობის რა ორგანიზაცია აქვთ მათ.

10. ფასები მაქსიმალური და მინიმალური. რომელია ყველაზე უფრო დაბალი ფასი, რომლის იქეთ, მრეწველს არ შეუძლია მანგანუმის გაყიდვა. რა შემადგენელი ნაწილებისაგან შესდგება ფა-

[376] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 65, д. 2711, фурц. 3—4.

სი, ე. ი. ღირებულების რა ნაწილი მოდის მადნის ამოღებაზე, რა ნაწილი იჯარაზე, რა ნაწილი გადატანაზე და ა. შ.

11. რა უჯდება მანგანუმი აღებულ ქვეყანას. ე. ი. რა ფასი აქვს მადანს ადგილზე და რამდენი ჯდება ტრანსპორტის ხარჯი.

12. რა მიზეზები მოქმედებენ საერთოდ მანგანუმის ფასების დაცემაზე. ამის მიზეზია ჭარბი წარმოება და მანგანუმის ქვეყნების კონკურენცია ურთიერთშორის თუ მადნის მომხმარებელი ქარხნების გაფიცვა.

შეიძლება თუ არა საჭიროების შემთხვევაში შევუთანხმდეთ საზღვარგარეთელ მანგანუმ-მრეწველებს, მანგანუმზე ფასების რეგულირების საქმეში.

თუ ეს ცნობები შეიკრიბება, მიმართავდა ფინანსთა მინისტრს შავი ქვის მრეწველთა ყრილობის საბჭო, მაშინ ჩვენი მანგანუმის მრეწველობა გათავისუფლდება იმ უცოდინარობისა და წყვდიადისაგან, რომელშიც იგი ამჟამად იმყოფება. ყრილობის საბჭო ფინანსთა მინისტრს სთხოვდა ამ მხრივ დახმარების აღმოჩენას[377].

მიმართვას ხელს აწერდნენ ყრილობის საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი) და საბჭოს მდივანი ნანეიშვილი.

მსოფლიო ბაზარზე მანგანუმის ფასის დაცემის მიზეზები მრავალი იყო. ამათგან ძირითადი იყო მანგანუმის მადნის მოპოვების გაფართოება და გადიდება მსოფლიოში, რის შედეგად დიდად გაიზარდა მისი გატანა მსოფლიო ბაზარზე, ასევე, მანგანუმის მრეწველთა შორის არსებული კონკურენცია.

მსოფლიო ბაზარზე მანგანუმის ფასის დაწევამ თავისი დაღი დაამჩნია ჭიათურის მრეწველობას და მისი კრიზისი გამოიწვია. მსოფლიო ბაზარზე მანგანუმის ფასის დაცემის გარდა ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის კრიზისი გამოიწვია მრეწველთა შორის კონკურენციამ, მადნის ამოღებისა და დამუშავების ტექნიკურმა ჩამორჩენილობამ და ჭიათურა-შორაპნის რკინიგზის ხაზზე მაღალი ტარიფის არსებობამ.

მადნისმრეწველებმა პირველყოვლისა ამ უკანასკნელ გარემოებას მიაქციეს ყურადღება და მთავრობის წინაშე დასვეს ჭიათურის რკინიგზის ტარიფის საკითხი.

როგორც ცნობილია, მოძრაობა ჭიათურის რკინიგზის ხაზზე დაიწყო 1895 წლიდან. ამ ხაზზე მთავრობამ დააწესა მეტად მაღალი ტარიფი: ფუთი მანგანუმის გადატანაზე 38 ვერსზე (ჭიათურიდან შორაპნამდე) 10 კაპიკი. იმის გამო რომ ევროპის ბაზრებზე მანგანუმის ფასებმა დაიწია, ხოლო ჭიათურის შტოზე მაღალი

---

[377] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 65, д. 2711, фурц. 4—6.

ტარიფი არსებობდა, ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა მეორე ყრილობის საბჭომ 1898 წელს აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე ტარიფის შემცირების შესახებ. მან მოითხოვა ფუთ მანგანუმზე 10 კაპიკიანი ტარიფის ნაცვლად 3 კაპიკი დაეწესებინათ.

მთავრობამ ასეთი მაღალი ტარიფი ჭიათურის შტოზე იმიტომ დააწესა, რომ მსოფლიო ბაზარზე ჭიათურის მანგანუმს კონკურენციას ვერავინ უწევდა, რადგან მასზე მოთხოვნა ყოველწლიურად ძლიერდებოდა. ამას ზედ დაერთო პოლიტიკური არეულობა კუნძულ კუბაზე, რომელიც იყო ამერიკის შეერთებული შტატებისათვის მანგანუმის მთავარი მიმწოდებელი. ამის შედეგად დაიწყო ჭიათურის მანგანუმის გაძლიერებული შეტანა ამერიკის შეერთებულ შტატებში. სამაგიეროდ ჭიათურის მანგანუმის მიმღებ მთავარ ქვეყანაში, ინგლისში, იკლო ჭიათურის მანგანუმის შეტანამ, რაც გამოწვეული იყო მსოფლიოში მანგანუმის ამოღების გაძლიერებით და ახალი მდიდარი საბადოების აღმოჩენით, განსაკუთრებით ინდოეთში. ინდოეთის მანგანუმი კონკურენციას უწევდა სხვებს. მაშინ როდესაც ჭიათურის ტონა მანგანუმი იყიდებოდა $10^1/_2$—$10^3/_4$ პენსად, ინდოეთის ტონა მანგანუმი პირველი გამოჩენისთანავე ბაზარზე იყიდებოდა 9—$9^1/_2$ პენსად[378].

გიორგი ზდანოვიჩი თავის მოხსენებით ბარათში აღნიშნავდა მუშების ხელფასის შემცირებას 1886—1897 წლებში. ამ წლებში ხელფასი შემცირდა 50%-ით, რაც მისი განცხადებით, გამოწვეული იყო არა მადნის ამოღების ტექნიკური სრულყოფით, არამედ მსოფლიო ბაზარზე მანგანუმის ფასის დაცემით. 1891—1895 წლებში ფასები მანგანუმზე მნიშვნელოვნად შემცირდა: საფრანგეთში 16%-ით, ინგლისში 28,5%-ით, ამერიკაში 31%-ით, გერმანიაში 37%-ით. იგი ადარებდა 1894—1897 წლებში ჭიათურა-შორაპნის რკინიგზის შემოსავალს სამთო მუშებისა და მადნის გადამზიდავი მუშების ხელფასს. ამ წლებში:

მადნის ამომღებმა მუშებმა მიიღეს	629 250 მან.
მადნის მზიდავმა მუშებმა მიიღეს	700 000 მან.
ს ე ლ	1 329 250 მან.

ჭიათურის რკინიგზის შემოსავალი კი ამ წლებში შეადგენდა 4 200 000 მანეთს. ე. ი. ჭიათურის რკინიგზა ღებულობდა 4-ჯერ მეტ შემოსავალს ვიდრე მომპოვებელი და მზიდავი მუშები ერთად. ამიტომ ზდანოვიჩი თავის მოხსენებით ბარათებში თხოვდა მთავ-

[378] ЦГИАЛ, ф. 37. оп. 65. д. 2766, фурц. 1—2.

რობას შეემცირებინა ჭიათურის რკინიგზის ტარიფი 3 კაპიკამდე, რითაც ჭიათურის მანგანუმის მრეწველები წარმატებით გაუწევენ კონკურენციას უცხოელ მანგანუმის მრეწველებსო[379].

ამ საკითხთან დაკავშირებით სამთო დეპარტამენტმა მიმართა რკინის მრეწველთა კანტორას წინადადებით განეხილათ საკითხი რუსეთში მდიდარი ფერომანგანუმის წარმოების განვითარების შესახებ.

იმ დროს რუსეთი საჭიროებდა მინიმუმ 1 200 000 ფუთ ფერომანგანუმს, რომელსაც იგი მთლიანად საზღვარგარეთიდან ღებულობდა. ფერომანგანუმის წარმოებისათვის კი რუსეთს სავსებით ეყოფოდა ჭიათურის მანგანუმი. ამიტომ ფერომანგანუმის წარმოების განვითარებისათვის საჭირო იქნებოდა დონეცის ბასეინში ჭიათურის მანგანუმის გაზიდვა. ამის გამო რკინის მრეწველების სათათბირო კანტორამ იშუამდგომლა შეემცირებინათ ჭიათურის რკინიგზაზე ტარიფი იმ მანგანუმზე, რომელიც გაიგზავნებოდა დონეცის ბასეინში[380]. ჭიათურის შტოს ტარიფის საერთო შემცირებას მნიშვნელობა არ ექნებოდა რუსეთში ფერომანგანუმის წარმოებისათვის, რადგან ამით ერთნაირად ისარგებლებდნენ მადნის უცხოელი მომხმარებლებიც, რომლებიც კონკურენტები იყვნენ რუსეთის ფერომანგანუმის წარმოებისა. მხოლოდ დონეცის ბასეინში გასაზიდ მანგანუმზე ტარიფის შემცირება გააიაფებდა მანგანუმის გადაზიდვას და მნიშვნელოვნად წაახალისებდა დონეცის ბასეინში ფერომანგანუმის წარმოების შექმნას. მაგრამ ეს საკითხი ასე არ გადაიჭრა.

ფინანსთა მინისტრმა ტარიფის შემცირების საკითხის განხილვა და გადაწყვეტა დაავალა სატარიფო კომიტეტს. 1898 წლის დეკემბერში სატარიფო კომიტეტმა მიიღო დადგენილება ჭიათურა-შორაპნის რკინიგზაზე არსებულ 10 კაპიკიანი ტარიფის 3 კაპიკით შემცირების შესახებ. ამიერიდან ჭიათურა-შორაპნის რკინიგზის შტოზე დაწესდა 7 კაპიკიანი სატარიფო გადასახადი ფუთ მანგანუმზე, რომელიც მაინც გაუგონრად მაღალი იყო[381].

*
* *

---

379 ЦГИАЛ, ф. 37, оп. 65, д. 2766, ფურც. 1, 10—11, 13, 14—16.

380 იქვე, ფურც 74.

381 1909 წელს დიდი ბრძოლის შემდეგ ასეთი გაუგონარი მაღალი სატარიფო გადასახადი 40 კილომეტრიან ჭიათურის რკინიგზაზე მთავრობამ შეამცირა და დაიყვანა 5,5 კაპიკამდე. მიუხედავად ამისა მსოფლიოში არსად არ არსებობდა ასეთი მაღალი სატარიფო გადასახადი.

შემდეგში უცხოელ კაპიტალისტებთან საბრძოლველად, კერძოდ უცხოელ ექსპორტიორთა შუამავლობის თავიდან მოსაცილებლად ყრილობის საბჭოს თავმჯდომარემ გ. ზდანოვიჩ-მაიაშვილმა შეიმუშავა და წამოაყენა სინდიკატის შექმნის იდეა. ამ იდეის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ სინდიკატი უნდა დაპატრონებოდა ჭიათურის მანგანუმის წარმოებას მთლიანად — როგორც მადნის მოპოვება-დამუშავებას ისე მის ექსპორტსა და გაყიდვას. გ. მაიაშვილი და ქართველი მრეწველები კარგად ხედავდნენ, რომ ზედმეტი ღირებულების ნაწილს სავაჭრო მოგების სახით ითვისებდნენ უცხოელი კაპიტალისტი-ექსპორტიორები. ქართველი მრეწველები ზედმეტი ღირებულების ნაწილს — სავაჭრო მოგებასაც რომ დაპატრონებოდნენ, საჭირო იყო მათ უშუალოდ გაეტანათ და გაეყიდათ მანგანუმი მსოფლიო ბაზარზე, რასაც ითვალისწინებდა სინდიკატის წესდება[382]. მაგრამ მთავრობა ეწინააღმდეგებოდა სინდიკატის შექმნის ამ იდეას, მან არ დაამტკიცა სინდიკატის წესდების პროექტი და ეს ამოცანა განუხორციელებელი დარჩა.

XX ს. დასაწყისიდან ქართველ მრეწველთა ბრძოლა საქართველოს მანგანუმის მრეწველობაში უცხოელ კაპიტალისტების შემოჭრის წინააღმდეგ ახალ ფაზაში შევიდა. უცხოური კაპიტალი XX ს. დასაწყისიდან არ ჯერდებოდა საექსპორტო საქმიანობას და მოიწევდა თვით წარმოებაში. ევროპელი კაპიტალისტები ყიდულობდნენ ან იჯარით იღებდნენ მანგანუმის საბადოებს ჭიათურაში და მომპოვებელ მრეწველობაში უკეთესი ტექნიკური აღჭურვილობის წყალობით მნიშვნელოვან ადგილებს იკავებდნენ. მიუხედავად ამისა ქართველ სამრეწველო ბურჟუაზიას მანგანუმის წარმოებაში არ დაუთმია პოზიციები და მან შეძლო ბოლომდე შეენარჩუნებინა წამყვანი მდგომარეობა.

* * *

ახლა შევეხოთ თვით მანგანუმის წარმოებას: წარმოების მოცულობასა და მის ზრდას, მადნისმრეწველებს, მუშათა პერსონალს, საქართველოს მანგანუმის ხვედრით წონასა და ადგილს მსოფლიო მანგანუმის მრეწველობაში და წარმოებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ აქ მოგვიხდება რიგი საარქივო და გამოქვეყნებული სტატისტიკური ცხრილების მოტანა. შესაძლებელია მკითხველმა იფიქროს, რომ შეიძლებოდა ამ

---

[382] ა. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ეროვნული ბურჟუაზია და უცხოური კაპიტალი ჭიათურის სამრეწველო რაიონში (1879—1921 წწ.), საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „მოამბე", 1963, № 2, გვ. 98.

ცხრილების ნაშრომის ბოლოში მოთავსება დანართის სახით, ან კიდევ სრულებით არ მოტანა და მხოლოდ მითითება სათანადო ანალიზითა და კომენტარებით, რადგან ტექსტი სტატისტიკური მონაცემებით გადატვირთულიაო. მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ თვალსაჩინოებისათვის, რათა მკითხველს საერთოდ მანგანუმის წარმოებაზე ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს. ცხრილების იმ სახით მოტანა როგორც ეს ჩვენ გვაქვს მოცემული, საჭიროა. ამიტომ ჩვენ აქ ტექსტის ასე თუ ისე გადატვირთვას ამ მხრივ არ მოვერიდეთ და რამდენადაც საჭიროდ ვცანით ცხრილები მოვიტანეთ მეტ-ნაკლები ანალიზითა და დასკვნებით.

როგორც ცნობილია, მანგანუმს ჭიათურაში იღებდნენ ყვირილის ორივე მხარეს. მდინარე ყვირილის მარცხენა მხარეს მდებარეობდა სამი სოფელი: პერევისი, შუქრუთი და ითხვისი, საიდანაც იღებდნენ მანგანუმს. დანარჩენი სოფლები მდებარეობდა ყვირილის მარჯვენა ნაპირზე — რგანი, ზედა რგანი, მღვიმევი და სხვები. მანგანუმის გაცილებით მეტ ნაწილს იღებდნენ ყვირილის მარჯვენა ნაპირზე. 1886 წლიდან 1901 წლის ჩათვლით ჭიათურაში ამოიღეს 204 363 699 ფუთი მანგანუმი. აქედან ყვირილის მარჯვენა ნაპირზე ამოიღეს 133 120 099 ფუთი ანუ 65,17%, ხოლო მარცხენა ნაპირზე ამოიღეს 71 243 600 ფუთი ანუ 34,83% მთელი ამოღებული მანგანუმისა.

მანგანუმის სარეწები უმთავრესად თავმოყრილი იყო ოთხ სოფელში: ზედა რგანში, მღვიმევში, შუქრუთში და პერევისში. ამ ოთხ სოფელში 1886 წლიდან 1901 წლის ჩათვლით ამოიღეს 178 039 910 ფუთი ანუ მთელი ამოღებული მანგანუმის 87,11%.

ჭიათურაში მანგანუმი ამოიღეს:

წლები	ფუთობით	წლები	ფუთობით
1886	4 215 100	1894	11 117 536
1887	3 217 185	1895	7 208 649
1888	1 822 834	1896	9 706 288
1889	4 243 237	1897	12 131 807
1890	10 468 105	1898	16 259 204
1891	6 099 012	1899	34 052 432
1892	10 236 244	1900	40 363 492
1893	10 318 039	1901	22 904 535[383].

როგორც ვხედავთ, 16 წლის მანძილზე — 1886—1901 წლებში მანგანუმის ამოღების სწრაფ ზრდას აქვს ადგილი. თუ 1886

[383] Статистика марганцевого дела, Кутаисъ, 1902, გვ. 12—14.

წელს ამოიღეს 4 215 100 ფუთი მანგანუმი, 1900 წელს ამოიღეს 40 363 492 ფუთი, ე. ი. 8½-ჯერ მეტი, უფრო ზუსტად 857,90%ით მეტი ვიდრე 1886 წელს.

საშუალო წლიური ამოღება აღნიშნულ პერიოდში უდრის 12 772 731 ფუთს.

მანგანუმის ამოღების ზრდისა და აგრეთვე საშუალო წლიური ამოღების ზრდის უფრო ნათელსაყოფად აღნიშნული პერიოდი დავყოთ ე. წ. ხუთწლედებად.

მანგანუმი ამოიღეს:

1887—1891	წლებში	25 850 373	ფუთი,	საშუალო	წლიური ამოღება	5 170 074 ფ
1891—1896	„	48 586 756	„	„	„ „	9 717 351 ფ
1896—1900	„	125 711 470	„	„	„ „	25 142 294 ფ.

აქედან ნათლად ჩანს მანგანუმის საშუალო წლიური ამოღების ზრდა აღნიშნულ პერიოდში.

აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტი მანგანუმი ამ პერიოდში (1886—1901 წ.წ.) ამოიღეს სოფ. მღვიმევში, სახელდობრ 58 700 508 ფუთი ანუ 28,74% მთელი მოპოვებული მანგანუმისა.

თითოეული სოფლის მიხედვით მანგანუმის ამოღება 1886—1901 წლებში ასეთია:

1.	მღვიმევი	58700508	ფუთი,	28,74%	მთელი მოპოვებული მანგანუმისა
2.	ზედა რგანი	52 216 002	„	25,56%	„
3.	შუქრუთი	40 556 014	„	19,81%	„
4.	პერევისი	26 567 386	„	13,00%	„
5.	რგანი	11 596 599	„	5,68%	„
6.	დარკვეთი	6 876 020	„	3,38%	„
7.	ითხვისი	4 120 200	„	2,02%	„
8.	ხალიფაური	1 686 100	„	0,82%	„
9.	თაბაგრები	941 700	„	0,46%	„
10.	ნავარზეთი	544 700	„	0,26%	„
11.	სარქველათ უბანი	458 700	„	0,22%	„ „
12.	ბუნიკაური	100 000	„	0,05%	„ „[388]
	ს უ ლ	204 363 699	ფუთი	100 %	

მდ. ყვირილის მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე ამოღებული მანგანუმის რაოდენობის შეფარდება ასეთია.

[388] Статистика... გვ. 15—16.

1886—1901 წლებში მანგანუმი ამოიღეს:

წლები	მდ. ყვირილის მარჯვენა ნაპირზე ფუთობით	მდ. ყვირილის მარცხენა ნაპირზე ფუთობით	პროცენტებში მარჯვენა ნაპირზე	მარცხენა ნაპირზე
1886	2 739 350	1 475 750	65,00	35,00
1887	1 722 030	1 495 155	53,53	46,47
1888	1 351 178	471 655	74,16	25,84
1889	3 094 481	1 148 756	72,93	27,07
1890	8 007 932	2 460 174	76,50	23,50
1891	4 454 637	1 644 375	73,04	26,96
1892	6 696 596	3 539 675	65,42	34,58
1893	7 329 380	2 988 650	71,13	28,87
1894	6 193 770	4 923 766	55,71	44,29
1895	4 635 152	2 573 497	64,30	35,70
1896	6 726 905	2 979 383	69,30	30,70
1897	8 401 387	3 730 420	69,34	30,66
1898	12 326 249	3 932 955	75,81	24,19
1899	20 417 132	13 635 300	59,95	40,05
1900	24 682 412	15 681 080	61,15	38,85
1901	14 381 535	8 563 000	62,18	37,82
~~ს ულ~~	133 120 099	71 243 600	65,14	34,86
საშუალოდ	8 320 006	4 452 725		

მანგანუმის ამოღებისა და მისი გაზიდვის ურთიერთშეფარდება 1886—1901 წლებში ასეთია:

წლები	ამოიღეს ფუთობით	გაზიდეს	ამოიღეს მეტი (+) ან ნაკლები (—)	% %-ში
1886	4 215 100	3 295 975	+919 125	+27,88
1887	3 217 185	3 732 435	—515 250	—13,80
1888	1 822 834	3 042 715	—1 219 881	—40,09
1889	4 243 237	3 440.337	+802 900	+23,34
1890	10 468 105	8 400 480	+2 067 625	+24,61
1891	6 099 012	5 210 500	+888 512	+17,05
1892	10 236 244	8 049 758	+8 186 486	+27,29
1893	10 318 039	7 640 150	+2 677 888	+35,05
1894	11.117 536	9 599 560	+1.517 976	+15,82
1895	7 208 649	10 649 018	—3 440 369	—32,30
1896	9 706 288	10 067 453	—361 165	— 3,58
1897	12 131 807	12 320 212	—188 405	— 1,53
1898	16 259 204	16 369 431	—110 227	— 0,67
1899	34 052 432	25 073 419	+8 978 013	+35,81
1900	40 363 492	28 698 357	+11 665 135	+40,65
1901	22 904 535	21 648 575	+1 255 960	+ 5,80
სულ	204 363 699	177 238 375	+27 125 324	+15,35[385].

[385] Статистика.., გვ. 20—21.

როგორც ცხრილიდან ჩანს. აღნიშნულ პერიოდში მანგანუმის ამოღებამ გაზიდვას გადააჭარბა 27 125 324 ფუთით ანუ 15,35%-ით.

1895 წელს გაიხსნა ჭიათურის რკინიგზის კვანძი, მაგრამ მანგანუმის ნაწილი ჭიათურიდან ზესტაფონამდე (ყვირილა) გადაჰქონდათ საურმე გზით. ამის მიზეზი უმთავრესად ის იყო, რომ რკინიგზა ვერ ახერხებდა მთელი მოპოვებული მანგანუმის გადაზიდვას. 1879—1900 წლებში ჭიათურიდან საურმე და რკინიგზით გადაიტანეს მანგანუმი:

წლები	გადატანა რკინიგზის კვანძით ფუთობით	გადატანა საურმე გზით ფუთობით
1879	—	54 000
1880	—	254 000
1881	—	520 000
1882	—	545 000
1883	—	920 000
1884	—	1 276 000
1885	—	2 756 000
1886	—	3 824 000
1887	—	4 780 000
1888	—	1 867 000
1889	—	3 947 000
1890	—	8 010 000
1891	—	5 616 000
1892	—	9 086 000
1893	—	8 833 000
1894	—	8 618 000
1895	9 270 000	1 582 000
1896	9 297 000	2 641 000
1897	10 664 000	1 471 000
1898	15 543 000	1 752 000
1899	24 926 000	1 336 000
1900	30 526 000	1 500 527[386].

მანგანუმის მრეწველობაში იყვნენ წვრილი, საშუალო და მსხვილი მრეწველები, რომელთა რიცხვი წლების მანძილზე მერყეობდა. ეს ნათლად ჩანს შემდეგი ცხრილიდან:

წლები	მრეწველთა რიცხვი	წვრილი მრეწველები 100.000-მდე ფუთი მანგანუმის ამოღებით	საშუალო მრეწველები 500.000-მდე ფუთი მანგანუმის ამოღებით	მსხვილი მრეწველები 500.000 ზე მეტი ფუთი მანგან. ამოღებით
1895	78	61	15	2
1896	291	189	92	10
1897	400	249	140	11

[386] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 67, д. 954, фурц. 5.

1898	177	85	88	4
1899	291	189	92	10
1900	377	249	118	10
1901	179	85	91	3[387].

თითო მრეწველზე საშუალოდ მოდიოდა ამოღებული მადნის შემდეგი რაოდენობა: 1895 წელს 91 026 ფუთი, 1899 წელს 117 018, ხოლო 1901 წელს 129 348 ფუთი მანგანუმი[388]. როგორც ვხედავთ, თითო მრეწველზე ამოღებული მანგანუმის საშუალო რაოდენობა იზრდება. თუ 1895 წელს საშუალოდ თითოეულ მრეწველზე მოდის 91 026 ფუთი, 1901 წელს უკვე მოდის 129 348 ფუთი[389].

თუ რა რაოდენობა მოდიოდა ამოღებული მანგანუმისა წვრილ, საშუალო და-მსხვილ მრეწველებზე, საამისოდ გვაქვს ოთხი წლის ცნობა. ეს წლებია 1895, 1899, 1900 და 1901. ქვემოთ მოგვყავს ეს ცხრილი.

წვრილი მრეწველები

წლები	მრეწველთა რაოდენობა	მათი შეფარდება საერთო მრეწველთა რიცხვთან %%-ში	ამოიღეს მადანი	%%-ული შეფარდება მანგანუმის საერთო ამოღებასთან
1895	61	78,21	1 430 305	20.14
1899	189	64,94	7 888 473	23,10
1900	249	62,26	6 997 736	17,34
1901	85	48,14	3 037 742	13,23

საშუალო მრეწველები

წლები	მრეწველთა რაოდენობა	საშუალო მრეწველთა შეფარდება საერთო მრეწველთა რიცხვთან %%-ში	ამოიღეს მადანი	%%-ული შეფარდება მანგანუმის საერთო ამოღებასთან
1895	15	19,23	3 400 750	47,94
1899	92	31,62	17 362 040	50,95
1900	140	35,00	21 579 431	53,46
1901	88	49,37	15 048 793	65,70.

---

387 ЦГИАЛ, Ф. 37, оп. 67, Д. 954, ფურც. 1.

388 Статистика.., გვ. 26.

389 აქვე უნდა აღენიშნოთ, რომ სათანადო სტატისტიკურ კრებულებში არ ; თუ იშვიათად ადგილი აქვს ციფრობრივ შეცდომებს და განსხვავებულ მონაცემებს. ამას ადგილი აქვს ერთი და იგივე კრებულშიც კი. ასე მაგალითად, კრებულში „Статистика марганцевого дела" — მე-21 გვერდზე ნაჩვენებია მანგანუმის ამოღება 1895 წელს 7 208 649 ფუთი, მე-26 გვერდზე კი ნაჩვენებია მის ნაცვლად 7 100 055 ფუთი. ასევე განსხვავებული ციფრობრივი მონაცემებია საარქივო მასალებში დაცულ და დაბეჭდილ სტატისტიკურ კრებულებს

წლები	მრეწველთა რაოდენობა	მსხვილ მრეწველთა შეფარდება საერთო მრეწველთა რიცხვთან %%-ში	ამოიღეს მადანი	%%-ული შეფარდება მანგანუმის საერთო ამოღებასთან
1895	2	2,56	2 269 000	31,36
1899	10	3,44	8 801 919	25,95
1900	11	2,75	11 786 325	29,20
1901	4	2,49	4 818 000	21,07[390].

როგორც ცხრილიდან ჩანს, მანგანუმის საშუალო მრეწველებზე მოდიოდა მთელი მოპოვებული მანგანუმის ნახევარზე მეტი. შესაძლებელია სხვა წლებშიც ასევე იყო, მაგრამ საამისოდ სათანადო სტატისტიკური ცნობები არ გაგვაჩნია.

1859—1901 წლებში ჭიათურაში მოქმედი საბადოებისა და გვირაბების რიცხვი შეადგენდა:

წლები	საბადო	გვირაბი
1895	181	349
1896	233	571
1897	226	567
1898	229	472
1899	429	820
1900	348	715
1901	225	502.

საშუალოდ წელიწადში მოდიოდა 267 მოქმედი საბადო და 576 ასეთივე გვირაბი.

ცალკეული სოფლების მიხედვით მოქმედი საბადოებისა და გვირაბების რაოდენობა 1899 წელს შეადგენდა:

შორის. ასეთ მცირე განსხვავებებს, რომლებიც დაბეჭდვის დროს ტექნიკური შეცდომებით უნდა იყოს გამოწვეული, არსებითი ცვლილებები არ შეაქვს კანონზომიერების დადგენაში, თუმცა, რა თქმა უნდა, სიზუსტის დაცვა საჭიროა ამ მხრივ.

[390] Статистика.., გვ. 30—31.

სოფლები მდ. ყვირილის მარჯვენა ნაპირზე	მოქმედ საბადოთა რიცხვი	მოქმედ გვირაბთა რიცხვი	ამოღებული მანგანუმის ოდენობა ფუთობით	საშუალოდ ერთ მაღაროზე	საშუალოდ ერთ გვირაბზე
1. ნავარზეთი	4	8	135 800	33 950	16 975
2. რგანი	42	68	1 206 460	28 725	17 742
3. ზედა რგანი	67	104	6 661 672	99 428	64 054
4. თაბაგრები	11	32	190 700	17 340	5 959
5. მღვიმევი	118	178	10 341 000	87 635	58 095
6. დარკვეთი	11	36	1 272 500	115 682	35 347
7. ხალიფაური	8	21	609000	76125	29000
ს უ ლ	261	447	20 417 132	78 226	45 676
მდ. ყვირილის მარცხენა ნაპირზე					
პერევისი	59	120	4 333 210	73 444	36 110
შუკრუთი	94	198	8 632 090	91 831	43 600
ითხვისი	15	55	670 000	44 667	12 182
ს უ ლ	168	373	13 635 300	81 162	36 556
მთლიანად	429	820	34 052 432	79 376	41 527[391]

როგორც ცხრილიდან ჩანს, აღნიშნულ წელს მანგანუმის ამოღებაში გამოირჩეოდნენ ზედა რგანი, მღვიმევი, შუკრუთი და პერევისი.

მანგანუმის მრეწველობაში დასაქმებული მუშების კონტიგენტის დიდ ნაწილს ადგილობრივი მოსახლეობა შეადგენდა, ნაწილს კი სხვა კუთხეებიდან მოსული მცხოვრებნი. ქართველების გარდა ჭიათურის სარეწებში მუშაობდნენ რუსები, თურქები, სპარსელები, სომხები, ბერძნები.

ყველაზე დიდი როლი სამთო მუშებში ჰქონდა მადნის მ ო მ ა ო ვ ე ბ ლ ე ბ ს (მნგრეველებს). ისინი მუშაობდნენ ჩვეულებრივად ნარდად. ერთი არშინის გამონგრევისათვის ისინი იღებდნენ 2-დან 5 მანეთამდე. ერთ მუშას 3 დღის მანძილზე შეეძლო გამოენგრია 2 არშინი, ხოლო ზოგჯერ 2 კაცი 2 დღეს ერთ არშინზე მეტს ვერ გამოანგრევდა. ასე რომ საშუალო დღიური ხელფასი მერყეობდა ერთი მანეთიდან მანეთნახევრამდე.

მუშების შემდეგ კატეგორიას შეადგენდა გ ა მ ო მ გ ო რ ე ბ ე ლ ნ ი (მზიდავები). ისინი ტვირთავდნენ გამონგრეული მადნით საზიდრებს (ურიკებს), რომლებიც იტევდა 5 ფუთს და გვირაბებიდან გამოჰქონდათ პლატფორმაზე მაღაროების წინ. გამომგორებელი მუშები დღიურად იღებდნენ 70 კაპიკიდან 1 მანეთამდე.

---

391 იქვე, გვ. 32—34.

შემდეგი კატეგორია იყო მანგანუმის დამხარისხებლები ანუ მწმენდავები. აქ მნიშვნელოვნად იყენებდნენ ბავშვების შრომას. ბავშვები დღიურად ღებულობდნენ 10-დან 40 კაპიკამდე, ხოლო მოზრდილები 60—80 კაპიკს. საერთოდ ბავშვების შრომა მანგანუმის მრეწველობაში გამოყენებული იყო ყველგან, გარდა გვირაბებისა. ქალები მუშაობდნენ მხოლოდ და მხოლოდ მადნის დახარისხებაზე. მათი ხელფასი დღეში იყო არა უმეტეს 40 კაპიკისა[392].

სამთო მუშების რაოდენობის შესახებ ჩვენ სათანადო ცნობები გვაქვს. მაგრამ ცალკეული კატეგორიების მიხედვით იგი არაა მოცემული და ციფრობრივ მონაცემებში შედის ყველა კატეგორიის სამთო მუშები. ქვემოთ მოგვყავს ცნობები სამთო მუშების რაოდენობის შესახებ 1887 წლიდან 1901 წლამდე ჩათვლით:

წლები	მუშათა რიცხვი	წლები	მუშათა რიცხვი
1887	1 156[393]	1896	1 704
1889	1 093[394]	1897	1 382
1890	2 605[395]	1898	1 245
1892	2 205[396]	1899	3 250
1893	2 595[397]	1900	3 702
1894	2 183[398]	1901	1 975[399]
1895	2 687		

ზემოთ მოტანილი ცხრილიდან ჩანს, რომ 1887—1901 წლებში მანგანუმის სარეწებში წლიურად საშუალოდ მუშაობდა, დაახლოებით 2 200-მდე სამთო მუშა.

ცხრილიდან აშკარად ჩანს, რომ რიგ წლებში სამთო მუშების რაოდენობა ჭიათურაში შემცირებული იყო. ამის ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ მანგანუმის მადნის მოპოვება სჭარბობდა მის გატანას და ექსპორტს გარეშე დატოვებული მადანი მნიშვნელოვანი რაოდენობით იყო დაგროვილი. ეს გარემოება კი იწვევდა რიგ წლებში წარმოების და შესაბამისად სამთო მუშების კონტიგენტის შემცირებას.

---

392 იქვე, გვ 39.

393 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 1542, ფურც. 76—81.

394 საქ. ცსსა, ფონდი 264, 1908, ფურც. 17.

395 «Кавказский календарь», 1893, гл. стат. и др. дан. о Кавказе, გვ. 111.

396 «Кавказский календарь», 1894, отд. V, გვ. 230.

397 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 2143, ფურც. 129.

398 ЦГИАЛ, ф. 37, оп. 67, д. 954, ფურც. 12—25.

399 Статистика.., გვ. 41.

ცალკეული სოფლების მიხედვით სამთო მუშების რიცხობრივი რაოდენობა და შეფარდება 1899 წელს ასეთი იყო:

სოფლები მდ. ყვირილის მარჯვენა ნაპირზე	მუშათა რაოდენობა	%%-ული შეფარდება საერთო რაოდენობასთან
1. ნავარზეთი	6	0,18
2. რგანი	103	3,17
3. ზედა-რგანი	576	17,72
4. ხალიფაური	61	1,88
5. თაბაგრები	21	0,65
6. მღვიმევი	1050	32,31
7. დარკვეთი	109	3,35
ს უ ლ	1 926	59,26
მდ. ყვირილის მარცხენა ნაპირზე		
8. პერევისი	401	12,34
9. შუქრუთი	850	26,16
10. ითხეისი	73	2,24
ს უ ლ	1 324	40,74
მთლიანად	3 250	100[400]

როგორც ვხედავთ მუშების დიდი უმრავლესობა თავმოყრილი იყო მღვიმევში, ზედა რგანში, შუქრუთსა და პერევისში.

მუშების წლიური წარმადობა ანუ ერთ მუშაზე მანგანუმის საშუალო წლიური პროდუქცია წლების მანძილზე მნიშვნელოვნად იზრდებოდა. მართალია ზოგიერთ წლებში მუშის წლიური წარმადობის დონე დაბლა იწევდა, მაგრამ წარმადობის ზრდის ტენდენცია აშკარა იყო. ასე მაგალითად, ერთი მუშის საშუალო წლიური წარმადობა შეადგენდა:

1887	წელს	— 2 783	ფუთი	1896	წელს	— 5 696	ფუთი
1889	„	— 3 969	„	1897	„	— 8 778	„
1890	„	— 4 018	„	1898	„	— 13 059	„
1892	„	— 4 642	„	1899	„	— 10 478	„
1893	„	— 3 999	„	1900	„	— 10 903	„
1894	„	— 5 092	„	1901	„	— 11 597	„
1895	„	— 2 682	„				

[400] იქვე, გვ. 44.

მუშების წლიური წარმადობის ზრდა უნდა აიხსნას ძირითადად იმ გარემოებით, რომ წლების მანძილზე მუშებს გამოუმუშავდათ საწარმოო ჩვევები და წარმოებაში თანდათან დაინერგა ტექნიკური სიახლენი, გაუმჯობესდა მრეწველობის ტექნიკური აღჭურვილობა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ წარმოებაში თანდათან ინერგებოდა ტექნიკური სიახლენი და მაღაროს მუშების წლიური წარმადობა იზრდებოდა, საერთოდ წლიური წარმადობის ეს დონე იმ დროისათვის, თუ გავითვალისწინებთ ჭიათურის მდიდარ ზეგნებზე მანგანუმის მადნის მოპოვების სიადვილეს, მაინც დაბალი იყო. წლიური წარმადობის ანუ შრომის ნაყოფიერების ამ დაბალ დონეს განაპირობებდა ის, რომ მანგანუმის მრეწველობაში დიდხანს იყო გაბატონებული ხელოსნური ტექნიკა (წერაქვი, ნიჩაბი და ურემი). მრეწველთა დიდი უმრავლესობა მოკლებული იყო მექანიკური ენერგიის გამოყენების საშუალებას. მექანიკური ენერგიის გამოყენებას მხოლოდ მსხვილი მრეწველები ახერხებდნენ.

მექანიკური ენერგიის გამოყენება განსაკუთრებით იწყება XIX ს. მიწურულიდან. მადნის გადასაზიდად გაჰყავთ ბრემსბერგები და საჰაერო-საბაგირო გზები, რომლებიც დიდად ამცირებდა გადაზიდვის ხარჯებს. პირველი მსოფლიო ომის წინ ჭიათურაში მოპოვებული მანგანუმის თითქმის ნახევარი გადაჰქონდათ ბრემსბერგებითა და მექანიკური ჩამოსაშვებებით — საჰაერო-საბაგირო გზებით.

XX ს. დასაწყისიდან საჭირო ხდება მანგანუმის მადნის ხარისხის გაუმჯობესება, რადგან ამ დროისათვის უკვე გაძნელდა მაღალი ხარისხის მანგანუმის დიდი რაოდენობით მოპოვება. ამიტომ მსხვილმა მრეწველებმა ჭიათურაში ააგეს მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკები, რომელთა უმრავლესობა ქართველებს ეკუთვნოდათ. მსოფლიო ომის წინ აქ არსებობდა 27 ასეთი ფაბრიკა, რომლებიც წლიურად 20-25 მილიონ გამდიდრებულ მადანს უშვებდნენ. ტექნიკური პროგრესი წარმოებაში იწვევდა მანგანუმის მადნის თვითღირებულების შემცირებას და შრომის ნაყოფიერების გაზრდას.

აღსანიშნავია, რომ წლების მანძილზე სამთო მუშების ხელფასი თანდათან მცირდებოდა. 10 წლის მანძილზე სამუშაო ხელფასი დაეცა 50%-ით, ხოლო შემდეგ კიდევ უფრო შემცირდა. ასე მაგალითად, კუბური საჟენი მანგანუმისათვის, რომელიც შეიცავდა 1500-დან 1800-მდე ფუთს, მუშები ღებულობდნენ:

1886 წელს	— 45—50 მანეთს	1892 წელს	— 40—45 მანეთს
1887 „	— 45—50	1893 „	— 35—40
1888	— 42—45	1894 „	— 32—35
1889	— 42—45	1895 „	—28—30
1890	— 38—40	1896 „	— 22—35 „
1891 „	— 38—40 „	1897	— 15—17 „[401]

მუშების ხელფასის შემცირება გამოწვეული უნდა ყოფილიყო ჯერ ერთი მსოფლიო ბაზარზე მანგანუმის ფასის თანდათანობითი დაკლებით. მეორე, წლების მანძილზე მუშებს თანდათან გამოუმუშავდათ საწარმოო ჩვევები, ფართოვდება წარმოების ტექნიკური აღჭურვილობა, რის გამოც ისინი მანგანუმს შედარებით ადვილად იღებდნენ და ამუშავებდნენ. მესამე, თანდათან ხდებოდა საერთოდ წარმოების პირობების გაუმჯობესება, მასში შედიოდა: რკინიგზის შტოს გაყვანა, მაღაროებსა და რკინიგზის პლატფორმებს შორის გზების გაუმჯობესება, მანგანუმის გადასაზიდი საშუალებების გაუმჯობესება და სხვ. მეოთხე, მუშების ხელფასის შემცირება გამოწვეული უნდა ყოფილიყო იმ გარემოებითაც, რომ რკინიგზის გაყვანის შემდეგ ჭიათურის სარეწებს აწყდებოდა უფრო და უფრო მეტი მუშა ხელი, რომლებიც სხვადასხვა კუთხეებიდან და ქვეყნებიდან მოდიოდნენ. ხელფასის შესამჩნევი დაცემა, სწორედ, ჭიათურაში რკინიგზის შტოს გაყვანის შემდეგ (1895 წელი) იწყება.

სამთო მუშების გარდა მანგანუმის სარეწებში იყო კიდევ ორი კატეგორია მუშებისა. ეს იყო მ ე უ რ მ ე-ჩ ა ლ ვ ა დ რ ე ბ ი და მ ტ ვ ი რ თ ა ვ ე ბ ი.

მ ე უ რ მ ე ე ბ ი და ჩ ა ლ ვ ა დ რ ე ბ ი ანუ მანგანუმის გადამტანნი, რიცხობრივად სამთო მუშებთან შედარებით თითქმის ნაკლები არ იყო და მათი რიცხვი დამოკიდებული იყო მანგანუმის ამოღების სიდიდესთან. საერთოდ მათი რიცხვი მერყეობდა 1—2 ათასს კაცს შორის. მეურმეებს და ჩალვადრებს მანგანუმი გადაჰქონდათ ამოღების ადგილიდან რკინიგზამდე.

გადამზიდველების კონტიგენტი უმთავრესად შესდგებოდა ადგილობრივ მცხოვრებთაგან. ფუთი მანგანუმის გადატანა სადგ. ჭიათურამდე ღირდა 2-დან $3^1/_2$ კაპიკამდე, რაც დამოკიდებული იყო მანძილის სიგრძეზე. ერთ გზაზე საშუალო შეძლების ცხენს შეეძლო გადაეტანა 12—15 ფუთი, ურემს კი 50—70 ფუთი. ცხენს შეეძლო დღეში გაეკეთებინა 4—6 გზა, ხოლო ურემს 3—4. ამ ანგარიშით ერთ კაცს შეეძლო დღეში ცხენით ან ურმით გამოუმუშავებინა საშუალოდ $1^1/_2$-დან 2 მანეთამდე.

---

[401] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 65, д. 2766, фурц. 10.

მუშების შემდეგი კატეგორია იყო მ ტ ვ ი რ თ ა ვ ე ბ ი. ვაგონების დატვირთვა მანგანუმით ჩვეულებრივად იჯარით წარმოებდა. მოიჯარადრეები ყოველი 100 ფუთი მანგანუმის დატვირთვისათვის იღებდნენ 1½-დან 3 მანეთამდე. მოიჯარადრეები თავიანთ მხრივ ქირაობდნენ მტვირთავ მუშებს. მტვირთავი მუშები სამუშაოს ნარდად იღებდნენ. ერთი ვაგონის დატვირთვისათვის, რომელიც იტევდა 765 ფუთს, ისინი იღებდნენ 60—90 კაპიკს, ზოგჯერ კი მანეთს. სამ კაცს შეეძლო დაეტვირთა ერთი ვაგონი 2-3 საათის განმავლობაში, ასე რომ მტვირთავი ერთ სამუშაო საათში იღებდა დაახლოებით 10 კაპიკს. ეს სამუშაო მძიმე იყო და მუშა მალე იღლებოდა. მტვირთავის საშუალო დღიური ხელფასი აღწევდა არა უმეტეს ერთი მანეთისა. ჭიათურასა და შორაპანში მტვირთავებისა და გადამტვირთავების რიცხვი XIX ს. მიწურულს არ აღემატებოდა 200 კაცს[402]. მტვირთავებად მუშაობდნენ უმთავრესად ადგილობრივი მცხოვრებნი.

სულ, ჭიათურის მანგანუმის მრეწველობაში XIX ს. მიწურულს ყველა კატეგორიის მუშები დაახლოებით 5 000-მდე იყო.

აღნიშნული გვაქვს, რომ მანგანუმის მრეწველობაში, ჭიათურის სარეწებში იყვნენ წვრილი, საშუალო და მსხვილი მრეწველები, შესაბამისად დაქირავებული მუშების მეტ-ნაკლები რაოდენობით და ასევე მადნის მეტ-ნაკლები მოპოვებით. ჩვენ ამ მხრივ გაგვაჩნია 1894 წლის მეტად მნიშვნელოვანი მონაცემები (ლენინგრადის არქივიდან), სადაც პერსონალურად მოცემულია მრეწველები (მაღაროთა მფლობელები), მუშების რაოდენობა, მოქმედი მაღაროებისა და გვირაბების რაოდენობა, ასევე მოპოვებული მანგანუმი. ყველაფერი ეს ცალკეული სოფლების მიხედვითაა მოცემული. აქ ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია ცხრილში მოცემული ყველა მადნისმრეწველის ჩამოთვლა, რადგან მათი ნაწილის ჩვენებაც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს წარმოებაზე საერთოდ. ცხრილში ქვემოთ მოვიყვანთ შ ე დ ა რ ე ბ ი თ მსხვილ მრეწველებს.

		სოფელი რ გ ა ნ ი[403]			მადნის ღირებულება
მაღაროთა მფლობელები	საბადოთა რაოდენ.	მაღაროებისა და გვირაბების რაოდენობა	მუშათა რაოდენობა	მადანი აპოიღეს	ადგილზე მანეთებში
სამხარაძე ბასილ	1	3	5	18 364	826
ლეჟავა კრიმი	1	1	10	49 710	2 237

---

[402] Статистика.., გვ. 46—47.

[403] ЦГИАЛ, ф. 37, оп 67, д. 954, ფურც. 12—13. მოცემულ 1894 წელს ფუთი მანგანუმი მაღაროსთან (ამოღების ადგილზე) ჭიათურის სარეწებში ყველგან ღირდა 4,5 კაპიკი (იქვე).

სანაძე ერასტი	1	4	20	77 200	3 524
სიხარულიძე იორდანე	1	4	10	50 000	2 256
. . .					
სულ	18	38	86	305 110	13 730

სოფელ რგანში მაღაროს მფლობელთა ანუ მრეწველთა რიცხვი შეადგენდა 18 კაცს.

სოფელი ზედა რგანი

მაღარ. მფლობელები	საბად. რაოდ.	მაღარ. და გვირაბ. რაოდ.	მუშათა რაოდ.	მადანი ამოიღეს	მადნ. ღირებ. ადგილზე მან.
ჩუბინიძე გედეონ	2	32	31	219 000	9 855
კაპანაძე ანტონ	1	3	15	66 000	2 970
კაკაბაძე ნესტორ	3	9	21	150 000	6 750
მოსეშვილი პეტრე	2	2	7	42 000	1 890
წერეთელი სამსონ	2	5	25	136 000	6 120
საყვარელიძე მიხეილ	1	5	20	89 072	4 008
კვინცარიძე ნიკიფორე	1	4	20	106 600	4 797
ღოღობერიძე ნიკოლოზ	3	16	70	522 000	23 490
ბაკრაძე დავით	4	8	39	36 000	1 620
სულ	83	223	617	2 924 260	131 522[404]

სოფელ ზედა რგანში მრეწველთა (მაღაროს მფლობელები) რიცხვი შეადგენდა 64 კაცს.

სოფელი მღვიმევი

მაღარ. მფლობელები	საბად. რაოდ.	მაღარ. და გვირაბ. რაოდ.	მუშათა რაოდ.	მადანი ამოიღეს	მადნ. ღირებ. ადგილზე მანეთებში
ჩუბინიძე გედეონ	4	21	57	397 500	17 887
ვაშაძე უარამან	1	12	30	120 000	5 400
კაკაბაძე ნესტორ	2	20	41	150 000	6 750
ბეჟანიშვილი ნესტორ	1	3	50	140 000	6 300
ღოღობერიძე ნიკოლოზ	2	6	44	358 500	16 130
გაჩეჩილაძე სევასტი	1	3	50	148 000	6 660
. . . .					
სულ	47	139	571	2 670 360	120 166[405]

[404] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 67, д. 954, ფურც. 13—16.
[405] იქვე, ფურ. 16—18.

სოფელ მღვიმევში მრეწველთა რიცხვი შეადგენდა 36 კაცს.

სოფელი დარკვეთი

მაღარ. მფლობელები	საბად. რაოდ.	მაღარ. და გვირ. რაოდ.	მუშათა რაოდენ.	მადანი ამოიღეს	მადნის ღირებულება მანეთებში
ჭიპინაძე სამსონ	1	4	10	64 682	2 917
. . . . .				. . . .	. . . .
სულ	24	40	94	294 040	13 482[406]

სოფელ დარკვეთში მრეწველთა რიცხვი შეადგენდა 23.

სოფელი პერევისი

მაღარ. მფლობელები	საბად. რაოდ.	მაღარ. და გვირ. რაოდ.	მუშათა რაოდ.	მადანი ამოიღეს	მადნ. ღირებ. მანეთებში
აბესაძე სამსონ	5	45	55	252 000	11 340
წერეთელი სოლომონ	2	5	20	128 000	5 760
ღოღობერიძე ნიკოლ.	1	4	30	190 500	8 572
. . . . .					
სულ	93	190	481	2 229 965	1 003 48[407]

სოფელ პერევისაში მრეწველთა რიცხვი შეადგენდა 48.

სოფელი შუქრუთი

მაღარ. მფლობელები	საბად. რაოდ.	მაღარ. და გვირ. რაოდ.	მუშათა რაოდ.	მადანი ამოიღეს	მადნ. ღირებ. მანეთებში
ღოღობერიძე ნიკოლოზ	3	17	41	157 500	7 087
კაკაბაძე ნესტორ	1	4	20	148 500	6 682
ჩაჩანიძე ოქროპირი	1	4	18	144 350	6 496
. . . . .					
სულ	55	145	324	2 628 461	118 281[408]

სოფელ შუქრუთში მრეწველთა რიცხვი შეადგენდა 47.

სოფელი ითხვისი

სოფ. ითხვისში მრეწველთა რიცხვი 3 შეადგენდა.

	საბ. რაოდ.	მაღარ. და გვირ. რაოდ.	მუშების რაოდ.	ამოიღეს მადანი	მადნის ღირებულება ადგილზე მანეთებში
	3	3	10	65 340	2 940
მთლიანად პიათურაში	—323	771	2 183	11 117 536	500 189[409]

[406] იქვე, ფურც. 18—19.
[407] იქვე, ფურც. 19—22.
[408] იქვე, ფურც. 22—24.
[409] იქვე, ფურც. 24—26.

როგორც ვხედავთ, 1894 წელს ჭიათურაში მანგანუმის საბადოთა რაოდენობა შეადგენდა 323, მაღაროთა და გვირაბთა რაოდენობა 771, მანგანუმის მრეწველთა რიცხვი 239 კაცს, მუშების რაოდენობა 2 183-ს. ამ წელს მოიპოვეს 11 117 536 ფუთი მანგანუმი, რომლის ღირებულება ადგილზე შეადგენდა 500 189 მანეთს.

ზემოთ პერსონალურად მოყვანილ მრეწველთა გარდა ცხრილში ჩამოთვლილია ყველა დანარჩენი მეწარმეებიც, 2, 4, 5 და ა. შ. დაქირავებული მუშებით. ყველა ამ მრეწველის ჩამოთვლა, როგორც აღინიშნა, საჭიროდ არ მივიჩნიეთ. ცხრილიდან აშკარად ჩანს, მანგანუმის წარმოებაში მ ა დ ნ ი ს მ რ ე წ ვ ე ლ თ ა დ ი ფ ე რ ე ნ ც ი ა ც ი ა. 239 მრეწველიდან მხოლოდ 20 კაცამდე იყო მსხვილი მრეწველი, რომლებიც პერსონალურად ზემოთ, ცხრილში არიან დასახელებულნი. დანარჩენი ნაწილი კი შეადგენდა წვრილ (უმრავლესობა) და საშუალო მრეწველებს.

ჭიათურაში ამ დროს ნათლად გამოირჩევიან წვრილი, საშუალო და მსხვილი მრეწველები, რომელთაც დაქირავებული ჰყავთ მუშები: 2, 4, 8, 16, 25, 30, 40, 50, 70 და ა. შ.[410].

აქვე უნდა აღინიშნოს და მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მრეწველთა რიცხვის აბსოლუტურ უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ, ხოლო არა ქართული ეროვნების წარმომადგენლები იშვიათად გვხვდება. მანგანუმის წარმოების ისტორია ჭიათურაში ცხადად გვიჩვენებს იმას, რომ აქ თავიდანვე წარმოებას ქართული ბურჟუაზია ეპატრონება.

მანგანუმის მადნისმრეწველთა უმრავლესობა იყო წვრილი, შემდეგ მოდიოდა საშუალო, ხოლო მსხვილი მრეწველნი უმცირესობას შეადგენდნენ. მანგანუმის მრეწველთა საერთო რიცხვიდან წვრილ მრეწველთა რაოდენობა ცვალებადობდა და 1895—1901 წლებში შეადგენდა 40-დან 78%-მდე. მათ მიერ მადნის მოპოვება კი შეადგენდა საერთო მოპოვების მხოლოდ 13-დან 20%-მდე. საშუალო მრეწველთა რიცხვი ასევე ცვალებადობდა და აღნიშნულ წლებში შეადგენდა მრეწველთა 20—50%-მდე, ხოლო მოპოვებული მადანი საერთო მოპოვების 47-დან 65%-მდე. მსხვილი მრეწველნი ამავე პერიოდში შეადგენდნენ მრეწველთა საერთო რიცხვის მხოლოდ 2,3—3,5%-ს, მოპოვებული მადნის საერთო რაოდენობიდან კი მათზე მოდიოდა 21-დან 31%-მდე[411]. როგორც ვხედავთ, საშუალო მრეწველებზე მოდიოდა მოპოვებული მადნის მეტი ნაწილი.

---

[410] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 67, д. 954, ფურც. 12—25.

[411] Статистика.., გვ. 30—31.

მრეწველთა დიფერენციაცია ნათლად აისახა მანგანუმის მრეწველთა „ყრილობის“ დებულებაში. როგორც აღვნიშნეთ ვინც უფრო მეტ მადანს იღებდა, ის მეტი ხმით სარგებლობდა ყრილობაზე. მრეწველთა დიდი ნაწილი (წვრილი მრეწველები) მადნის მოპოვების სიმცირის გამო სრულიად მოკლებული იყო ხმის უფლებას. ასე მაგალითად, XIX ს. მიწურულს, 1900 წელს მანგანუმის მრეწველთა III ყრილობის გახსნის წინ ისეთი მრეწველების რიცხვი, რომლებსაც ხმის უფლება არ ჰქონდათ შეადგენდა 197 კაცს. თითო ხმის უფლება ჰქონდა 58 მრეწველს (წვრილი მრეწველნი), 2 ხმის უფლება 27 მრეწველს, 3 ხმისა — 10 მრეწველს, ხოლო 4 ხმის — 4 მრეწველს. ამ დროს 4-ხმიანი მრეწველები იყვნენ: ს. აბესაძე, დ. ბაქრაძე, გ. ემერიკი, და ს. წერეთელი; 3-ხმიანები: ი. აბდუშელიშვილი, ბურჯანაძე, გურიელი, პ. წულუკიძე, ჩაჩანიძე და სხვ. ექსპორტიორებს შორის გამოირჩეოდნენ: ავგერინოს შვილები, რომელთაც ყრილობაზე 5 ხმა ჰქონდათ, ვეგსტაფი და ბლეი — 4 ხმით, ლ. გ. პანასიე — 4 ხმით. ძმ. ფორვუდი და კომპ. — 5 ხმით, გ. პოლიდი — 3 ხმით, ემერიკი — 3 ხმით, სამხრეთ რუსეთის ბანკი — 2 ხმით და სხვ. სულ ექსპორტიორები ითვლიდნენ 32 ხმას.

მანგანუმის მადნისმრეწველთა მეტოქეობამ და კონკურენციამ თავისი აშკარა გამოხატულება ჰპოვა III ყრილობაზე, რომელიც 1900 წლის ივლისში გაიხსნა ქუთაისის თეატრის შენობაში. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა 59 წვრილი მრეწველი 59 ხმით, 22 საშუალო მრეწველი 44 ხმით (მათ შორის 3 უცხოელი), 15 მსხვილი მრეწველი 54 ხმით (მათ შორის 5 უცხოელი)[412]. ამ ყრილობაზე მსხვილ მრეწველებს პირველად აშკარად დაუპირისპირდნენ წვრილი მრეწველები, რომლებმაც ოპოზიცია შეჰქმნეს.

მანგანუმის წარმოება ამ დროს საქართველოს მრეწველობის ძირითად და წამყვან დარგს წარმოადგენდა.

როგორც აღნიშნული გვაქვს XIX ს. მეორე ნახევარში მეტალურგიის მძლავრი განვითარების შედეგად ევროპაში სწრაფად იზრდება მოთხოვნილება მანგანუმზე. ამიტომ ჭიათურაში მოპოვებული მანგანუმის დიდი ნაწილი ევროპაში მიჰქონდათ, მცირე ნაწილი — სამხრეთ რუსეთში. მანგანუმის გატანა საზღვარგარეთ წლითიწლობით იზრდებოდა შესაბამისად მისი მოპოვების ზრდასთან (იხ. ცხრილი № 1).

---

412 ვ. ჭ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ., გვ. 207, 210.

ცხრილი 1

პიათურის მანგანუმის გატანა ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში 1886—1901 წლებში (ფუთობით).

წლები	ბელგიაში	% საერთო რაოდენობის	დიდ ბრიტანეთში	% საერთო რაოდ.	ჰოლანდიაში	% საერთო რაოდ.	გერმანიაში	% საერთო რაოდ.	საფრანგეთში	% საერთო რაოდ.	ჩრდ. აშშ-ში	% საერთო რაოდ.	რუსეთში	% საერთო რაოდ.	სხვადასხვა ქვეყნებში	% საერთო რაოდ.
1886	262220	7,95	2135368	64,79	508195	15,41	132400	4,02	233792	7,10	—	—	9000	0,27	იტალია	
1887	53352	1,43	2433520	65.18	766750	20,55	236600	6,34	205212	5,50	—	—	—	—	15000	0,46
1888	131200	4,31	1627790	53,50	768000	25,24	250500	8,23	265225	8,72	—	—	—	—	დუნაისპ. სამთავრ. 36991	1,00
1889	104707	3,04	2574879	74,84	115000	3,34	303400	8,82	121651	3.54	9400	0,27	211300	6,15	—	—
1890	86800	1,02	5211500	62,03	1466700	17,45	439420	5,24	486960	5.80	400100	4,78	271000	2,23	ესპანეთი 38000	0,45
1891	141560	2,71	2507110	48,12	1438700	27,62	260710	5,00	51025	0,97	144800	2,78	666595	12,80	—	—
1892	324590	4,03	3676860	45,68	1964740	24.41	331740	4,12	63728	0,78	1514134	18,81	173966	2,17	—	—
1893	161540	2,11	2623577	34,34	2187500	28·66	294023	3.85	261215	3,42	2105590	27,53	6705	0,09	—	—
1894	128440	1,34	4169880	43,43	2514984	26,20	367230	3·82	—	—	1779960	18,55	639066	6,66	—	—
1895	128200	1,23	3796270	35,65	3144020	29,52	435400	4,08	—	—	2676880	25,13	468248	4,39	—	—
1896	13200	0,13	4715355	46,83	3110690	30,90	398540	3.95	343560	3,42	226300	2,25	1259808	12,52	—	—
1897	89400	0,72	3620226	29,39	3753915	30.47	575297	4,67	3695	0,03	2700659	21,92	1577020	12,80	—	—
1898	260858	1,59	4975892	30,43	5598896	34,20	570932	3,48	307071	1,87	2754633	16,82	1901149	11,61	—	—
1899	489900	1,95	7801515	31,12	7748438	30,90	888200	3,54	439312	1,76	4923491	19.65	2639900	10,52	ავსტრო-უნგრ. 142663	0,56
1900	2940181	10,25	7243330	25,24	9219755	32,13	668147	2,32	1153830	4,02	4701088	16,39	2362826	8.23	409200	1,42
1901	2339217	10,80	4835380	22,34	7399732	34,18	972799	4,50	644450	2,98	2082084	9,62	2788396	12,88	586520	2,70
სულ	7655365	4,36	63948452	36,12	51706025	29,14	7125304	4,04	4580726	2,55	26019119	14.70	14974973	8,42	1228374	0,67

1879—1901 წლებში მანგანუმი გაზიდეს ფუთობით:

წლები	ჭიათურიდან ფოთსა და ბათუმამდე	ფოთიდან და ბათუმიდან გაიტანეს	წლები	ჭიათურიდან ფოთსა და ბათუმამდე	ფოთიდან და ბათუმიდან გაიტანეს
1879	51 000	51 000	1891	5 616 000	5 210 500
1880	254 000	254 000	1892	9 086 000	8 049 758
1881	520 000	520 000	1893	8 833 000	7 640 150
1882	545 000	545 000	1894	8 618 000	9 599 560
1883	920 000	920 000	1895	10 609 000	10 649 018
1884	1 276 000	1 272 000	1896	11 938 000	10 067 453
1885	2 756 000	2 566 581	1897	12 135 000	12 320 212
1886	3 824 000	3 295 975	1898	17 295 000	16 369 431
1887	4 780 000	3 732 435	1899	30 223 000	25 073 419
1888	1 867 000	3 042 715	1900	32 037 000	28 698 357
1889	3 947 000	3 440 337	1901	21 625 000	21 648 575
1890	8 010 000	8 400 480			
			სულ	196 765 000	183 370 956[413]

როგორც ცხრილი გვიჩვენებს, წარმოების დაწყების დროიდან 23 წლის მანძილზე — ე. ი. 1879 წლიდან 1901 წლამდე ჩათვლით საზღვარგარეთ და სამხ. რუსეთში გაიტანეს 183 370 956 ფუთი მანგანუმი, წლიური საშუალო გატანა ამ პერიოდში უდრის 7 972 656 ფუთს.

1886—1901 წლებში ჭიათურის მანგანუმი ევროპის ქვეყნებში და აშშ-ში (ერთად აღებული) გაიტანეს:

წლები	ფუთობით	წლები	ფუთობით
1886	3 295 975	1895	10 649 018
1887	3 732 435	1896	10 067 453
1888	3 042 715	1897	12 320 212
1889	3 440 337	1898	16 369 431
1890	8 400 480	1899	25 073 419
1891	5 210 500	1900	28 698 357
1892	8 049 758	1901	21 648 575
1893	7 640 150		
1894	9 599 560		
		სულ	177 238 369[414].

[413] Статистика.., გვ. 50.
[414] იქვე, გვ. 54—55.

როგორც ცხრილიდან ჩანს, 1886—1901 წლებში ჭიათურიდან საზღვარგარეთ გაიტანეს 177 238 369 ფუთი მანგანუმი, რომელიც სახელმწიფოების მიხედვით ასე ნაწილდება:

1. ინგლისი	63 948 452	ფუთი	36,12%
2. ჰოლანდია	51 706 025	„	29,14%
3. აშშ	26 019 119	„	14,70%
4. რუსეთი	14 974 973		8,42%
5. ბელგია	7 655 365		4,04%
6. გერმანია	7 125 304		4,04%
7. საფრანგეთი	4 580 726		2,55%
8. სხვადასხვა ქვეყნ.	1 228 374		0,67%
სულ	177 238 369	„	100,00[418].

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ პერიოდში მანგანუმის ყველაზე მეტი რაოდენობა ჭიათურიდან გაიტანეს ინგლისში (დიდი ბრიტანეთი), მის შემდეგ ჰოლანდიაში, მესამე ადგილი კი ამ მხრივ უპირავს ამერიკის შეერთებულ შტატებს. შემდეგ მოდიან რუსეთი, ბელგია, გერმანია და ა. შ.

აღასანიშნავია, რომ XIX ს. მიწურულსა და XX ს. დასაწყისში (1899—1901 წლებში), მანგანუმის მიღების მხრივ პირველი ადგილი ეკავა ჰოლანდიას და გერმანიას, ფაქტიურად გერმანიას, რადგან ჰოლანდიიდან მანგანუმი უმთავრესად მიჰქონდათ გერმანიის ქარხნებში. მეორე ადგილზე იყო ინგლისი. რუსეთში მანგანუმის გაზიდვა გაძლიერდა 90-იანი წლების მეორე ნახევარში (1896 წლიდან), რაც იმაზე მიუთითებს, რომ იქ თანდათან განვითარებას იწყებდა მეტალურგიული მრეწველობა.

ჭიათურის მანგანუმის გაზიდვას საზღვარგარეთ და რუსეთში ეწეოდნენ სხვადასხვა ფირმები, რომელთა რიცხობრივი რაოდენობა იცვლებოდა. ასე მაგალითად, ფოთსა და ბათუმში არსებულ ფირმების რიცხვი შეადგენდა:

1895	წელს	14
1899	„	11
1900	„	21
1917	„	17.

მათ გაიტანეს მანგანუმი:

1895	წელს	10 649 018 ფუთი
1899		25 073 419 „
1900		28 698 357 „
1901		21 648 575 „

[418] Статистика..., გვ. 54—55.

საშუალოდ ერთი ფირმის მიერ:

1895 წელს	760 644	ფუთი
1899	2 097 583	„
1900	1 366 588	„
1901	1 273 444	„

ისეთი ფირმები, რომელთაც გაიტანეს მილიონ ფუთზე მეტი, იყო:

1895 წელს	4
1899	6
1900	11
1901	8

მათ გაიტანეს:

1895	წელს	5 829 338	ფუთი, ანუ	54,74% მთელი გატ. მანგანუმის
1899	„	19 225 640	„	76,68%
1900	„	25 095 255	„	87,45%
1901	„	19 046 961	„	87,98%

სამხრეთ რუსეთში მანგანუმის გამტანი ფირმების რიცხვი შეადგენდა: 1899 წელს 4, 1900 წელს — 3, 1901 წელს — 4.

საზღვარგარეთ მანგანუმის გამტან ფირმებს შორის XIX ს. მიწურულსა და XX ს. დასაწყისს იყო ლუი პანასიესა და ძმები ფორვუდების ფირმები, ხოლო რუსეთში მანგანუმის გამტან ფირმებს შორის ყველაზე უფრო მსხვილი იყო ვაგსტაფისა და ბლეის ფირმა[416].

მანგანუმის გამტანი ფირმები იყო ორი კატეგორიისა. ერთი მხრივ, არსებობდა ფირმები, რომლებიც მანგანუმს ჭიათურიდან აგზავნიდნენ ფოთსა და ბათუმში, ხოლო მეორე მხრივ, არსებობდა ფირმები, რომლებიც ფოთიდან და ბათუმიდან მანგანუმს აგზავნიდნენ საზღვარგარეთ და რუსეთში. ეს უკანასკნელნი იყვნენ ნამდვილი ექსპორტიორი-ფირმები. თანაც უმეტეს შემთხვევაში მათ თვით გაჰქონდათ მანგანუმი ჭიათურიდან.

---

[416] Статистика., გვ. 59—61.

ჭიათურის მანგანუმს ყველაზე დიდი რაოდენობით ღებულობდნენ ნავსადგურები: როტერდამი, ფლიტეუდი, მიდლსბროდი, ჰამბურგი, ბალტიმორი, მარსელი და სხვ.

შევეხოთ მანგანუმის მსოფლიო მოპოვებას. ჭიათურის მანგანუმს მსოფლიო მოპოვებაში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. მისი ხვედრითი წონა ამ მხრივ დიდი იყო. სხვადასხვა წლებში მისი ხვედრითი წონა იცვლებოდა, ხშირად აღწევდა მესამედს, ხოლო ზოგჯერ მსოფლიო მოპოვების ნახევარსაც კი. 90-იან წლებში საშუალოდ მისი ხვედრითი წონა მესამედს უდრიდა. ქვემოთ მოგვყავს მანგანუმის მსოფლიო მოპოვების ცხრილი 1892 წლიდან 1900 წლამდე ჩათვლით (იხ. გვ. 149).

ცხრილიდან კარგად ჩანს რაოდენ დიდი ნაწილი მოდიოდა საქართველოზე მთელ მსოფლიოში მანგანუმის მოპოვების მხრივ.

თუ რა ხვედრითი წონა მოდიოდა საქართველოზე, ყველა ქვეყნიდან (მანგანუმის მომხმარებელ და არამომხმარებელ ქვეყნებიდან) მსოფლიო ბაზარზე გატანილი მანგანუმის მხრივ, ამას გვიჩვენებს შემდეგი ცხრილი (იხ. გვ. 150).

1892—1901 წლებში მსოფლიო ბაზარზე მანგანუმი გავიდა ყველა ქვეყნიდან 5 213 456 ტონა. საქართველოდან გაიტანეს 2 198 365 ტონა მანგანუმი, ანუ მთელი გატანილი მანგანუმის 42,17%.

მოტანილი ცხრილებიდან ჩანს, რომ, ჯერ ერთი, მანგანუმის მსოფლიო მოპოვების ზრდასთან ერთად იზრდებოდა მისი გატანა მსოფლიო ბაზარზე, რაც მეტალურგიული მრეწველობის განვითარების შედეგად მასზე მოთხოვნილების ზრდით იყო გამოწვეული; მეორე, ასევე იზრდება მანგანუმის გატანა მსოფლიო ბაზარზე საქართველოდან; მესამე, მსოფლიო ბაზარზე მანგანუმის გატანის მხრივ საქართველოს ხვედრითი წონა უფრო მეტია, ვიდრე მისი ხვედრითი წონა მანგანუმის მსოფლიო მოპოვებაში, რაც აიხსნებოდა იმ გარემოებით, რომ საქართველოში მაშინ არ არსებობდა ფერომანგანუმის მრეწველობა, სადაც წავიდოდა მოპოვებული მანგანუმის გარკვეული ნაწილი.

რაც შეეხება ცალკეული ქვეყნების შედარებას საქართველოსთან მანგანუმის ამოღებისა და გატანის მხრივ, ნათელია, რომ მას ოდნავადაც ვერ უტოლდებოდა ვერცერთი ქვეყანა აღნიშნულ პერიოდში.

XX საუკუნის დასაწყისიდან მსოფლიოში მანგანუმის მოპოვებისა და მისი მსოფლიო ბაზარზე გატანის მხრივ პირველ ად-

ცხრილი 2

მანგანუმის მსოფლიო მოპოვება 1892—1900 წლებში[117]

ათას ფუთობით

წლები	დიდი ბრიტანეთი	ა. შ. შ.	გერმანია	საფრანგეთი	ესპანეთი	თურქეთი	ბრიტანეთის ინდოეთი	ბრაზილია	ჩილი	რუსეთი	საქართველო	სხვა ქვეყნებში	მთელ მსოფლიოში	მთელ მსოფლიოში საქართველოს გარეშე	საქართველოში მოპოვებული მანგანუმის %%-ული შეფარდება მსოფლიოში მოპოვებულ მანგანუმთან
1892	771	1155	2506	1977	1098	150	62	—	2241	1796	10236	სხვადასხვა ოდენობით	26292	16056	30%
1893	81	558	2489	2323	976	63	101	—	3153	4740	10318		29479	19161	35%
1894	115	716	2666	1998	2257	—	717	85	2928	3563	11118		30862	19744	36%
1895	78	908	2521	2883	2379	915	1409	335	1469	2287	7209		26530	19321	27%
1896	67	1010	2549	1910	2425	2166	3550	861	1595	2783	9706		33955	24249	29%
1897	37	2613	2832	2270	6235	3050	4880	979	1435	3417	12132		45407	33275	28%
1898	14	3129	2760	1048	8845	3050	4809	1674	1821	3640	16259		52849	36590	31%
1899	25	2705	3741	2434	8448	2950	5315	4529	2497	5915	34052		78818	34766	56%
1900	83	417	3593	1769	8189	2321	7796	6605	1570	5408	40363		89435	49072	45%

[117] ЦГИАЛ, ф, 37. оп. 67, д. 954, ფურც. 3—4

ცხრილი 3

მანგანუმის გატანა მსოფლიო ბაზარზე, მისი მომპოვებელი და გამტანი ქვეყნებიდან 1892—1901 წლებში

ტ ო ნ ე ბ შ ი

წლები	მანგანუმის მომხმარებელი და არამომხმარებ. ქვეყნებიდან მსოფლიო ბაზარზე გაიტანეს მანგანუმი, საქართველოსა და რუსეთის გამოკლებით	% %-ული შეფარდება საერთო რაოდენობასთან	საქართველოდან	% %-ული შეფარდ. საერთო რაოდენ.	რუსეთიდან	% %-ული შეფარდ. საერრაოდენ.	მთლიანად	% %-ული შეფარდ. ჯამთან
1892	111 208	46,68	127 029	53,32	—	—	238 237	4,57
1893	133 693	52,10	123 120	47,90	—	—	256 813	4,92
1894	125 089	46,68	144 524	53,32	—	—	269 613	5,17
1895	166 508	50,36	164 205	49,64	—	—	330 713	6,34
1896	221 491	60,94	142 058	39,06	—	—	363 549	6,97
1897	352 341	67,76	173 277	31,85	2 097	0,39	527 715	10.12
1898	375 457	61,20	233 359	37.89	5 468	0.91	614 284	11,78
1899	477 879	55,57	361 831	42,08	20 107	2.35	859 817	16,49
1900	508 923	53,52	424 766	44,66	17 300	1,82	950 989	18,26
1901	487 401	60,79	304 196	37,95	10 129	1,26	801 726	15,38
სულ	2 959 990	56,77	2 198 365	42,17	55 101	1,06	5 213 456	100,00[416]

[416] Статистика.., გვ. 118.

გილზე იყვნენ საქართველო, ინდოეთი და ბრაზილია. ამ სამ ქვეყანაზე იყო დამოკიდებული მსოფლიო ბაზრის ბედი მანგანუმის მიწოდების საქმეში. პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის წინ, 1913 წელს, მსოფლიოში მოპოვებული მთელი მანგანუმის მადნიდან ამ სამ ქვეყანაზე (საქართველო, ინდოეთი, ბრაზილია) მოდიოდა 95%. აღსანიშნავია, რომ ამ წელს საქართველოში მოპოვებულ იქნა მეტი მანგანუმი (965 847 ტონა ანუ 60 365 437 ფუთი) ვიდრე მთელ დანარჩენ მსოფლიოში.

ჭიათურის საბადოებში მანგანუმის მადნის მარაგი გამოიანგარიშეს 1888 წელს სამთო ინჟინერ კოცოვსკის მონაცემების საფუძველზე[419]. მადნის მარაგი განსაზღვრავს 6½ მილიარდზე მეტი ფუთის რაოდენობით[420] და როგორც აღნიშნავდნენ ყოველწლიურად 70 მილიონი ფუთის გაზიდვის შემთხვევაში ეს მარაგი მთელ საუკუნეს იკმარებდა. მაგრამ როგორც აშკარად ჩანს, მადნის მარაგი გაცილებით მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ისინი ფიქრობდნენ.

საქართველოს მანგანუმი თითქმის მთლიანად გადიოდა ევროპაში, სადაც ფერომანგანუმის მრეწველობა იყო განვითარებული. საქართველოში ფერომანგანუმის მრეწველობა არ არსებობდა, ხოლო რუსეთში ძალიან სუსტად იყო განვითარებული. მხოლოდ XIX ს. მიწურულს რუსეთში შედარებით სწრაფად ვითარდება მეტალურგიული მრეწველობა, რის შედეგად უკვე იწყება საქართველოს მანგანუმის შეტანა იქ მნიშვნელოვანი რაოდენობით. მაგრამ საკმაო რაოდენობით რუსეთი მაინც ვერ აწარმოებდა ფერომანგანს, მიუხედავად მფარველობითი ბაჟების დაწესებისა, და კვლავ მზარდი რაოდენობით შემოჰქონდა იგი ევროპის სამრეწველო ქვეყნებიდან.

ამრიგად, იმის გამო, რომ რუსეთში სუსტი იყო, ხოლო საქართველოში არ არსებობდა ფერომანგანუმის წარმოება, ჭიათურაში მანგანუმის ამოღების ზრდა-განვითარება დამოკიდებული იყო მხოლოდ და მხოლოდ ევროპაში მეტალურგიის განვითარების სისწრაფეზე და ამის შედეგად მანგანუმის მოთხოვნილების ზრდაზე.

---

[419] ЦГИАЛ, ф. 37, оп. 67, д. 954, фурц. 39.

[420] „Кавказский вестник", 1901, № 10, гл. VIII, эз. 46.

სამთამადნო და სამთო-საქარხნო წარმოების სოციალურ-ეკონომიური ბუნება. მისი როლი კაპიტალიზმის განვითარებისა და ქართული ეროვნული ბურჟუაზიის ფორმირების საქმეში

1959 წელს გამოცემულ ჩვენს ნაშრომში — „კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში (1800—1864 წწ.)“ — დაწერილებით გვაქვს მოცემული რეფორმამდელ საქართველოში არსებული სამრეწველო საწარმოების სოციალურ-ეკონომიური ბუნება. აღნიშნულ პერიოდში არსებული სამრეწველო საწარმოების: აბრეშუმის, ბამბის, თამბაქოს, შაქრის, ტყავის, მინის, მექანიკური, საპნის. აგურის, კრამიტის და სხვა სამრეწველო საწარმოებთან ერთად. განხილული გვაქვს სამთამადნო და სამთო-საქარხნო წარმოების სოციალ-ეკონომიური ბუნება.

აქ მოკლედ აღვნიშნავთ, რომ ზემოთ დასახელებულ შრომაში XVIII ს. და XIX ს. რეფომამდელი ხანის ალავერდის და ახტალის სპილენძისა და ვერცხლის საწარმოების სოციალ-ეკონომიური ბუნების დახასიათებისას, ჩვენ, ისინი მივიჩნიეთ დაბალ, განუვითარებელ, არასრულყოფილ კაპიტალისტურ საწარმოებად, მაგრამ მაინც კაპიტალისტურ საწარმოებად, მიუხედავად იმისა, რომ ლითონის წარმოებაში თავისუფალი ოსტატებისა და მუშების გარდა მუშაობდნენ ნებით დაქირავებული ყმა-გლეხები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან მოდიოდნენ, ასევე კაპიტალისტურად ჩავთვალეთ აღნიშნული წარმოება მიუხედავად იმისა, რომ მასში დასაქმებული ნებითდაქირავებული მუშების დიდი ნაწილი: ყმა-გლეხები, ყმური დამოკიდებულებისაგან თავისუფალი მუშები, ხელოსნები და სხვები მოწყვეტილი არ იყვნენ საწარმოო საშუალებებს — მიწას, წარმოების იარაღებს და თავიანთი მეურნეობა გააჩნდათ სოფლად, დაკავშირებული იყვნენ მიწათმოქმედებასთან. და ბოლოს, აღნიშნული წარმოება კაპიტალისტურად მივიჩნიეთ, მიუხედავად იმისა, რომ XVIII ს. და XIX ს. პირველ ნახევარში (1850 წლამდე) წარმოების დამხმარე სამუშაოებზე გამოყენებული იყო მიწერილ ყმა-გლეხთა იძულებითი შრომა.

ზემოთ დასახელებული არც ერთი გარემოება არ უკარგავდა სპილენძის და ვერცხლის წარმოებას კაპიტალისტურ ბუნებას, იმიტომ რომ როგორც აღნიშნული გვაქვს:

1. ყმა-გლეხთა დაქირავებული შრომის გამოყენება სამრეწველო საწარმოში და სახელწოდება „ყმა-გლეხი“ ჩვენ აქ მიგვითითებს არა ფეოდალური ექსპლუატაციის ფორმაზე, არამედ ასეთი

მუშების წოდებრივ კუთვნილებაზე. ამიტომ სამრეწველო საწარმოთა ეკონომიური ბუნების (წყობის) დახასიათებისას მთავარი არის დაქირავებული მუშების და ოსტატების არა წოდებრივი კუთვნილება (ამ შემთხვევაში „ყმა-გლესი"), არა ის, თუ რა იურიდიული საფუძველი ჰქონდათ მათ სოფელში მიწისა და მებატონის მიმართ, არამედ ექსპლუატაციის ფორმა წარმოებაში, რაც ნებითდაქირავებულ შრომაში ანუ ექსპლუატაციის კაპიტალისტურ ფორმაში გამოიხატებოდა. მთავარი იყო მუშების დამოკიდებულება მეწარმეებთან, ე. ი. საზოგადოებრივი წყობა წარმოებაში. სამრეწველო საწარმოში ნებით დაქირავებული ყმა-გლეხი მრეწველი-მეპატრონისათვის ყმაკი არ იყო, არამედ სამრეწველო მუშა.

2. სამრეწველო საწარმოებში ნებითდაქირავებული მუშების დიდი ნაწილი (როგორც ყმა-გლეხები ასევე თავისუფალნი) მოწყვეტილი არ იყო სოფლის მეურნეობას — მიწასა და წარმოების იარაღებს, მაგრამ ეს გარემოება სამრეწველო საწარმოს არ უკარგავდა კაპიტალისტურ ბუნებას, რადგან საერთოდ კაპიტალიზმის წარმოშობისა და განვითარების პირველ პერიოდში წარმოების მუშა კავშირს ინარჩუნებდა მიწათმოქმედებასთან, სოფელთან და მიწის მესაკუთრე თუ მიწით მოსარგებლე სოფლელი მუშის ტიპი „ყველა კაპიტალისტური ქვეყნის თვისებას" წარმოადგენდა. ასეთი ტიპის მუშები დაქირავებულ შრომას ეწეოდნენ როგორც სოფლის მეურნეობაში ასევე მრეწველობაში. ხოლო რაც შეეხება სავსებით უმიწაწყლო, ექსპროპრიირებულ „ფრინველივით" თავისუფალ მუშას", როგორც მასობრივ მოვლენას, მას ქმნის მხოლოდ კაპიტალიზმის განვითარების უმაღლესი სტადია — მანქანური ინდუსტრია. ე. ი. უშუალო მწარმოებლის (გლეხის) მიწისაგან სავსებით მოწყვეტა ხდება კაპიტალიზმის განვითარების უმაღლესი სტადიის დროს და ასეთი უმიწაწყლო მუშები მხოლოდ მანქანური ინდუსტრიისათვის არის აუცილებელი პირობა.

3. სპილენძისა და ვერცხლის წარმოებაში ნებითდაქირავებული შრომის გამოყენების გარდა მიწერილ ყმა-გლეხთა იძულებითი შრომაც — წარმოების დამხმარე სამუშაოებზე — არ უკარგავდა მას კაპიტალისტურ ხასიათს (ბუნებას), იმიტომ, რომ იძულებითი შრომის გამოყენებისაგან კაპიტალისტური წარმოება, განსაკუთრებით მისი ჩასახვისა და განვითარების პირველ პერიოდში, თავისუფალი არ ყოფილა მის ერთადერთ კლასიკურ ქვეყანაში — ინგლისშიც კი. იძულებით შრომას კაპიტალისტური წარმოების მანუფაქტურულ პერიოდში XVII—XVIII საუკუნეებში ფართოდ იყე-

ნებდნენ აგრეთვე საფრანგეთში, გერმანიაში, რუსეთში (XIX საუკუნეშიც) და სხვა ქვეყნებში.

ისე როგორც ყმა-გლეხთა დაქირავებული შრომის, ასევე მიწერილ ყმა-გლეხთა იძულებითი შრომის გამოყენება მრეწველობაში ნიშნავდა კაპიტალის ექსპლუატაციის ანუ კაპიტალიზმის განვითარების სფეროს გაფართოებას, მასში არათავისუფალი შრომის წარმომადგენლების (ყმა-გლეხების) მოქცევას. ამ შემთხვევაშიც კაპიტალი იჭრებოდა ბატონყმური ურთიერთობის სფეროში და არღვევდა მას — აცლიდა ამ ურთიერთობას უშუალო მწარმოებელს (ყმა-გლეხს) დროებით ან მუდმივად და წარმოებაში ასაქმებდა. ის გარემოება, რომ სამრეწველო საწარმოებზე ყმა-გლეხების მიწერა სახელმწიფო ხელისუფლების განკარგულებით ხდებოდა იმის მაჩვენებელიც არის, რომ კაპიტალი აიძულებდა მას მისი განვითარებისათვის სათანადო პირობები შეექმნა.

4. რეფორმამდელ საქართველოში სამთამადნო და სამთო-საქარხნო საწარმოები: ალავერდისა და ახტალის სპილენძისა და ვერცხლის წარმოება, თბილისის საწახნაგო წარმოება და ჩათახის რკინისა და თუჯსასხმელი ქარხანა მოწყობილი იყო სახელმწიფოს მიერ და გარკვეულ პერიოდში სახაზინო საწარმოებად ითვლებოდნენ, მაგრამ ეს გარემოებაც სრულებით არ უკარგავდა მათ კაპიტალისტურ ბუნებას, რადგან სახაზინო და კერძო საწარმოებს შორის ის განსხვავება იყო, რომ ერთში მოქმედებდა სახელმწიფო კაპიტალი, ხოლო მეორეში — კერძო კაპიტალი.

5. დაბოლოს, ალავერდისა და ახტალის საწარმოების კაპიტალისტურ ბუნებაზე მეტყველებს ისიც, რომ ეს საწარმოები სამთო მანუფაქტურებს წარმოადგენდნენ. მანუფაქტურა კი წარმოების კაპიტალისტური წესის ჩასახვისა და მისი არსებობის მაჩვენებელი იყო. *მანუფაქტურა ფეოდალიზმის დამახასიათებელი და მისი ნიშანი არ არის. წარმოების ფეოდალური წესი განვითარების პროცესში მას არ შეიცავს.* მანუფაქტურული წარმოება კაპიტალისტური მრეწველობის ერთ-ერთი ფორმაა, მისი საფეხურია (წვრილი კაპიტალისტური სასაქონლო მრეწველობა — მანუფაქტურა — მანქანური ინდუსტრია). განვითარების პროცესში იგი მრავალფეროვანი იყო, მაგრამ კაპიტალისტური ბუნების. მანუფაქტურა იყო „სპეციფიკურად კაპიტალისტური ფორმა“ და იგი ვითარდებოდა მხოლოდ „კაპიტალისტური ფორმით“.

რეფორმამდელ ხანაში ალავერდისა და ახტალის წარმოების გარდა კაპიტალისტურ საწარმოებს წარმოადგენდნენ აგრეთვე სა-

წახნაგო, ნავთის, რკინისა და თუჯსასხმელი (და სხვა სამთო) საწარმოები.

ამრიგად, ჩვენს მიერ განხილული რეფორმამდელი საქართველოს სამთამადნო და სამთო-საქარხნო საწარმოები წარმოადგენდნენ მეტ-ნაკლები განვითარების დონის მქონე კაპიტალისტურ საწარმოებს.

ჩვენ აქ საჭიროდ არ მიგვაჩნია რეფორმამდელი საქართველოს სამრეწველო საწარმოების და მათ შორის სამთამადნო და სამთო-საქარხნო წარმოების სოციალურ-ეკონომიური ბუნების ვრცელი დახასიათების იმ თეორიული ნაწილის გამეორება, რომელიც მოცემული გვაქვს აღნიშნულ ნაშრომში[421] და ამ მხრივ მხოლოდ ზემოთ თქმულით დავკმაყოფილდებით.

XIX ს. მეორე ნახევარში კი, უფრო ზუსტად, ბატონყმობის გაუქმების შემდგომი ხანის საქართველოში, სამრეწველო საწარმოების (წვრილი საწარმოების, მანუფაქტურების, ფაბრიკა-ქარხნების) და მათ შორის ჩვენს მიერ განხილული სამთამადნო და სამთო-საქარხნო მრეწველობის კაპიტალისტური ბუნება ეკვს არ იწვევს და მასზე შეჩერება ზედმეტად მიგვაჩნია.

რაც შეეხება მრეწველობის ფორმების საკითხს, XVIII—XIX სს. სამთამადნო საწარმოები განეკუთვნებოდნენ მრეწველობის მანუფაქტურულ ფორმას. გამონაკლისს შეადგენდა ჩათახის რკინისა და თუჯსასხმელი წარმოება, რომელიც თავიდანვე ფაბრიკულ წარმოების საწყისებზე მოეწყო.

თბილისის საწახნაგო წარმოება პირველ ხანებში მანუფაქტურული საწარმო იყო, მაგრამ მალე მან, 50-იან წლებში, მიიღო ფაბრიკული წარმოების სახე.

ალავერდისა და შამბლუღის სპილენძის საწარმოები XIX ს. მეორე ნახევარში, ისე როგორც მანამდე, სამთო კაპიტალისტური მანუფაქტურები იყო. 80-იანი წლებიდან ალავერდის ქარხანაში ვხედავთ 2 ორთქლის მანქანას და ტურბინას, რითაც წარმოება თანდათან ფაბრიკის სახეს ღებულობდა. XIX ს. მიწურულიდან კი შედარებით ფართოდ შემოაქვთ წარმოებაში მანქანების სისტემა და ამიერიდან ვითარდება სპილენძის ფაბრიკული წარმოება.

ასევე, ტყიბულში ქვანახშირის დამუშავება XIX საუკუნის სიგრძეზე ძირითადად სამთო მანუფაქტურის ნიშნებს ატარებდა.

მანგანუმის დამუშავებამ ჭიათურაში თავიდანვე მიიღო სამ-

---

421 იხ. დ. გოგოლაძე, კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში (1830—1864), თბ. 1959, გვ. 203—214.

თო მანუფაქტურების ხასიათი და ძირითადად ასეთი დარჩა XIX ს. მიწურულამდე. XIX ს. მიწურულსა და XX ს. დასაწყისში, ახალი ტექნიკური აღჭურვილობისა და ორთქლის ძრავების შემოღების შედეგად, ჭიათურაში ვითარდება მანგანუმის ფაბრიკული მრეწველობა.

*

* *

სპილენძის წარმოებაში XIX ს. მეორე ნახევარში არსებითი ცვლილება არ მომხდარა საწარმოო პროცესების და მუშათა რაოდენობის ზრდის მხრივ. ამ მხრივ თითქმის ისეთივე სურათი იყო, როგორც XIX ს. პირველ ნახევარში. მხოლოდ 80-იან წლებში ვხედავთ აქ წარმოების ტექნიკურ აღჭურვილობაში წინგადადგმულ ნაბიჯებს. 1884 წელს ქარხანაში ვხედავთ ერთ ორთქლის მანქანას და ერთ ტურბინს, 1887 წელს ქარხანაში იდგა 2 ორთქლის მანქანა.

1852 წლიდან 1901 წლამდე ალავერდის ქარხანაში გამოადნეს 208 243 ფუთი სპილენძი. საშუალოდ წლიურად მოდის 4 000 ფუთი სპილენძი. ფუთი სპილენძი საშუალოდ ღირდა 10 მანეთი, ე. ი. ალავერდის ქარხნის საშუალო წლიური პროდუქცია XIX ს. მეორე ნახევარში შეადგენდა 40 000 მანეთს. მუშების რაოდენობა კი საშუალოდ წლიურად შეადგენდა 80 კაცს.

XIX ს. მეორე ნახევარში ალავერდის ქარხნის წლიური წარმადობა საშუალოდ დაახლოებით ისეთივე იყო, როგორც ამ საუკუნის პირველ ნახევარში (4 ათასი ფუთი). მაგრამ ეს ცოტა იყო, რადგან ალავერდში სპილენძის საბადოები ძალიან მდიდარი იყო და წარმოების სრულყოფილი ორგანიზაციის შემთხვევაში შეიძლებოდა გაცილებთ მეტი პროდუქციის მოცემა. ეს ცხადად დამტკიცდა XIX ს. მიწურულსა და XX ს. დასაწყისში. გასული საუკუნის მიწურულს — 1900 წელს ალავერდის ქარხანაში გამოადნეს 19 682 ფუთი სპილენძი და ამით გადააჭარბეს ერეკლე II-ის დროინდელ პროდუქციას, რომელიც საშუალოდ წელიწადში XVIII ს. 70-იან წლებში 10—15 ათასს ფუთს უდრიდა. ამიერიდან სპილენძის წარმოება ალავერდში გიგანტური ნაბიჯებით მიდის წინ. ასე მაგალითად, როგორც აღნიშნულია, 1901 წელს გამოადნეს 59 769 ფუთი სპილენძი, 1903 წელს 75 397 ფუთი, 1910 წელს 196 051 ფუთი, ხოლო 1912 წელს 233 648 ფუთი სპილენძი (დაახლოებით 2 340 000 მანეთის ღირებულებისა).

როგორც ვხედავთ, მარტო 1912 წელს გამოადნეს უფრო მეტი, ვიდრე მთელი XIX ს. მეორე ნახევარში ერთად აღებული და აღნიშნულ წელს დაახლოებით 60-ჯერ გადააჭარბა XIX ს. მეორე ნახევრის საშუალო წლიურ პროდუქციას.

სპილენძის წარმოება საქართველოში XIX საუკუნის მიწურულს ბოლოს და ბოლოს მყარ საფუძველზე დადგა და არნახული სისწრაფით იწყო განვითარება. მან საქართველოს სამთო წარმოებაში ამიერიდან მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა, ხოლო საქართველომ სპილენძის წარმოებაში პირველი ადგილი დაიჭირა კავკასიაში.

XIX საუკუნეში საქართველოში განვითარება ვერ ჰპოვა რკინის წარმოებამ და ისეთმა დიდმა წამოწყებამ როგორც ბოლნისის რკინისა და თუჯსასხმელი ქარხანა იყო, მარცხი განიცადა. აქის მიზეზი, გარდა იმისა, რომ თავი ვერ გაართვეს წარმოებას და რკინიგზების გაყვანის შემდეგ რუსეთიდან დიდი რაოდენობით შემოდიოდა იაფი რკინა, იყო ის, რომ რკინის საბადოები ბოლნისში მცირე იყო და არახელსაყრელად განლაგებული, რის გამო იმ დროის ტექნიკით ვერ ახერხებდნენ რკინის მოპოვებას დიდი რაოდენობით. ამიტომ ჩათახის ქარხანა რკინის ნედლეულით უზრუნველყოფილი არ იყო.

XIX ს. საქართველოში იწყება ქვანახშირის დამუშავება. განსაკუთრებით ვითარდება იგი 80-იანი წლებიდან. ქვანახშირზე მოთხოვნილების ზრდა საქართველოში, საერთოდ, ნიშანი იყო მრეწველობის განვითარებისა (ფაბრიკა-ქარხნები, რკინიგზები და სხვ.) და საქალაქო ცხოვრების ზრდისა. თუ რეფორმამდელ ხანაში ქვანახშირს ტყიბულში, იღებდნენ უმნიშვნელო რაოდენობით, 80—90-იან წლებში მას იღებენ მნიშვნელოვანი რაოდენობით. 80-იან წლებში, საშუალოდ, 350 000 ფუთ ნახშირს იღებენ ტყიბულში, 90-იან წლებში მას იღებენ საშუალოდ მილიონნახევარ ფუთს. XIX ს. მიწურულიდან კი ტყიბულში ქვანახშირს უკვე იღებენ 3—4 მილიონ ფუთზე მეტს.

განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება რეფორმისშემდეგდროინდელ საქართველოში მანგანუმის წარმოება, რაც გამოიწვია ევროპაში მეტალურგიული მრეწველობის დიდმა განვითარებამ. ჭიათურის მანგანუმი საქართველოს სამთამადნო და სამთო-საქარხნო წარმოებაში სწრაფად იჭერს პირველ ადგილს. იგი თავიდანვე არღვევს ეროვნულ ფარგლებს და მსოფლიო კაპიტალისტურ წარმოებაში თავის ხვედრითი წონით მეტად მნიშვნელოვან ადგილს იჭერს.

XIX საუკუნეში საქართველოს სამთამადნო და სამთო-საქარხნო წარმოებაში ჭიათურის მანგანუმის მრეწველობა თავისი პროდუქციითა და მუშათა კონტინგენტით აღემატებოდა ყველა სხვა დარგის პროდუქციასა და მუშათა კონტიგენტის ოდენობას. ასე მაგალითად, თუ 80—90-იან წლებში საქართველოში სპილენძის

წარმოება წლიურად, საშუალოდ იძლეოდა 30-40 ათასი მანეთის პროდუქციას, მანგანუმის მრეწველობა წლიურად საშუალოდ იძლეოდა 400—500 ათასი მანეთის პროდუქციას. ამ მხრივ მას მით უფრო ვერ ედრებოდა ქვანახშირის მრეწველობა. რაც შეეხება მუშების კონტიგენტის სიდიდეს, როგორც ვიცით, იგი ჭიათურაში ხშირად 5 000 კაცამდე აღწევდა და ამ მხრივაც მას ვერ ედრებოდა სამთო წარმოების სხვა რომელიმე დარგი. მიოლოდ 900-იან წლებში სპილენძის წარმოების წლიური პროდუქცია მეტ-სპილენძისა და მანგანუმის წარმოების წლიური პროდუქცია მეტ-ნაკლებად ახლო იდგნენ. ამ პერიოდში მათი წლიური პროდუქცია მილიონ, მილიონნახევარ და ორ მილიონზე მეტი მანეთით განისაზღვრებოდა.

სამთამადნო და სამთო-საქარხნო წარმოების ზრდა საქართველოში რეფორმისშემდგომ ხანაში მრეწველობის განვითარების საერთო ფონზე კაპიტალიზმის განვითარების ნიშნით ხასიათდებოდა.

სამთამადნო და სამთო-საქარხნო წარმოებაში (სპილენძისა და მანგანუმის წარმოებაში) აშკარად ჩანდა მრეწველთა დიფერენციაცია. აშკარად ჩანს წვრილი, საშუალო და მსხვილი მრეწველები. ყველა მრეწველს ერთი სურვილი ამოძრავებდა: უსაზღვროდ გაეფართოებინა წარმოება. მრეწველებს, კაპიტალისა და წარმოების სიდიდის შესაბამისად, დაქირავებული ჰყავდა მუშები სხვადასხვა რაოდენობით.

საერთოდ, სამთამადნო და სამთო-საქარხნო წარმოების ხვედრითი წონა საქართველოს მრეწველობაში მნიშვნელოვანი იყო, განსაკუთრებით 80-იანი წლებიდან. უფრო მეტად გამოირჩეოდა სამთო წარმოება მუშების კონტიგენტის სიდიდით. ასე მაგალითად, 1891 წელს საქართველოს სამრეწველო საწარმოებში ითვლებოდა 16 676 კაცი[422]. ამავე ხანებში, სახელდობრ 1893 წელს მარტო ქუთაისის გუბერნიაში სამთამადნო და სამთო-საქარხნო წარმოებაში დასაქმებული იყო 3 198 მუშა[423].

სამთამადნო და სამთო-საქარხნო წარმოების პროდუქცია 80—90-იან წლებში, წლიურად, საშუალოდ ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი იყო საქართველოს მრეწველობის პროდუქცია კი ამ პერიოდში საშუალოდ წლიურად აღწევდა 10—15 მილიონ მანეთს. ასე მაგალითად, 1891 წელს თბილისის გუბერნიაში არსებულ სამრეწველო საწარმოთა პროდუქცია უდრიდა 4 710 960

---

[422] „Кавказскій календарь", 1893, гл. Статист. и др. данн. о Кавказе გვ. 90—93.

[423] „Кавказскій календарь, 1895. отд. V, გვ. 91.

მანეთს. ქუთაისის გუბერნიის საწარმოებისა—7 641 771 მანეთს[424]. 1893 წელს მარტო ქუთაისის გუბერნიის სამთო წარმოების წლიური პროდუქცია კი უდრიდა დაახლოებით 500 000 მანეთს[425].

XIX ს. მიწურულსა და XX ს. დამდეგს სამთამადნო და სამთო-საქარხნო წარმოების პროდუქცია იზრდება და იგი აღწევს 3 მილიონ მანეთამდე. რა თქმა უნდა ეს ცოტა როდი იყო იმ დროს და წარმოების ამ დარგის განვითარების ცხადი მაჩვენებელია.

განსაკუთრებული ადგილი ეჭირა მანგანუმის მრეწველობას საქართველოში ქართული ეროვნული ბურჟუაზიის ჩამოყალიბების საქმეში. აქ, როგორც ცნობილია, თავიდანვე წარმოებას ადგილობრივი ქართველი მეწარმეები ეუფლებიან და სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ მოსულ უცხოელებს. ქართველები ეუფლებიან თვით წარმოებას — მანგანუმის დამუშავებას. მოსული უცხოელები ქართველებთან შედარებით აბსოლუტურად ცოტანი იყვნენ. 80-იანი წლებიდან ჭიათურაში სწრაფად ხდება ქართული ბურჟუაზიის ფორმირება და მისი ყველაზე უფრო მძლავრი ნაკადი საქართველოს მრეწველობაში აქ იყო. მათ შექმნეს თავისი ინტერესების გამომხატველი ორგანიზაცია — „მანგანუმის მრეწველთა ყრილობა“ და „საბჭო“. მანგანუმის დიდმა მნიშვნელობამ ქართველი ბურჟუაზია მსოფლიო საქმოსანთა სარბიელზე გამოიყვანა. „მანგანუმის მრეწველთა საბჭო“ მოწოდებული იყო დაეცვა იქ მისი ინტერესები.

ქართული ეროვნული სამრეწველო ბურჟუაზია რეფორმისშემდგომ ხანაში, რამდენადაც ჩვენ დაკვირვება გვაქვს, ფორმირებას იწყებს უფრო დასავლეთ საქართველოში და იგი აქ უფრო მძლავრადაა წარმოდგენილი რიცხობრივად და თვისობრივად, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. იგი თავიდანვე ზრუნავს რათა ეროვნულ წარმოებას განვითარების საშუალება მიეცეს და არ ჩაიხშოს უცხოელთა ექსპანსიისაგან.

ჯერ კიდევ რეფორმამდელ ხანაში ქართული სამრეწველო ბურჟუაზიის ერთ-ერთმა დიდმა პიონერმა იაკობ ზუბალაშვილმა პირველად მოითხოვა მფარველობითი ბაჟები, რათა საშუალება მისცემოდა ადგილობრივ ეროვნულ წარმოებას ეარსება და განვითარებულიყო. მაგრამ ცარიზმმა უარყო ზუბალაშვილის თხოვნა.

რეფორმისშემდგომ ხანაში უფრო მძლავრად გაისმოდა ადგილობრივი წარმოების დაცვის მოთხოვნა. 90-იან წლებში მანგანუმის მრეწველებმა ყრილობაზე პროტესტი განაცხადეს იმის გამო, რომ მათ ავიწროებდნენ მსოფლიო ბაზარზე. მათ მანგანუმის მრე-

[424] „Кавказский календарь. 1893, гл. статист. и др. данн. о Кавказе зз. 90—93.
[425] Кавказский календарь, 1895, отд. V, зз. 91.

წველთა საბჭოს მოსთხოვეს ყოველმხრივ შეესწავლათ მანგანუმის წარმოება და გასაღების საქმე მთელ მსოფლიოში.

რუსეთის სახელმწიფოს, თავისი კაპიტალის სისუსტის გამო, უცხოეთის კაპიტალი უტევდა არა მარტო თვით მეტროპოლიაში, არამედ კოლონიებშიც, მათ შორის საქართველოში. ამიტომ განვითარების პროცესში ბყოფი ქართველი ბურჟუაზია პროტესტს აცხადებდა, წინააღმდეგობას უწევდა უცხოურ კაპიტალს და მოითხოვდა სათანადო პირობები შეექმნათ „ეროვნული მრეწველობის" განვითარებისათვის.

დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი ბურჟუაზიის ზემოქმედების შედეგი უნდა იყოს 1891 წელს ქუთაისის გუბერნატორ გენ.-ლეიტ. შალიკაშვილის (შალიკოვის) მოთხოვნა სამთო წესდების ზოგიერთი მუხლების შეცვლის შესახებ. გენ. შალიკაშვილმა მოითხოვა აეკრძალათ უცხოელებისათვის უფლება, შეეძინათ უვადო სარგებლობაში სამადნო მიწები და დაესახლებინათ იქ უცხოელი მუშები. იგი მიუთითებდა, რომ უცხოელები სწრაფად გაანადგურებენ ტყეს, როგორც გააკეთეს მათ ეს სოხუმის ოკრუგში და ჩქარა გამოფიტავენ საბადოთა მარაგსო. ქუთაისის გუბერნატორი მოითხოვდა, უკიდურეს შემთხვევაში მაინც, შეეზღუდათ უცხოელთა ფართო კოლონიზაცია[426]. იგი მიუთითებდა, რომ ყოველი სახელმწიფოსათვის ყველაზე უფრო სასარგებლოა თავის ტერიტორიაზე მოაწყოს ნაციონალური წარმოება. სამთო სარეწების შესახებ შენიშნავდა, რომ ხელშეუხები მინერალური სიმდიდრენი შეადგენს სახელმწიფო კაპიტალს, რომელიც, თუმცა ჯერჯერობით ძევს დაუმუშავებლად, მაგრამ ეს კაპიტალი მარაგია შემდგომი შთამომავლობისათვის, ისე როგორც მიწები და ტყეები[427]. მაგრამ მიწებიცა და ტყეებით წესიერი სარგებლობა განადგურების გარეშე კიდევ შეიძლება, ხოლო მინერალური სიმდიდრეებისა, არა, რადგან მისი ექსპლუატაცია გამოფიტვის გარეშე შეუძლებელიაო. ამიტომ ქუთაისის გუბერნატორის აზრით, ამიერკავკასიაში უცხოური სამთო წარმოების დანერგვა წარმოადგენს აშკარა მავნებლობას და ზიანის მეტს არაფერს მოუტანს სახელმწიფოს, რადგან სამთო წარმოებით ისარგებლებენ უცხოელე-

---

[426] ЦГИАЛ, ф. 37. оп. 73, д. 315 ფურც. 7, 18.

[427] იქვე, ფურც. 20. საარქივო საქმეში ვკითხულობთ: „Для всякого государства выгоднее всего учреждать на своей территории национальный предприятия. В частности относительно горных промыслов. Кутаисский губернатор замечает,что нетронутыя минеральныя богатства составляют государственный капитал, который хотя и лежит пока непроизводительно, но это капитал запасный для будущих поколений".

ბი ჩვენი ხალხის საზიანოდ, განსაკუთრებით მომავალშიო[428]. იმისათვის რათა მთავრობაზე ზემოქმედება მოეხდინა, ქუთაისის გუბერნატორმა გენ. შალიკაშვილმა ისეთივე დიპლომატიურ ხერხს მიმართა, როგორც იაკობ ზუბალაშვილმა 50 წლის წინათ. შალიკაშვილი მიუთითებდა მთავრობას, რომ უცხოელთა მრეწველობის დანერგვით აქ შეჩერდება რუსული მრეწველობის განვითარება, რომელიც ვერ შეძლებს კონკურენცია გაუწიოს უცხოურს მისი მაღალი კულტურის გამოო[429]. მაგრამ, როგორც XIX ს. პირველ ნახევარში, ისე მეორე ნახევარში ასეთი მოთხოვნები საერთოდ უშედეგოდ რჩებოდა.

რეფორმისშემდგომ ხანაში საქართველო, შ ე დ ა რ ე ბ ი თ წ ი ნ ა ხ ა ნ ა ს თ ა ნ, სწრაფად დაადგა კაპიტალიზმის განვითარების გზას. განსაკუთრებით სწრაფად განვითარდა მრეწველობა. თუ ბატონყმობის გაუქმების დროს საქართველოს კაპიტალისტურ მრეწველობაში დასაქმებული იყო 5 ათასამდე კაცი, XX ს. დასაწყისში კაპიტალისტურ მრეწველობაში მუშაობდა 25—30 ათასამდე კაცი. თუ ბატონყმობის გაუქმების დროს, 1864 წელს, საქართველოს სამრეწველო საწარმოების პროდუქციის ღირებულება 1 მილიონ მანეთამდე აღწევდა, XIX ს. მიწურულსა და XX ს. დასაწყისში, ჩვენი გაანგარიშებით, მან 30 მილიონამდე მანეთს მიაღწია, ე. ი. სამრეწველო პროდუქცია 30-ჯერ გაიზარდა.

როგორც დასაწყისში გვქონდა აღნიშნული, რუსეთის პოლიტიკური და დიპლომატიური მოღვაწეები საქართველოში ხედავდნენ „ახალ ელდორადოს“, „ახალ ინდოეთს“, რომელიც უდიდეს სარგებლობას მოეტანდა რუსეთს. მუსინ-პუშკინი, გენერალი სიპიაგინი და სხვები საქართველოს ასეთი ეპიტეტებით ამკობდნენ არა იმიტომ, რომ პოლიტიკური ეფექტი მოეხდინათ პეტერბურგში. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ბ უ ნ ე ბ ა მ, წ ი ა ღ ი ს ე უ ლ მ ა, ჰ ა ვ ა მ დ ა ს ა მ ე უ რ ნ ე ო კ უ ლ ტ უ რ ა მ დ ა ა რ წ მ უ ნ ა ი ს ი ნ ი ჩ ე ვ ნ ი ქ ვ ე ყ ნ ი ს ე კ ო ნ ო მ ი უ რ ს ი მ ძ ლ ა ვ რ ე შ ი დ ა მ ი ს დ ი დ მ ო მ ა ვ ა ლ შ ი.

XX საუკუნეს საქართველო ისე შეხვდა როგორც მან წინა საუკუნე დაიწყო — პოლიტიკურად უფლებადაკარგული, მაგრამ მეორეს მხრით, საქართველო ახალ საუკუნეს შეხვდა განვითარებული ეკონომიკით, ახალი საწარმოო ძალებით და რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებით. იგი თავის მერმისსა და ხსნას ამ ახალ ძალებსა და იდეებში ხედავდა.

---

428 იქვე.

429 იქვე, ფურც. 20—21.

თავი მესამე

კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხის შესახებ

საკითხის ისტორიისათვის

ამჟამად ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს შევეხოთ საქართველოში კაპიტალიზმის გენეზისის ანუ მისი ჩასახვისა და განვითარების საკითხის დაყენებისა და შესწავლის ისტორიას. მისი მოკლე მიმოხილვა საჭიროდ მიგვაჩნია იმიტომ, რომ დღემდე ეს საკითხი გაშუქებული არ არის სამეცნიერო ლიტერატურაში.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივმა და პოლიტიკურმა განვითარებამ მრავალი ისტორიკოსის ყურადღება მიიპყრო, იმიტომ, რომ ეს იყო გარდატეხის ხანა, რომელიც იწვევდა სოციალ-ეკონომიურ ძვრებს ქართველი ხალხის ყოფაცხოვრებაში.

ამ მხრივ, პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს ზაქარია ჭიჭინაძე, რომელმაც აღნიშნულ ხანას გარკვეული ნაშრომები მიუძღვნა, როგორიცაა „მრეწველობის წარმომადგენნი და ზუბალაშვილების გვარის ისტორია“ (ტფილისი, 1904 წელი), „საქართველოს ვაჭრობა და მრეწველობა ძველად“ (თბილისი, 1905 წელი) და „მრეწველობა, ვაჭრობა-ხელოსნობა საქართველოში“ (თბილისი, 1911 წელი).

ჩამოთვლილ ნაშრომებში ზ. ჭიჭინაძე ეხება უმთავრესად XVIII ს. საქართველოს მეორე ნახევარს, ერეკლე II მეფობის ხანას. იგი აღწერს ამ დროის საქართველოს ვაჭრობისა და მრეწველობის მდგომარეობას, მის განვითარებას, ქვეყნის ეკონომიურ დაწინაურებას. ავტორი ლაპარაკობს XVIII ს. მეორე ნახევრის სამრეწველო საწარმოებზე და სახელოსნოებზე, ვაჭრობის განვითარებასა

და მოქალაქეებზე[1]. მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ერეკლე II სავაჭრო-ეკონომიურ პოლიტიკას, მის ცდებს დაენერგა საქართველოში ევროპული ტიპის საწარმოები. კერძოდ, ზ. ჭიჭინაძე ვრცლად მოგვითხრობს ერეკლე II მიმოწერას ინდოეთის ქ. მადრასში მცხოვრებ სომეხ ნეგოციანტ, მილიონერ შაამირ შაამირიანთან (იაკობ შახრიმიანთან). ამ მიმოწერისა და შეთანხმების თანახმად, გვაუწყებს ავტორი, შაამირიანი უნდა ჩამოსულიყო საქართველოში შაქრის ქარხნის, საქსოვი ქარხნებისა და სხვა სამრეწველო საწარმოების დასაარსებლად. გარდა ამისა შაამირიანს საქართველოში უნდა ჩამოეყვანა მრავალრიცხოვანი ინდოელები შაქრის ლერწმის პლანტაციების გასაშენებლად. ერეკლე II წახალისების მიზნით შაამირიანს აჩუქა ლორე-ბორჩალოს მხარე და თავადის წოდება უბოძა. მაგრამ გართულებული საგარეო პოლიტიკისა თუ სხვა მიზეზების გამო შაამირიანის ჩამოსვლა საქართველოში არ განხორციელდა[2].

შაამირ შაამირიანის მოწვევა ინდოეთიდან, რომელიც ინგლისის კოლონიას წარმოადგენდა, ავტორის აზრით, დაკავშირებული იყო ერეკლე II საგარეო-პოლიტიკურ აქციებთან. სახელდობრ, ერეკლე II დიდი ხნის მანძილზე ფიქრობდა საქართველო ინგლისის მფარველობაში შეეყვანაო. იგი აღნიშნავს, რომ ინგლისის მთავრობასთან ამ მიწერ-მოწერის დოკუმენტები 1795 წლის „შემთხვევამ" (აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამ — დ. გ.) გაანადგურაო[3].

ჩვენთვის ამჟამად საყურადღებოა ის, რომ საქართველოს ეკონომიური განვითარების შესწავლა XVIII ს. მეორე ნახევარში, ზ. ჭიჭინაძეს კაპიტალიზმის გენეზისის საკითხის თვალსაზრისით არ განუხილავს. მიუხედავად ამისა და განსაკუთრებით მთელი რიგი ფაქტობრივი, აზრობრივი თუ სხვა ხასიათის შეცდომებისა, ისტორიის თავისებური თხრობისა, წერის მანერისა და წყაროებზე საერთოდ მიუთითებლობისა, ზ. ჭიჭინაძის ზემოთ აღნიშნული ნაშრომები მაინც გარკვეულ მნიშვნელობას ინარჩუნებს XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეკონომიური განვითარების შესწავლის საქმეში.

---

[1] ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, მრეწველობა, ვაჭრობა-ხელოსნობა საქართველოში, 1911, თბილისი, გვ. 66—80.

[2] ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, მრეწველობის წარმომადგენნი და ზუბალაშვილების გვარის ისტორია, 1904, ტფილისი, გვ. 126. საქართველოს ვაჭრობა და მრეწველობა ძველად, 1905, თბილისი, გვ. 5—10; მრეწველობა, ვაჭრობა-ხელოსნობა საქართველოში, 1911, თბილისი, გვ. 7, 66—80.

[3] ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, საქართველოს ვაჭრობა და მრეწველობა ძველად, გვ. 6—8.

შემდეგ უნდა აღინიშნოს პროფ. ს. კაკაბაძის რიგი ნაშრომები, რომლებიც საქართველოს ისტორიის აღნიშნული მონაკვეთის სოციალურ-ეკონომიურ განვითარებას ეხება. ეს ნაშრომებია: „საქართველოს ისტორია (ახალი საუკუნეების ეპოქა)“ 1920 და 1922 წლებში გამოცემული, „საქართველოს ეკონომიური ვითარების შესახებ XVIII საუკუნეში“ (1924 წ.). „Крестьянский вопрос и крестьянские движения в восточной Грузии в XVIII-веке» (1930 წ.)

აღნიშნულ ნაშრომებში ავტორი ეხება საქართველოს ეკონომიურ მდგომარეობასა და მის აღმავლობას XVIII ს. მეორე ნახევარში. აქ საუბარია ვაჭრობის განვითარებაზე, კერძოდ, სავაჭრო ურთიერთობის გაძლიერებაზე უცხოეთთან, საქართველოს სავაჭრო გზებზე, საბაჟოებზე, სავაჭრო დუქნების რაოდენობაზე. ფულის ერთეულებსა და მის მოჭრაზე, გადასახადებსა და ქართლ-კახეთის სახელმწიფო შემოსავალზე, მთავრობის ფინანსურ პოლიტიკაზე, ასევე, ქალაქების მოსახლეობაზე და თბილისის ეროვნულ შემადგენლობაზე. როდესაც ეხება მრეწველობას, ავტორი მიუთითებს სამრეწველო საწარმოების („ქარხნების“) არსებობასა და მათ მოწყობას, ჩამოთვლის ისეთ საწარმოებს, როგორიც იყო ტყვიაწამლის და თოფ-ზარბაზნების ქარხანა, ზარაფხანა, სტამბა. საფეიქრო სახელოსნო, მინის ქარხანა და სხვ. ავტორი ეხება აგრეთვე მეცნიერებასა და კულტურას — სტამბის გახსნას, ფილოსოფიის სემინარიის დაარსებას, საქართველოში ევროპული ტანსაცმელის (შლიაპა, ქოლგა) შემოსვლას და ა. შ.[4].

1930 წელს დაბეჭდილ ნაშრომში —«Крестьянский вопрос и крестьянские движения в восточной Грузии в XVIII веке» — პროფ. ს. კაკაბაძე, გარდა იმისა, რომ ეხება გლეხთა მდგომარეობასა და მათ ანტიფეოდალური გამოსვლების გახშირება-გაძლიერებას ქართლსა და კახეთში XVIII საუკუნეში, განიხილავს აგრეთვე ვაჭრობისა და მრეწველობის საკითხებსაც. აქაც კვლავ ეხება ვაჭრობის განვითარებასა და სავაჭრო კაპიტალის როლს საქართველოში, კვლავ ჩამოთვლის სამრეწველო საწარმოებს, აღნიშნავს სამეფო ხელისუფლების ზრუნვას ერეკლე II დროს საწარმოების მუშებით უზრუნველყოფისათვის.

---

4 იხ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საქართველოს ისტორია (ახალი საუკუნეების ეპოქა), თბ., 1920 წ., გვ. 118—120, 160—162; საქართველოს ეკონომიური ვითარების შესახებ მე-18 საუკუნეში, ჟურნ., „მნათობი“, 1924 წ., №№ 2—3; საქართველოს ისტორია (ახალი საუკუნეების ეპოქა), თბ., 1922, გვ. 206.

აღსანიშნავია, რომ ამავე ნაშრომში პროფ. ს. კაკაბაძე ეხება მადრასში (ინდოეთი) მცხოვრებ სომეხ ნეგოციანტ-მილიონერ შაამირ შაამირიანს, წერს, რომ შაამირიანი ცდილობდა საქართველოში გადმოსულიყო, გაეხსნა აქ სამრეწველო საწარმოები (მათ შორის შაქრის ქარხანა) და განვითარებინა მრეწველობა. ავტორი ეხება მიმოწერას ერეკლე II და შაამირიანს შორის, აღნიშნავს, რომ შაამირიანი ურჩევდა ერეკლეს ბატონყმობის გაუქმებას, ყველა წოდებისათვის საერთო კანონების შემოღებას და, საერთოდ, ქვეყნის სახელმწიფოებრივი წყობილების სანიმუშოდ გარდაქმნას. პროფ. ს. კაკაბაძე მიუთითებს. რომ შაამირიანის ეს აზრები სავსებით ეთანხმებოდა ერეკლე II აბსოლუტიზმს და ამიტომ იყო, რომ იგი აწარმოებდა მიმოწერას უცხოელ კაპიტალისტებთანონ[5].

XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ განვითარებას ეხება აგრეთვე პროფ. გ. ნათაძის ნაშრომი სახელწოდებით «К вопросу об Экономической положении грузии в конце XVIII столетия» რომელიც დაიბეჭდა 1930 წელს. პროფ. გ. ნათაძე აღნიშნავს, რომ მეთვრამეტე საუკუნეს საქართველოსთვის ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც საფრანგეთისათვის დიდ ბურჟუაზიულ რევოლუციას, ან ინგლისისათვის სამრეწველო გადატრიალების ეპოქას XVIII საუკუნის ბოლოს. როდესაც ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობას ეხება, გ. ნათაძეს მოჰყავს საბუთები მიწისა და ბაღ-ვენახების ყიდვა-გაყიდვის შესახებ, მიუთითებს რაციონალურ მეურნეობაზე, სახელდობრ მეფე ერეკლეს მეურნეობაზე ხოდაშენში და მისი შემოსავლის გაზრდაზე, საქართველოში არსებულ საუცხოო ზვრებისა და ბაღების არსებობაზე. შემდეგ იგი ეხება ქვეყნის ვაჭრობასა და მრეწველობას, აღნიშნავს, რომ ამ დროს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები (პური, ღვინო) დიდი რაოდენობით გადის ბაზარზე, საუბარია სავაჭრო გზებზე, საბაჟოებზე და მათ შემოსავალზე. აქვე მითითებულია იმ დროის სამრეწველო საწარმოები — თიხის ჭურჭლის მკეთებელი და სანთლის ქარხნები, ზეთსახდელები, მადნის მოპოვება და სხვ.

აღსანიშნავია, რომ პროფ. გ. ნათაძე უფრო მეტად ეხება ვაჭრობას, „სავაჭრო კაპიტალსა“ და „სავაჭრო კაპიტალიზმს“. ისე როგორც პროფ. ს. კაკაბაძის ნაშრომში, აქაც აშკარად ჩანს ე. წ. „სავაჭრო კაპიტალიზმის“ თეორიის გავლენა. გ. ნათაძე აღნიშნავს, რომ სავაჭრო კაპიტალიზმმა, შეიძლება ვიფიქროთ, XVIII

---

[5] ს. კაკაბაძე, „Крестьянский вопрос и крестьянские движения в восточной Грузии в XVIII веке“, იხ. კრებული „История классовой борьбы в Закавказьи“, Тиф., 1930, გვ. 177—184.

საუკუნის საქართველოში მოასწრო შეერყია ფეოდალიზმის საფუძვლებიო. მისივე მტკიცებით, ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ საქართველო რუსეთს შეუერთდა სავაჭრო კაპიტალიზმი იყო.

აღნიშნულ ნაშრომში პროფ. გ. ნათაძე ეხება XVIII ს. საქართველოს პოლიტიკურ სტრუქტურას, რომელიც, მისი აზრით, მომზადებული იყო იმისათვის, რომ სახელმწიფოში ცენტრალიზაცია მომხდარიყო. აქვე საუბარია საქართველოში ვოლტერიანობის გავრცელებაზე, იდეოლოგიაზე, ევროპულ იდეებზე, ამილახვარზე, რომელმაც დაწერა ნაშრომი „ვოლტერიანიზმის სულით გაჟღენთილი"; ავტორი მიუთითებს ორი ოპოზიციის არსებობაზე მაშინ — რეაქციულზე და პროგრესულზე, მაგრამ, არსებითად, აღნიშნავს იგი, ერთიც და მეორეც იყო თავადური ოპოზიცია. რადგან ორივე მიისწრაფოდა მხოლოდ სამეფო ხელისუფლების შეზღუდვისაკენ[6].

როგორც ვხედავთ, პროფ. ს. კაკაბაძეს და პროფ. გ. ნათაძეს უეჭველად სწორად ესმით ის გარემოება, რომ XVIII საუკუნე საქართველოსთვის ეს არის გარდატეხის ხანა, რომ ქვეყნის ეკონომიურ აღმავლობას უნდა გამოეწვია სოციალურ-ეკონომიური ძვრები — უნდა დარღვეულიყო ფეოდალური ურთიერთობა და ახალი ხანა შემოსულიყო. მაგრამ, სამწუხაროდ, მათ, კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვის საილუსტრაციოდ არა აქვთ განხილული, კონკრეტულად, არა თუ წარმოების ერთი რომელიმე დარგი, არამედ ესა თუ ის სამრეწველო საწარმოც კი. ამიტომ, აღნიშნულმა მკვლევარებმა თავიანთ ნაშრომებში ვერ გვიჩვენეს XVIII ს. საქართველოში სპეციფიკური კაპიტალისტური წესი წარმოებისა — ამა თუ იმ სამრეწველო საწარმოს კაპიტალისტური ბუნება. ამდენად, მათ ნაშრომებში არაფერია ნათქვამი კაპიტალისტურ წარმოებაზე და მის ჩასახვაზე მრეწველობაში. როგორც ჩანს, თავისი ნაშრომის ნაკლი კარგად სცოდნია პროფ. გ. ნათაძეს, რომელიც აღნიშნავს, რომ თავისი ნაშრომის ამ „სქემატურ მიმოხილვაში" წამოჭრილი საკითხები დადასტურდება თუ არა, ეს მომავალი კვლევის საქმეაო.

მიუხედავად ამისა, პროფ. ს. კაკაბაძისა და პროფ. გ. ნათაძის ზემოთ განხილულ ნაშრომებს გარკვეული წვლილი შეაქვს XVIII ს. საქართველოს სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შესწავლის საქმეში.

---

[6] გ. ნათაძე, „К вопросу об экономической положении Грузии в конце XVIII, столетия", იხ. კრებული „История классовой борьбы в Закавказьи", Тиф., 1930, გვ. 123—152.

კაპიტალისტური წარმოების წესის არსებობის დასადასტურებლად არაა საკმარისი მიუთითო ვაჭრობისა და სავაჭრო კაპიტალის ზრდა-განვითარებაზე, რადგან ვაჭრობა და სავაჭრო კაპიტალი წინ უსწრებდა კაპიტალისტურ წარმოებას და ერთ-ერთი ფაქტორი იყო მისი გაჩენისა. ასევე არაა საკმარისი სამრეწველო საწარმოების უბრალო ჩამოთვლა.

მრეწველობაში წარმოების კაპიტალისტური წესის არსებობის დამტკიცება-დასაბუთებისათვის საჭიროა კონკრეტულად შევისწავლოთ წარმოების ესა თუ ის დარგი, ან ესა თუ ის სამრეწველო საწარმო, საჭიროა წარმოების შიგნით საზოგადოებრივი წყობის, ე. ი. წარმოებაში დასაქმებულ ადამიანთა ურთიერთობის განხილვა. წარმოების სოციალურ-ეკონომიური ბუნების გარკვევისათვის შესწავლილ უნდა იქნას: წარმოების მოცულობა, მისი ტექნიკური ბაზისი, წარმოების პროცესი, ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება საწარმოში, დაქირავებული შრომის როლი და მისი ხვედრითი წონა, იძულებითი შრომის ხვედრითი წონა (თუ ასეთი არის) და მისი შეფარდება ნებით დაქირავებულ შრომასთან, ნებით დაქირავებული შრომის კონტიგენტის სოციალური შემადგენლობა. აქვე უნდა გაირკვეს: ითავსებს თუ არა წარმოების კაპიტალისტური წესი ნებითდაქირავებული ყმებისა და იძულებითი შრომის გამოყენებას საწარმოში, საწარმოო პროდუქცია და მისი. რეალიზაცია, წარმოებისა და სავაჭრო კაპიტალის (ვაჭრების) ურთიერთდამოკიდებულება და სხვა რიგი საკითხები, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნეს განხილული წარმოების სოციალურ-ეკონომიური არსის, ამ შემთხვევაში, მისი კაპიტალისტური ბუნების დამტკიცებისათვის.

ამიტომ არაა საკმარისი ზოგადად ჩამოვთვალოთ, ვთქვათ, ერეკლე II დროინდელი სამრეწველო საწარმოები, ვუწოდოთ მათ „ფაბრიკა"-„ქარხნები" ან „მანუფაქტურები" და გამოვთქვათ ზოგადი დებულება — XVIII ს. მეორე ნახევარში საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობა ისახებაო, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი აკეთებს. ეს რომ საკმარისი იყოს, მაშინ ყველაზე ადრე XVIII ს. მეორე ნახევრის ცარიზმის მოხელე პოლკოვნიკ ბურნაშევს სცოდნია, რომელიც თავის პატარა წიგნში «Картина грузин», ერეკლესდროინდელ საწარმოებს „ფაბრიკებს" უწოდებს[7]. ანდა, კიდევ, არსებობს ცოტათი გვიანდელი მრავალი საარქივო საბუთი XIX ს. დასაწყისისა, სადაც რუსი მოხელეები

---

[7] С. Д. Бурнашев, картина Грузии, 1796, зз. 2.

ერეკლესდროინდელ საქართველოს საწარმოებს თბილისში და ახ-ტალა-ალავერდის წარმოებას მანუფაქტურებს უწოდებენ. მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში არცერთ ისტორიკოსს ან ეკონომისტს არ მოსვლია ის აზრი, რომ კაპიტალიზმის გენეზისის შესწავლის საკითხი საქართველოში ამ მოხელეებიდან დაეწყო.

ასევე საკმარისი არაა, ჩვენი აზრით, კვლევის ის მეთოდი, რომლითაც ზოგიერთი ავტორი კაპიტალიზმის ჩანასახს XVIII საუკუნეში ამტკიცებს არა წარმოების განხილვით, არამედ ზედნაშენური კატეგორიებით: სახელმწიფო სამართლით, იდეოლოგიით, ლიტერატურით და ა. შ.

ჩვენი აზრით, კაპიტალიზმის გენეზისის საკითხს XVIII საუკუნის საქართველოში სწორი მეცნიერული კვლევის მეთოდით პირველად შეეხო აკად. ნ. ბერძენიშვილი 1934 წელს, ნაშრომში: „სამღებროთა შესახებ XVIII ს. საქართველოში“ [8]. სათანადო კვლევითა და მსჯელობით მან აქ პირველმა გვიჩვენა სწორედ ის სპეციფიკური კაპიტალისტური წესი წარმოებაში, ანუ კაპიტალისტური ბუნების საწარმო, რაც აუცილებელია კაპიტალისტური ურთიერთობის არსებობის დასადასტურებლად, ე. ი მან ამ ურთიერთობის ფაქტი გვიჩვენა თვით წ ა რ მ ო ე ბ ა შ ი.

როგორც ნაშრომის წინასიტყვაობიდან ჩანს, ავტორს დავალებული ჰქონია შეესწავლა და დაემუშავებინა თემა: „საქართველოს ეკონომიური ვითარება XVIII საუკუნეში“. ამ საკითხში, როგორც იგი აცხადებს, სამღებროებმა და ღებვის საქმემ თავისი ადგილი დაიჭირა.

სამღებრო წარმოების მონოგრაფიული შესწავლისას აკად. ნ. ბერძენიშვილის ყურადღება მიიპყრო ერთმა სამღებრო საწარმომ, რომელიც თბილისში იყო მოწყობილი. საწარმო იჯარით ჰქონდა აღებული ელიზბარ ფითუაშვილს. ფითუაშვილს სამღებროში დაქირავებული ჰყავდა ყმა მღებავი ოსტატი, რომელსაც ხელფასს „(ჯამაგირს“) აძლევდა[9]. ფითუაშვილს გარდა სამღებრო საწარმოები იჯარით ჰქონდათ აღებული აგრეთვე ცნობილ ვაჭარ-საქმოსნებს (სურგუნოვს, მირიმანოვს და სხვ.), რომლებიც თვით არ იყვნენ სამღებრო საქმის მოხელე-ოსტატები. ნ. ბერძენიშვილი ფითუაშვილის საწარმოს მაგალითზე აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, როცა სამღებროს მოიჯარადრე თვით არ იყო საქმის ოსტა-

---

8 როგორც ეს ნაშრომშია აღნიშნული, ავტორს იგი წაუკითხავს 1934 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ისტორიის კაბინეტის ღია სხდომაზე. ნაშრომი დაბეჭდილია 1937 წელს.

9 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, სამღებროთა შესახებ XVIII ს. საქართველოში. მსკი, ნაკვ. 6., თბ., 1937, გვ. 437.

ტი, ბუნებრივია, მას ასეთი ოსტატი უნდა დაექირავებინა; „როცა ოსტატი იმავე დროს იჯარადარიცაა, ასეთ ოსტატისა და შეგირდთა სამღებროში მუშაობა, ეს ასე ვთქვათ, ფეოდალურ ეპოქის ჩვეულებრივ ხელოსნური მეურნეობის სახეა და განსაკუთრებით საყურადღებოს არას შეიცავს, თუნდაც რომ ქარგალ-შეგირდთა რიცხვი საკმაოდ საგრძნობიც იყოს". აკად. ნ. ბერძენიშვილი განაგრძობს. რომ „ჩვენთვის გაცილებით საინტერესოა სამღებროს ექსპლოატაციის ის სახე, როცა ოსტატი თვით არის დაქირავებული სამღებროს მოიჯარადრის მიერ.

აქ უკვე პრინციპულად განსხვავებული მდგომარეობაა. მეურნეობის სულ სხვა ტიპია მოცემული. ასეთ პირობებში ოსტატ-შეგირდის ურთიერთობა სრულიად განსხვავებულია. ასეთ ოსტატს არც შეუძლია შეგირდი ჰყავდეს ძველის გაგებით. და როცა ოსტატი დაქირავებულია, სხვებიც — ქარგალი, შეგირდი — ასევე დაქირავებული უნდა იყვნენ. მაგრამ ეს უკვე მანუფაქტურაა და არა საშუალო საუკუნეების სახელოსნო.

ის ფაქტი, რომ სამღებროებს ასეთი ხალისით იღებენ არამღებრები, მოწმობს ამ საქმის მომგებიანობას, ამ საქმის სიცხოველეს... და რაც კიდევ უფრო დამახასიათებელია, ასეთი მოიჯარადრენი (მანუფაქტურის ე. წ. წამომწყებნი) პირველ ყოვლისა ხელს ჰკიდებენ დიდ სამღებროებს (ტფილისის, დუშეთის...). ეს მოიჯარადრენი ცნობილი ვაჭარ-მოსაქმენი არიან (ქალაქის ნაცვალი მიკირტუმ სურგუნოვი, ავთანდილა მირიმანოვი და სხვ.)"[10].

„მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო მაინც ისაა,— განაგრძობს ავტორი, — რომ ჩვენი სამღებროები მე-18 საუკუნეში მასობრივ მოხმარების საქმეს აწარმოებენ. სწორედ ამით აიხსნება, როგორც ამ სამღებროთა სიმრავლე, აგრეთვე მათი შედარებითი სიდიდეც.

აქვეა მოცემული შესაძლებლობა, რომ ამ სახელოსნოებში სხვაზედ ადრე დაირღვევა ხელოსნურ-ჰამქრული წარმოების წესი და მის ადგილს მანუფაქტურულ-ბურჟუაზიული წესი დაიჭერს.

წარმოების ესა თუ ის დარგი საშუალო საუკუნოებშიაც შესაძლებელია ჰამქრულ-ხელოსნურ წარმოების წესს გადასულიყო და ბურჟუაზიულ წესზე გამართულიყო. მაგრამ ეს კიდევ არ ქმნიდა გაზაფხულს, ახალ ხანას. ფეოდალურ მეურნეობის საერთოდ სიმტკიცის პირობებში ასეთი წარმოება არ შეიძლებოდა მასობრივ

[10] იქვე, გვ. 440—441.

მოხმარების მთავარ დარგებს საბოლოოდ დაუფლებოდა.

სამღებროთა ბურჟუაზიულად გამართვაც, თუნდაც ამას რომ ადგილი ჰქონოდა ჩვენში საშუალო საუკუნეებში, თავისთავად კიდევ არ მოასწავებდა ფეოდალური წარმოების დასასრულის დასაწყისს.

მაგრამ ეხლა მე-18 საუკუნეში, როცა ქვეყნის ყველა კარებით ევროპის ბურჟუაზია მოსჩანდა თავის წარმოების პროგრესიულ წესით (იმ დროისათვის), ასეთ მოვლენას შეიძლება განსაკუთრებული მნიშვნელობა მიჰნიჭებოდა. ასეთი მოსაზრება არც თუ უსაფუძვლო მოგვეჩვენება, თუ გავიხსენებთ სამთამადნო წარმოებებს (ალავერდი, ჩათახი, ახტალა) და სხვა წამოწყებათა პროექტებს, მე-18 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში რომ ჰქონდა ადგილი საქართველოში"[11].

გარდა იმისა, რომ ნაშრომში ერთ-ერთი წარმოება — სამღებრო საქმე მონოგრაფიულადაა შესწავლილი, როგორც ვხედავთ, აქ, პირველად სათანადო ფაქტების მოშველიებით, ლაპარაკია სამღებრო წარმოებაში წარმოების კაპიტალისტური წესის ჩასახვაზე, ერთ-ერთი საწარმოს (ფითუაშვილის) ბურჟუაზიულ გამართვაზე. სათანადო მსჯელობა-დასაბუთებით განხილულია ამ ახალი ტიპის საწარმოს სოციალ-ეკონომიური ბუნება და მოცემულია მისი განსხვავება ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელ ამქრულ სახელოსნო-საწარმოებისაგან. ნაჩვენებია სამღებრო წარმოების (საერთოდ) განვითარების ახალი, ბურჟუაზიული ტენდენცია. ამავე დროს წარმოების ბურჟუაზიული წესის ჩასახვა საქართველოში XVIII საუკუნეში აკად. ნ. ბერძენიშვილს მოცემული აქვს ეპოქის ისტორიული, სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების ასპექტში.

ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ მრეწველობაში წარმოების კაპიტალისტური წესის ჩასახვაზე XVIII საუკუნის საქართველოში სათანადო საბუთიანობითა და სწორი მეცნიერული კვლევის მეთოდით პირველად, ამ ნაშრომშია მოცემული.

მართალია, აღნიშნული ნაშრომი არ წარმოადგენს საქართველოში კაპიტალიზმის გენეზისის საკითხისადმი მიძღვნილ ნარკვევს და მისი ავტორი კაპიტალიზმის გენეზისის საკითხს სპეციალურად არ შეხებია, მაგრამ XVIII ს. საქართველოში სამღებრო წარმოების შესწავლისას, აკად. ნ. ბერძენიშვილმა აღმოაჩინა კაპიტალისტურ წარმოების წესზე მოწყობილი საწარმო, მიუთითა მსგავსი მოვლენების არსებობაზე და ნებით თუ უნებლიედ შეეხო კაპიტალიზმის

---

[11] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ., გვ. 446.

გენეზისის საკითხს, სახელდობრ, მისი ჩ ა ს ა ხ ვ ი ს მომენტს. „გენეზისის“ ცნება ნიშნავს არა მარტო განვითარების მთელ პროცესს, არამედ ჩ ა ს ა ხ ვ ი ს მ ო მ ე ნ ტ ს ა ც. ამიტომ კაპიტალიზმის გენეზისი მოიცავს ეპოქას — კაპიტალიზმის პ ი რ ვ ე ლ ი ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ი ს ჩ ა ს ა ხ ვ ი დ ა ნ დამთავრებული კაპიტალისტური წყობილების შექმნით.

მოსაზრებას, XVIII ს. საქართველოს მრეწველობაში წარმოების კაპიტალისტური წესის ჩასახვის შესახებ, იზიარებს პროფ. შ. მესხია თავის ნაშრომში «Города и городской строй феодальной Грузии». როგორც ამ ნაშრომის ავტორეფერატში (1955 წ.), ასევე თვით ნაშრომში (დაიბეჭდა 1959 წ.), ავტორი ეხება XVIII ს. საქართველოს სამრეწველო საწარმოებს, უმთავრესად თბილისში, და აღნიშნავს, რომ ეს საწარმოები წარმოადგენდნენ არა უბრალო სახელოსნოებს, არამედ მანუფაქტურებს, რომლებიც სოციალური ბუნებით განსხვავდებოდნენ ფეოდალური სახელოსნოებისაგან და, რომ ისინი ახალი, ბურჟუაზიული შინაარსისა იყვნენო.

XVIII ს. საქართველოს ეკონომიკაში კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების საკითხს თავის შრომებში ეხება აგრეთვე დოც. ა. როგავა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ, ჩვენი აზრით, იგი კაპიტალისტური წარმოების ჩანასახს აღნიშნულ ხანაში გადაჭარბებული მასშტაბით წარმოგვიდგენს. კაპიტალიზმის ჩანასახს XVIII ს. საქართველოში იგი ამტკიცებს უმთავრესად ზედნაშენური კატეგორიებით, როგორიცაა სახელმწიფო სამართალი, იდეოლოგია, ლიტერატურა და სხვ. (იხ. მისი ნაშრომი: „კაპიტალიზმის ჩანასახი საქართველოში და ერეკლე მეორის პოლიტიკა“, „მაცნე“, 1964, № 6).

ამ საკითხს ეხება აგრეთვე ჩვენი წერილიც „კაპიტალიზმის გენეზისის შესახებ რეფორმამდელი ხანის საქართველოში“ („მნათობი“, 1959 წ., №№ 9—10), სადაც შევეცადეთ წარმოების კაპიტალისტური წესის ჩასახვა მრეწველობაში გვეჩვენებინა უმთავრესად XVIII ს. საქართველოს სამთამადნო და სამთო-საქარხნო წარმოების შესწავლის ნიადაგზე.

საერთოდ ამ მხრივ — XVIII ს. საქართველოს ეკონომიკის შესწავლის საქმეში ჯერ კიდევ ძალიან ბევრია შესასწავლი და საკვლევი.

როგორც ცნობილია, ქვეყნის ეკონომიკისა საერთოდ და კერძოდ ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარებისათვის. სათანადო პირობები იქმნება XIX საუკუნეში. ქვეყნის ეკონომიკის სა-

ერთო ალმავლობის პირობებში თანდათან რღვევას განიცდის ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობა და შესაბამისად ისახება და ვითარდება ბურჟუაზიული ურთიერთობა. ვითარდება ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა და მრეწველობა. წარმოების ფეოდალური ურთიერთობის წიაღში ჩნდებიან და მრავლდებიან წვრილი კაპიტალისტური სახელოსნოები, მანუფაქტურები, ხოლო აქა-იქ ფაბრიკულ-ქარხნული ტიპის სამრეწველო საწარმოები. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საქართველოში კაპიტალიზმის განვითარება, XIX ს. პირველ ნახევართან შ ე დ ა რ ე ბ ი თ, გაცილებით სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ.

კაპიტალიზმის ჩასახვა და განვითარება XIX ს. საქართველოში შეისწავლეს რიგმა ისტორიკოსებმა და ეკონომისტებმა. პირველ რიგში ამ მხრივ უნდა აღინიშნოს პროფ. პ. გუგუშვილის სპეციალური გამოკვლევები, როგორიცაა: „მანუფაქტურული წარმოება“ (1938 წ.) „მანუფაქტურული წარმოების ისტორიისათვის ამიერკავკასიაში“ (1939 წ.), „კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში“, 1941 წ., „Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX—XX вв.,“ 1957 г. და სხვ. პროფ. პ. გუგუშვილმა შეისწავლა და დაამუშავა კაპიტალიზმის წარმოშობისა და განვითარების რიგი საკითხები საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

კაპიტალისტური ურთიერთობის წარმოშობა და განვითარება XIX ს. საქართველოში მეტ-ნაკლებად შეისწავლეს აგრეთვე რიგმა მკვლევარებმა: ფ. მახარაძემ — «История возникновения и развития рабочего движения в Грузии» 1932 г., «Грузия в XIX столетии», 1933 г., პროფ. შ. ჩხეტიამ—„ბურჟუაზიული კულტურის გენეზისისათვის საქართველოში“ (1939 წ.), „Тбилиси в XIX столетии“ 1942 წ. „საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში“, 1950 წ., პროფ. ა. კიკვიძემ—„საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე)“, ტ. I, 1954 წ., საქართველოს ისტორია(XIX საუკუნე) ტ. II, 1958 წ., მუშათა მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში, 1945 წ. და სხვ. პროფ. გ. ხაჭაპურიძემ —«К истории Грузии в первой половине XIX века», 1950г., პროფ. ი. ანთელავამ—«Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX века“, 1955г., პროფ. მ. დუმბაძემ – „დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში“, 1957 წ., პროფ. ზ. ანჩაბაძემ— „К вопросу о роли торгово-ростовщического капитала в дорефор-

менной Грузии" (1954 г.), პროფ. ვ. რატიანმა—„მასალები საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების ისტორიისათვის" (1961 წ.), პროფ. გ. ბაქრაძემ—„Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в XIXвеке", 1958 г., „საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების ზოგიერთი საკითხის სწორი გაგებისათვის" (1963 წ.). პროფ. ნ. ტყეშელაშვილმა — „ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან" 1958 წ.; ისტორ. მეცნ. კანდიდატებმა: ე. ხოშტარიამ — „დამმუშავებითი მრეწველობა საქართველოში XIX ს. პირველ ნახევარში" (1958 წ.), დ. გოგოლაძემ — „კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში (1830—1864 წწ.)", 1959 წ.. „კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხის შესახებ რეფორმამდელ საქართველოში" (1961 წ.), ა. ბენდიანიშვილმა — „ქართული ეროვნული ბურჟუაზია და უცხოური კაპიტალი ჭიათურის სამრეწველო რაიონში" (1963 წ.), გ. მარგიანმა — „ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობა" (1961 წ.), ნ. როდონაიამ — „თბილისის მრეწველობა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში", 1961 წ., მ. სამსონაძემ — „მე-19 საუკუნის რეფორმამდელი ხანის თბილისის სამრეწველო განვითარების ისტორიიდან" (1964 წ.) და სხვ.

ჩამოთვლილი ნაშრომებიდან ნაწილი მონოგრაფიებია, ნაწილი კი სტატიები. ზოგი ნაშრომი სპეციალური ხასიათისაა ამ მხრივ, ზოგი კიდევ არასპეციალური, რომლებშიც კაპიტალისტური წარმოების საკითხებს მეტ-ნაკლები ადგილი აქვთ დათმობილი.

როგორც ვხედავთ, ფართოდ არის გაშლილი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. მაგრამ, მიუხედავად ნაშრომთა სიმრავლისა, XIX ს. საქართველოს სოციალ-ეკონომიური განვითარების სრულყოფილად შესწავლის საქმეშიც ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

ამიტომ ბუნებრივი იყო XIX ს. რეფორმამდელ საქართველოს სოციალ-ეკონომიური განვითარების საკითხებზე ჩატარებული დისკუსია, რომელიც მოეწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში 1954 წელს. დისკუსიაზე წარმოდგენილი იყო მ. დუმბაძისა და ზ. ანჩაბაძის თეზისები: „საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხასიათის საკითხისათვის XIX ს. რეფორმამდელ პერიოდში". „თეზისებში" საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების რიგი საკითხები სწორადაა მოცემული. „თეზისების" ერთ-ერთი ძირითადი საკითხი კაპიტალიზმის წარმოშობის საკითხია XIX ს. რეფორმამდელ საქართ-

ველოში. „თეზისების“ გარშემო არსებობს აზრთა სხვადასხვაობა.

მიუხედავად ამისა „თეზისებმა“ და დისკუსიამ აღნიშნულ საკითხზე დადებითი როლი შეასრულა, რადგან დისკუსიის მსვლელობაში გაირკვა, რომ საჭირო იყო საქართველოში კაპიტალიზმის წარმოშობისა და განვითარების შესწავლის საფუძვლიანი გაღრმავება, როგორც ფაქტობრივი, ისე მისი თეორიული ცოდნის მხრივ.

ქართველმა მეცნიერებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს XIX საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური და კერძოდ, კაპიტალიზმის წარმოშობისა და განვითარების საკითხის შესწავლის საქმეში. მაგრამ რიგი პრობლემები ამ საკითხისა ჯერ კიდევ შესწავლილი არაა. ამიტომ კვლევა ამ მიმართულებით დღესაც მიმდინარეობს.

მანუფაქტურის ცნების სწორი გაგებისათვის

მანუფაქტურის ცნებისა და კაპიტალისტური წარმოების მანუფაქტურული საფეხურის შესახებ არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული. ამ საკითხების ირგვლივ დღესაც არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, რაც როგორც ჩანს, გამოწვეულია მკვლევართა მიერ მარქსისა და ლენინის შრომებში მოცემული მანუფაქტურის ცნებისა და მანუფაქტურული სტადიის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით, მისი სხვადასხვაგვარი გაგებით.

მანუფაქტურის ცნებასა და საქართველოში კაპიტალიზმის მანუფაქტურულ სტადიას თავიანთ ნაშრომებში ეხებიან მკვლევრები: პ. გუგუშვილი, ა. კიკვიძე, გ. ბაქრაძე, ალ. ბენდიანიშვილი, ე. ხოშტარია და სხვები. აღნიშნულ საკითხს ვეხებით ჩვენც.

ცალკეული მკვლევარები უარყოფენ მრეწველობის მანუფაქტურული სტადიის ასებობას საქართველოში და ამ მოსაზრების დასადასტურებლად მათ მოჰყავთ მთელი რიგი არგუმენტები, როგორიცაა: საქართველოში სავაჭრო კაპიტალს წვრილ სარეწებში არ გაუვლია განვითარების საფეხურები და ამ გზით არ წარმოქმნილა მანუფაქტურებიო; რეფორმამდელ საქართველოში მანუფაქტურული საწარმოები დაეცნენ და არ გადაქცეულან ფაბრიკებადო; ან კიდევ ის რომ მანუფაქტურების რიცხვი რეფორმამდელ საქართველოში ცოტა იყო და ეს არ კმარა მანუფაქტურული სტადიისათვისო.

აზრთა სხვადასხვაობაა მანუფაქტურის ცნების საკითხშიც, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული მანუფაქტურული სტადიის საკითხთან.

ამ ბოლო დროს კაპიტალიზმის წარმოშობისა და განვითარების საკითხს ნაშრომები მიუღძვნა პროფ. გ. ბაქრაძემ. უეჭველია მისმა შრომებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს აღნიშნული პრობლემის შესწავლის საქმეში. ამის უგულებელყოფა არ შეიძლება. მაგრამ მის შრომებს ნაკლოვანებანიც გააჩნია.

პროფ. გ. ბაქრაძე ნაშრომში — „Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии XIX веке" — ეხება კაპიტალიზმის განვითარების საფეხურებს საქართველოში. მას მიაჩნია, რომ საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებას მრეწველობაში არ გაუვლია მანუფაქტურული სტადია.

1963 წელს პროფ. გ. ბაქრაძემ გამოაქვეყნა საყურადღებო სტატია: „საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების ზოგიერთი საკითხის სწორი გაგებისათვის" (თსუ შრომები, ტ. 100, 1963 წ.). იგი ამ ნაშრომში კვლავ უარყოფს საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის მანუფაქტურულ საფეხურს. აქვე იგი ეხება მანუფაქტურულ საწარმოს ცნებას, მისი სწორი გაგების მიზნით.

ჯერ შევეხოთ თვით მანუფაქტურის, მანუფაქტურული საწარმოს ცნებას.

პროფ. ბაქრაძე წერს: „წვრილი მრეწველის სახელოსნოსაგან და აგრეთვე წვრილ კაპიტალისტურ საწარმოსაგან მანუფაქტურა განსხვავდება არა მარტო შრომის დანაწილებით, არამედ წარმოებაში დასაქმებული მუშების რაოდენობითაც. ზოგიერთი ავტორი უგულებელყოფს მანუფაქტურის ამ ერთ-ერთ ძირითად ნიშანს, რის შედეგადაც წვრილ საწარმოს აიგივებს მანუფაქტურასთან.

ჩვენს ნაშრომში კაპიტალისტურ მანუფაქტურას ვაკუთვნებთ ისეთ საწარმოს, რომელშიც მუშაობს 15 და მეტი მუშა"...

იქვე პროფ. გ. ბაქრაძე აღნიშნავს: „არ შეგვიძლია დავეთანხმოთ დ. გოგოლაძეს და აგრეთვე ზოგიერთ სხვა ავტორსაც, რომელნიც ფიქრობენ, რომ მანუფაქტურულ საწარმოდ შეიძლება ჩაითვალოს ისეთი საწარმოც, სადაც დაქირავებული მუშების რიცხვი 4—5 კაცს ან მეტს აღწევს"[12].

---

[12] გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების ზოგიერთი საკითხის სწორი გაგებისათვის, თსუ შრომები, ტ. 100, 1963, გვ. 243.

როგორც ვხედავთ, გ. ბაქრაძე უარყოფს იმ საწარმოთა მანუფაქტურულ ხასიათს, რომლებშიც დაქირავებულია 4—5 ან მეტი, ე. ი. 6—8, 10—14 მუშა. იგი მანუფაქტურას აკუთვნებს მხოლოდ იმ საწარმოებს, სადაც შრომის დანაწილებაა და რომლებშიც მუშაობს 15 და მეტი მუშა. მისი აზრით მუშების რაოდენობა საწარმოში მანუფაქტურის „ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია".

პროფ. გ. ბაქრაძე ამ მოსაზრების დასადასტურებლად იმოწმებს მარქსსა და ლენინს, ასევე აკად. ს. სტრუმილინს. სახელდობრ, მას მოჰყავს ადგილი მარქსის „კაპიტალიდან", სადაც აღნიშნულია, რომ მანუფაქტურა ამქრული ხელოსნური მრეწველობისაგან განსხვავდება მუშათა უფრო დიდი რიცხვით („კაპიტალი". ტ. I. 1954. გვ. 409). ასევე იმოწმებს ლენინს და მიუთითებს, რომ ლენინმა ნაშრომში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში" განსაზღვრა მანუფაქტურული საწარმოს მუშების რიცხვიო. მას მოჰყავს ადგილი ლენინის აღნიშნული ნაშრომიდან, სადაც წერია, რომ როდესაც საწარმოში დაქირავებული მუშების რიცხვი აღწევს 10 ან გადაამეტებს ამ ციფრს, მაშინ საწარმოს მეპატრონე იქცევა პატარა კაპიტალისტად, ხოლო იმ საწარმოში, სადაც მუშაობს 15 და მეტი მუშა, მისი მეპატრონე იქცევა ნამდვილ კაპიტალისტად (ლენინი, ტ. 3, გვ. 407, 415—416). და ბოლოს, პროფ. ბაქრაძე იმოწმებს აკად. ს. სტრუმილინს, რომლის აზრით «...15 рабочих мы и могли бы принять за грань где количество переходит в качество, мелкий буржуа превращается в настоящего капиталиста, а его мастерская в мануфактуру" (С. Г. Струмилин «Экономическая природа первых русских мануфактур», жур. «Вопросы истории», 1948, № 6, гз. 61).[13].

გ. ბაქრაძე აღნიშნავს, რომ „მანუფაქტურული საწარმოს ცნების გარკვევისათვის ამ შემთხვევაში გვაინტერესებდა მხოლოდ ის, თუ რა რაოდენობის მუშათა რიცხვის არსებობა იყო საჭირო იმისათვის, რომ ესა თუ ის საწარმო კაპიტალისტურ მანუფაქტურად ჩაგვეთვალა"-ო. იგი დაასკვნის: „ამგვარად, მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის მიხედვით მანუფაქტურული საწარმოს გამოცნობისათვის ერთ-ერთ მთავარ ნიშნად, როგორც დავინახეთ, მიღებულია ამა თუ იმ საწარმოში 15 და მეტი მუშის არსებობა". გ. ბაქრაძის აზრით, ამის აღნიშვნა მას დასჭირდა იმიტომ, რომ „ქართულ ეკონომიურ და ისტორიულ ლიტერატურაში

---

[13] იქვე, გვ. 244.

ზოგიერთი ავტორის მიერ კაპიტალისტური ხასიათის მანუფაქტურულ საწარმოს ცნება ჯერ კიდევ არაზუსტადაა გაგებული"-ო[14].

სწორია თუ არა პროფ. გ. ბაქრაძე? ჩვენი აზრით მისი ეს მოსაზრება სწორი არაა.

მანუფაქტურა არის ხელოსნურ ტექნიკასა და შ რ ო მ ი ს დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა ზ ე დამყარებული კაპიტალისტური კოოპერაცია. მანუფაქტურის ძ ი რ ი თ ა დ ი დ ა მ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ე ლ ი ნ ი შ ა ნ ი არის არა მუშების რიცხობრივი რაოდენობა, არამედ შ რ ო მ ი ს დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა ს ა წ ა რ მ ო ში. რაც შეეხება მუშათა რიცხვს, მანუფაქტურა წვრილ კაპიტალისტური საწარმოებისაგან განირჩევა, რ ო გ ო რ ც წ ე ს ი, თავისი სიდიდით და ცხადია, ასევე, მასში დასაქმებული მუშების რაოდენობით, რადგან მანუფაქტურა წვრილი კაპიტალისტური წარმოების მომდევნო, უფრო მაღალი საფეხურია. მაგრამ აუცილებელია თუ არა წარმოებაში 15 და მეტი მუშა, რათა იგი მანუფაქტურად ჩაითვალოს როგორც ამას პროფ. გ. ბაქრაძე ფიქრობს? არა, არ არის აუცილებელი.

მანუფაქტურებს ჩვენ ვაკუთვნებთ ისეთ საწარმოებს, სადაც დაქირავებულია 4—5 დ ა მ ე ტ ი, ე. ი. 6—8, 10—12 მუშა და ა. შ. და სადაც არსებობს შ რ ო მ ი ს დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა. პროფ. ბაქრაძის მიხედვით კი გამოდის, რომ თუ „ღმერთი გაწყრა" და 15 კაცს ერთიც დააკლდა, ე. ი. 14 დაქირავებული მუშა აღმოჩნდა საწარმოში, ასეთი საწარმო, თუგინდ შრომის დანაწილებას ემყარებოდეს, მანუფაქტურა არაა. ამ შემთხვევაში უეჭველად საჭიროა მე-15 კაცის მოყვანა საწარმოში, რათა იგი მანუფაქტურად ჩაითვალოს.

მაშასადამე, პროფ. ბაქრაძის აზრით, არა თუ 4—6, 7—8 მუშის, არამედ 10—12, 13—14 დაქირავებული მუშის დასაქმება წარმოებაში არაა საკმარისი, რათა ასეთი საწარმოები მანუფაქტურებად ჩავთვალოთ.

რა თქმა უნდა, ასეთი მოსაზრება სწორი არაა.

კაპიტალისტური მრეწველობის შესწავლისას ჩვენ ზ ო გ ჯ ე რ ვხვდებით ისეთ ფაქტებს, როდესაც მანუფაქტურული საწარმო 10 დაქირავებული მუშით გაცილებით რენტაბელურია, უფრო მეტი ღირებულების პროდუქციას იძლევა, ვიდრე 15—20 მუშიანი მანუფაქტურა, რომელიც გაკოტრებულა და ბოლოს დაცემულა. ამ შემთხვევაში ეს უკანასკნელი საწარმო (15—20 მუშით) ჩაითვლება მანუფაქტურად და პირველი (10 მუშით) არა? ანდა, მეორე

---

14 იქვე.

საწარმოს (15—20 მუშით) მეპატრონე ჩაითვლება კაპიტალისტად და პირველის (10 მუშით) არა? ასეთ შემთხვევაში, საწარმოო წლის ბოლოს, 10 მუშიანი მანუფაქტურის მეპატრონის ხელში მეტი მოგება აღმოჩნდება, ვიდრე 15—20 მუშიანი მანუფაქტურისა. საამისოდ მრავალი ფაქტების მოტანა შეიძლებოდა XIX ს. საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან.

ზ ო გ ჯ ე რ კიდევ ასეა, რომ 15—20 მუშიანი საწარმო, სადაც შრომის დანაწილება არ არის და მუშები ერთგვაროვან სამუშაოს ასრულებენ, მანუფაქტურა არ არის (მარტივი კაპიტალისტური კოოპერაციაა), ხოლო საწარმო, სადაც დაქირავებულია ვთქვათ 10 მუშა და არსებობს შ რ ო მ ი ს დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა, მანუფაქტურაა.

ასე რომ, მანუფაქტურის ცნების განსაზღვრისას მთავარია საწარმოში არსებობდეს შ რ ო მ ი ს დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა და მის შედეგად დამზადებული პროდუქცია გადიოდეს ბაზარზე. შრომის დანაწილების ფაზათა რიცხობრივი რაოდენობა ზოგ საწარმოში მეტია, ზოგში ნაკლები. შესაბამისად მანუფაქტურული საწარმოები მ უ შ ე ბ ი ს მ ე ტ-ნ ა კ ლ ე ბ რ ა ო დ ე ნ ო ბ ა ს მ ო ი თ ხ ო ვ ე ნ. მუშების მეტ-ნაკლები საჭიროება დამოკიდებულია ასევე მანუფაქტურის სიდიდეზე, რადგან კაპიტალიზმის განვითარების პროცესში არსებობდნენ წვრილი, საშუალო და მსხვილი მანუფაქტურული საწარმოები. მაგალითისათვის ნემსების მანუფაქტურები ევროპაში, ერთი და იგივე დროის მონაკვეთში, არსებობდნენ როგორც 10 მუშიანი (პატარა მანუფაქტურა) ისე 100 მუშიანი საწარმოების (მსხვილი მანუფაქტურა) სახით.

ჩვენ პატარა მანუფაქტურად მიგვაჩნია ისეთი საწარმოც, რომელშიც არის 5—6 მუშაკი: 4-5 დაქირავებული მუშა, მეექვსე—მეპატრონე. 5—6 მუშაკს შორის კი შესაძლებელია შრომის დანაწილება საქონლის საწარმოებლად. ამიტომ, საწარმო, სადაც დასაქმებულია 5—6 მუშაკი და არსებობს შრომის დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა, ჩვენი აზრით, ასევე პატარა მანუფაქტურას შეადგენს. საწარმოს მეპატრონე, დაქირავებული მუშების გარდა, სახელოსნოში, ძალიან ხშირად ამუშავებდა თავისი ოჯახის წევრებს, რითაც ზრდიდა მანუფაქტურაში დასაქმებულ მუშაკთა რიცხვს.

პროფ. გ. ბაქრაძე იმოწმებს მარქსს, მაგრამ კაპიტალის ავტორს არსად არ დაუდგენია მანუფაქტურული საწარმოსათვის დაქირავებული მუშების კატეგორიული რიცხვი. რაც შეეხება მარქსის მითითებას, იმის შესახებ რომ მანუფაქტურა „ამქრული ხელოსნური მრეწველობისაგან“ განსხვავდება მუშათა უფრო დიდი რიცხვით[15], ეს ბუნებრივია. აქ ლაპარაკია მანუფაქტურული მრეწ-

[15] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, I, 1954, გვ. 409.

ველობის ერთ-ერთ კანონზომიერებაზე, რაც მდგომარეობს იმაში, რომ იგი, როგორც წესი, გაცილებით მეტ მუშებს ასაქმებს კაპიტალისტურ წარმოებაში, ვიდრე ფეოდალიზმის ამქრული მრეწველობა.

პროფ. ბაქრაძე შემდეგ იმოწმებს ლენინს და აღნიშნავს, რომ ლენინმა თითქოს განსაზღვრა მანუფაქტურულ საწარმოსათვის მუშების რიცხვი, სახელდობრ 15. როგორც აღნიშნულია მას მოჰყავს ადგილი ლენინის ნაშრომიდან — „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში" — სადაც წერია, რომ საწარმოში როგორც კი დაქირავებული მუშების რიცხვი აღწევს 10-ს ან გადაამეტებს ამ ციფრს, მაშინ საწარმოს მეპატრონე იქცევა პატარა კაპიტალისტად (ეს სიტყვები ეკუთვნის ისევე — დ. გ.), ხოლო იმ საწარმოში, სადაც მუშაობს 15-დან 30-მდე მუშა, მისი მეპატრონე იქცევა ნამდვილ კაპიტალისტად (ლენინი, ტ. 3, გვ. 407, 415—416).

მაგრამ, ზემოთ მოტანილ სიტყვებში არსადაა მითითება მანუფაქტურისათვის საჭირო მუშათა რიცხვზე. სინამდვილეში, ლენინი იქ ლაპარაკობს სულ სხვა რამეზე. სახელდობრ, ლენინი ლაპარაკობს, ე. წ. „შინამრეწველურ" წარმოებაში შინამრეწველის ოჯახის წევრთა შრომის გვერდით დაქირავებული შრომის მზარდი გამოყენების პროცესზე, ხოლო დაქირავებული შრომის თანდათანობითი ზრდის შედეგად შექმნილ მსხვილ „შინამრეწველურ" საწარმოებში (უკვე მსხვილ კაპიტალისტურ სახელოსნოებში) ოჯახური შრომის როლის დაცემაზე[16]. სათანადო სტატისტიკური ცნობებისა და დიაგრამის შედგენის შემდეგ ლენინი დაასკვნის: „რაკი უკვე გაჩნდნენ სახელოსნოები, რომლებსაც დაქირავებული მუშები საკმაოდ დიდი რაოდენობით ჰყავთ, — „ოჯახური კოოპერაციის" მნიშვნელობა აუცილებლად უნდა დაეცეს... როცა „შინამრეწველი" იქცევა ნამდვილ კაპიტალისტად, რომელსაც დაქირავებული ჰყავს 15-დან 30-მდე მუშა, — მის სახელოსნოებში ოჯახური შრომის როლი ეცემა უმცირეს ოდენობამდე"[17].

როგორც ვხედავთ, ლენინი აქ ლაპარაკობს „შინამრეწველურ" სახელოსნოებში ოჯახური შრომის როლის დაცემაზე — დაქირავებული შრომის ზრდის შედეგად. სახელდობრ, ლენინი დაასკვნის, „შინამრეწველის" ოჯახის წევრთა შრომის როლი უმცირეს ოდენობამდე ეცემა მაშინ, როდესაც „შინამრეწველის" სახელოსნოებში დაქირავებულია 15-დან 30-მდე მუშა. ასე რომ, ლენინი აქ სრულებით არაფერს ამბობს მანუფაქტურის ცნებაზე, ან კიდევ. მანუფაქტურისათვის საჭირო მუშების რაოდენობაზე.

---

[16] იხ. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 3, გვ. 398—407.

[17] იქვე, გვ. 407.

ნაშრომის სხვა ადგილას (გვ. 415—416) ლენინს მოაქვს ამონაწერი ისაევის წიგნიდან („მოსკოვის გუბერნიის მრეწველობა"), სადაც ავეჯის სარეწის აღწერაში ისაევს მოცემული და დახასიათებული აქვს საწარმოს მეპატრონის („შინამრეწველის") მდგომარეობა დაქირავებული მუშების რიცხვის ზრდასთან ერთად. აი ეს ამონაწერი: „შეიძლება სახელოსნოს მეპატრონის მდგომარეობა დავუკავშიროთ მისი მუშების რიცხვს. 2—3 მომუშავე იმდენად ცოტა ნამეტს (მ ო გ ე ბ ა ს — დ. გ.) აძლევს მეპატრონეს, რომ ის თვითონ მათ გვერდით მუშაობს... 5 მომუშავე კი უკვე იმდენს აძლევს (მ ო გ ე ბ ა ს — დ. გ.) მეპატრონეს, რომ ის რამდენადმე ითავისუფლებს თავს ხელით მუშაობისაგან... როგორც კი დაქირავებული შუშების რიცხვი აღწევს 10-ს ან გადაამეტებს ამ ციფრს, მეპატრონე არა თუ სწყვეტს ხელით მუშაობას, არამედ თითქმის თავსაც კი ანებებს მუშებზე პირადად ზედამხედველობას: ის ნიშნავს მთავარ ოსტატს, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს მომუშავეებს... აქ ის უკვე იქცევა პატარა კაპიტალისტად, ნამდვილ მკვიდრ მეპატრონედ" (ლენინი, ტ. 3, გვ. 415—416).

როგორც ვხედავთ, აქ ლაპარაკია საწარმოს მეპატრონის („შინამრეწველის") თანდათან გათავისუფლებაზე ფიზიკური შრომისაგან დაქირავებული მუშების რიცხვის ზრდის შესაბამისად, და არც აქ არის რაიმე ნათქვამი მანუფაქტურისათვის მუშების საჭირო რაოდენობაზე.

ისე როგორც მარქსს, არც ლენინს არ დაუდგენია მანუფაქტურული საწარმოსათვის საჭირო მუშების განსაზღვრული რიცხვი. საინტერესოა ამ მხრივ ლენინის ნაშრომი „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში", სადაც მოცემულია მოსკოვის გუბერნიის შინამრეწველურ სარეწთა აღწერების მონაცემები. აღწერებში მოცემულია 33 სარეწი — 2 085 საწარმოთი, 9 427 მუშით და 3 466 ათასი მანეთის წარმოების თანხით. მოცემულ 33 სარეწში (რომელიც შედგებოდა 2 085 საწარმოსაგან) დასაქმებული 9 427 მუშიდან დაქირავებულნი შეადგენენ 51%-ს. დანარჩენი მუშები (49%) იყვნენ საწარმოების მეპატრონეთა („შინამრეწველთა") ოჯახის წევრები. ლენინმა ეს 33 სარეწი გაყო 4 კატეგორიად. მეორე კატეგორიის სარეწთა (9 სარეწი) თითო საწარმოზე საშუალოდ მოდიოდა 2.7-დან 4,4-მდე მუშა, როგორც დაქირავებული, ასევე „შინამრეწველის" ოჯახის წევრები ერთად[18]. როდესაც ლენინი ნაშრომის მომდევნო თავში განიხილავს მანუფაქტურულ წარმოებას, აღნიშნავს, რომ ზემოთ მოცემული მეორე კატეგორიის სარეწები-

---

[18] იქვე, გვ. 401—403.

დან, — რომლებსაც ჰყავდათ 1 საწარმოზე საშუალოდ 2.7-დან 4.4-მდე მუშა, — უფრო მსხვილი საწარმოები (სახელოსნოები), რომლებიც მიმართავენ შრომის დანაწილებას, მანუფაქტურებს განეკუთვნებიანო[19]. ამ სპეციალურ თავში, სადაც მანუფაქტურული წარმოებაა განხილული, ნათლად ჩანს, რომ ლენინს შესაძლებლად მიაჩნდა არა თუ 15 კაცის, არამედ 10-ზე ნაკლები მუშის დასაქმება მანუფაქტურულ საწარმოში[20]. ოღონდ, მარქსიდან გამომდინარე, მანუფაქტურის აუცილებელ „ტიპიურ პირობად" მიაჩნდა შრომის დანაწილება და ხელოსნური ტექნიკა წარმოებაში.

ასე რომ, ნაშრომის არც ამ სპეციალურ თავში, რომელიც მანუფაქტურულ წარმოებას ეხება, ლენინს არა აქვს დადგენილი მანუფაქტურული საწარმოსათვის სავალდებულო მუშების განსაზღვრული (კატეგორიული) რიცხვი.

და, ბოლოს, პროფ. ბაქრაძე იმოწმებს აკად. სტრუმილინს, რომლის აზრით 15 მუშა ის ზღვარია, როცა რაოდენობა გადადის ხარისხში, წვრილი ბურჟუა იქცევა ნამდვილ კაპიტალისტად, ხოლო მისი სახელოსნო მანუფაქტურად.

ზემოთ თქმულის შემდეგ გასაგებია, რომ აკად. სტრუმილინი მართალი არაა ამ საკითხში. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მანუფაქტურული საწარმოს ცნების ნიშნად მინიმუმ 15 მუშის აღება მცდარია, მეორეც, სახელოსნო მანუფაქტურად იქცევა, უპირველეს ყოვლისა, შ რ ო მ ი ს დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ი ს შ ე დ ე გ ა დ და არა დაქირავებული მუშების რიცხვის გაზრდით.

ევროპის მრეწველობის ისტორიიდან ჩვენი პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოში მოყვანილია ნემსების წარმოების ერთ-ერთი „პატარა მანუფაქტურის" მაგალითი, რომელსაც 10 მუშა ჰყავდა: „XVIII საუკუნეში პატარა მანუფაქტურა, რომელსაც 10 მუშაკი ჰყავდა, შრომის დანაწილების დროს დღეში აწარმობდა 48 ათას ნემსს, მაშასადამე ერთ მუშაკზე მოდიოდა 4,8 ათასი ნემსი"[21].

როგორც ვხედავთ, 10 მუშიანი საწარმოც, სადაც შრომის დანაწილება არსებობდა მანუფაქტურა იყო. ამავე დროს არსებობდნენ მასზე პატარა მანუფაქტურებიც. საამისო მაგალითი მოაქვს კ.მარქსს, იმ დროის კონვერტების მანუფაქტურის, სადაც კონვერტების დამზადება, შრომის დანაწილების შედეგად, არსებითად 4 კაცის ხელში გაიყოფოდა („კაპიტალი" I, გვ. 479).

---

[19] იქვე, გვ. 449. იხ. აგრეთვე დანართი I.

[20] იქვე, გვ. 449—502.

[21] პოლიტიკური ეკონომია, სახელმძღვანელო, 1954, გვ. 103.

აქ ჩვენ გვინდა „კაპიტალიდან“ ხაზგასმით მოვიტანოთ მეტად მნიშვნელოვანი მითითება. რომლისთვისაც მკვლევრებს ყურადღება არ მიუქცევიათ, ან მხედველობიდან გამორჩენიათ. ყოველ შემთხვევაში ჩვენ მას ვერ შევხვდით სამეცნიერო ლიტერატურაში.

„კაპიტალის“ იმ პარაგრაფში, სადაც მანუფაქტურის კაპიტალისტურ ხასიათზეა ლაპარაკი, მარქსი ეხება მუშათა რაოდენობის იმ მინიმუმს, რომელიც მანუფაქტურაში უნდა იყოს. მარქსი წერს: მანუფაქტურაში „იმ მუშათა მინიმუმს, რომელიც ცალკეულმა კაპიტალისტმა უნდა გამოიყენოს, მას ახლა შრომის არსებული დანაწილება უკარნახებს“[22].

როგორც ვხედავთ, ნათელია, რომ მარქსს ცალკეული და სხვადასხვა მანუფაქტურული საწარმოებისათვის საჭიროდ მიაჩნდა მუშათა რიცხობრივი რაოდენობის სხვადასხვა მინიმუმი, რაც დამოკიდებული იყო შრომის დანაწილებაზე — წარმოების ფაზათა რაოდენობაზე. ზოგ მანუფაქტურულ საწარმოში მეტი იყო შრომის დანაწილების (სადეტალო ოპერაციების) რიცხობრივი რაოდენობა, ზოგში ნაკლები. შესაბამისად სხვადასხვა სამრეწველო პროდუქტის დამზადებას მეტ-ნაკლები რაოდენობის მუშები სჭირდებოდა. ასე რომ, საქონლის წარმოებისათვის საჭირო შრომის დანაწილება კარნახობდა მანუფაქტურულ საწარმოს, მისთვის აუცილებელ მუშათა რიცხობრივ მინიმუმს.

მაშასადამე შეცდომაა რიგ მკვლევართა „ძიება“ დაადგინონ ყველა მანუფაქტურულ საწარმოსათვის მუშების ერთი განსაზღვრული სავალდებულო რიცხვი.

ამგვარად, მანუფაქტურის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი არის შრომის დანაწილება და ხელოსნური ტექნიკა. მანუფაქტურა არის შრომის დანაწილებასა და ხელოსნურ ტექნიკაზე დამყარებული კაპიტალისტური წარმოება. რაც შეეხება დაქირავებული მუშების რიცხობრივ როდენობას, იგი შეიძლება იყოს სხვადასხვა საწარმოში სხვადასხვა—5-დან 10-მდე, 10-დან 30-მდე-და ა. შ., რაც დამოკიდებულია შრომის დანაწილებაზე და ასევე მანუფაქტურული საწარმოს სიდიდეზე*.

---

22 კ. მარქსი. კაპიტალი, I, 1954, გვ. 457, ხაზი ჩვენია — დ. გ.

* ეს ნაშრომი წარმოებაში იყო, როცა გამოვიდა ე. ხოშტარიას წიგნი „მოეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში“ (თბ., 1966 წ.). ისე როგორც გ. ბაქრაძე, ე. ხოშტარიაც იმ აზრისაა, რომ 4—5 დაქირავებული მუშის მქონე საწარმო არ შეიძლება მანუფაქტურას მიეკუთვნოს (გვ. 33). იგი მანუფაქტურად თვლის ისეთ საწარმოს, სადაც მუშაობს 9—10 და მეტი დაქირავებული მუშა (იხ. ე. ხოშტარია, დასახ.

ბოლო წლებში მნიშვნელოვნად ამაღლდა საქართველოში კაპიტალიზმის გენეზისის შესწავლა როგორც ფაქტობრივი, ისე თეორიული დონის მხრივ. იწერება მნიშვნელოვანი გამოკვლევები. მკვლევარები ეხებიან ამ პრობლემის საკვანძო საკითხებს. ერთ-ერთი ასეთი საკითხია კაპიტალისტური მრეწველობის მანუფაქტურული სტადიის საკითხი, რომლის შესახებ მკვლევარები, როგორც აღინიშნა, სხვადასხვა მოსაზრებებს გამოთქვამენ.

ამ საკითხს ხელმეორედ შეეხო პროფ. გ. ბაქრაძე სტატიაში: „საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების ზოგიერთი საკითხის სწორი გაგებისათვის". პროფ. გ. ბაქრაძე მანუფაქტურული სტადიის საკითხში კვლავ დაჟინებით იმეორებს თავის მოსაზრებას, რომელიც მოცემული აქვს წიგნში: „Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в XIX веке». ამ მოსაზრებით უარყოფილია საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების მანუფაქტურული საფეხური.

აქაც, აღნიშნულ სტატიაში, გ. ბაქრაძე უარყოფს კაპიტალიზმის მანუფაქტურულ სტადიას საქართველოში XIX საუკუნეში (დასახ. სტატია, თსუ შრომები, 100, გვ. 241—249, 254). აქაც მიზეზად მოაქვს ის არგუმენტები, რაც მას წიგნში აქვს მოტანილი. იგი აქ (სტატიაში) წერს, რომ „როგორც რეფორმამდე, ისე რეფორმის შემდეგაც საქართველოს მრეწველობის სხვადასხვა დარგებში არსებობდა მანუფაქტურული საწარმოები, მაგრამ კაპიტალისტური მანუფაქტურა რეფორმამდელ საქართველოში წარმოდგენილი იყო მხოლოდ ცალკეული მცირე რაოდენობის საწარმოთა სახით წვრილ ხელოსნურ და გლეხურ სარეწავებთან ერთად; რეფორმის შემდეგ კი იგი განაგრძობდა არსებობას ერთდროულად ფაბრიკულ საწარმოებთან და სარეწავთა თითქმის ყველა ფორმებთან ერთად"[23].

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული მანუფაქტურული საწარმოს ცნებისათვის გ. ბაქრაძეს აუცილებელ მინიმუმად მიაჩნია 15 მუშის დასაქმება საწარმოში, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი აზრით, იგი მანუფაქტურად არ ჩაითვლება. ასეთი მოსაზრების გამო, გ. ბაქრაძემ მანუფაქტურულ საწარმოთა რიცხვი მნიშვნელოვნად

ნაშრომი, გვ. 211—215—ცხრილები: 23, 24, 25). ზემოთ თქმულის შემდეგ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ე. ხოშტარიას ეს მოსაზრებაც, ჩვენ, სწორად არ მიგვაჩნია.

[23] გ. ბაქრაძე, დასახ., გვ. 241.

შეამცირა (მექანიკურად), რადგან 10—14 მუშიანი საწარმოებიც კი მან მანუფაქტურად არ მიიჩნია. სინამდვილეში, რეფორმამდელ საქართველოში, მანუფაქტურული საწარმოები ათეულობით არსებობდა. ამ საწარმოებში შედის არა მარტო 15 და მეტი მუშით დასაქმებული სახელოსნოები, არამედ 5-დან 10-მდე და ა. შ. დაქირავებული მუშებით დასაქმებული საწარმოებიც. გ. ბაქრაძემ კი რაღაც 17-ოდე (!) მანუფაქტურა მიიღო. რაც შეეხება ხელოსნურ და წვრილ საწარმოებთან შედარებით მანუფაქტურულ საწარმოთა შ ე დ ა რ ე ბ ი თ ი ს ი მ ც ი რ ე ს, დიახ ეს ასეა, მაგრამ ეს არ უარყოფს მანუფაქტურულ სტადიას საქართველოში. აქაც პროფ. ბაქრაძე თეორიული თვალსაზრისით მართალი არაა, რადგან მ ა ნ უ ფ ა ქ ტ უ რ უ ლ ს ა წ ა რ მ ო თ ა ს ი მ ც ი რ ე ხ ე ლ ო ს ნ უ რ დ ა წ ვ რ ი ლ ს ა წ ა რ მ ო ე ბ თ ა ნ შ ე დ ა რ ე ბ ი თ ეს არის სწორედ დ ა მ ა ხ ა ს ი ა თ ებ ე ლ ი ნ ი შ ა ნ ი კაპიტალიზმის მანუფაქტურული სტადიისათვის. როგორც მარქსი აღნიშნავს: ქ ა ლ ა ქ ი ს ხ ე ლ ო ს ნ უ რ დ ა ს ა ს ო ფ ლ ო მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ი ს ე კ ო ნ ო მ ი უ რ შ ე ნ ო ბ ა ზ ე მ ა ნ უ ფ ა ქ ტ უ რ ა გ ა მ ო ი რ ჩ ე ო დ ა, რ ო გ ო რ ც ა რ ქ ი ტ ე ქ ტ უ რ უ ლ ი ს ა მ კ ა უ ლ ი[24].

გ. ბაქრაძე უარყოფს მანუფაქტურულ სტადიას საქართველოში არა მარტო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, არამედ საგლეხო რეფორმის შემდგომ ხანაშიც. აქ მას ერთ-ერთ მიზეზად მოაქვს ის, რომ, ამ ხანაში მანუფაქტურა არსებობდა ფაბრიკულ საწარმოებთან და სარეწავთა თითქმის ყველა ფორმებთან ერთად. დიახ, ეს ასეც იყო, მაგრამ როგორც აღნიშნული გვაქვს, ეს ბუნებრივი ამბავია, რადგან მანუფაქტურული საწარმოები ერთი რომელიმე დღიდან არ გაჩენილან და ერთ რომელიმე დღეს არ გამქრალან, ხოლო ფაბრიკული წარმოება, ასევე, ერთი რომელიმე დღიდან არ დაწყებულა მრეწველობის დარგებში. ფაბრიკული მრეწველობის შემოსვლის დროიდანაც მანუფაქტურული წარმოება დიდხანს განაგრძობს არსებობას ფაბრიკებისა და მრეწველობის ყველა სხვა დანარჩენ ფორმებთან ერთად. იგი თანდათან ქრება ფაბრიკული წარმოების თანდათანი გაბატონების შედეგად. ეს ასე იყო ევროპაში, რუსეთში, საქართველოში და ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში.

მანუფაქტურული სტადიის უარსაყოფად, პროფ. ბაქრაძე მიუთითებს აგრეთვე საქართველოში „წარმოების მ რ ა ვ ა ლ დ ა რ-

---

24 К. Маркс, Капитал, т. I, 1953, М., გვ. 376. ამის შესახებ ჩვენ დაწვრილებით გვაქვს საუბარი სტატიაში: „კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხის შესახებ საქართველოში“, სადაც განხილული გვაქვს ბაქრაძის ეს მოსაზრებაც მანუფაქტურის შესახებ (იხ. საქ. მეცნ. აკად. „მოამბე“, 1961 წ., № 3).

გ შ ი ფაბრიკების ერთბაშად გაჩენის შესახებ წვრილი საქონლური წარმოებისა და მანუფაქტურის საფეხურების წინასწარ გავლის გარეშე". ეს პროცესი მას მიაჩნია, „როგორც მასობრივი მოვლენა" (გ. ბაქრაძე, დასახელებული სტატია, გვ. 249).

ვერც ეს მოსაზრება უარყოფს საქართველოში კაპიტალიზმის მანუფაქტურულ სტადიას.

საქართველოში მანუფაქტურული საწარმოების დიდი ნაწილი, მართალია, ფაბრიკებად არ ქცეულან, მანუფაქტურების შედარებით მცირე ნაწილი გადაიქცა ფაბრიკა-ქარხნებად, მაგრამ განა აუცილებელი იყო, რომ ყველა წვრილი კაპიტალისტური საწარმო მანუფაქტურებად ქცეულიყვნენ, ხოლო მანუფაქტურები შემდეგში ყველა ფაბრიკა-ქარხნებად? რამდენი ფაბრიკა-ქარხნები იქნებოდა რუსეთში ყველა (უკლებლივ!) ათასობით წვრილი მწარმოებელი ან მანუფაქტურის მეპატრონე მოროზოვისთანა ფაბრიკანტი რომ გამხდარიყო? ასეთი რამ წარმოუდგენელია.

ხშირად ადგილი აქვს მანუფაქტურული საწარმოების ფაბრიკებად გადაქცევას. — მანუფაქტურულ საწარმოში ორთქლის ძრავისა და მანქანების სისტემის მოწყობით, ხშირად კი ფაბრიკების მოწყობა-დაარსება ხდება არა ძველ მანუფაქტურულ საწარმოებში, არამედ სრულიად ახალ საფუძველზე, დამოუკიდებლად, მანუფაქტურული საფეხურის გავლის გარეშე. წინააღმდეგ პროფ. ბაქრაძისა, მ ა ნ ქ ა ნ უ რ ი ს ტ ა დ ი ი ს შ ე მ ო ს ვ ლ ი ს დ რ ო ი დ ა ნ ხ დ ე ბ ა ფ ა ბ რ ი კ ე ბ ი ს, ს წ ო რ ე დ, მ ა ს ო ბ რ ი ვ ი წ ა რ მ ო შ ო ბ ა მ ა ნ უ ფ ა ქ ტ უ რ უ ლ ი ს ა წ ა რ მ ო ე ბ ი ს ა და მ ა ნ უ ფ ა ქ ტ უ რ უ ლ ი ს ა ფ ე ხ უ რ ი ს გ ა ვ ლ ი ს გ ა რ ე შ ე, რადგან მრეწველობის განვითარების მანქანური პერიოდი უკანასკნელი საფეხურია და მისი ხანგრძლივი განვითარების პროცესში, ე. ი. დროის გ ა ნ უ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ მონაკვეთში, მრეწველობის ახალი დარგები (და ქვედარგები) წარმოიშობა. მრეწველობის ახალი დარგი და ქვედარგი კი, ბუნებრივია, მ ა ს ო ბ რ ი ვ ა დ ახალ ტექნიკურ ბაზისზე ანუ მანქანურ წარმოებაზე მოეწყობა. ასეთ შემთხვევაში მრეწველობის ახალი დარგის დაწყება მანუფაქტურული წარმოებით რა საკვალდებულოა

და, ბოლოს, როგორც ცნობილია, მანუფაქტურა ვერ იპყრობს საზოგადოებრივ წარმოებას მთლიანად. გარდა იმისა, რომ საზოგადოებრივ წარმოებაში მანუფაქტურაზე მოდის მცირე ნაწილი, იგი ამავე დროს ვერ ასწრებს განვითარებას მრეწველობის ყ ვ ე ლ ა დარგში. ფაბრიკული წარმოება კი მისი განვითარების თითქმის გ ა ნ უ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ პ ე რ ი ო დ ში მთლიანად ეუფლება საზოგადოებრივ წარმოებას, და ამდენად მრეწველობის ყველა

დარგსაც, ძველსაც და ახალსაც. ამიტომაა, რომ იგი მასობრივად ჩნდება მრეწველობის იმ დარგებშიც, რომელთაც მანუფაქტურული წარმოება (საფეხური) არ გაუვლიათ.

ასე რომ, სრულებით არაა სავალდებულო ყველა მანუფაქტურული საწარმოს ფაბრიკა-ქარხნებად გადაქცევა, ხოლო მანუფაქტურული წარმოების განვითარება მრეწველობის ყველა დარგში, რათა მანუფაქტურული სტადია დავადასტუროთ.

მანუფაქტურული სტადიის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია, დროის გარკვეულ პერიოდში, მანუფაქტურული წარმოების მეტი ხვედრითი წონა კაპიტალისტური მრეწველობის სექტორში. ეს იმას ნიშნავს, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში კაპიტალისტურ მრეწველობაში მანუფაქტურულ წარმოებაზე უნდა მოდიოდეს მეტი ხვედრითი წონა ვიდრე წვრილ საქონლო და მანქანურ წარმოებაზე.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მანუფაქტურული სტადია (ისე როგორც კაპიტალისტური წარმოება საერთოდ. კაპიტალიზმი) ყველა ქვეყანაში ერთნაირი სიმძლავრით როდი განვითარდა. სხვადასხვა ქვეყნებში იგი წარმოდგენილი იყო მეტ-ნაკლები განვითარების დონით.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, პროფ. გ. ბაქრაძის (და არა მარტო პროფ. გ. ბაქრაძის) სხვადასხვა მოსაზრებები და არგუმენტები ვერ უარყოფენ საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის მანუფაქტურულ სტადიას, რომელიც წინ უსწრებდა ფაბრიკულ წარმოებას.

ახლა კი შევეხოთ კაპიტალიზმის მანუფაქტურული სტადიის ქრონოლოგიურ მიჯნებს საქართველოში.

როგორც ცნობილია, მანუფაქტურა ვერ მოიცავდა საზოგადოებრივ წარმოებას მთლიანად, მას არ შეეძლო დაეპყრო საზოგადოებრივი წარმოება. მანუფაქტურული სტადიის დამახასიათებელი ნიშანი იყო მანუფაქტურათა მცირე რიცხვი საზოგადოებრივ წარმოებაში ერთდროულად არსებულ ხელოსნურ და წვრილ საწარმოთა დიდ რიცხვთან შედარებით. ხელოსნები და წვრილი საქონელმწარმოებლები რიცხობრივად გაცილებით სჭარბობდნენ მანუფაქტურების მუშათა რიცხვს. მანუფაქტერული სტადიის პერიოდში საქონლის მცირე ნაწილს ამზადებდნენ მანუფაქტურული საწარმოები, უდიდეს მასას კი წინანდებურად ამზადებდნენ ხელოსნები და წვრილი საქონელმწარმოებლები. მანუფაქტურული სტადიის პერიოდში კვლავ იყო გაბატონებული ხელოსნობა და არაკაპიტალისტური წვრილი სასაქონლო წარმოება და იგი კვლავ წარ-

მოადგენდა საზოგადოების ეკონომიკის საფუძველს. ამიტომ, როგორც მარქსი აღნიშნავს, საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიურ შენობაზე მანუფაქტურა მოსჩანდა როგორც არქიტექტურული სამკაული.

მართალია, მანუფაქტურული სტადიის პერიოდში მანუფაქტურას საზოგადოებრივ წარმოებაში ეკავა მცირე ნაწილი, მაგრამ, სამაგიეროდ, კაპიტალისტური წარმოების წესის სექტორში, ანუ, უფრო ზუსტად, კაპიტალისტურ მრეწველობაში მას (მანუფაქტურას) გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა და ამ სექტორში მასზე მოდიოდა წარმოების წესის მეტი ხვედრითი წონა. მაშასადამე, მანუფაქტურული სტადიის პერიოდში[25] მანუფაქტურულ წარმოებას კაპიტალისტური მრეწველობის სექტორში გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა და მასზე მოდიოდა კაპიტალისტური მრეწველობის მეტი ხვედრითი წონა.

რაში გამოიხატებოდა ეს? უპირველეს ყოვლისა, ეს გამოიხატებოდა იმაში, რომ მანუფაქტურული სტადიის პერიოდში მანუფაქტურულ წარმოებაში დასაქმებული იყო სამრეწველო მუშების მეტი რაოდენობა, ვიდრე კაპიტალისტური მრეწველობის სექტორის დანარჩენ ფორმებში — წვრილ კაპიტალისტურ და მანქანურ წარმოებაში. შემდეგ აღსანიშნავია სასაქონლო პროდუქციის სიდიდე. მაგრამ ეს მაინც არ არის გადამწყვეტი. მთავარი არის მრეწველობის ამა თუ იმ ფორმაში დასაქმებულ მუშათა რიცხობრივი რაოდენობა, რაც განსაზღვრავს მრეწველობის ამა თუ იმ ფორმის (ხელოსნობის, წვრილი სასაქონლო წარმოების, წვრილი კაპიტალისტურის, მანუფაქტურის, მანქანური წარმოების) მდგომარეობას. გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს წარმოების იმ წესსა და წარმოების წესის იმ ფორმას, რომელშიც ადამიანთა მეტი მასაა მოქცეული და დასაქმებული.

ამგვარად, მანუფაქტურული სტადიის პერიოდში მანუფაქტურა კაპიტალისტური მრეწველობის გაბატონებულ ფორმას წარმოადგენს.

რა ქრონოლოგიური მიჯნები შეიძლება ავიღოთ მანუფაქტურული სტადიისათვის საქართველოში? რამდენადაც ჩვენ შესწავლილი გვაქვს კაპიტალისტური მრეწველობა საქართველოში, მიგვაჩნია, რომ კაპიტალისტური მრეწველობის მანუფაქტურული პერი-

---

25 მარქსი მას უწოდებს „საკუთრივ მანუფაქტურის პერიოდს“, იმ პერიოდს „როდესაც მანუფაქტურა, კაპიტალისტური წარმოების წესის გაბატონებულ ფორმას წარმოადგენს“ („კაპიტალი“, I, 467).

ოდი საქართველოში იწყება XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან და გრძელდება XIX საუკუნის ბოლომდე. ამ პერიოდში მანუფაქტურულ წარმოებაში მოქცეულია კაპიტალისტური მრეწველობის სექტორის სამრეწველო მუშათა მეტი რაოდენობა. XIX ს. ბოლოდან საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის სექტორში ბატონდება ფაბრიკულ-ქარხნული წარმოება[26].

მანუფაქტურის სტადიის მიჯნების საკითხს ეხება ისტ. მეცნ. კანდ. ე. ხოშტარია ნაშრომში: „მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში". მისი აზრით მანუფაქტურული სტადია საქართველოში იწყება XIX ს. 40-იან წლებიდან და მთავრდება ამ საუკუნის 80-იანი წლების შუახანებში. ნაშრომის შემაჯამებელ ნაწილში (დასკვნებში) შედგენილია ცხრილები, სადაც მოცემულია საქართველოს კაპიტალისტური მრეწველობის ფორმების — წვრილი წარმოების, მანუფაქტურისა და ფაბრიკულ-ქარხნული წარმოების — თანაფარდობა XIX ს. 60-იან წლებში, 80-იანი წლების შუახანებში და 1900 წელს. (გვ. 211—215).

ავტორის მიერ შედგენილი ცხრილით, რომელიც ეხება XIX ს. 80-იანი წლების შუახანებს, წვრილი საწარმოები ითვლება 359, 1554 მუშითა და 1 237 200 მანეთის წლიური პროდუქციით. მანუფაქტურები ითვლება 29 (!) საწარმო, 2 187 მუშითა და 2 475 800 მანეთის წლიური პროდუქციით, ხოლო ფაბრიკულ-ქარხნული — 28 საწარმო 1 712 მუშითა და 4 567 200 მანეთის წლიური პროდუქციით (გვ. 213). ამ მონაცემების საფუძველზე ე. ხოშტარია დასკვნის, რომ XIX ს. 80-იანი წლების შუახანებამდე მრეწველობაში გაბატონებული იყო მანუფაქტურული საფეხური (ფორმა). ხოლო ამიერიდან უკვე ბატონდება ფაბრიკულ-ქარხნული წარმოება. ავტორი წერს: „როგორც ვხედავთ, 80-იანი წლების შუახანები წარმოადგენდნენ ტეხილს ფაბრიკულ-ქარხნულ წარმოებაზე გადასვლის, ანუ სამრეწველო გადატრიალების თვალსაზრისით (გვ. 214). დასკვნების სხვა ადგილას იგი წერს: „პერიოდს 80-იანი წლების შუახანებამდე ჩვენ კვლავ მანუფაქტურულ წარმოების ბატონობის ხანად მივიჩნევთ. ამ დროიდან კი ხდება გარდატეხა მანუფაქტურიდან მანქანურ წარმოებაზე გადასვლის თვალსაზრისით" (გვ. 226). „საქართველოში 80—90-იან წლებშიც მიუხედავად იმისა, რომ ძირითადად მანქანური წარმოება იპერს გაბა-

---

26 მანქანური წარმოების საწყისები საქართველოში განეკუთვნება XIX ს. 30-იან და განსაკუთრებით 40-იან წლებს, როდესაც აქა-იქ გაჩნდნენ ფაბრიკულ-ქარხნული ტიპის სამრეწველო საწარმოები.

ტონებულ მდგომარეობას, წარმოების ზოგიერთ დარგში მანუფაქტურული საწარმოები კვლავ განაგრძობენ არსებობას და ინარჩუნებენ გარკვეულ მნიშვნელობას". (გვ. 173).

ე. ხოშტარიას ეს მოსაზრება საქართველოში მანუფაქტურული წარმოების ბატონობის დასასრულის ქრონოლოგიური მიჯნის შესახებ, ჩვენ სწორად არ მიგვაჩნია.

ვფიქრობთ, მოტანილი ცხრილი არ ადასტურებს XIX ს. 80-იანი წლების შუახანების საქართველოში მანუფაქტურის სტადიის დასასრულსა და ფაბრიკულ-ქარხნული წარმოების ბატონობის დასაწყისს.

მანუფაქტურული საწარმოები XIX ს. 80-იან წლებში და შემდეგაც გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ეს ედ. ხოშტარიას მიერ შედგენილ ცხრილშია (29!). ცხრილში მოცემული არაა საქართველოს სამთო მანუფაქტურები, როგორიც იყო იმ დროს: ჭიათურის მანგანუმის, ტყიბულის ქვანახშირის და ალავერდ-შამბლუღის სპილენძსადნობი საწარმოები. აღნიშნულ სამთო მანუფაქტურებში მაშინ დასაქმებული იყო მუშების დიდი ნაწილი, დაახლოებით 2000—2500 კაცი. მათი გამორიცხვა მანუფაქტურულ საწარმოებისგან არ შეიძლება.

გარდა ამისა, მანუფაქტურულ საწარმოთა რიცხვი ცხრილში შემცირებულია ხელოვნურად. ავტორი მანუფაქტურებს წვრილი საწარმოებისგან გამოყოფს მუშათა რიცხვის მიხედვით. ეს კი, ჩვენი აზრით, სწორი არაა. მანუფაქტურული საწარმოები სხვა საწარმოებისაგან მას უნდა გამოეყო უპირველეს ყოვლისა შრომის დანაწილების მიხედვით. ავტორი იმ საწარმოებს, რომლებშიც 9—10 მუშაზე ნაკლები იყო, მანუფაქტურებად არ თვლის, რითაც შემცირებულია მანუფაქტურათა რიცხვი და გაზრდილია წვრილი საწარმოების რაოდენობა.

ცხრილით წვრილი საწარმოები ითვლება 359. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ნაწილი ამ საწარმოთაგან მანუფაქტურები იყო. აღვნიშნეთ, რომ 9—10 მუშიანზე ნაკლებ საწარმოს ე. ხოშტარია არ თვლის მანუფაქტურად. მაგალითად, ტყავის 40 საწარმოში დასაქმებულია 325 მუშა, საშუალოდ თითო საწარმოზე მოდის 8 მუშა (ცოტა მეტიც). 10 პოლიგრაფიულ საწარმოში დასაქმებულია 70 მუშა, თითო საწარმოზე საშუალოდ მოდის 7 მუშა. ტყავის გამომყვანი საწარმოები, სადაც თითოეულში დასაქმებულია 8—9 მუშა, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ შრომის დანაწილების გარეშე. განსაკუთრებით შეუძლებელია წარმოვიდგინოთ შრომის დანაწილების გარეშე პოლიგრაფიული საწარმოები (პოლიგრაფიული მრეწვე-

ლობა). ეს გარემოება კი აღნიშნული საწარმოების მანუფაქტურულ ხასიათზე მიუთითებს.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან ჩვენ მიგვაჩნია, რომ XIX ს. 80-იანი წლების შუახანებში, საქართველოში, გაცილებით მეტი მანუფაქტურული საწარმო იყო, ვიდრე ამას ავტორი უჩვენებს (თავის მიერ შედგენილ ცხრილში) და მანუფაქტურულ წარმოებას გაცილებით მეტი ხვედრითი წონა ჰქონდა კაპიტალისტურ მრეწველობაში სხვა ფორმებთან შედარებით. სინამდვილეში 80-იანი წლების შუახანებში მანუფაქტურულ წარმოებაში დასაქმებული იყო არა 2 187, არამედ 5 000-მდე მუშა.

მაგრამ დავუშვათ, რომ ე. ხოშტარიას მიერ შედგენილ ცხრილში სწორადაა მოცემული XIX ს. 80-იანი წლების შუახანების საქართველოს კაპიტალისტური მრეწველობის ფორმათა (წვრილი მრეწველობის — მანუფაქტურის — ფაბრიკის) ხვედრითი წონა და თანაფარდობა. ასეთ შემთხვევაშიც კი, ცხრილში მოცემული თანაფარდობა განა ამტკიცებს მანუფაქტურული სტადიის ბატონობის დასასრულსა და ფაბრიკულ-ქარხნული მრეწველობის ბატონობის დასაწყისს კაპიტალისტურ მრეწველობაში? ჩვენი აზრით, არა, არ ამტკიცებს.

მოტანილი ცხრილი, პირიქით, მიუთითებს მანუფაქტურული სტადიის ბატონობას კაპიტალისტურ მრეწველობაში წვრილ და ფაბრიკულ-ქარხნულ წარმოებასთან შედარებით. როგორც აღინიშნა ცხრილში მრეწველობის ფორმების თანაფარდობა XIX ს. 80-იანი წლების შუახანებში ასეთია: წვრილი საწარმოები არის 359, 1554 მუშითა და 1 237 200 მანეთის წლიური პროდუქციით, მანუფაქტურა—29 საწარმო, 2 187 მუშითა და 2 475 800 მანეთის წლიური პროდუქციით, ფაბრიკულ-ქარხნული — 28 საწარმო, 1 712 მუშითა და 4 567 200 მან. წლიური პროდუქციით.

ედ. ხოშტარიას აზრით, ამ მონაცემებით, საქართველოში, 80-იანი წლების შუახანებში გაბატონებულია ფაბრიკულ-ქარხნული წარმოება. რა ნიშნის მიხედვით? როგორც ვხედავთ, იგი გადამწყვეტ მნიშვნელობას აძლევს ფაბრიკულ-ქარხნული წარმოების მიერ გაცილებით მეტი წლიური პროდუქციის გამოშვებას წვრილ და მანუფაქტურულ წარმოებასთან შედარებით, რაც, ჩვენი აზრით, შეცდომაა, რადგან, არ შეიძლება ტექნიკური პროგრესი და პროდუქციის სიდიდე (ან მისი ზრდა) გავაიგივოთ წარმოების წესის ან მისი ფორმის მოცულობასთან. წარმოების წესის ან მისი ფორმის ბატონობას განსაზღვრავს არა წლიური წარმადობა და საერთოდ გამომუშავებული პროდუქციის სიდიდე, არამედ წარმოების ამა თუ იმ წესში ან მის ფორმაში

დასაქმებულ ადამიანთა მასა, მისი რაოდენობა. მოტანილი ცხრილით კაპიტალისტური მრეწველობის მანუფაქტურულ ფორმაში დასაქმებულია მწარმოებელთა ყველაზე მეტი რაოდენობა — 2 187 მუშა, რაც განაზღვრავს მანუფაქტურული სტადიის ბატონობას კაპიტალისტურ მრეწველობაში.

ამგვარად, ედ. ხოშტარიას დასკვნა იმის შესახებ, რომ საქართველოში XIX ს. 80-იან წლებში თითქოს დასრულდა მანუფაქტურული სტადიის ბატონობა და ამიერიდან გაბატონდა ფაბრიკულ-ქარხნული წარმოება, ჩვენ სწორად არ მიგვაჩნია. მანუფაქტურული სტადია საქართველოში გაბატონებული იყო არა მარტო XIX ს. 80-იანი წლების შუახანებამდე, არამედ XIX ს. ბოლომდეც, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ მანუფაქტურულ წარმოებაში დასაქმებული იყო კაპიტალისტური მრეწველობის მუშათა მეტი რაოდენობა. ვიდრე წვრილ და ფაბრიკულ-ქარხნულ წარმოებაში, ცალ-ცალკე აღებული.

მრეწველობის ფორმების კლასიფიკაცია და ე. წ. „შინამრეწველობა“

აქ შევეხებით მრეწველობის მხოლოდ ერთ ფორმას. ეს არის „შინამრეწველობა“ ანუ ე. წ. კუსტარული მრეწველობა (кустарная промышленность). როგორც ჩანს, მკვლევარებს სხვადასხვაგვარად ესმით მისი არსი.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ლენინის ნაშრომის— „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ — ქართულ ენაზე თარგმნის დროს (მე-4 გამოცემა) ზოგიერთ ადგილას დაუშვიათ უხეში შეცდომები. ასე მაგალითად, ნაშრომის მე-5 თავში „Домашняя промышленность“ თარგმნილია „შინამრეწველობად“, მაშინ როდესაც უნდა იყოს „საოჯახო მრეწველობა“. ამავე თავში „кустарная промышленность“ თარგმნილია ასევე „შინამრეწველობად“, ე. ი. „Домашняя промышленность“ და „кустарная промышленность“, ორივე, ქართულად თარგმნილია როგორც „შინამრეწველობა“, რაც უხეში შეცდომაა.

საოჯახო მრეწველობა (домашняя промышленность) მრეწველობის პირველი ფორმაა, ხოლო „კუსტარული“ მრეწველობა ანუ ე. წ. შინამრეწველობა (როგორც მას ქართულად თარგმნიან) ხელოსნობის (მრეწველობის მეორე ფორმა) შემდგომი საფეხურია და კაპიტალისტური მრეწველობისათვის დამახასიათებელი.

მრეწველობის განხილვისას, აღნიშნულ ნაშრომში, ლენინი ჯერ განიხილავს საოჯახო მრეწველობას. საოჯახო მრეწველობა გულისხმობს სხვადასხვა ნაწარმის (ქსოვილის, ფეხსაცმლის, ტან-

საცმელის, ავეჯის, ხის ნაკეთობის და სხვ.) დამზადებას შინ, გლეხის ოჯახში, ოჯახის წევრთა საჭიროებისათვის, ე. ი. საკუთარი მოხმარებისათვის. ნედლი მასალა საოჯახო მრეწველობისათვის (გადასამუშავებლად) მოპოვებულია თვით გლეხის ოჯახის მეურნეობაში. საოჯახო მრეწველობა „ნატურალური მეურნეობის აუცილებელ კუთვნილებას“ შეადგენს. იგი მიწათმოქმედებასთან განუყრელ კავშირში იმყოფება. მიუხედავად იმისა, რომ საოჯახო მრეწველობა განუყრელადაა დაკავშირებული მიწათმოქმედებასთან, იგი მაინც მრეწველობის პირველ ფორმას წარმოადგენს, რადგან ამ ფორმაშიც წარმოებს ნედლეულის სამრეწველო გადამუშავება.

მრეწველობის შემდგომი ფორმაა ხელოსნობა, რომელიც გამოეყოფა მიწათმოქმედებას, ე. ი. ამ დროს ნაწარმის დამზადება (ტანსაცმელისა და ფეხსაცმლის შეკერვა, ქსოვილების შეღებვა, საშენ მასალათა დამზადება და სხვ.) ხდება მომხმარებლის დაკვეთით. ნედლი მასალა ეკუთვნოდეს როგორც ხელოსანს, ისე მომხმარებელ დამკვეთსაც. ხელოსნის შრომის ანაზღაურება ხდება ფულით ან ნატურით.

მრეწველობის მესამე ფორმა არის უკვე წვრილი სასაქონლო წარმოება, როდესაც ხელოსანი ბაზარზე გადის და ბაზრისთვის აწარმოებს, როგორც უახლოესი (სოფლის) ისე შორეული (მხარის) ბაზრისათვის. ხელოსანი ხდება წვრილი საქონელმწარმოებელი. მრეწველობის ეს ფორმა რუსეთში ცნობილი იყო „კუსტარული“ მრეწველობის სახელწოდებით. მაგრამ „კუსტარული“ მრეწველობა ზუსტად არ შეესაბამებოდა წვრილ სასაქონლო მრეწველობას და არ თავსდებოდა მასში. „კუსტარული მრეწველობა“ უფრო ფართო შინაარსის ცნება იყო. სახელწოდება „კუსტარი“ და „კუსტარული“ მრეწველობა რუსული მოვლენაა. იგი ნიშნავს ნაწარმის (ქსოვილის, ფეხსაცმლის, ავეჯის, ჭურჭლეულის და სხვ.) დამზადებას პრიმიტიული ხერხებით, მარტივად არაფაბრიკული წესით. კუსტარული ნაწარმი და ნაკეთობა უმთავრესად მზადდება შინ, მრეწველის (კუსტარის „შინამრეწველის“) სახლში. კუსტარი (ფეიქარი, მეავეჯე და სხვ.) არის წვრილი მწარმოებელი (გლეხი, ხელოსანი), რომელიც ნაწარმს ამზადებს შინ ბაზარზე გასაყიდად[27].

კუსტარი შეიძლება საქონელს ამზადებდეს თვითონ, ან ოჯახის წევრების საშუალებით, სხვისი შრომის ექსპლუატაციის გარეშე, ე. ი. დაქირავებული შრომის გარეშე, ანდა შესაძლებელია იგი

[27] იხ. В. Даль, Толковый словарь русского языка, 1881, т. II; Д. Н. Ушаков, Толковый словарь русского языка, 1935, т. I.

მას ამზადებდეს დაქირავებული შრომით. მაშასადამე, „კუსტარული“ მრეწველობის („შინამრეწველობის“) არსი ძირითადად წვრილი სასაქონლო წარმოებაა, ძირითადად, ვამბობთ იმიტომ, რომ „კუსტარული“ მრეწველობა რუსეთში მოიცავდა მრეწველობის სხვა ფორმებსაც. რუსი სტატისტიკოსები და ეკონომისტები „კუსტარულ“ მრეწველობას ჩვეულებრივ მიაკუთვნებდნენ მრეწველობის ყოველნაირ ფორმებს, ფაბრიკულ-ქარხნული წარმოების ვარდა: როგორც წვრილ სასაქონლო წარმოებას, ასევე შეკვეთით მომუშავე სოფელ ხელოსნებს, მეპატრონე-კაპიტალისტებისათვის სახლში მომუშავეებს და მანუფაქტურებსაც კი. ეკონომისტი ნაროდნიკებიც კუსტარულ მრეწველობას („შინამრეწველობას“) განიხილავდნენ, როგორც ეკონომიურად ეროგვაროვან ფორმას მრეწველობისა. ნაროდნიკები მას უწოდებდნენ „სახალხო წარმოებას“ და უპირისპირებდნენ საფაბრიკო-საქარხნო წარმოებას ანუ, მათი აზრით, კაპიტალიზმს. როგორც ცნობილია კაპიტალიზმში ისინი მხოლოდ საფაბრიკო-საქარხნო წარმოებას გულისხმობდნენ.

ამიტომ ლენინი მრეწველობის ამ „ფორმის“ შესწავლისას თავის ნაშრომებში: „შინამრეწველობის აღწერა პერმის გუბერნიაში“, და „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, — აღნიშნავდა, რომ „კუსტარული“ მრეწველობა ანუ ე. წ. „შინამრეწველობა“ „მეცნიერული კვლევისათვის აბსოლუტურად გამოუსადეგარი ცნებაა, რომლითაც ჩვეულებრივ გულისხმობენ მრეწველობის ყოველნაირ ფორმებს, დაწყებული საშინაო სარეწით და ხელოსნობით და გათავებული დაქირავებული შრომით მეტად მსხვილ მანუფაქტურებში“[28], რომ, სახელდობრ „ამ ცნებაში შედიან პატრიარქალური ხელოსნებიც, მომხმარებელთა შეკვეთით რომ მუშაობენ მათივე (მომხმარებელთა) მასალით, ხოლო გასამრჯელოს ხან ნატურით, ხან კი ფულად იღებენ. გარდა ამისა, მასში შედიან მრეწველობის სრულიად სხვაგვარი ფორმის წარმომადგენელნიც — წვრილი საქონელმწარმოებელნი, თავიანთი ოჯახით რომ მუშაობენ. მასში შედიან იმ კაპიტალისტური სახელოსნოების მფლობელნიც, რომელთაც დაქირავებული მუშები ჰყავთ და თვით ეს დაქირავებული მუშებიც, რომელთა რიცხვი თითო საწარმოში რამდენსამე ათეულს აღწევს. მასში შედიან დიდი კაპიტალის მფლობელი მეწარმე-მანუფაქტურისტები, რომელნიც სადეტალო სახელოსნოთა მთელ სისტემაზე ბატონობენ. მასში შედიან კაპიტალისტებისათვის მომუშავე შინამუშებიც“[29]. ამის გამო ლენინი მიუთითებდა

[28] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 3, გვ. 532.
[29] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 2, გვ. 535.

„შინამრეწველობის“ ცნების სრული უშინაარსობის შესახებ“, რადგან წარმოადგენდა „გროვას“, სადაც მოქცეული იყო მრეწველობის მრავალნაირი ფორმები, „მრეწველობის ფორმათა მთელი ეს დაუსრულებელი მრავალგვარობა“[30]. სხვა ადგილას ლენინი ამბობს: „ფაქტები იმას გვეუბნებიან, რომ არავითარი განსაკუთრებული „კუსტარული ფორმა წარმოებისა“ არ არსებობს“ და რომ ეს ფორმა „კუსტარი“ ეკონომისტების გამონაგონია“[31].

მაშასადამე, ლენინმა უვარგისად და მიუღებლად ჩათვალა „შინამრეწველობა“ მრეწველობის ცალკე ფორმად გამოეყო, რადგან მას მიაკუთვნებდნენ მრეწველობის მრავალ ფორმებს.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ადრე, კ. მარქსი არ თვლიდა „შინამრეწველობას“ მრეწველობის განსაკუთრებულ ფორმად და მას უწოდებდა „ეგრეთწოდებულ შინამრეწველობას“ („Sog. Hausindustrie“) და „ეგრეთწოდებულ თანამედროვე შინამრეწველობას“ („Sog, moderne Hausindustrie“). „კაპიტალის“ იმ თავში, სადაც ლაპარაკია შინამრეწველობის ერთ-ერთი სახის — კაპიტალისტურ შინმუშაობაზე ანუ სახლებში კაპიტალისტურად დასაქმებულ მუშების შინამრეწველობაზე, კ. მარქსი წერს, რომ „ამ ეგრეთწოდებულ თანამედროვე შინამრეწველობას სახელწოდების გარდა არაფერი აქვს საერთო ძველებურ შინამრეწველობასთან, რომელიც გულისხმობს დამოუკიდებელ საქალაქო ხელოსნობას, დამოუკიდებელ გლეხურ მეურნეობას... ახლა ეს შინამრეწველობა ფაბრიკის, მანუფაქტურის ან სავაჭრო დაწესებულების საგარეო განყოფილებად არის გადაქცეული“[32].

რუსეთის მრეწველობაში კაპიტალიზმის განვითარების სტადიების შესწავლისას, ლენინმა მრეწველობის მესამე ფორმად (ხელოსნობის შემდეგი ფორმა) და, მაშასადამე, კაპიტალისტური მრეწველობის პირველ სტადიად, აიღო არა „შინამრეწველობა“, არამედ წ ვ რ ი ლ ი ს ა ს ა ქ ო ნ ლ ო წ ა რ მ ო ე ბ ა. სახელწოდება „წვრილი სასაქონლო წარმოება“ სწორად აღნიშნავს კაპიტალიზმის პირველი სტადიის არსს და უშუალოდ მიუთითებს მის ხასიათს. წვრილი სასაქონლო წარმოება მიუთითებს მრეწველობის ამ ფორმის ს ა ს ა ქ ო ნ ლ ო ხასიათზე, ანუ საბაზრო წარმოებაზე, რაც ზუსტად შეესაბამება ხელოსნობის შემდგომ ფორმას მრეწველობაში.

---

30 იქვე, გვ. 534, 535.

31 В. И. Ленин, т. 2, გვ. 350; ტ. 2, გვ. 463 (ქართულად).

32 კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი I, 1954, გვ. 583—584.

წვრილი სასაქონლო წარმოების დროს წვრილი საქონელმწარმოებელი (გლეხი, ხელოსანი) საქონელს საბაზროდ აწარმოებს ან პირადი შრომით, ე. ი. არაკაპიტალისტურად, ანდა სხვისი შრომის ექსპლუატაციის გზით, ე. ი. კაპიტალისტურად (დაქირავებული შრომით). მაშასადამე, წვრილი სასაქონლო წარმოება გულისხმობს წარმოებას როგორც არაკაპიტალისტური ფორმით, ანუ პოლიტიკური ეკონომიის ენით: მარტივ სასაქონლო წარმოებას (საქონელმწარმოებელთა პირად შრომაზე დამყარებული საბაზრო წარმოება), ასევე წარმოებას კაპიტალისტური ფორმით (დაქირავებულ შრომაზე დამყარებული საბაზრო წარმოება). ამიტომ წვრილი სასაქონლო წარმოება არის არა მარტო მრეწველობის განვითარების მესამე ფორმა (ხელოსნობის შემდეგ), არამედ კაპიტალიზმის განვითარების პირველი სტადიაც მრეწველობაში. მრეწველობაში კაპიტალიზმის განვითარების შესწავლისას ლენინი დაასკვნიდა, რომ „ამ განვითარების მთავარი სტადია სამია: წვრილი სასაქონლო წარმოება (წვრილი, უმთავრესად გლეხური სარეწები)—კაპიტალისტური მანუფაქტურა — ფაბრიკა (მსხვილი მანქანური ინდუსტრია)“[33]. როგორც ცნობილია კაპიტალისტური მრეწველობის ეს ფორმები ერთმანეთისაგან მოწყვეტილი კი არაა, არამედ უშუალო და მჭიდრო კავშირში იმყოფებიან: წვრილი სასაქონლო წარმოებიდან ჩნდებიან მანუფაქტურები, ხოლო მანუფაქტურული წარმოება მანქანურ წარმოებად იქცევა.

ამგვარად, სახელწოდება „შინამრეწველობა“ ანუ „კუსტარული“ მრეწველობა, მრეწველობის განვითარების ერთ-ერთი ფორმის ცნებად არ გამოდგება, რადგან „შინამრეწველობა“, როგორც ამას თვით სიტყვის შინაარსი გვეუბნება, გულისხმობს სახლში, პრიმიტიულად, ხელოსნური ტექნიკით დამზადებულ ნაწარმს (პროდუქტს). ამიტომ „შინამრეწველობაში“ შეიძლება ვიგულისხმოთ მრეწველობის როგორც პირველი ფორმა — საოჯახო მრეწველობა, ასევე ხელოსნობა, წვრილი სასაქონლო წარმოება და ნაწილობრივ მანუფაქტურული წარმოებაც, რადგან საქონელმწარმოებელთა შინა სარეწებში ხშირი იყო მანუფაქტურული სახელოსნოებიც. ე. ი. „შინამრეწველობის“ ცნებაში იგულისხმება მრეწველობის თითქმის ყველა ფორმა, ფაბრიკულ-ქარხნული წარმოების გარდა. სინამდვილეში მრეწველობის 'განვითარების მესამე ფორმა, ანუ ხელოსნობის შემდგომი საფეხური, არის წ ვ რ ი ლ ი ს ა ს ა ქ ო ნ ლ ო წ ა რ მ ო ე ბ ა ან უფრო ზუსტად წ ვ რ ი ლ ი ს ა ს ა ქ ო ნ ლ ო მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა, რომელიც ზუსტად შეესაბამება მრეწველობის ამ საფეხურის ხასიათს და ამავე დროს კაპიტალიზმის განვითარე-

[33] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 3, გვ. 641.

ბის პირველ სტადიას მრეწველობაში. გარდა ამისა ტერმინი „წვრილი სასაქონლო მრეწველობა“ ყველა ქვეყნისათვის გამოდგება როგორც მრეწველობის მესამე ფორმის ცნება და მისი აღმნიშვნელი სახელწოდება.

როგორ ესმით ეს საკითხი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში?

„შინამრეწველობის“ ანუ ე. წ. კუსტარული მრეწველობის ცნების არსის შესახებ პროფ. პ. გუგუშვილი სწორად აღნიშნავს, რომ მრეწველობის ეს ფორმა მრავალფეროვანია და რომ „შინამრეწველობა“ გადახლართული და შეზრდილია მრეწველობის სხვა ფორმებთან და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგებთან იმდენად, რომ ზოგჯერ ძალინ ძნელია, გამოჰყო ის როგორც დამოუკიდებელი ფორმა მრეწველობისა[34]. იქვე იგი იმოწმებს ლენინს, რომლის აზრით, არავითარი განსაკუთრებული შინამრეწველური (კუსტარული) ფორმა წარმოებისა არ არსებობს, და რომ ეს კუსტარი ეკონომისტების გამონაგონია[35].

მაგრამ მიუხედავად ამისა, პროფ. პ. გუგუშვილი „შინამრეწველობას“ (Кустарная промышленность) თვლის მრეწველობის ერთ-ერთ ფორმად და ნაშრომში მრეწველობის მესამე ფორმის სათაურის სახითაც აქვს მოცემული[36].

1960 წელს დაიბეჭდა პროფ. პ. გუგუშვილის ნაშრომი: „К вопросу о социологической классификации форм промышленности“. აქ იგი უკვე აშკარად აცხადებს რომ მრეწველობის ხუთი ფორმიდან (1. Домашняя промышленность, 2. Ремесло, 3. Мелкое товарное производство, 4. Мануфактура, 5. Фабрика) მიუღებელია მესამე ფორმა—„წვრილი სასაქონლო წარმოება-ო“.[37].

პროფ. პ. გუგუშვილი წერს, რომ სამრეწველო წარმოებას (промышленное производство) მატერიალურ წარმოებაში საერთოდ (ე. ი. მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში — დ. გ.) აქვს გადამამუშავებელი ფუნქცია, და იგი მოქმედებს შრომის საგნებზე მექანიკური, ფიზიკური და ქიმიური პროცესების გამოყენებით. აქედან გამომდინარე. განაგრ-

---

[34] П. В. Гугушвили, Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX—XX вв. I, 1957, გვ. 140.

[35] იქვე.

[36] იქვე. გვ. 135, 140.

[37] П. Гугушвили, К вопросу о социологической классификации форм промышленности, საქ. მეცნ. აკად. სახ. მეცნ. განყ. „მოამბე“, 1, 1960, გვ. 122.

ძობს ავტორი. „მრეწველობის ფორმები პირველ ყოვლისა უნდა ასახავდეს სამრეწველო წარმოების (ე. ი. მრეწველობის — დ. გ.) განვითარების თანმიმდევრობით საფეხურებს, და არა საზოგადოებრივ მატერიალურ წარმოებას საერთოდ (ე. ი. არ უნდა ასახავდეს სოფლის მეურნეობასაცო — დ. გ.).

ამ ასპექტში „წვრილი სასაქონლო წარმოება", როგორც ტერმინი, რომელიც უნდა ემსახურებოდეს მრეწველობის განსაზღვრული ფორმის სახელწოდებას, მიგვაჩნია მიუღებლად მით უფრო, რომ საყოველთაოდ მიღებულ მარქსისტულ ლიტერატურაში ცნება „წვრილი სასაქონლო წარმოება" ნიშნავს სასაქონლო წარმოების განვითარების საფეხურს საერთოდ და შეიძლება შეესაბამებოდეს ასევე ხელოსნურ, გლეხურ (სოფლის მეურნეობის — დ. გ.) და წვრილი სასაქონლო წარმოების სხვა სახეებს"[38].

აქვე ავტორი იძლევა სქემას, სადაც მრეწველობის მესამე ფორმად გამოცხადებულია არა „წვრილი სასაქონლო წარმოება", არამედ „შინამრეწველობა" (Кустарная промышленность).

როგორც ვხედავთ, პროფ. პ. გუგუშვილი ამ ნაშრომში უკვე გამოთქვამს იმ მოსაზრებებს, რის გამოც, მისი აზრით, ტერმინი „წვრილი სასაქონლო წარმოება" მიუღებელია მრეწველობის მესამე ფორმისათვის. როგორც აღინიშნა იგი აცხადებს, რომ მრეწველობის ფორმები უნდა ასახავდეს სამრეწველო წარმოების, ე. ი. თვით მრეწველობის განვითარების საფეხურებს და არა საზოგადოებრივ მატერიალურ წარმოებას საერთოდ. საზოგადოებრივი მატერიალური წარმოება საერთოდ, კი, გულისხმობს როგორც მრეწველობას ასევე სოფლის მეურნეობასაც. პროფ. პ. გუგუშვილის აზრით ცნება „წვრილი სასაქონლო წარმოება" მარქსისტულ ლიტერატურაში ნიშნავს საერთოდ სასაქონლო წარმოების საფეხურს და შეესაბამება როგორც მრეწველობის ასევე სოფლის მეურნეობის (გლეხურ) სასაქონლო წარმოების განვითარების გარკვეულ დონეს.

პროფ. პ. გუგუშვილის ამ მოსაზრებებს მრეწველობის მესამე ფორმის საკითხში ჩვენ ვერ დავეთანხმებით.

მართალია, მარქსისტულ ლიტერატურაში, როდესაც ლაპარაკია ქვეყნის საერთო ეკონომიკაზე და საზოგადოებრივ მატერიალურ წრმოებაზე, ცნება „წვრილი სასაქონლო წარმოება" ნიშნავს საერთოდ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში წარმოების განვითარების გარკვეულ დონეს, ე. ი. იგი გულისხმობს როგორც მრეწ-

---

38 იქვე.

ველობას ასევე სოფლის მეურნეობასაც, მაგრამ როდესაც ლაპარაკია მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა ზ ე და მის ფორმებზე, მაშინ, ცნება „წვრილი სასაქონლო წარმოება" თავისთავად მ ხ ო ლ ო დ მრეწველობას ეხება და მისი განვითარების ერთ-ერთ საფეხურს (ფორმას) გულისხმობს.

თუმცა, როგორც უკვე ითქვა, მრეწველობის მესამე ფორმის აღსანიშნავად შეიძლება მოიძებნოს უფრო ზუსტი ტერმინიც. სახელდობრ, „წვრილი სასაქონლო წარმოების" მაგიერ, უფრო სწორი იქნება შემოვიღოთ ტერმინი „წ ვ რ ი ლ ი ს ა ს ა ქ ო ნ ლ ო მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა". ტერმინი „წვრილი სასაქონლო მრეწველობა" უშუალოდ ეხება მხოლოდ მრეწველობას და ზუსტად გამოხატავს მისი განვითარების მესამე ფორმის (საფეხურის) შინაარსს.

რაც შეეხება „შინამრეწველობას" ანუ „კუსტარულ მრეწველობას", როგორც ამაზე ზემოთ ვრცლად ითქვა, იგი მრეწველობის ერთი რომელიმე განსაზღვრული ფორმა არაა და მრეწველობის განვითარების მესამე ფორმის ტერმინად უვარგისი და მიუღებელია.

ამგვარად, მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ფ ო რ მ ე ბ ი (ს ა ფ ე ხ უ რ ე ბ ი) თ ა ნ ა მ ი მ დ ე ვ რ ო ბ ი თ ჩვენ ასე წარმოგვიდგება: 1. ს ა ო ჯ ა ხ ო მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა, 2. ხ ე ლ ო ს ნ ო ბ ა, 3. წ ვ რ ი ლ ი ს ა ს ა ქ ო ნ ლ ო მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა, 4. მ ა ნ უ ფ ა ქ ტ უ რ ა, 5. ფ ა ბ რ ი კ ა.

„შინამრეწველობა" ანუ ე. წ. „კუსტარული" მრეწველობა მრეწველობის ერთ-ერთ ძირითად ფორმად მიაჩნია აგრეთვე პროფ. ვ. ჩანტლაძეს. იგი მრეწველობის მესამე ფორმად თვლის არა წვრილ სასაქონლო წარმოებას, არამედ „შინამრეწველობას"[39], რაც, როგორც აღინიშნა, შეცდომაა.

პროფ. გ. ბაქრაძეს სწორად ესმის „შინამრეწველობის" არსი და მას მრეწველობის მესამე ფორმად მიაჩნია არა „შინამრეწველობა", არამედ წვრილი სასაქონლო წარმოება[40]. მაგრამ პროფ. ბაქრაძე მართალი არაა მრეწველობის ფორმების რაოდენობის საკითხში. პროფ. ბაქრაძის აზრით მრეწველობის სამი ძირითადი ფორმა არსებობს და არა ხუთი[41]. საამისოდ იგი იმოწმებს ლენინს. გ. ბაქრაძე წერს: „როგორც ცნობილია. ვ. ი. ლენინის მიხედვით მრეწველობის სამი ძირითადი ფორმა შემდეგია:

---

[39] იხ. ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. XIII, 1962, გვ. 245.

[40] გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, დასახ., გვ. 244—246.

[41] იქვე, გვ. 245.

წვრილი სასაქონლო წარმოება (წვრილი, უმთავრესად გლეხური სარეწები), კაპიტალისტური მანუფაქტურა და ფაბრიკა"[42]. გ. ბაქრაძის მიერ ლენინის აქ, ასე დამოწმება გაუგებრობის შედეგია. სინამდვილეში ლენინი თავისი ნაშრომის — „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში" — იმ ადგილას, რომელიც მოტანილი აქვს პროფ. გ. ბაქრაძეს, ლაპარაკობს არა მრეწველობის ფორმებზე საერთოდ. არამედ, მხოლოდ კაპიტალიზმის განვითარების სამ სტადიაზე რუსეთის მრეწველობაში, კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ი ს ფ ო რ მ ებ ზ ე (საფეხურებზე). აი ეს ადგილი. ლენინი წერს: „ახლა შევაჯამოთ ის ძირითადი დასკვნები, რომლებსაც ვღებულობთ მონაცემებიდან ჩვენს მრეწველობაში კაპიტალიზმის განვითარების შესახებ.

ამ განვითარების მთავარი სტადია სამია: წვრილი სასაქონლო წარმოება (წვრილი, უმთავრესად გლეხური სარეწები) — კაპიტალისტური მანუფაქტურა — ფაბრიკა (მსხვილი მანქანური ინდუსტრია)"[43].

როგორც ვხედავთ, ლენინი აქ ლაპარაკობს მხოლოდ კაპიტალისტური მრეწველობის ფორმებზე, მის სამ ფორმაზე და არა საერთოდ მრეწველობის ფორმებზე.

საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის წარმოშობის გზების შესახებ

როგორც ცნობილია, კაპიტალისტური მრეწველობის წარმოშობის ორი ძირითადი გზა არსებობს: 1. მწარმოებელი (გლეხი, ხელოსანი) ხდება ვაჭარი და კაპიტალისტი, 2. ვაჭარი უშუალოდ ეუფლება წარმოებას[44].

კაპიტალისტურ წარმოებაზე პირველი გზით გადასვლის დროს, ერთი მხრივ, წვრილ საქონელმწარმოებელთა (ოსტატები, ხელოსნები) დაშლის შედეგად წარმოიშობა გამდიდრებული ნაწილი. გამდიდრებული ოსტატ-ხელოსნები აფართოებენ წარმოებას, ადიდებენ საწარმო-სახელოსნოებს, სადაც მიმართავენ დაქირავებული შრომის გამოყენებას და ამგვარად მრეწველი კაპიტალისტები ხდებიან; მეორე მხრივ, წვრილი საქონელმწარმოებელი (გლეხი, ხელოსანი) ბაზარზე გადის და იწყებს საქონლის სისტემატურ გაყიდვას. იგი მდიდრდება, ვაჭარი ხდება. გამდიდრებული ვაჭარი, რომლის ხელში ფულადი კაპიტალი დაგროვდა, შემდეგ ხსნის წარ-

---

42 იქვე.

43 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 3, გვ 641.

44 კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, III, ნაწ. I. 1959, გვ. 423.

მოებას, იყენებს დაქირავებულ შრომას და ამრიგად, ასევე, მრეწველი კაპიტალისტი ხდება, ე. ი. ვაჭარი ხდება კაპიტალისტი, სამრეწველო საწარმოს მოწყობის შედეგად. ეს არის კაპიტალისტურ წარმოებაზე გადასვლის პირველი გზა.

კაპიტალისტურ წარმოებაზე გადასვლის, ან უფრო სწორად კაპიტალისტური მრეწველობის გაჩენის, მეორე გზა — ვაჭრის მიერ წარმოების დაუფლება — ნიშნავს სავაჭრო კაპიტალის მიერ წვრილ სარეწებში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების სტადიებს ანუ ვაჭარ-შემსყიდველის მიერ წვრილი საქონელმწარმოებლების თანდათანობით დამორჩილებას, მათ დაქირავებულ მუშებად გადაქცევას და ერთ საწარმოში თავმოყრას, რასაც ბოლოს მოჰყვება მანუფაქტურის წარმოქმნა[45].

XIX ს. რეფორმამდელი ხანის საქართველოს (1800—1864 წწ.) მრეწველობაში კაპიტალიზმის ჩასახვისა და განვითარების საკითხის შესწავლამ ჩვენ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ კაპიტალისტური მრეწველობის წარმოშობა და განვითარება აღნიშნულ ხანაში ძირითადად (როგორც წესი) ხდებოდა პირველი გზით — ვაჭრებისა და გამდიდრებული ოსტატ-ხელოსნების მიერ კაპიტალისტური საწარმოების მოწყობის გზით. რაც შეეხება მეორე გზას — ვაჭარ-შემსყიდველების მიერ წარმოების უშუალო დაუფლებას, ამ გზით მრეწველობაში კაპიტალისტურ წარმოებას წესზე გადასვლა საქართველოში აღნიშნულ ხანაში არ ხდებოდა. როგორც აღნიშნული გვაქვს ვაჭარი შემსყიდველები რეფორმამდელ საქართველოში მრავლად იყვნენ, მაგრამ მათი მოქმედება პირველი ნაბიჯებით მთავრდებოდა და არ ხდებოდა მათ მიერ წვრილ საქონელმწარმოებელთა დამორჩილება და ამ გზით კაპიტალისტური წარმოების გაჩაღება. მოცემული გვაქვს საამისო მიზეზებიც[46].

ბოლო დროს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ამ მხრივ გამოითქვა სრულიად საპირისპირო მოსაზრება, რომელიც ეკუთვნის ისტ. მეცნ. კანდიდატს მ. სამსონაძეს. მისი აზრით საქართველოში ფეოდალურიდან კაპიტალისტური წარმოების წესზე გადასვლის ორი ძირითადი გზიდან „წამყვანი ადგილი უკავია ვაჭრის მიერ წარ-

---

45 ამ გზის შესახებ დაწერილებით იხილე ვ. ი. ლენინი, ტ. 3, გვ. 428—430, 450.

46 იხ. დ. გოგოლაძე, „კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში (1830—1864 წწ.)" გვ. 229—230. კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხის შესახებ საქართველოში, საქ. მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განყ. „მოამბე", 1961, № 3, გვ. 310.

მოების თანდათანობით დაპყრობას"[47]. როგორც ვხედავთ, მ. სამსონაძის აზრით საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობა განვითარებულა არა პირველი გზით, არამედ უმთავრესად მეორე გზით. მაშინ როდესაც, ჩვენი აზრით, იგი სწორედ პირველი გზით განვითარდა და არა მეორეთი.

მ. სამსონაძეს თავისი მოსაზრების სისწორე სურს ცხადჰყოს საქართველოში საფეიქრო მრეწველობის, კერძოდ, ბამბეულის წარმოების განვითარების მაგალითზე. იგი ლაპარაკობს ბამბის საქსოვი წარმოების მაღალ განვითარებაზე საქართველოში და კერძოდ თბილისში. რომლისგანაც, როგორც კერძო პირები, ასევე ხაზინა დიდ შემოსავალს იღებდა. განსაკუთრებით განვითარდა ბამბის დამმუშავებელი მრეწველობა XIX ს. დასაწყისიდან, როდესაც ქვეყანაში მშვიდობიანობა დამყარდა. ამ საუკუნის პირველი მეოთხედის მანძილზე(1801—1827 წწ.) ბამბის საქსოვი წარმოება აღმავლობას განიცდის[48]. XIX ს. 20-იანი წლების დასაწყისში, ავტორის აზრით, თბილისსა და მის რაიონებში დამზადებული ბამბეულის ნაწარმის წლიური პროდუქცია „2—3 მილიონი არშინის შესაბამისად მაინც უნდა ვიგულისხმოთ". განვითარების ასეთი მაღალი დონე კი გვიკარნახებს მასში წარმოების მაღალი, მანუფაქტურული ფორმები ვეძიოთ". თბილისისა და საქართველოს ბამბეულის მრეწველობის მაღალი განვითარების პირობებში, ბუნებრივია, — აცხადებს ავტორი — ადვილად იჩენდა თავს წარმოების კაპიტალისტურ ფორმებზე გადასვლის ტენდენცია. ეს გადასვლა წარმოებაში სავაჭრო კაპიტალის ჩარევით იწყებოდა[49].

ამის შემდეგ ავტორი განიხილავს ვაჭრის მიერ საფეიქრო წარმოების თანდათანობით დაპყრობას. ეს იწყებოდა ვაჭარ-შემსყიდველის მიერ ნედლეულის შესყიდვით. თბილისელი მქსოველები ამუშავებდნენ ერევნიდან შემოტანილ ბამბას. მათ ერევნის ბამბით ამარაგებდნენ ვაჭარი-შემსყიდველები. სამაგიეროდ ისინი მქსოველებისაგან გაცვლის სახით იღებდნენ ნართს. ავტორი თანმიმდევრობით წარმოგვიდგენს ვაჭრების მიერ შინამრეწველთა თანდათანობით დამორჩილებას: 1. ვაჭარი შეისყიდდა ნედლ ბამბას და მას აძლევდა თბილისელ მპენტავებს განსაზღვრულ ფასში დასამუშავებლად. 2. გაპენტილ ბამბას მისცემდნენ მრთველებს, ნაწარმის ნედლეულზე გაცვლის სახით, დასამუშავებლად, ძირითადად კი მრთვე-

---

47 მ. სამსონაძე, თბილისის სამრეწველო განვითარება მეცხრამეტე საუკუნის რეფორმამდელ ხანაში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ. 1964 წ. გვ. 235—236, ასევე ნაშრომის ავტორეფერატი (რუსულ ენაზე) გვ. 21—22.

48 მ. სამსონაძე, თბილისის სამრეწველო განვითარება... გვ. 64—66.

49 იქვე, 72—74.

ლებიც ფულად გასამრჯელოს იღებდნენ. 3. დართვის შემდეგ ნედლეული მქსოველთან მიდიოდა, 4. შემდეგი ოპერაცია მღებავისა და მჩითავის სახელოსნოში სწარმოებდა.

მ. სამსონაძე დაასკვნის, რომ ყველა მოცემულ შემთხვევაში ვაჭარ-შემსყიდველს დამორჩილებული ჰყავს შინამრეწველი. იგი მას პირდაპირ ურიგებს მასალას განსაზღვრულ ფასებში დასამუშავებლად და, ამრიგად, მას თავის დაქირავებულ მუშებად აქცევს. შრომა საკმაოდ მკვეთრადაა დანაწილებული, ცალკე სპეციალისტები მუშაობდნენ მასალის გაპენტვაზე, ცალკე რთვაზე, ქსოვაზე, ღებვაზე, მოჩითვაზე და ა. შ.[50].

მ. სამსონაძეს ასეთი სახის წარმოება ბამბის საფეიქრო მრეწველობაში მიაჩნია „დანაწევრებულ", „გაფანტულ" მანუფაქტურად[51]. მისი აზრით, ამ „გაფანტული მანუფაქტურის" ცენტრალური სახელოსნოს როლს ასრულებდა სამღებროები, სადაც საფეიქრო წარმოების დამასრულებელი ოპერაციები სრულდებოდა (შეღებვა, მოჩითვა)[52].

და ბოლოს, ავტორი აღნიშნავს, რომ ბამბის საფეიქრო წარმოებამ თბილისში და საქართველოში თავის კულმინაციურ წერტილს მიაღწია 1825—1827 წლებში. 1827 წლიდან იწყება მისი დაცემა. ამის მიზეზი იყო შეღავათიანი ტარიფი (1821—1831 წწ.) და კოლონიალური პოლიტიკა. ევროპული და რუსული ბამბის ქსოვილების მოზღვავებამ თანდათან შეავიწროვა და ბოლოს განდევნა ადგილობრივი ბამბის ნაწარმი (ქსოვილი) როგორც რუსეთის ისე ადგილობრივ ბაზარზე. „ცარიზმის კოლონიურმა პოლიტიკამ და შექმნილმა ეკონომიურმა ვითარებამ განსაზღვრა ჩვენში აღნიშნული წარმოების გაქრობა"[53].

მ. სამსონაძის ნაშრომში მოტანილი მასალა, ჩვენი აზრით, ვერ აღასტურებს ვაჭრის მიერ წარმოების კაპიტალისტურ წესზე გადასვლის, და ამ გზით მანუფაქტურის წარმოქმნის პროცესს. მით უმეტეს ვერ ადასტურებს იმას, თითქოს კაპიტალისტური მრეწველობის წარმოშობა და განვითარება უ მ თ ა ვ რ ე ს ა დ ამ გზით მომხდარიყო. მოტანილი მასალა მოწმობს მხოლოდ ვაჭრების, სავაჭრო კაპიტალის პირველ ნაბიჯებს კაპიტალისტური მრეწველობის წარმოშობის საქმეში, მათ პირველ ნაბიჯებს წვრილი მწარმოებლების (ე. წ. „შინამრეწველების") დამორჩილების საქმეში.

---

50 მ. ს ა მ ს ო ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 76—78, 80.
51 იქვე, გვ. 80, 98.
52 იქვე, გვ. 81, 88, 92.
53 იქვე, გვ. 92—95.

როგორც აღინიშნა, მოტანილი მასალით არ ჩანს მანუფაქტურების წარმოქმნა, როგორც ამას მ. სამსონაძე გვარწმუნებს, იმიტომ, რომ მანუფაქტურა ეს არის ერთნაირი ხელობისა თუ სხვადასხვა სპეციალობის ხელოსნების თავმოყრა ერთ სახელოსნოში, ერთ საწარმოში, სადაც წარმოება შრომის დანაწილებას ემყარება. მ. სამსონაძის მიერ განხილულ ბამბის საფეიქრო წარმოებაში ვაჭრის მიერ წარმოების დაუფლება და ამ გზით მანუფაქტურის წარმოქმნა მაშინ იქნებოდა ნათელი და დადასტურებული თუ აღნიშნული ვაჭარი-შემსყიდველები მოაწყობდნენ სართავ ან საქსოვ საწარმო-მანუფაქტურებს, სადაც ერთ ჭერქვეშ თავს მოუყრიდნენ გუშინდელ სახლებში მომუშავე დაქსაქსულ ხელოსნებს. ე. ი. აუცილებლად საჭიროა, რათა ვაჭარმა შემსყიდველებმა სამუშაოს სახლებში ჩამორიგებასთან ერთად და მასთან უშუალოდ დაკავშირებით მოაწყონ შრომის დანაწილებაზე დამყარებული სახელოსნოები (მანუფაქტურები). გუშინდელი ეს ვაჭარი შემსყიდველი მანუფაქტურული საწარმოს მოწყობით უკვე მრეწველი კაპიტალისტი ხდება, ჩნდება კაპიტალისტური წარმოება მრეწველობაში. მანუფაქტურის მეპატრონე ხშირად განაგრძობს სახლებში სამუშაოს დარიგებას და ამრიგად მანუფაქტურული საწარმო უშუალო კავშირში იმყოფება კაპიტალისტურ შინმუშაობასთან. ასეთ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს კაპიტალისტური მრეწველობისა და, კერძოდ, მანუფაქტურის აღმოცენების მეორე გზა[54].

მაშასადამე, ამ გზით მანუფაქტურის წარმოქმნის შემთხვევაში, როგორც წესი, ვაჭარი-შემსყიდველი სახლებში მომუშავე დაქსაქსულ ხელოსნებს („შინამრეწველებს") თავს უყრის ერთ ჭერქვეშ, მის მიერ მოწყობილ მანუფაქტურა-სახელოსნოში.

ვაჭარ-შემსყიდველების მიერ ასეთი სართავი ან საქსოვი მანუფაქტურების მოწყობის ფაქტები მ. სამსონაძეს ვერ მოაქვს თავის ნაშრომში. ბუნებრივია, მას უგრძვნია ეს უხერხულობა, რადგან ვაჭრებისათვის შეკვეთით მომუშავე ხელოსნები — საკუთარი თუ სხვისი ნედლეულით, ასევე ფულადი თუ ნატურალური გასამრჯელოთი, ფეოდალური ეპოქის მრეწველობისთვისაც (ძირითადად ხელოსნური) არის დამახასიათებელი. ამიტომ, როგორც დავინახეთ, იგი მიუთითებს სამღებროებზე და სართავ და საქსოვ მანუფაქტურების მაგივრად სამღებრო სახელოსნოებს თვლის ბამბის საფეიქრო წარმოებაში ცენტრალიზებულ მანუფაქტურულ საწარმოებად. მაგრამ სამღებროებზე მითითება აქ არ გამოდგება, რადგან მღებ-

---

[54] იხ. ვ. ი. ლენინი, ტ. 3, გვ. 450; პოლიტიკური ეკონომია, სახელმძღვანელო, 1954, გვ. 64—65.

რობა ცალკე დარგი იყო და ფეოდალიზმის ეპოქაშიც იგივე როლს ასრულებდა რასაც გვიან. სახელდობრ, სამღებროებში საფეიქრო მრეწველობის ყოველგვარი ქსოვილი შესაღებად მიჰქონდათ ამქრებს, თავისუფალ ხელოსნებს, წვრილ საქონელმწარმოებლებს და ვაჭარ-შემსყიდველებსაც. გარდა ამისა სამღებროებში ყოველთვის არ ხდებოდა ქსოვილის შეღებვა და ამიტომ სამღებროები, მით უმეტეს, მუდამ არ წარმოადგენდნენ „საფეიქრო წარმოების დამასრულებელი ოპერაციის“ სახელოსნოებს, როგორც მ. სამსონაძე გვარწმუნებს. სამღებროებში ხშირად ღებავდნენ ნართსაც (ძაფს). შეღებილი ძაფი შემდეგ მიჰქონდათ ფეიქრებს შინ ან საქსოვ სახელოსნოებში და აწარმოებდნენ ქსოვას და ამრიგად საფეიქრო წარმოების დამასრულებელი ოპერაცია ისევ სახლებში ან საქსოვ სახელოსნოში ხდებოდა.

ამგვარად, მ. სამსონაძის მიერ მოტანილი მასალა მიუთითებს საკაჭრო კაპიტალის პირველ ნაბიჯებს ბამბის საფეიქრო მრეწველობაში, მიუთითებს წვრილ სასაქონლო წარმოებაზე, რომელსაც არ მოჰყოლია კაპიტალისტური მანუფაქტურის შექმნა.

მაგრამ დავუშვათ, რომ კაპიტალისტურ წარმოებაზე გადასვლის მ ე ო რ ე გ ზ ი თ მანუფაქტურის წარმოქმნის ორიოდე ფაქტს, ან, თუგინდ მეტს, მართლაც ჰქონოდა ადგილი საფეიქრო მრეწველობაში. და მერე რა? აკი მ. სამსონაძის დასკვნით ბამბის საფეიქრო წარმოება თბილისში (და საქართველოში) სათანადო მიზეზების გამო 1827 წლიდან ეცემა, ჰკარგავს სასაქონლო ხასიათს და ბოლოს ქ რ ე ბ ა. ამიტომ ამ წარმოების დაცემასთან და მის სასაქონლო მნიშვნელობის დაკარგვასთან ერთად, ბუნებრივია, გაქრა კაპიტალისტური მრეწველობის წარმოშობის ის მ ე ო რ ე გ ზ ა ც, რომლის შესახებ ავტორი ლაპარაკობს. გარდა ამისა, საფეიქრო მრეწველობაში, აღნიშნული, მეორე გზით მანუფაქტურის წარმოქმნის ორიოდე ფაქტის არსებობა, ეს იქნებოდა გ ა მ ო ნ ა კ ლ ი ს, მაშინ როდესაც, რ ო გ ო რ ც წ ე ს ი, საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის წარმოშობა და განვითარება (საფეიქრო დარგშიც) ხდებოდა კაპიტალისტურ წარმოებაზე გადასვლის პ ი რ ვ ე ლ ი გ ზ ი თ: გამდიდრებული გლეხების, ოსტატ-ხელოსნების და ვაჭრების მიერ კაპიტალისტური საწარმოების (მანუფაქტურების, ფაბრიკა-ქარხნების), უშუალოდ, პირდაპირ მოწყობისა და გახსნის გზით. ამ გზით კაპიტალისტური მრეწველობის წარმოშობა და განვითარება საქართველოში (როგორც XIX ს. პირველ ნახევარში, ისე მის მეორე ნახევარში) იყო მ ა ს ო ბ რ ი ვ ი მ ო ვ ლ ე ნ ა. XIX საუკუნის საქართველოში არსებული კაპიტალისტური საწარმოები, რომლებსაც სამეცნიერო

ლიტერატურა იცნობს, ძირითადად წარმოშობილია, სწორედ, კაპიტალისტურ მრეწველობაზე გადასვლის პირველი გზის შედეგად.

არსებობდა აგრეთვე სხვა არაძირითადი გზებიც, კაპიტალისტური მრეწველობის წარმოშობის საქმეში, როგორიც იყო: სახაზინო საწარმოების მოწყობა, ასევე, მთავრობის ცალკეული მოხელეებისა და ქართველი თავადაზნაურობის ზოგიერთ წარმომადგენელთა მიერ სამრეწველო საწარმოების გახსნა და ა. შ.

ფაბრიკის ცნების სწორი მეცნიერული გაგებისათვის

როგორც ცნობილია, ფაბრიკული წარმოება არის კაპიტალისტური მრეწველობის უმაღლესი საფეხური. ფაბრიკული წარმოების დროს და მისი სრულყოფის შესაბამისად განუხრელად იზრდება შრომის ნაყოფიერება. მანუფაქტურიდან მანქანურ ინდუსტრიაზე გადასვლა იწვევს სრულ ტექნიკურ გადატრიალებას კაპიტალისტურ წარმოებაში.

ყოველი განვითარებული მანქანა შედგება სამი სხვადასხვა ნაწილისაგან: 1) მანქანა-ძრავისაგან, 2) გადამცემი მექანიზმისა და 3) სამუშაო მანქანისაგან. მანქანა-ძრავა მოქმედებს როგორც მთელი მექანიზმის მამოძრავებელი ძალა. იგი თვითონ წარმოშობს თავის საკუთარ ძრავძალას (მაგალითად, ორთქლის მანქანა, ელექტრო მანქანა) ანდა მას იღებს ბუნების რომელიმე ძალისაგან (მაგალითად, წყლის ბორბალი—წყლისაგან, ქარის წისქვილის ფრთები — ქარისაგან და სხვ.). გადამცემი მექანიზმი შედგება მქნევარა თვლების, მოძრავი ლილვების, კბილათვლების, ღეროების, თასმების, ღვედების და სხვა ნაწილებისაგან. გადამცემი მექანიზმი ანაწილებს მოძრაობას და გადააქვს იგი სამუშაო მანქანაზე. მანქანის მექანიზმის ამ ორივე ნაწილს — მანქანა-ძრავასა და გადამცემ მექანიზმს მოძრაობაში მოჰყავს სამუშაო მანქანა. სამუშაო მანქანა, მოძრაობაში მოყვანის შედეგად, უშუალოდ ზემოქმედებს შრომის საგანზე და მიზანშეწონილად ცვლის მას (ამზადებს საქონელს). „სამუშაო მანქანა ისეთი მექანიზმია, რომელიც სათანადო მოძრაობის მიღების შემდეგ თავისი იარაღებით იმავე ოპერაციებს ასრულებს, რასაც უწინ მუშა ასრულებდა მსგავსი იარაღებით“[55]. თუ საიდან იღებს სამუშაო მანქანა მამოძრავებელ ძალას: ადამიანიდან, ცხოველიდან (ცხენი). ბუნებიდან (წყალი, ქარი), ამას მანქანის ცნებისათვის მნიშვნელობა არა აქვს. თუ კი სამუშაო მანქანა არსებობს მანქანურ მოწყობილობაში, ასეთი მოწყობილობა მანქანად ითვლება.

---

[55] კ. მარქსი, კაპიტალი, I, 1954, გვ. 472—473.

მანქანის სწორედ ეს ნაწილი, სამუშაო მანქანა, არის XVIII ს. სამრეწველო რევოლუციისა და საერთოდ მანქანური წარმოების ამოსავალი პუნქტი. სამუშაო მანქანის შექმნა (გამოგონება) იყო ამოსავალი პუნქტი, რამაც გამოიწვია მანუფაქტურის შეცვლა მანქანური წარმოებით.

ფ ა ბ რ ი კ ა, როგორც ცნობილია, გულისხმობს მანქანურ წარმოებას. რა ნიშნები უნდა გააჩნდეს საწარმოს, რომ იგი ფაბრიკად ჩაითვალოს? რას გულისხმობს ფაბრიკის ცნება? ფაბრიკის ცნების განსაზღვრისას მკვლევარები ეყრდნობიან მარქსსა და ლენინს.

საერთოდ მიაჩნიათ, რომ ფაბრიკის ნიშნად აუცილებელია ო რ თ ქ ლ ი ს მ ა ნ ქ ა ნ ი ს (პირველადი ამძრავის) არსებობა საწარმოში, რომელიც იძლევა პირველ მამოძრავებელ ძალას, რაც მოძრაობაში მოიყვანს გადამცემ მექანიზმს, ხოლო ეს უკანასკნელი — ს ა მ უ შ ა ო მ ა ნ ქ ა ნ ა ს. ზოგიერთ საბჭოთა მკვლევარს კი ორთქლის მანქანასთან ერთად ფაბრიკის ცნებისათვის აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია მუშების განსაზღვრული რიცხვის (16 კაცი) არსებობაც საწარმოში. ამასთანავე ფაბრიკის ცნების განსაზღვრის საკითხში მკვლევარები იძლევიან მარქსისა და ლენინის მოსაზრებათა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას.

ამჟამად ქართულ საისტორიო მეცნიერებაში ისტ. მეცნ. კანდ. მ. სამსონაძემ ახლებურად და საინტერესოდ დააყენა ფაბრიკის ცნების საკითხი. მისი აზრით, ორთქლის მანქანის არსებობა საწარმოში აუცილებელი არაა, რათა საწარმო ფაბრიკად ჩავთვალოთ, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი სჩადის[56].

ფაბრიკის ცნების არსებით და განმსაზღვრელ ნიშნად მ. სამსონაძეს მიაჩნია ს ა მ უ შ ა ო მ ა ნ ქ ა ნ ი ს არსებობა საწარმოში. რაც შეეხება იმას, თუ ვინ ან რა ძალა მოიყვანს ამ სამუშაო მანქანას მოძრაობაში — ადამიანი, ცხოველი (ცხენი), წყალი, ქარი, ორთქლი თუ ელექტრონი, სამსონაძის აზრით, ეს სულერთია და ამას მნიშვნელობა არა აქვს ფაბრიკის ცნებისათვის. იგი ამ მხრივ განიხილავს მარქსის „კაპიტალის" სათანადო ნაწილს (მანქანების განვითარება) და იძლევა საკუთარ ინტერპრეტაციას. მ. სამსონაძე წერს: „ყოველ განვითარებულ მანქანურ მოწყობილობაში კ. მარქსი სამ არსებით ნაწილს გამოჰყოფს: მანქანა ძრავას, გადამცემ მექანიზმს და სამუშაო მანქანას (მანქანა-იარაღი). პირველი ორი ნაწილი, მესამეს, სამუშაო მანქანას ემსახურება; ისინი იმისთვის არსებობენ, რომ სამუშაო მანქანა მოძრაობაში მოიყვანონ"[57]. მ. სამსონაძე იმოწმებს მარქსს, რომელიც წერს: „მანქანის სწორედ ეს ნა-

56 მ. ს ა მ ს ო ნ ა ძ ე, თბილისის სამრეწველო განვითარება..., გვ. 250.

57 იქვე, გვ. 256.

წილი, სამუშაო მანქანა, მე-18 საუკუნის სამრეწველო რევოლუციის ამოსავალი პუნქტია იგი ახლაც მუდამ ამოსავალი პუნქტია ყველა იმ შემთხვევაში, როცა ხელოსნური ან მანუფაქტურული წარმოება მანქანურ წარმოებად იცვლება" (კ. მარქსი, კაპიტალი, I, გვ. 472—473)[58]. თუ როგორ და რა გზით მოდის აღნიშნული მანქანა მოძრაობაში, წერს სამსონაძე, ამას მნიშვნელობა არა აქვს. საამისოდ იგი აქ კვლავ იმოწმებს მარქსს: „როდესაც 1735 წელს ჯონ უაიეტმა ქვეყანას ამცნო თავისი სართავი მანქანის გამოგონება და ამასთან მე-18 საუკუნის სამრეწველო რევოლუციაც, მას კრინტიც არ დაუძრავს იმაზე, რომ ამ მანქანას ადამიანის ნაცვლად ვირი აამოძრავებდა და, მიუხედავად ამისა, ეს როლი მაინც ვირს ხვდა წილად". მაგრამ „მანქანების სისტემა ვერ განვითარდებოდა თავისუფლად, სანამ წინათ ხმარებული მამოძრავებელი ძალის — ცხოველის, ქარის და წყლისაც კი — ადგილი ორთქლის მანქანამ არ დაიჭირა". (კ. მარქსი, კაპიტალი, I, გვ. 471, 484)[59]. „ამიტომ,—წერს მ. სამსონაძე,—მარქსი ორთქლის მანქანას სამრეწველო ქალაქების დედას უწოდებს"[60]. (უნდა აღინიშნოს, რომ მარქსს არ ეკუთვნის ეს ბოლო სიტყვები. ორთქლის მანქანას „სამრეწველო ქალაქების დედას" უწოდებს. ა. რედგრეივი, რომელსაც მარქსი ეთანხმება და მოჰყავს მისი ეს სიტყვები)[61].

მ. სამსონაძე იმოწმებს ლენინსაც (ტ. 3, გვ. 567) და აღნიშნავს, რომ ლენინი ფაბრიკის ცნებისათვის ორთქლის მანქანას პირობით „იღებდა" „განსაზღვრულ ნიშნად" და არ „თვლიდა" მას ფაბრიკის „განმსაზღვრელ" ნიშნადო[62].

სათანადო მსჯელობის შემდეგ მ. სამსონაძე დაასკვნის: „ამრიგად, ორთქლის მანქანის არსებობის მიჩნევა ფაბრიკული წარმოების განმსაზღვრელ ნიშნად მართებული არ არის"[63]. საკითხი, როგორც ვხედავთ, მნიშვნელოვანია.

მ. სამსონაძის ეს მოსაზრება, რომ სავალდებულო არაა ორთქლის მანქანის მიჩნევა ფაბრიკისა და ფაბრიკული წარმოების არსებით და განმსაზღვრელ ნიშნად, მიუხედავად საკითხის სირთულისა, ჩვენ არ მიგვაჩნია სწორად.

განვიხილოთ, თუ როგორი თვალსაზრისით განიხილავს ფაბრიკის ცნების საკითხს სინამდვილეში მარქსი.

---

58 იქვე.

59 იქვე, გვ. 257, 260.

60 იქვე, გვ. 260.

61 იხ. კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, I, 1954, გვ. 478—479, შენიშვნა 100.

62 მ. ს ა მ ს ო ნ ა ძ ე, დასახ., გვ. 250—251.

63 იქვე, გვ. 251.

„კაპიტალის“ იმ თავში, სადაც ლაპარაკია მანქანების განვითარებაზე, როგორც აღინიშნა, მარქსი ყოველ განვითარებულ მანქანას სამ შემადგენელ ნაწილად ყოფს: მანქანა-ძრავად, გადამცემ მექანიზმად და სამუშაო მანქანად. სამუშაო მანქანა მარქსს მიაჩნია XVIII საუკუნის სამრეწველო რევოლუციის ამოსავალ პუნქტად და ამავე დროს მანქანის ცნების არსებით ნიშნად. რაც შეეხება მანქანის ამ ნაწილის — სამუშაო მანქანის—მამოძრავებელ ძალას, მარქსის აზრით, მანქანის ცნებისათვის მნიშვნელობა არა აქვს თუ საიდან მომდინარეობს ეს მამოძრავებელი ძალა: ადამიანიდან, ცხოველიდან (ცხენი) თუ ბუნების ძალისაგან (წყალი, ქარი). მაშასადამე, როცა საქმე ეხება მანქანის ცნებას.

მაგრამ, როცა ფაბრიკის ცნებაზეა საუბარი, მარქსი, იქვე არაერთხელ აღნიშნავს, რომ ფაბრიკაში მანქანის (სამუშაო მანქანის) მამოძრავებელ ძალად ცხოველის (ცხენის), ქარის, წყლის ძალის გამოყენება უვარგისი, შეზღუდული და არარეგულარულია. მარქსი აღნიშნავს, რომ ცხენის, ქარის და წყლის ძალის გამოყენება დამახასიათებელი იყო მანუფაქტურული პერიოდისათვის, რომელთა გამოყენება ფაბრიკაში იყო უვარგისი და დაკავშირებული მთელ რიგ სიძნელეებთან. მარქსი წერს: „მანუფაქტურული პერიოდიდან გადმოცემულ ყველა დიდ მამოძრავებელ ძალთა შორის ცხენის ძალა ყველაზე უვარგისი იყო, ნაწილობრივ იმიტომ, რომ ცხენს საკუთარი თავი აქვს (ე. ი. იღლება და ყოველთვის შენს ნებაზე ვერ ამუშავებ. — დ. გ.), და ნაწილობრივაც იმიტომ, რომ იგი ძვირია და ფაბრიკაში მისი გამოყენების შესაძლებლობა შეზღუდულია... ქარი ძალიან ცვალებადია და მისთვის კონტროლის გაწევა შეუძლებელია... წყლის ძალის გამოყენება ინგლისში მსხვილი მრეწველობის სამშობლოში, ძალიან გავრცელებული იყო უკვე მანუფაქტურულ პერიოდში... არკრაიტის სართავი ვატერ-მანქანა იმთავითვე წყლის საშუალებით მოდიოდა მოძრაობაში. მაგრამ წყლის ძალის გამოყენებაც უმთავრეს მამოძრავებელ ძალად სხვადასხვა დამაბრკოლებელ გარემოებასთან იყო დაკავშირებული. არ შეიძლებოდა სურვილისამებრ წყლის მომატება, არც მისი ნაკლებობის შევსება; ზოგჯერ იგი შრებოდა და, უწინარეს ყოვლისა, მას წმინდა ლოკალური ხასიათი ჰქონდა. მხოლოდ უატის მეორე მანქანის, ეგრეთწოდებული ორმაგად მოქმედი ორთქლის მანქანის, გამოგონებით გამონახულ იქნა პირველი ძრავა, რომელიც ნახშირისა და წყლის დახარჯვით თვითონვე ქმნის თავის მამოძრავებელ ძალას და რომლის მოქმედება მთლიანად ადამიანის კონტროლს ექვემდება-

რება: ძრავა, რომელიც მოძრავია და თან საშუალებაც მიმოძრაობისა, რომელიც ქალაქური სისტემისაა და არა სოფლურისა, წყლის ბორბლისებრ. შესაძლებლობას ხდის წარმოების კონცენტრაციას ქალაქებში, ნაცვლად იმისა, რომ დაქსაქსოს იგი სოფლებში. როგორც ამას წყლის ბორბალი იწვევდა"[64].

მაშასადამე, როგორც ვხედავთ, ფაბრიკისათვის აუცილებელი გახდა ისეთი ძრავა (პირველადი ამძრავი), რომელიც თვითონვე წარმოქმნიდა თავის მამოძრავებელ ძალას, მთლიანად დაექვემდებარებოდა ადამიანის კონტროლს, ანუ ადამიანის ნებისმიერ განავითარებდა სხვადასხვა ზომის ძალას საჭიროებისდა მიხედვით, შესაძლებელი იქნებოდა მისი ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე თავისუფლად გადატანა, და რომლის მუშაობა დამოკიდებული არ იქნებოდა ბუნებრივ. წლის დროისა და ლოკალურ-გეოგრაფიულ პირობებზე (ქარი, წყალი, მდინარეთა ნაპირები და სხვ.). პირველად ასეთი ძრავა იყო ორთქლის მანქანა, რომელიც ფაბრიკის და ფაბრიკული წარმოების არსებითი ნიშანი გახდა. რაც შეეხება სამუშაო მანქანასა და მანქანების სისტემას, ეს ცხადია, თავისთავად იგულისხმება ფაბრიკაში.

როგორც ჩანს, ლენინსაც ფაბრიკის ცნების არსებით ნიშნად მიაჩნდა ორთქლის მანქანის არსებობა საწარმოში. ლენინი წერს: „ცხადია, მსხვილი მანქანური ინდუსტრიის ზრდის შესახებ რომ ვიმსჯელოთ, საჭიროა თავდაპირველად დავადგინოთ განსაზღვრული ნიშანი „ფაბრიკის" ცნებისათვის. ასეთ ნიშნად ვიღებთ ორთქლის ძრავის არსებობას"[65]. როგორც ვხედავთ, ნათელია, რომ ლენინს ფაბრიკის ცნების არსებით ნიშნად ასევე მიაჩნდა ორთქლის ძრავის არსებობა.

საჭიროა განვასხვავოთ მანქანის ცნება ფაბრიკის ცნებისაგან. მაშინ, როდესაც, თავისთავად, მანქანის ცნების მთავარი ნიშანია სამუშაო მანქანის არსებობა მანქანურ მოწყობილობაში, ფაბრიკის ცნების მთავარი ნიშანი არის მამოძრავებელ ძალად ორთქლის მანქანის არსებობა მანქანურ მოწყობილობაში და, ბუნებრივია, საწარმოშიც. როგორც ვხედავთ, მანქანის ცნება განსხვავდება ფაბრიკის ცნებისაგან. ისინი ერთიმეორეში არ უნდა ავრიოთ და არ უნდა გავაიგივოთ.

მაშასადამე, საქონლის საწარმოებლად სამუშაო მანქანის მოყვანა მოძრაობაში წყლის, ქარის ან ცხენის ძალის საშუალებით,

---

[64] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 476—478. ხაზი ყველგან ჩვენია—დ. გ.

[65] ვ. ი. ლენინი, ტ. 3, გვ. 567. როგორც ზემოთ დავინახეთ, მ. სამსონაძე ლენინის ნაშრომის ამ ადგილს სხვაგვარ ინტერპრეტაციას იძლევა, რაც, ჩვენი აზრით, მართებული არაა.

ისეთი განუვითარებელი მანქანური წარმოებაა, რომელიც დამოკიდებულია ლოკალურ-გეოგრაფიულ თუ სხვა პირობებზე და აღნიშნული მამოძრავებელი ძალების (წყალი, ქარი, ცხენი) მოქმედება წარმოებაში არარეგულარულია. ასეთი მანქანური წარმოება უნდა მოეწყოთ უეჭველად მდინარეთა ნაპირებზე, ქარიან ადგილებში და ა. შ.

ფაბრიკული წარმოება ეს არის ისეთი მანქანური წარმოება, რომელსაც მამოძრავებელ ძალად გააჩნია მუდმივად მოქმედი ფაქტორი — ორთქლის მანქანა (ან ელექტრომანქანა შემდეგში), რომლის მუშაობა (და, მაშასადამე, ფაბრიკის მუშაობაც) დამოკიდებული არაა ლოკალურ-გეოგრაფიულ თუ სხვა პირობებზე (ქარი, წყალი, მდინარეთა ნაპირები, წლის დრო და ა. შ.), საჭიროებისამებრ განავითარებს ყოველნაირი ზომის ძალას, და რომლის გამართვა ყველგან შეუძლია ადამიანს (სოფლად თუ ქალაქად).

როგორც ვხედავთ, ორთქლის მანქანა (შემდეგში ელექტრომანქანა და სხვ.), რომელიც რეგულარული მამოძრავებელი ძალაა მანქანისა და მანქანების სისტემის, ფაბრიკის ცნების არსებითი ნიშანია.

რაც შეეხება მუშათა რაოდენობას ანუ მუშათა გარკვეული რიცხვის დასაქმებას ფაბრიკაში, წინააღმდეგ რიგი მკვლევარებისა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ არავითარი განსაზღვრული (კატეგორიული) მუშათა რიცხვის (მათ შორის 16 კაცის) არსებობა საწარმოში არაა სავალდებულო ფაბრიკის ცნებისათვის.

ისე როგორც მანუფაქტურაში მუშათა რიცხობრივ მინიმუმს კარნახობს შრომის დანაწილება, ასევე ფაბრიკაში მუშათა რიცხობრივი მინიმუმი დამოკიდებულია მანქანათა სისტემის და საერთოდ წარმოებისათვის საჭირო მუშათა კონტიგენტზე (მუშა ხელზე), ე. ი. ფაბრიკაში მუშათა რიცხობრივ რაოდენობის მინიმუმს კარნახობს წარმოების საჭიროება.

ასე რომ, ფაბრიკაში შეიძლება იყოს 16 მუშაზე ნაკლებიც. ცალკეული ფაბრიკები მუშების სხვადასხვა რიცხობრივ მინიმუმს მოითხოვს. მუშების მეტ-ნაკლები რაოდენობა დამოკიდებულია აგრეთვე ფაბრიკის (საწარმოს) სიდიდეზე.

შინაარსი

წინასიტყვაობა 5

თავი პირველი

სამთამადნო მრეწველობა საქართველოში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში 8

სპილენძისა და ვერცხლის წარმოება 8

თავი მეორე

სამთამადნო და სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში XIX საუკუნეში 23

სპილენძისა და ვერცხლის წარმოება 23
ფულის მოჭრის წარმოება. თბილისის ზარაფხანა 71
ჩათახის რკინისა და თუჯსასხმელი ქარხანა 77
თბილისის საწახნაგო ფაბრიკა 84
ნავთის წარმოება 87
ქვანახშირის მრეწველობა 89
მანგანუმის მრეწველობა 104
სამთამადნო და სამთო-საქარხნო წარმოების სოციალურ-ეკონომიური ბუნება, მისი როლი კაპიტალიზმის განვითარებისა და ქართული ეროვნული ბურჟუაზიის ფორმირების საქმეში 152

თავი მესამე

კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხის შესახებ 162

საკითხის ისტორიისათვის 162
მანუფაქტურის ცნების სწორი გაგებისათვის 174
მანუფაქტურული სტადიის შესახებ საქართველოში 183
მრეწველობის ფორმების კლასიფიკაცია და ე. წ. „შინამრეწველობა" 191
საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის წარმოშობის გზების შესახებ 199
ფაბრიკის ცნების სწორი მეცნიერული გაგებისათვის 205

Дермиша Андреевич Гоголадзе

ГОРНО-РУДНАЯ, ГОРНО-ЗАВОДСКАЯ ПРОМЫШЛЕННОСТЬ В ГРУЗИИ И НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ГЕНЕЗИСА КАПИТАЛИЗМА. (XVIII—XIX вв.)

(На грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი ი. გაჩეჩილაძე

ტექრედაქტორი ე. ბოკერია

კორექტორი ც. თოდუა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.6.1966; ნაბეჭდი თაბახი 13,24;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12,32;
უე 02329; ტირაჟი 1000; შეკვეთა 476;
ფასი 99 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 60, კუტუზოვის ქ. № 15
Издательство «Мецниереба», Тбилиси 60, ул. Кутузова № 15

Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси 60, ул. Кутузова № 15
გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბა, თბილისი 60, კუტუზოვის ქ. № 15

შემჩნეული შეცდომების გასწორება

გვერდი	სტრიქონი ზემ.	ქვ.	არის	უნდა იყოს
8	8		(ქართლი-კახეთის)	(ქართლ-კახეთის)
16		14	—20 და	—20-დან
81		8	ОФЗЗК,	ОФЗТГ,
207	19		უწოდებს.	უწოდებს

დ. გოგოლაძე